საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

გიორგი ლორთქიფანიძე,
დოდო ჯუმბურიძე, მამუკა გოგიტიძე

ქართველები სპარსეთის, ოსმალეთის და რუსეთის იმპერიების ომებში

(1600-1918)

თბილისი
2019

ნაშრომში თავმოყრილია საკითხის შესახებ სხვადასხვა დროის უცხოურ და ქართულ საისტორიო წყაროებში გაბნეული ცნობები და წარმოადგენს ქართველ და უცხოელ ავტორთა სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, სამი იმპერიის მასშტაბით ქართველების სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის ზოგადი სურათის წარმოჩენის მცდელობას.

წიგნი განკუთვნილია საკითხით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნაშრომი შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის ინიციატივითა და მხარდაჭერით.

წიგნის გამომცემელი: **დავით ხახუტაშვილი**

სამეცნიერო რედაქტორ-რეცენზენტები:

ზურაბ აბაშიძე - პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნანა გელაშვილი - ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოთარ ჟორდანია - ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნინო ჯაველიძე - ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

ოთარ ჯანელიძე - ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მხატვარი - გიორგი წერეთელი

ტექსტის აკრეფა და კორექტურა - მაია ხიზანიშვილი

დაკაბადონება - პაატა ქორქია

იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საგამამცემლო-სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით

წინათქმა

მკითხველის წინაშეა მეტად საინტერესო ნაშრომი. მისმა ავტორებმა (გ. ლორთქიფანიძე, დ. ჭუმბურიძე, მ. გოგიტიძე) მოიძიეს და დაამუშავეს სხვადასხვა წყაროებში არსებული დიდძალი მასალა სახელგანთქმულ და ნაკლებად ცნობილ ქართველთა შესახებ, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს ფარგლებს გარეთ, როგორც სახელმწიფო დ სამხედრო მოღვაწეებმა. თავისი საქმიანობით მათ მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს სპარსეთის, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებში.

ბევრი მათგანი უცხო მიწაზე ჩვენი ქვეყნის ბედუკუღმართობის გამო აღმოჩნდა, ბავშვობაში მშობლიური კერიდან გატაცებული და შემდეგ ტყვეთა ბაზარზე გაყიდული. მათ შორის ერთმა ნაწილმა, ალბათ, დროთა განმავლობაში დაივიწყა თავისი წარმომავლობა და უცხო ცნობიერება და ზნე-ჩვეულებები გაითავისა. თუმცა, ცნობილია მათი სახელებიც, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე გულში ატარებდნენ რწმენას, მოგონებას სამშობლოზე და შეძლებისდაგვარად დახმარების ხელსაც უწვდიდნენ მას.

ზოგიერთი ქართველისათვის დიდი იმპერიის სამსახურში ჩადგომა იძულებითი ნაბიჯი იყო, რაც იმავდროულად საქართველოსთვის თავგანწირვასა და სამსახურსაც ნიშნავდა. მათ დიდ ომებსა და ისტორიის ორომტრიალში გაითქვეს სახელი თავისი პატარა სამშობლოს დასაცავადაც. მართლაც, პოეტისა არ იყოს, „შენ – სისხლო ჩემო – სად არ დაღვრილო“...

ნაშრომში ამოვიკითხავთ ცნობებს იმ ქართველებზეც, რომლებმაც თვითონ დაისახეს მიზნად საქართველოს ფარგლებს გარეთ დიდი მოღვაწეობა და წარმატებების მიღწევა. მათი სახელებიც ჩაიწერა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

უცხო გარემოში მხოლოდ გამორჩეული ნიჭითა და თავდადებით შეეძლოთ მიეღწიათ ამ ადამიანებს წარმატებისათვის. ამ თვისებების გამოც შევცქერით მათ დღემდე გაოცებითა და სიამაყის გრძნობით.

ვინ იცის, რამდენი ქართველი გაქრა და დაიფერფლა უცხოეთში უგზოუკვლოდ.

ისტორია ხშირად კარდინალურადაც ცვლის ამა თუ იმ ეპოქაში ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებებსა და სტერეოტიპებს. ქვეყანა, რომელსაც ადრე მოსისხლე მტრად და დამაქცევლად მივიჩნევდით, დღეს შეიძლება მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორი იყოს. ამის თვალნათელი მაგალითია ევროპა, სადაც XX საუკუნის ორმა მსოფლიო ომმა, უამრავმა სისხლისღვრამ და მეზობელთა ქიშპობამ მილიონები იმსხვერპლა. დღეს კი ოდესღაც დაუძინებელი მტრები ერთიან მშვიდობიან, თავისუფალ და დემოკრატიულ ევროპას აშენებენ.

სწორედ ისტორიის ამ ლოგიკის გათვალისწინებით ცდილობს დღევანდელი საქართველო კეთილმეზობლური ურთიერთობების განმტკიცებას, გუშინდელ თუ დღევანდელ მოწინააღმდეგესთან ღირსეულად საერთო ენის გამონახვას, ერთიან ევროპულ ოჯახში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას.

ზურაბ აბაშიძე

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო
რედაქციის მთავარი რედაქტორი

თავი I

ქართველების მონაწილეობა სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიების ომებში

ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი წარსული მუდმივი ომებისა და თვითგადარჩენისათვის ბრძოლის ისტორიაა. ქართველი ერი პერმანენტულად იბრძოდა მომხდური მტრების წინააღმდეგ. ქრისტიანულ სამყაროსა და აღმოსავლურ დესპოტიებს შორის მყოფმა ერმა ნამდვილი გოლგოთის გზა გამოიარა საკუთარი იდენტობის, რწმენის, ენისა და ტერიტორიის შესანარჩუნებლად. ამ ბრძოლებში გამოიწრთო ქართველი მეომრების სამხედრო ნიჭი, საბრძოლო სტრატეგია და ტაქტიკა, საუკუნეთა განმავლობაში დაგროვდა ქართული სამხედრო ხელოვნების მეტად მდიდარი ტრადიციები, ჩამოყალიბდა საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის მებრძოლი ხასიათი. ბრძოლის ველზე თავგანწირვა ღირსების საქმედ გადაიქცა. სწორედ ამან განაპირობა უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროებში მრავალგზის დამოწმებული ის ისტორიული სინამდვილე, რომ ბევრი, მათ შორის საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის მმართველიც კი, ცდილობდა საკუთარი არმია ქართველებით გაეძლიერებინა და მათი საშუალებით მოეპოვებინა გამარჯვება.

ამასთან დაკავშირებით, დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „სპარსეთის შაჰები ხშირად თავიანთ სარდლებს არ ენდობოდნენ ხოლმე. ქართველთა პირიანობა და ფიცგაუტეხლობა კი გამოცდილებით იცოდნენ, ამის გამო ისინი თავიანთი დახლართული სამხედრო საქმეების მოწესრიგებას ქართველ მეფეებს ანდობდნენ

ხოლმე“. ისტორიამ შემოინახა როგორც შუა საუკუნეებში, ისე განსაკუთრებით ისტორიის ახალ პერიოდში ქართველ მეომართა წარმატებების ამბები ჯვაროსნულ ლაშქრობებში, ბიზანტიის, სპარსეთის, ოსმალეთის, სირიის, ეგვიპტისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფოთა ომებში.

ქართველი მეომრები, რომელნიც ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, უცხო ქვეყანაში მოხვდნენ და იქ სამხედრო სარბიელზე მოღვაწეობდნენ, როგორც წესი, მაღალ საბრძოლო თვისებებს, არმიების, შენაერთებისა და ნაწილების უნარიან მართვას ავლენდნენ, რითაც დამსახურებულ ავტორიტეტს, მამაცი და სახელოვანი მხედარმთმთავრების სახელს იხვეჭდნენ. ამის ნათელი მაგალითი მამლუქების ისტორიაა, ქართული სამხედრო ხელოვნების საყოველთაო აღიარების დასტურად რომ აღიქმება. ქართული წარმომავლობის მამლუქები სხვადასხვა პერიოდში მართავდნენ ერაყს, ეგვიპტეს, სირიას, ტრიპოლისა და ალჟირის საფაშოებს, ოსმალეთის იმპერიაში კი დიდვეზირის და ვეზირის თანამდებობები ეკავათ.

ცნობილია, რომ ეგვიპტეში მამლუქთა დამოუკიდებელი სახელმწიფო (სასულთნო) ჯერ კიდევ მეცამეტე საუკუნეში, 1250 წელს შეიქმნა, მას 1382 წლამდე ბაჰრელი (ბაჰრარაბულად ზღვას ნიშნავს) მამლუქები განაგებდნენ, რომლებიც ეთნიკურად თურქული წარმოშობის ყივჩაღები იყვნენ. 1382 წლიდან მოყოლებული ვიდრე – ოსმალთა დაპყრობამდე (1517 წ.) ეგვიპტის სასულთნოს, ამ სამხედრო-თეოკრატიულ სახელმწიფოს, ე.წ. ბურჯელი მამლუქები მართავდნენ, რომლებიც ძირითადად კავკასიური წარმოშობის ჩერქეზები იყვნენ. სასულთნო ახლო აღმოსავლეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული და მის საფუძველს მამლუქთა გვარდია – როგორც

პრივილეგირებული მმართველი სამხედრო კორპორაცია – წარმოადგენდა. მამლუქთა გვარდია შემდგომ არმიად გარდაიქმნა და სამი დამოუკიდებელი ნაწილისაგან – სულთნის პირადი არმიის, ამირათა (ოფიცრების) რაზმებისა და თავისუფალი დაქირავებული (არამამლუქი) გვარდიელებისგან – შედგებოდა. ამასთან, მამლუქთა სასულთნოს შიდა სტრუქტურა სამხედრო მონობაზე იყო დამყარებული.

1517 წელს ოსმალებმა ეგვიპტე დაიპყრეს, ბოლო მოუღეს მამლუქთა სასულთნოს და ის დიდი ხნით ოსმალთა იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა. რაც შეეხება მამლუქობის ინსტიტუტს, როგორც სამხედრო ორგანიზაცია, იგი უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და არსებობას XIX საუკუნის დამდეგამდე განაგრძობდა. XVI საუკუნის ბოლოსა და XVIIს-ის დასაწყისში ბიძგი მიეცა მამლუქთა სამხედრო სისტემის აღორძინებას და XVII-ის შუა წლებიდან ეგვიპტეში იწყება ოსმალო მამლუქი ბეგების დომინირების ხანა. ამ პერიოდში მამლუქი ბეგები ყველა დონეზე ეუფლებიან მნიშვნელოვან სამხედრო-ადმინისტრაციულ პოზიციებს და შესაბამისად, სამხედრო-პოლიტიკური უპირატესობა მათ ხელში გადადის.

ეგვიპტელ მამლუქებში ქართველები XVI საუკუნიდან გამოჩნდნენ, 1523 წლის აგვისტოში კი ოსმალეთის სულთანმა სულეიმან კანუნმა (1520-1566) ეგვიპტის მმართველად (გამგებლად – ბეგლარბეგად) აჰმედ-ფაშა დანიშნა. ახალმა მმართველმა 1524 წლის იანვარში თავი სულთნად გამოაცხადა და ეგვიპტის სასულთნო აღადგინა, რისთვისაც სულეიმანმა იგი სიკვდილით დასაჯა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აჰმედ-

ფაშა წარმოშობით ქართველი იყო და ასეა შესული „ისლამური ენციკლოპედიის“ მეორე გამოცემაში.

XVII საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული ოსმალეთის ეგვიპტეში ქართველი მამლუქების რაოდენობა შესამჩნევად იზრდება, ხოლო XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან ისინი უკვე დომინირებდნენ კიდეც, რაც მამლუქთა ოლიგარქიის ეთნიკურ შემადგენლობაზეც იყო ასახული. XVIIIს-ის დამდეგიდან შესაძლებელია ბევრი ქართველი მამლუქის ვინაობის დადგენა, რომლებსაც ვხედავთ სამხედრო კორპუსების ხელმძღვანელებად, სანჯაყ-ბეგებად და ა.შ. სარწმუნო წყაროების მოწმობით, XVIIIს-ის დასასრულისთვის 7 სამხედრო კორპუსის ხელმძღვანელები უპირატესად ქართველები იყვნენ. ისიც დანამდვილებით ცნობილია, რომ XVIIIს-ში ოსმალთა ბატონობის დროინდელი ეგვიპტის 6 ფაქტობრივი გამგებელი ქართველი იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ ქართულ გარემოცვაზე. „ყველა მამლუქი ადრე იყო ქრისტიანი და მამლუქთა უმრავლესობა ქართველია“ – წერს ა.ჯეოფრეი. მამლუქთა ქართული წარმომავლობის თაობაზე წერდნენ XVI-XVIII საუკუნეების ეგვიპტეში, პალესტინასა და სირიაში მყოფი ევროპელი მოგზაურები ანდრე ტევე და პეტრო პიცარო. საინტერესო ცნობები შემოგვინახეს XVIII ს-ის 30-იანი წლების ბრიტანელმა მოგზაურებმა, ანთროპოლოგმა რიჩარდ პიკოკმა და სასულიერო მოღვაწემ, ექიმმა ჩარლზ პერიმ, XVIII ს-ის მიწურულისა და XIX ს-ის დამდეგის ეგვიპტელმა ისტორიკოსმა ალ-ჯაფართიმ, ლევანტელმა ბერძენმა სავიურა ლუზინიანმა, ცნობილმა დანიელმა ისტორიკოსმა კარსტენ ნიბურიმ, ქართველმა კაჭკაჭიშვილმა და სხვ. საინტერესოა, რომ ს.ლუზინიანისთვის ეგვიპტეში მიყვანილი მომავალი მამლუქები, რაღაც

ეთნიურ-ტერიტორიულ მთლიანობას წარმოადგენდა და თავის წიგნში მთელი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ისინი „ყველანი წარმოშობით ივერიიდან არიან, რომელსაც ჩვეულებრივ საქართველოს, ჩერქეზეთს ან აფხაზეთს და სამეგრელოს უწოდებენ“. ცნობილი ამერიკელი მამლუქოლოგ-მკვლევარის, დ.კრესელიუსის აზრით კი, XVII-XVIII საუკუნეების ეგვიპტეში მრავალრიცხოვანი ქართველი მამლუქებისა და მათი ოჯახების რაოდენობის გათვალისწინებით, უნდა ეარსება ქართულ სუბკულტურასაც. ჩვენ კი, მხოლოდ რამდენიმე ქართული წარმოშობის მამლუქზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას, რომელნიც ოსმალთა მიერ დაპყრობილ ეგვიპტეს XVIII ს-ში მართავდნენ.

ეგვიპტის ფაქტობრივი მამლუქი მმართველი 1748-54 წლებში იყო იბრაჰიმ ქეთხუდა ალ-კაზდაღლი, წარმოშობით იმდროინდელ ქაიროში არსებული კაზდაღლის ქართული სახლიდან, რომელსაც მართავდნენ ქაიროში დისლოცირებული იენიჩართა კორპუსის სამხედრო მეთაურები, და რომელთა შორისაც ბევრი ქართველი ერია. პიროვნულმა თვისებებმა, გამბედაობამ და ნიჭმა იბრაჰიმს საშუალება მისცა ფრიად წარმოჩენილიყო ეგვიპტის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე. ის ქვეყანას ოსმალური სახელმწიფო ინსტიტუტების საშუალებით მართავდა, ყიდულობდა მამლუქებს და ხელს უწყობდა მათ დაწინაურებას. ზემოთ ნახსენები ეგვიპტელი ისტორიკოსის ალ-ჯაფართის სიტყვებით, იბრაჰიმს ჰქონია „ისეთი სიძლიერე და სიდიადე, გამჭრიახობა მართვისას და უდავო ძალაუფლება, როგორისთვისაც მანამდე ჯერ არავის მიუღწევია“. ისიც აღსანიშნავია, რომ XVIIIს-ის მეო-

რე ნახევრის ეგვიპტეს განაგებდნენ მისი სახლიდან გამოსული მამლუქები, რომელთა შორისაც ბევრი ქართველი იყო.

ეგვიპტის მამლუქი მმართველი იყო აგრეთვე, ალი-ბეი ალ-ქაბირი (1728-1773), დაბადებული საქართველოში, ქართველი მღვდლის შვილი, სახელად იოსები, რომელიც ცამეტი წლის ასაკში ტყვეებით მოვაჭრეებს გაუტაცნიათ სამშობლოდან, და მანაც თავისი პიროვნული თვისებების წყალობით მიაღწია უმაღლეს მწვერვალებს ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე. საგულისხმოა, რომ იგივე ს.ლუზინიანს თავისი მოგონებების წიგნში ალი-ბეის თანამებრძოლი ბევრი ქართული წარმოშობის მამლუქი ჰყავს ჩამოთვლილი, მათ შორის „ისმაილ-ბეი ქართველი, როსვან-ბეი (ალი ბეის დისწული) – აფხაზეთიდან, ჰასან-ბეი და მუსტაფა-ბეი – ორივე ქართველი, აჰმეტ-ბეი – აფხაზეთიდან, აკიფ-ბეი, უსუფ-ბეი, ზულფიკარი – ბეი – ყველანი ქართველები; გარდა ამისა იენიჩარაღა სელიმი და იენიჩარ-კაია სულეიმანი – ორივენი ერთი ქვეყნიდან არიან, (ე.ი. საქართველოდან, როგორც ამას ავტორი აზუსტებს იგივე ნაშრომში ოცდათორმეტი გვერდის შემდეგ) და სხვ. ამ ნუსხას ს.ლუზინიანი ავსებს უშუალოდ ალი-ბეის კარზე მყოფი მაღალი თანამდებობების მქონე ქართული წარმოშობის მოღვაწეთა სახელებითაც. 1763 წელს ის სრულიად ეგვიპტის მამლუქთა ხელისუფლების თავკაცად – „შაიხ ალ-ბალადად“ – აირჩიეს. მისი მომხრე ბეგებისა და მათი მსახურების უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ. ცნობილია, რომ ალი ბეიმ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ეგვიპტეში დიდი აჯანყება მოაწყო და 1769 წელს ოსმალეთისაგან ეგვიპტის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რისთვისაც მექა-მედინის შერიფმა აბდ-ლაჰმა

1771 წელს მას ეგვიპტის სულთნისა და ამინ ალ-ბაჰრაიმის, წითელი და ხმელთაშუა ზღვების მბრძანებელის ტიტული უბოძა. 1772 წელს ალი ბეიმ ოსმალეთის ბატონობისგან გაათავისუფლა პალესტინა, ლიბანი და სირიის ნაწილი დამასკოს ჩათვლით. მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის შედეგს წარმოადგენდა ის, რომ ფაქტობრივად მან შექმნა თანამედროვე ეგვიპტის საფუძვლები და განსაზღვრა ქვეყნის დამოუკიდებლობის ის კურსი, რომელიც განახორციელა XIX საუკუნეში მუჰამედ ალი-ფაშამ. ამიტომაც აღნიშნავს ამერიკელი ორიენტალისტი დ.კრესელიუსი, რომ ქართველმა მამლუქებმა ეგვიპტეში ოსმალთა ბატონობა შეარყიეს და ერთადერთ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ, რომლებიც ეგვიპტის ოსმალეთის იმპერიიდან გამოსასვლელად იბრძოდნენ.

1785 წლის მეორე ნახევრიდან მამლუქი ბეიები თავს ეგვიპტის ნამდვილ ბატონ-პატრონებად გრძნობდნენ და მათ ახალი აჯანყება მოაწყვეს ოსმალეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. სამხედრო რეფორმის გატარებისას, მათ პირველ რიგში მოსპეს იენიჩართა, ჯებეჯიების, თოფჩიების და სხვა სამხედრო გვარეობათა ინსტიტუტები. რუსეთის იმპერიის იმდროინდელი ალექსანდრიელი კონსულის ცნობებიდან ირკვევა, რომ აჯანყების მომწყობი ბეიების სათავეში წარმოშობით ქართველი მამლუქები ყოფილან. უფრო მეტიც, ქართველი აღმოსავლეთმცოდნის დ.ჯანელიძის მიერ გასული საუკუნის 50-იან წლებში რუსეთის სახელმწიფო ისტორიულ არქივში მიკვლეულ ფრანგული ენიდან რუსულ ენაზე თარგმნილ საკმაოდ ვრცელ და საინტერესო დოკუმენტში მათი ვინაობაც არის დასახელებული: ქაიროს ბეი სოლეიმან ტარბაიძე, ჰასან ბეი გედდავია, იბრაიმ შინჯიკაშვილი, ვინმე ოფი-

ცერი კაჭკაჭიშვილი, ისმაილ-ბეი, სოლეიმან-ბეის ძმა გაბრიელ ტარბაიძე, რომელიც ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის პოლიტიკური მდივანი ყოფილა და სხვ. ს.ლუზინიანიც მათ პირდაპირ მოიხსენიებს როგორც ქართველებს, რომლებიც ალი-ბეის მიმდევრებად ჰყავს მიჩნეული. სულთნის ჯარებთან 1786 წლის 25 ოქ-ტომბერს (ძვ.სტილით) სუეტთან ანუ სოგუტთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში, რუსული წყაროების თანახმად, ბევრ ქართველ მეთაურს მიუღია მონაწილეობა, ხო-ლო იბრაიმ შინჯიკაშვილი ამურატ-ბეისთან ერთად აჯან-ყებულთა ჯარებს სარდლობდა.

ეგვიპტის მამლუქი გამგებელი იყო ასევე მურად ბეი ალ-მუჰამადი, – წარმოშობით ქართველი, თბი-ლისიდან, რომელიც ტყვეებით მოვაჭრეებს თვრამეტი წლის ასაკში გაუყიდიათ კაიროში. მონობიდან თავდახ-სნილი თანდათან დაწინაურებულა და ამირბარის წოდე-ბამდე მიუღწევია. იგი 1775-77, 1778-86 და 1791-98 წლებში, მეორე ქართველთან, იბრაჰიმ ბეი ალ-ქაბირ ალ მუჰამედთან ერთად მართავდა ეგვიპტეს. მურად ბეიმ დიდი წვლილი შეიტანა უცხო დამპყრობელთაგან ეგვიპტის გათავისუფლების საქმეში, კერძოდ ნაპოლეონ ბონაპარტის არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში 1798-1801 წლებში. 1798 წელს იბრაჰიმ ბეისთან ერთად მან ბრძოლა გაუმართა ფრანგების არმიას ქაიროსთან (ე.წ. „პირამიდების ბრძოლა“), მაგრამ დამარცხდა და ზემო ეგვიპტეში გაიქცა, სადაც შავი ჭირისგან გარდაიცვალა კიდეც.

ყველაზე დიდი ფიგურა კი ეგვიპტის XVIIIს-ის ბოლო მეოთხედის ისტორიაში, იყო ეგვიპტის ასევე მამლუქი გამგებელი, ზემოთ ნახსენები იბრაჰიმ ბეი ალ-ქაბირ ალ-მუჰამადი, ეგვიპტეში ტყვედ გაყიდული

ზემოთ ნახსენები აბრამ სინჯიკაშვილი, დაბადებული საქართველოში, სოფ.მარტყოფში. „შეიხ-ალ-ბალადი“ – უმაღლესი პირი მამლუქთა იერარქიაში, იბრაჰიმ ბეი 29 წლის განმავლობაში მართავდა ეგვიპტეს და იბრძოდა ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. ამასთან, სათავეში ედგა ეგვიპტელი ხალხის ბრძოლას ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ. „პირამიდებთან ბრძოლაში“ დამარცხების მიუხედავად, მას წინააღმდეგობა არ შეუწყვეტია და სხვა ქართველ მამლუქებთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეგვიპტიდან ფრანგების განდევნაში. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ მამლუქთა საბრძოლო ხელოვნებამ ისე მოხიბლა ბონაპარტი, რომ თავად შექმნა კორპუსი მამლუქებისა და 1799 წლის აგვისტოში თან წაიყვანა საფრანგეთში. მათ რიგებში, რა თქმა უნდა, საკმაოდ იყვნენ ჭაბუკი ქართველი მამლუქებიც, რომელნიც 1805 წელს აუსტერლიტის ბრძოლაში მონაწილეობდნენ ნაპოლეონის გვარდიის შემადგენლობაში, ზოგიერთმა მათგანმა კი ფრანგების არმიაში მიიღო მონაწილეობა 1812 წლის რუსეთის კამპანიაში.

.....

XVI საუკუნის დასაწყისიდან ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ახალი, ძლიერი ძალა – სეფიანთა შიიტურ-ყიზილბაშური სპარსეთი, რომელიც სამკვდრო – სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა როგორც სუნიტურ ოსმალეთს, ისე მამლუქთა სასულთნოს. ამ პერიოდიდან ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობა საფუძვლიანად იცვლება. სპარსეთის აგრე-სიული გეგმები ოსმალეთის დაპყრობით პოლიტიკას ეჯახება და ორივე დაჟინებით ცდილობს ახლო აღმო-

სავლეთსა და ამიერკავკასიაში გაბატონებას. ასე დადგა ერთმანეთის პირისპირ ახლო და შუა აღმოსავლეთის ორი დიდი სახელმწიფო – სეფიანთა სპარსეთი და ოსმალეთის იმპერია, რომლებმაც XVI საუკუნის დასაწყისიდანვე ერთმანეთს შორის დაუნდობელი ომი გააჩაღეს, თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში (ხანმოკლე ინტერვალებით) რომ მიმდინარეობდა. საქართველო მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩართულ-ჩათრეული იქნა ამ ომებში და მისდამი მტრულად განწყობილი სახელმწიფოების გარემოცვაში აღმოჩნდა.

აქვე, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ სეფიანთა დინასტიის გამარჯვებისა და პირველი სეფიანი შაჰის, შაჰ-ისმაილ I-ის (1501-1524) ტახტზე აყვანის საქმეში საქართველოს პოლიტიკურ მესვეურებსა და ქართველ მხედრებსაც მიუძღვით თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი. ქართველთა წვლილს ისმაილის შაჰის ტახტზე ასვლისას, აგრეთვე აყ-ყოინლუს ტომებთან 1501 წელს ნახჭევანში, სოფ. შარურთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში, ხაზს უსვამს ცნობილი ფრანგი დიპლომატი და მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც 1671-1679 წლებში იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში და თავისი უშუალო შთაბეჭდილებები გადმოსცა ვრცელ თხზულებაში – „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“, რომელიც სეფიანთა ირანის ისტორიის ერთ-ერთ პირველწყაროს წარმოადგენს. იმავე საუკუნის ე.წ. უცნობი ვენეციელი ვაჭრისა და აყ-ყოინლუს სახელმწიფოში ვენეციის რესპუბლიკის ელჩის კატერინო ძენოს თანახმადაც, შაჰ-ისმაილს დახმარება უთხოვია ქართველებისათვის, რათა ისინი აყ-ყოინლუს სულთნის ალვენდის წინააღმდეგ დახმარებოდნენ. იტალიელი ავტორების

ცნობით, ისმაილსა, აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებსა და სამცხის ათაბაგს შორის სამხედრო კავშირი გაფორმებულა და შარურთან ბრძოლაში 9 000 რჩეულ ქართველ მეომარს მიუღია მონაწილეობა. როგორც ანონიმი ვენეციელი ვაჭრის, – რომელიც, როგორც სჩანს, იმავდროულად სამხედრო პირიც უნდა ყოფილიყო – ცნობიდან ირკვევა, ბრძოლის დროს გადამწყვეტი როლი ქართულ რაზმებს შეუსრულებიათ და ისმაილი დიდი ზეიმით შეუყვანიათ თავრიზში, სადაც ყიზილბაშებთან ერთად სპარსეთის შაჰინ-შაჰად გამოუცხადებიათ.

იმდენად დიდი ყოფილა ამ ბრძოლაში ქართველი მოლაშქრეების საბრძოლო მოქმედებებით გამოწვეული ეფექტი, რომ, როგორც იგივე ავტორი დასძენს, აყყოინლუს ყიზილბაშური სახელმწიფოს უკანასკნელ სულთან მურადთან 1503 წელს გამართული ბრძოლის წინ, შაჰისმაილი ქართველი რაზმების ხელმძღვანელებს სთხოვდა, წაექეზებინათ თავიანთი მეომრები, – ავტორისავე სიტყვებით – „ეს იბერები, უმამაცესი მხედრები და ბრძოლაში მრისხანენი“, – და გაეხსენებინათ მათთვის, თუ როგორ იბრძოდნენ ისინი მაშინ, როცა ალამუთის (ალვენდის) „მთელი ბანაკი გაანადგურეს“.

ამრიგად, ქართველებს წინა საუკუნეების მსგავსად, ამჯერადაც მოუწიათ, როგორც საკუთარი ეროვნული მეობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა, ისე სხვათა ომში და სხვისი დროშის ქვეშ ბრძოლა. როგორც ქართული, ისე ევროპული და საკუთრივ სპარსული წერილობითი წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ თუკი – ქართველი აღმოსავლეთმცოდნის, პროფ. ნ. გელაშვილის სიტყვებით – „XVI საუკუნის პირველ ნახევარში ქართველები სპარსეთში უმთავრესად ტყვეების სახით იყვნენ წარმო-

დგენილნი“, მომდევნო ხანებში ისინი მკვიდრდებიან და დიდ წარმატებებსაც აღწევენ სპარსეთის სამხედრო-პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სარბიელზე. სპარსეთში იქმნება საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორა (გერმანელი ექიმის, მოგზაურისა და დიპლომატის ენგელბერტ კემპფერის ცნობით, რომელიც XVII საუკუნის 80-იან წლებში სპარსეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა) – მარტო ისფაანში იმდროისათვის 20000 გამაჰმადიანებული ქართველი ცხოვრობს, რომელიც თანდათან ძლიერდება, თავის პოზიციებს იმტკიცებს და მოკლე დროში დიდი გავლენითაც სარგებლობს სეფიანი შაჰების კარზე. ეს ტენდენცია მკაფიოდ გამოიკვეთა XVI საუკუნის 70-იანი წლებიდან, შაჰ-თამაზ I-ის სიკვდილის შემდეგ (1576 წ.) შაჰის ტახტის პრეტენდენტთა მომხრეებს შორის წარმოებული ბრძოლის დროს და თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია შაჰ აბას I-ის ზეობის (1587-1629) წლებში. ამ პერიოდიდან ქართველები გვევლინებიან ამირსპასალარებად, ყულარაღასებად, ბეგლარბეგებად, მსაჯულ-დივნებად, სპარსეთის იმდროინდელი დედაქალაქის ისპაჰანისა და სხვა ცნობილი ქალაქების ტარუღებად (მოურავებად, აღსანიშნავია, რომ ისფაჰანის ტარუღას ხშირად იმპერიის მრჩევლების თათბირებზეც იწვევდნენ). საგულისხმოა, რომ სეფიანთა ირანის არსებობის უკანაკსნელი ასი წლის განმავლობაში ისფაჰანის ტარუღის თანამდებობას ქართველი უფლისწულნი ფლობდნენ, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება-გაძლიერების საქმეში.

XVI საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული XVIII საუკუნის შუა ხანებამდე სეფიანთა უმაღლეს სამხედრო თუ სამოქალაქო ადმინისტრაციაში ქართველ თავად-აზნაურთა

მოღვაწეობა ჩვეულებრივი მოვლენა გამხდარა და იყო პერიოდები, როდესაც სპარსეთის შაჰის კარის გავლენიან მოხელეთა უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ და ბევრ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს, ესა თუ ის შაჰი მათი უშუალო მონაწილეობით წყვეტდა. ქვეყნის მართვაში ქართველთა როლის ზრდასთან ერთად, გარკვეული ცვლილებები ხდებოდა თვით სპარსეთის სახელმწიფოს სტრუქტურასა და შემადგენლობაში. სეფიანთა მმართველობის დასაწყისში არსებული ყიზილბაშური ტომების ჰეგემონობის სანაცვლოდ, შეიქმნა ახალი სახელმწიფო, რომელშიც წარჩინებულმა ყიზილბაშებმა დაკარგეს თავიანთი პრივილეგირებული მდგომარეობა, რადგან მათ დაუპირისპირდა სპარსეთში აღზევებული კავკასიური ეთნიკური ელემენტი, მათ შორის ქართველები. ამასთან დაკავშირებით, იმდროინდელ სპარსეთში მყოფ ქართველებზე საინტერესო ცნობას გვაწვდის XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი სარგის გილანეცი: „სეფიანთა ეპოქაში – წერს იგი – მაღალი წოდების ქართველთა დიდი ნაწილი სპარსეთში ცხოვრობდა. ქართველთა ოდენობა იმ დროს იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ მათ გავლენა მოახდინეს მაღალი წოდების ეთნიკურ მდგომარეობაზე. ქართველი მეომრები შაჰის ყველაზე ერთგული მსახურები იყვნენ და ომში გამოცდილები, ხშირად მას მნიშვნელოვან სამსახურს უწევდნენ, მონაწილეობდნენ ყველაზე სახიფათო ღონისძიებებში“.

როგორც ცნობილია, სეფიანთა ირანში შაჰ აბას-I-ის მმართველობის დროიდან იწყება ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლა. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ შაჰ აბასი თავისი სახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელებისას, ყიზილბაშური ტომების წინა-

აღმდეგ ეყრდნობოდა სპარსულ და ქართულ-კავკასიურ ელემენტს. ამიტომაც შაჰის კარზე თავისი ნიჭისა და სიმამაცის წყალობით წინაურდებოდნენ ე.წ. „ახალი არისტოკრატიის“ წარმომადგენლები, რომლებიც ძირითადად ქართველებისა და ჩერქეზებისაგან შედგებოდნენ. სამხედრო რეფორმის გატარებისას, ყიზილბაშური ჯარის საპირისპიროდ ახლად შექმნილი 44 ათასიანი ჯარი, ძირითადად ქართველებისა და ჩერქეზებისაგან იყო დაკომპლექტებური. ახალი ჯარის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი – ყულის ჯარი (შაჰის პირადი გვარდია), თითქმის მხოლოდ გამაჰმადიანებულ ქართველ მეომრებს მოიცავდა, ხოლო ყულარ-აღასად (მთავარსარდლად), რომელსაც სპარსეთის შეიარაღებულ ძალებში, რანგით მეორე ადგილი ეკავა, თანახმად მიღებული წესისა, აუცილებლად ქართული წარმოშობის პირი უნდა ყოფილიყო. ეს წესი კი, XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულამდე, ანუ სეფიანთა დინასტიის დამხობამდე განუხრელად სრულდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყულის ჯარის არსებობა – რომლის ნაწილს ნაყიდი ქრისტიანი ტყვეები შეადგენდნენ, ხოლო ძირითადი ნაწილი კი საქართველოდან გაგზავნილი ახალგაზრდა ვაჟებით ივსებოდა – მეტად სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენდა როგორც შაჰ აბასის სამხედრო რეფორმის წარმატებისთვის, ისე ყიზილბაშური ტომების ძალაუფლების შესაკვეცად და ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების შესაქმნელად.

ამრიგად, ქართველებმა უპირველეს ყოვლისა, სამხედრო ასპარეზზე გამოიჩინეს თავი და სეფიანთა ირანში დიდი გავლენითაც სარგებლობდნენ. ქართულ სამხედრო ტრადიციებზე აღზრდილთა რიცხვი მრავლად მოიპოვებოდა XVII-XVIII საუკუნეების სპარსეთში მოღვაწე

ქართველთა შორის, როგორც სამეფო გვარეულობებიდან, ისე სამხედრო-ფეოდალურ არისტოკრატიისა და უბრალო წარმოშობის მქონე მეომრებისაგანაც. ქართველ მეომართა სამხედრო თვისებებსა და მამაცობას უცხოელ დამკვირვებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, რის შესახებაც ერთხმად საუბრობენ იმდროინდელი სპარსელი და ევროპელი ავტორები. ასე მაგალითად, ინგლისელი თომას ჰერბერტი, რომელიც 1627 წელს შირაზში იმყოფებოდა, წერს: „გარეგნული შეხედულებით, ნებისყოფითა და ერთგულებით, ქართველი ჯარისკაცები სპარსელებში ისეთი კარგი რეპუტაციით სარგებლობენ, რომ ბევრ მათგანს მეთაურის თანამდებობები უკავია, განსაკუთრებით ყველაზე უფრო გაშმაგებული მტრის – თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში.“ XVII საუკუნის ცნობილი იტალიელი მოგზაური და სახელმწიფო მოღვაწე პიეტრო დელა ვალე კი, რომელმაც თავისი ნაწერების სახით მდიდარი და საინტერესო ცნობები დაგვიტოვა იმ საუკუნის პირველი მეოთხედის სპარსეთისა და საქართველოს შესახებ, შემდეგ ინფორმაციას გვაწვდის: „ამჟამად ირანის ჯარის მთავარი ძარღვი შედგება ქართველი მხედრებისაგან, მათი რიცხვი ოცდაათ ათასს აღწევდა. უმცირესობა ბავშვობიდანვე იყო აღზრდილი მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე, უმეტესობა კი მოწიფულ ასაკში გამაჰმადიანდა. სპარსელები ქართველ მხედრებს დიდად აფასებდნენ“.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დაეთანხმო ქართველ აღმოსავლეთმცოდნესა და მწერალს თამაზ ნატროშვილს, როდესაც სწერს, რომ ქართველ მეომრებს „სამაგიეროდ ეკისრებოდათ უმძიმესი მოვალეობა მუდმივი სამსახურისა, თავს ვეღარ გაანებებდნენ ამ საქმეს და

სიკვდილამდე უნდა ექნიათ ხმალი სეფიანთა სახელმწიფოს ინტერესებისათვის“.

შაჰ აბას I-ის მმართველობის პერიოდში სპარსეთის პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე მოღვაწე ქართველებიდან გამორჩეული მდგომარეობა ეკავა უნდილაძეთა ქართულ ფეოდალურ სახლს, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი გაიღო სეფიანთა ხელისუფლების განმტკიცების და ქვეყნის სამხედრო ძლიერებისთვის. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ სპარსეთში მოღვაწე უნდილაძეების მრავალრიცხოვანი ოჯახის ფუძემდებელი და თავკაცი, გამაჰმადიანებული ალავერდი-ხან უნდილაძე, საქართველოდან (ქვემო ქართლიდან) ბავშვობაში ტყვედ წაყვანილი, წლების შემდეგ კი ფარსის ოლქის ბეგლარბეგი (1614 წლამდე) და ახლად შექმნილი ყულის ჯარის პირველი ყულარაღასი. გაკათოლიკებული სპარსელის დონ ხუან სპარსელის (მისი სპარსული სახელია ურუჯ ბეგ ბაიათი) ცნობით, „შაჰმა ალავერდი ხანი 1200 ქართველი მეომრის სათავეში დააყენა, რადგან თვითონ იგი ქართველი რენეგატი იყო“, ხოლო შაჰ აბასის კარის ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის სიტყვებით, ალავერდი-ხანის მთელი საგვარეულო „ისფაჰანიდან ომანის სანაპირომდე ერთი თვის სავალ გზაზე ბატონობდა“. ისიც აღსანიშნავია, რომ სწორედ ალავერდი-ხანის გონივრული რჩევებით და აქტიური მონაწილეობით განახორციელა

ალავერდი-ხან
უნდილაძე

ალავერდი-ხან უნდილაძის მიერ აშენებული ხიდი ისფაჰანში

შაჰ აბასმა ცნობილი სამხედრო რეფორმები, რითიც ხელი შეუწყო ახლადშექმნილი საჯარისო შენაერთების სამხედრო პოტენციალისა და სპარსეთის ჯარის ბრძოლისუნარიანობის გაზრდას. 1603-1612 წლების სპარსეთ-ოსმალეთის ომებში ალავერდი-ხანმა განსაკუთრებულად გამოავლინა თავისი მხედართმთავრული ნიჭი და რამდენიმე დიდი გამარჯვება მოიპოვა ოსმალეთის არმიაზე. სპარსეთში ალავერდი-ხანის დიდ ავტორიტეტსა და გავლენაზე მეტყველებს სეფიანთა კარზე პორტუგალიის ელჩის ანტონიო გოვეას მონათხრობი, როდესაც შაჰ აბასს მასთან ერთ-ერთი საუბრის დროს უთქვამს – „მთელი სპარსეთი მე მემორჩილება და მე კი ალავერდი-ხანს ვემორჩილებიო“. ზემოთ ნახსენები პიეტრო დელა ვალეს სიტყვებიდან, მთელ სპარსეთში არ მოიპოვებოდა კაცი, რომელიც „თავისი ჭკუით, მნიშვნელობით, სარდლობის ნიჭით და უნარით“

იმამყული-ხან
უნდილაძე

შეედრებოდა ალავერდი ხანს. „მეფე აბასი დიდად აფასებდა და დიდ პატივს სცემდა მას“ – გადმოგვცემს იგი ისფაჰანიდან გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში. ისიც აღსანიშნავია, რომ გარდა სამხედრო მოღვაწეობისა, ალავერდი-ხანი ეწეოდა სამშენებლო საქმიანობასაც და საკუთარი სახსრებით აშენებდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვადასხვა ნაგებობებს, მათ შორის ქარვასლებსა და ბაზრებს. საგულისხმოა, რომ მის მიერ აშენებული ხიდი ისფაჰანში („სიო-სეფოლ“) დღესაც მოქმედებს და მის სახელს ატარებს.

ასევე, სპარსეთის ჯარის ყულარაღასი იყო ალავერდი ხანის უფროსი ვაჟი, მისი გარდაცვალების შემდეგ ისიც ფარსის ბეგლარბეგი იმამყული-ხანი, იმდროინდელი სპარსეთის ყველაზე მნიშვნელოვანი პროვინციის – „შირაზის ხანად“ წოდებული, ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა შაჰ აბასის დროინდელი სეფიანთა სპარსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე, აღჭურვილი უდიდესი გავლენით და ავტორიტეტით, ფაქტობრივად, მეორე კაცი სახელმწიფოში. მის თანამედროვე ევროპულ წყაროებში იგი სპარსეთის ვიცე-კოროლის სახელით იყო მოხსენიებული, ხოლო ინგლისელი თომას ჰერბერტი აღნიშნავდა, რომ „ეს კაცი არის ქართველი, სარწმუნოებით მაჰმადიანი, ერთ-ერთი ტეტრარქი, რომელიც განაგებს შაჰ-აბასის იმპერიას“.

იმამყული-ხანის დიდ დამსახურებად არის მიჩნეული ის ფაქტი, რომ მისი მეთაურობით სპარსელებმა პორტუგალიელები განდევნეს კუნძულ ჰორმუზიდან (1622 წ.). ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია, რომ სპარსელი მემატიანენი იმამყული-ხანს ერთხმად ადიდებენ, უწოდებენ რა „ჰორმუზის დამპყრობელს“. იმამყული-ხანის შესახებ საინტერესო ცნობებია შემორჩენილი სპარსულ, ქართულ თუ ევროპულ ისტორიულ ქრონიკებში, რომლებშიც იგი დადებით და ენერგიულ პიროვნებად არის წარმოდგენილი. ამასთან, იმამყული-ხანი მწიგნობარ კაცად ყოფილა ცნობილი და მის ცხოვრება-მოღვაწეობაზე სპარსულ ენაზე მხატვრული ნაწარმოებებიც კი არის შექმნილი. ამას გარდა, ზემოთ მოხსენიებული დიპლომატის ენგელბერტ კემპფერის გადმოცემით, იმამყული-ხან უნდილაძის მიერ ყოფილა გაშენებული ისფაანის გარეუბანი – მუსალა.

დაუდ-ხან უნდილაძე

განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი იყო ალავერდი ხანის უმცროსი ვაჟი დაუდ-ხანი, რომლის სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობა ვერ დაჩრდილა სახელგანთქმული მამისა და უფროსი ძმის დიდმა ავტორიტეტმა. ჯერ კიდევ 1614 წელს დაუდ-ხანის სარდლობით სპარსულმა ჯარმა დაამარცხა პორტუ-

გალიელები და ქვეყანას ახალი ტერიტორია – გომბრუნი შესძინა თავისი სანაპირო ზოლით. შაჰ აბასმა გომბრუნი სპარსეთის მთავარ ნავსადგურად აქცია და მას ბენდერ-აბასი უწოდა, რომელიც დღესაც თანამედროვე ირანის ერთ-ერთ მთავარ საზღვაო პორტად გვევლინება. ამას გარდა, სწორედ დაუდ-ხანი ედგა სათავეში თავისი ძმის, იმამყული-ხანის ჯარებს არდებილთან ბრძოლაში და თავისი მამაცური ხელმძღვანელობით სულისჩამდგელი იყო გამარჯვებისა.

დაუდ-ხანის წარდგინებასთან ერთად, უნდილაძეთა საგვარეულოს შესახებ საუბრობს „ახალი ქართლის ცხოვრების“ შემქმნელი კომისიის ხელმძღვანელი, XVIII საუკუნის ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი, რომელიც ამ საგვარეულოს დიდ დამსახურებას სპარსეთის სახელმწიფოს წინაშე შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ხოლო ჟამსა ამას იყო გუარეულად უნდილაძე, სახელად დაუდ-ხან, ესე უფლებდა განჯას, თვით აღზრდილი ყიზილბაშთა შინა, და იყვნენ ძმანი და სახლეულნი მისნი მრავალგვარად ნამსახუნი და ცნობილნი შაჰ აბაზ ყაენის მიერ და იყვნენ თანამდგომნი და ერთგული ყაენისა“.

რაც შეეხება უნდილაძეთა თანამედროვე, “დიდ მოურავად“ ცნობილ გიორგი სააკაძეს, წლების განმავლობაში იგი შაჰ აბას I-ის კარზე იმყოფებოდა 1612 წლიდან და დიდი გავლენითაც სარგებლობდა. გამოჩენილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, სამხედრო საქმის დიდი ცოდნითა და ორგანიზატორული ნიჭით გამორჩეული, მთელს ახლო აღმოსავლეთში ცნობილი იყო, როგორც უნიჭიერესი სარდალი და უშიშარი პიროვნება. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ შაჰ აბასმა მისი სარდლობით წარმატებით დალაშქრა ინდოეთი, ყანდაარი და

ბაღდადი (1623). გამოჩენილი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ესე მოურავი გიორგი იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი, შემმართებელი, უშიში“, ხოლო XVII საუკუნის საქართველოში კარგა ხნის განმავლობაში მცხოვრები კათოლიკე მისიონერის, ქრისტეფორე კასტელის სიტყვებით, – „დიდი მოურავი იყო სარდალი საქართველოს მხედრობისა, კაცი წარჩინებული, დიდად შემძლე და ყოველთა უმამაცესი“. ასევე, გიორგი სააკაძის სამხედრო ნიჭსა და მხედრულ ღირსებებზე ამახვილებს ყურადღებას მისი თანამედროვე თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა, ხოლო იმდროინდელი პორტუგალიელი მისიონერი ბერის, ამბროზიო დუშ ანჟუშის ჩანაწერების მიხედვით, „ერთი ქართველი, სახელად მოურავ-ბეგი შაჰის კარზე ყველაზე მნიშვნელოვანი კაცი იყო და შაჰი მას არასდროს იცილებდა“.

გიორგი სააკაძე

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ 1626 წლიდან ოსმალეთში გადახვეწილ და ეხლა უკვე მეჰმედ-ფაშად წოდებულ, სპარსეთის წინააღმდეგ მებრძოლ გ. სააკაძეზე XIX საუკუნის ოსმალო ავტორის მეჰმედ სურეიას მიერ შედგენილ ბიოგრაფიულ ლექსიკონში ნათქვამია, რომ იგი „ქართველია, ირანელებთან ბრძოლაში სიმამაცე გამოიჩინა და ამასთან არზრუმის ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა... კაფუჯი ფაშის თანამდებობა ებოძა და სულთნის ჯარში იქნა გაგზავნილი. აქედან

კონიის ბეგლარბეგი გახდა. 1629 წელს ვაუიშვილთან ერთად მოკლულ იქნა. საშუალო სიმაღლის, თეთრწვერა და ძლიერი მამაცი იყო.“

შაჰ აბას I-ის გარდაცვალების (1629წ.) შემდეგ სპარსეთში სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწე ქართველების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. შაჰ აბასის შემდეგ სპარსეთი დინასტიურ ომს რომ გადაურჩა, – რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო ნებისმიერი შაჰის გარდაცვალებისას – დიდი წვლილი მიუძღოდათ ქართველ მეომრებს და შაჰის კარზე დაწინაურებულ ქართველ დიდებულებს. ამ მხრივ, უპირველესად უნდა დასახელდეს სპარსეთში დაბადებული და აღზრდილი, ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენელი (ქართლის მეფე სიმონ I-ის ძმის, ქართული საექიმო წიგნის – „იადგარ დაუდის“ – შემდგენელის, დაუდ-ხანის შვილი), 1632-1658 წლებში ქართლის მეფე როსტომი, რომელიც სპარსეთში ხოსრო-მირზას სახელით იყო ცნობილი. სპარსეთის როგორც სამხედრო, ისე ადმინისტრაციულ სამსახურში გ.სააკაძის შემწეობით დაწინაურებული ხოსრო-მირზა თავისი ნიჭიე-

ხოსრო-მირზა

რებისა და გაბედულების წყალობით ჯერ ყულარაღასი გახდა, ხოლო შემდეგ ისპაჰანის ტარუღობაც დაიმსახურა, რაც სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდა შენარჩუნებული. სწორედ ხოსრო-მირზასა და მისი ხელქვეითი ყულის ჯარის დახმარებით ავიდა სპარსეთის შაჰის ტახტზე შაჰ აბასის შვილიშვილი შაჰ-სეფი (1629-1642), რომელიც მას, თანამედროვეთა მოწმობით, „მამას“ უწოდებდა. მრავლისმეტყველია იმდროინდელი სპარსეთის სახელმწიფო მოღვაწისა და მემატიანის, ფარსადან გორგიჯანიძის ცნობა, რომ ხოსრო-მირზას „ირანის საქმე ეკითხებოდა“. საგულისხმოა, რომ იმდროინდელი ახლო აღმოსავლური და ქართული საისტორიო წყაროებიც ხოსრო-მირზას ერთხმად ასახელებენ ახალი შაჰის კარზე ყველაზე დაახლოვებულ და გავლენიან პირთა შორის.

როსტომ ხან სააკაძე

ასევე დიდი გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობდა სეფიანთა სამეფო კარზე მოღვაწე ქართველი მხედართმთავარი, 1632-1633 წლებში სარდალი, ხოლო 1634-1635 წლებში სპარსეთის ჯარის სპასალარი და აზერბაიჯანის ბეგლარბეგი როსტომ-ხან სააკაძე, გიორგი სააკაძის ბიძა, რომელსაც სპარსული

წყაროები რესთემ-ხანად იხსენიებენ. ცნობილია, რომ სპარსელებმა მისი მეთაურობით გაილაშქრეს ვანის ციხეზე და დაამარცხეს ქურთები, ხოლო ოსმალებს წაართვეს ჯერ ბაღდადი, ხოლო შემდეგ ერევანი. აღსანიშნავია ისიც, რომ სპარსული ჯარისათვის სწორედ მან შეიმუშავა ომის წარმოების ახალი ტაქტიკა – წინა ხაზზე გამოიყვანა მეთოფენი და მსუბუქი არტილერია. ისე როგორც ბევრმა წარმატებულმა ქართველმა სამხედრო მოღვაწემ, როსტომ-ხანმაც ტრაგიკულად დაასრულა თავისი სიცოცხლე – იგი დაადანაშაულეს სახელმწიფო ღალატში და შაჰ აბას II-მ (1642-1666) სიკვდილით დასაჯა ქალაქ მეშჰედში.

ამრიგად, შაჰ აბას I-ის სამსახურში მყოფმა ქართველებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს ყველა მის გამარჯვებაში. საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ შაჰ აბას I-ის დროიდან მოყოლებული სპარსეთის შაჰებს ჩვეულებად ექცათ გარსშემორტყმულნი ყოფილიყვნენ ქართველ მცველთა რაზმებით და ქართული სამეფო გვარის წარმომადგენლებისა და ქართველი დიდებულებისათვის ებოძათ ძალზე მნიშვნელოვანი თანამდებობები. ცნობილი ინგლისელი ორიენტალისტის, დევიდ ლანგის სიტყვებით, სპარსეთის შაჰები დიდად აფასებდნენ ქართველების ნიჭსა და ენერგიას, ისინი მუდამ ცდილობდნენ სამეფო კარზე მიეზიდათ ქართველი მეომრები და საზოგადო მოღვაწენი“. აქვე საგანგებოდ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამით შაჰები, რომლებიც თავიანთ თავს აღმოსავლეთ საქართველოს სიუზერენად მიიჩნევდნენ, იმედოვნებდნენ, რომ ამგვარი კეთილგანწყობისა და დაყვავების წყალობით ქართველებს ხელს ააღებინებდნენ სპარსეთის წინააღ-

მდეგ ბრძოლისგან. ამ აზრის ერთგვარ დადასტურებას წარმოადგენს XVII საუკუნის ფრანგი მისიონერის სანსონის ცნობა შაჰ აბას I-ის შესახებ, რომ „შაჰის პოლიტიკა მეტად ბრძნული იყო ქართველების მიმართ, ქართველებისა, რომლებსაც შეეძლოთ მისთვის ბევრი უსიამოვნება მიეყენებინათ, რომ გაერთიანებულიყვნენ“. ფრანგი მისიონერი იქვე იმასაც დასძენს, რომ „შაჰმა ისიც იცოდა, თუ როგორ გამოეყენებინა ქართველები თავისი ინტერესებისათვის. ის აწინაურებდა ყოველ ქართველ დიდებულს და ამიტომაც ყველაზე დიდი თანამდებობები იმპერიაში ქართველებს ეკუთვნით.“

XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი ავბედითი გამოდგა სეფიანთა სპარსეთისათვის. დაქვეითების პროცესი, რომელიც შაჰ აბას I-ის სიკვდილის შემდეგ დაიწყო, თანდათან ღრმავდებოდა და უფსკრულისაკენ მიაქანებდა ოდესღაც ძლევამოსილ იმპერიას. სეფიანთა დინასტიის უკანასკნელი და მეტად სუსტი მმართველის, შაჰ სულთან ჰუსეინის დროს (1694-1722 წწ.) სპარსეთის აღმოსავლეთ პროვინციებში ბელუჯთა, ავღანთა და სხვა მომთაბარე ტომთა თარეში მძვინვარებდა. რამდენჯერაც შეებრძოლნენ მოთარეშეებს ყიზილბაშები, იმდენჯერ დამარცხდნენ და სეფიანთა სახელმწიფოს მართლაც რომ ჰაერივით დასჭირდა ქართველი მეომრებისა და მეფე-ბატონიშვილთა სამსახური. რადგანაც ქართველი მეფეები, ბედუკუღმართობის გამო იძულებულნი იყვნენ თავიანთი მეფობის უმეტესი პერიოდი სამშობლოს გარეთ გაეტარებინათ, მათ, სპარსეთის ამირსპასალარებისა და ბეგლარ-ბეგების თანამდებობებით აღჭურვილებს, კვლავ უწევდათ სპარსეთის ქვეშევრდომობაში მყოფ სხვადასხვა

დაუმორჩილებელ ტომებთან ბრძოლაში გაელიათ წუთისოფელი და სიცოცხლეც კი შეეწირათ უცხო ქვეყნების ინტერესებისათვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა მეომრებმა თავიანთი კვალი ავღანეთშიც დატოვეს, რაც მეტწილად ქართლის მეფეების – ლევანის, გიორგი XI-ს, ქაიხოსროს და იესე ლევანის ძე ბატონიშვილის და მათი მეთაურობით მებრძოლ ქართველი მეომრების სახელებთან არის დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ საკუთრივ იმდროინდელი სპარსული ნარატიული წყაროები საკმაოდ მწირ ცნობებს გვაწვდიან XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნის პირველი მესამედის სპარსულ-ავღანური ურთიერთობების შესახებ. ამ მხრივ, შედარებით უფრო უხვი მასალა მოიპოვება უცხოელი მოგზაურების, დიპლომატებისა და მისიონერების თხზულებებში, აგრეთვე ქართულ საისტორიო მატიანეებში.

ამ პერიოდის ქართული წყაროებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია XVIII საუკუნის I ნახევრის ისტორიკოსის, სეხნია ჩხეიძის თხზულება „ცხოვრება მეფეთა“, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი 1687-1723 წლების სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენები. სეხნია ჩხეიძეს ქართულ სამეფო კარზე სხვადასხვა დროს საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეკავა, მას სამსახურებრივად ევალებოდა ხშირად სტუმრებოდა სპარსეთს და უშუალო მონაწილეობა მიეღო სპარსეთის ჯარის სამხედრო მოქმედებებში აჯანყებულ ტომთა წინააღმდეგ. ისტორიკოსი არაერთხელ ახლდა ქართლის პოლიტიკურ მოღვაწეებს ყიზილბაშთა ბრძოლებში და უშუალო თვითმხილველი იყო ყოველივე იმისა, თუ რა მწარე ხვედრი ერგოთ მის თანამედროვე ქართველ მეფე-ბატონიშვილებს და მათთან მყოფ ქართველ მეომრებს. როგორც ამას თვითონვე

აღნიშნავს მემატიანე, ისტორიული ამბები გადმოუცია „თვალნახულითა“ და „მნახავთაგან სმენითა“. ამიტომაც გასაგებია, რომ მისი თხზულება უაღრესად სანდო და ძვირფას საისტორიო წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ.

ევროპელი ავტორებიდან განსაკუთრებით საინტერესო ცნობები მოეპოვება პოლონელ მისიონერსა და დიპლომატს, ისფაჰანში იეზუიტთა კოლეგიის პროკურატორს, XVII-XVIIIსაუკუნის მიჯნაზე სპარსეთის ისტორიის კარგ მკვლევარს, სეფიანთა კარზე მიღებულ და დაახლოვებულ თადეუშ იან კრუშინსკის (1665-1757 წწ). იგი ნამყოფია საქართველოში და ძალზე საგულისხმოა, რომ კარგად იცნობდა საქართველოს იმდროინდელ ქართველ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეებსაც. მისი ცნობები, სეხნია ჩხეიძის ცნობებისა არ იყოს, ჩვენთვის მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ისიც წლების განმავლობაში სპარსეთ-ავღანეთის ომის თვითმხილველი და მოწმე იყო. თ. კრუშინსკის თანახმად, „ქართველები სცილდებიან თავიანთი ქვეყნის ფარგლებს და XVIII საუკუნის შუა აღმოსავლეთში სამხედრო-პოლიტიკური ვითარების აქტიურ შემოქმედად გვევლინებიან“. პოლონელი ავტორის ამ სიტყვებს ისღა შეგვიძლია დავამატოთ, რომ ქართველების აქტიურობა ახლო აღმოსავლეთის სივრცეში გაცილებით ადრე იღებს სათავეს.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქის, განსაკუთრებით კი ქართულ-სპარსულ ურთიერთობათა შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინგლისელი ავტორის ჯონ ჰანვეის თხზულებას, რომლის სრული სახელწოდებაა – „ჰანვეის ცნობები ავღანელების, მათი მთავარი ქალაქის ყანდაჰარის და მეფე გიორგის შესახებ“.

რაც შეეხება ავღანეთს, XVII საუკუნის ბოლოდან მოყოლებული სეფიანთა წინააღმდეგ აჯანყება აჯანყებას მისდევდა და კრუშინსკის სიტყვებით, „სპარსელებმა ავღანელებთან ომში მარცხი განიცადეს, რაც სპარსელ სარდალთა უნიჭობას უნდა დაბრალდეს. ამიტომაც, შაჰის კარზე მიიჩნიეს, რომ ავღანელებისათვის უნდა დაეპირისპირებინათ ქართველები“, რომელნიც მისივე სიტყვებით „უდიდეს ნიჭს იჩენენ სამხედრო საქმიანობისას, როგორც ფიზიკურ წრთობაში, ისევე ხასიათის სიმტკიცეში“, და ისინი „ომში დაუმარცხებლებნი არიან“.

XVIII საუკუნის დასაწყისში ავღანი ტომების ბრძოლამ სეფიანთა სპარსეთის წინააღმდეგ კულმინაციურ წერტილს მიაღწია და დაცემის გზაზე შემდგარი სპარსეთის იმპერია ავღანთაგან დაპყრობის საფრთხის წინაშე დადგა. დაიწყო მათი გამანადგურებელი თარეში სპარსეთის ჩრდილოაღმოსავლეთ პროვინციებში, მომთაბარე ავღანელები განსაკუთრებით უტევდნენ ქირმანის ოლქს. ასეთი კრიტიკული ვითარების დროს ავღანელთა წინააღმდეგ მებრძოლი ჯარის მთავარსარდლობა ირანის შაჰმა ქართველ მეფეებს მიანდო.

მართლაც, 1701 წელს შაჰ-სულთან ჰუსეინმა ლევან ბატონიშვილი თავისთან დაიბარა როგორც სპარსეთის „ვალი“ – ქართლის მმართველი, ირანის ბეგლარბეგობა უბოძა და ავღანელთა წინააღმდეგ გალაშქრება უბრძანა. ლევან ვახტანგის ძემ 1703 წელს ყანდაარის ციხესიმაგრე – რომელსაც მთელი აღმოსავლეთის მასშტაბით დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა – ავღანელებს ხელიდან გამოსტაცა და თავზეხელაღებულ მოწინააღმდეგესთან წარმატებული ბრძოლების საზღაურად,

სპარსეთის ნაიბობაც დაიმსახურა. ამ ბრძოლებში ლევანის გვერდით იმყოფებოდა მისი ვაჟიშვილი იესე ბატონიშვილი ქართველთა ლაშქრით, რომელსაც გამოჩენილი მამაცობისათვის, სრულიად ახალგაზრდას, ირანის სახელმწიფო დაცვის უფროსობა ებოძა. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ შემდგომში მას, ახალგაზრდა ქართველ ბატონიშვილს 1709 წელს ქირმანის ბეგლარ-ბეგობა ჰქონდა მინდობილი, ხოლო 1711 წელს შაჰმა იესეს („ალი-ყული ხანს“) სპარსეთის თოფჩიბაშობა (არტილერიის უფროსობა) ჩააბარა.ბაგრატიონთა მიერ სპარსეთის იმპერიაში ასეთ დიდ თანამდებობათა მოპოვება გარკვეულწილად ქართლის სამეფოს მესვეურთა წარმატებას ნიშნავდა, თუმცა სპარსეთის შაჰი მათგან სანაცვლოდ ავღანელთა წინააღმდეგ ბრძოლებში წარმატებას ელოდა.

1704 წლიდან, როდესაც სპარსეთში შიდაპოლიტიკური ვითარება უკიდურესად გამწვავდა, ხოლო ავღანეთში საშიში ვითარება შეიქმნა, შაჰ სულთან ჰუსეინმა ავღანელთა წინააღმდეგ გამოცდილი მებრძოლისა და მხედართმთავრის, ქართლის მეფედ აღდგენილი გიორგი XI-ის (ზემოთ ნახსენები ინგლისელი ავტორის ჯ.ჰანვეის მიხედვით, მთელს სპარსეთში გურგინ-ხანის სახელით ცნობილი) გამოყენება გადაწყვიტა და ახლა უკვე მას უბოძა სპარსეთის ჯარის სპასალარობა და ქირმანისა და ყანდაარის ბეგლარბეგობა. სეხნია ჩხეიძის შეფასებით – რომელიც თან ახლდა ქართლის მეფეს ავღანეთის ლაშქრობაში – გიორგი XI ნათელი გონებითა და იშვიათი სამხედრო ნიჭით იყო დაჯილდოებული და შემთხვევითი არ იყო, რომ მან ცოტა ხნით ადრე დიდი თავსატეხი გაუჩინა სეფიანთა წინააღმდეგ აჯანყებულ ტომებს, მათ შორის ბე-

გიორგი XI

ლუჯებსა და ავღანელებს. თ.კრუშინსკის თქმითაც, ყანდაარში შაჰის ნაცვალი – რომელსაც იგი „ჭკვიანს, გულადსა და დიდებულ ქართველს“ უწოდებს – „პიროვნული თვისებების წყალობით უბრწყინვალეს პიროვნებად შეიძლება მივიჩნიოთ“. თ. კრუშინსკის ამ სიტყვებს კარგად ეხმიანება ფრანგი მისიონერის და დიპლომატის, შარლ დე პეისონელის შეფასება, რომ „გიორგი ხანი დაბადებით ჭკვიანი, თავმოყვარე და მამაცი ადამიანი იყო“.

ამრიგად, ახლად დანიშნული ქართლის მეფე სამშობლოში დაბრუნებისა და თავისი მეფური მოვალეობების შესრულების ნაცვლად, იძულებული გახდა კვლავ სპარსეთში დარჩენილიყო და დაუყოვნებლივ შედგომოდა მინდობილი საქმის განხორციელებას.

ინგლისელი ჯონ ჰანვეის ცნობით, გიორგი მეფე 1704 წლის მაისში 20 ათასიანი ქართულ-ყიზილბაშური ლაშქრით, რომელთა შორის 4 ათასი ქართველი მხედარი იყო, ავღანეთისაკენ დაიძრა, გაიარა ჰერათის ცნობილი ციხე-სიმაგრე და ყალაი-იქთიირუდინი დაიკავა, რის შემდეგაც მისი მთავარსარდლობით საბრძოლო მოქმედებები, მეტწილად ქერმანისა და სისთანის უდაბურ ადგილებში მიმდინარეობდა. სპარსეთის სახელმწიფო ინტერესებისათვის მებრძოლი ქართველი მეომრები

აჯანყებული მომთაბარე რაზმების დევნისას იძულებულნი იყვნენ მრავალი დღის განმავლობაში სამხედრო მარშით გაევლოთ უკიდეგანო და უწყლო ტერიტორიები, მათთვის სრულიად უცხო და მტრულად განწყობილ მხარეში. „ბიაბინსა სიარულმან შეგვაწუხა.... ის ალაგები გზითაც არავის გაევლო, არამც თუ საომრად ვინ წავიდოდა“ – გვაუწყებს სეხნია ჩხეიძე, რომელიც, როგორც ლაშქრობის უშუალო მონაწილე, საკმაოდ დაწვრილებით აღწერს უდაბნოში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებს. მემატიანის ცნობით, მრავალდღიანი ლაშქრობების მოწყობისას ქართულ ცხენოსანთა ლაშქარს საშუალო სიჩქარით დღეში 20 აღაჯის გავლა შეძლებია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლოაღმოსავლური 1 აღაჯი დაახლოებით 3-3,5 კილომეტრს უდრის, ნათელი ხდება, რომ ასეთი ლაშქრობები კარგ ბედაურებსა და ქართველ მხედართა საგანგებო მომზადების უმაღლეს დონეს საჭიროებდა. უნებურად გვახსენდება XVII საუკუნის მიწურულს ახლო აღმოსავლეთსა და საქართველოში ნამყოფი იტალიელი მისიონერის, დოინიჯო კარლ პიაჩენცელის სიტყვები, რომ „ქართველები მეომრობით არიან განთქმულნი“, და, რომ „პირდაპირ განმაცვიფრებელია მათ მიერ ცხენის ოსტატური, ერთმანეთზე დაუჯერებელი მართვა“. სავსებით სამართლიანად შენიშნავს სამხედრო ისტორიის თანამედროვე მკვლევარი პროფ. გ. ანჩაბაძე, რომ სეხნია ჩხეიძის ნაშრომში „ცხოვრება მეფეთა“, „კარგად მოჩანს სეფიანთა სამხედრო ძლიერების დაცემა და, რომ მათ ერთადერთ ძალად ქართული რაზმებიღა რჩებოდნენ“.

ყანდაარში ჩასული გიორგი XI მალე გაერკვა ავღანელთა უკმაყოფილების მიზეზებსა და ინტრიგებში და ზოგ ურჩ ავღანელს დაყვავებით, ზოგს კი სიმკაცრით ამოს-

დო ლაგამი, ხოლო ყანდაარის პროვინციაში საგანგებოდ მოემზადა, რათა მოსაზღვრედ მცხოვრებ დელის დიდ მოღოლებს, რომლებიც ყანდაარის დასალაშქრავად ემზადებოდნენ, სათანადოდ დახვედროდა. ჯ.ჰანვეის განმარტებით, დიდ მოღოლთა მოტივაცია ყანდაარის დასაპყრობად განპირობებული იყო იმით, რომ „ყანდაარის მდებარეობა მას წარმოაჩენს როგორც ერთგვარად გამაგრებულ ბარიერს ირანისა და ინდოეთის იმპერიებს შორის, ხოლო მისი სატახტო ადგილი აზიის მთავარ ციხე-სიმაგრედ მიიჩნევა“. თავის დროზე სწორედ ამ გარემოებებს მიუქცევია შაჰ აბასის ყურადღება, რომელიც ორი თვის გარემოცვის შემდეგ დაჰპატრონებია მას. დანიშნულების ადგილას ქართველ და სპარსელ მეომრებთან ერთად დაბანაკებულმა გიორგიმ მოკლე ხანში ყანდაარში დიდი გავლენა მოიპოვა და მის მიერ გატარებული გონივრული პოლიტიკის წყალობით, გარკვეული დროის განმავლობაში სეფიანთა სახელმწიფოს აღმოსავლეთ პროვინციებში სიმშვიდემ დაისადგურა.

ავღანეთში მმართველობის პირველ წლებში გიორგი XI-მ სპარსეთის შაჰისა და მისი კარისკაცების სრული ნდობა და კმაყოფილება დაიმსახურა. იგივე ჯ.ჰანვეის ცნობით, იმ დროის ავღანეთში 2 000-მდე ქართველი მოლაშქრე ყოფილა, რომლებმაც, მისივე სიტყვებით, „სპარსელებზე არაერთგზის გამარჯვებულ ავღანელებსა და ბელუჯებს მძიმე დარტყმები მიაყენეს“. ისიც აღსანიშნავია, რომ, თუმცა, ღილზაები კარგ მეომრებად ითვლებოდნენ, გიორგი მეფესა და ქართველ მოლაშქრეებს არ გასჭირვებიათ მათი და აბდალების ტომების დამორჩილებაც. ამ მოლაშქრეთა სამხედრო სიქველეს, მოქნილობასა და

მამაცობას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია იქ მყოფ უცხოელ დამკვირვებლებზე.

ამასობაში გიორგი XI-ს ენერგიული მოწინააღმდეგე გამოუჩნდა – ავღანელი წინამძღოლებიდან ყველაზე დაუდეგარი, საკმაოდ გონებამახვილი, ცბიერი და საშიში ყანდაარელი ბელადი მირ-ვეისი, რომელიც იმავე ჯ.ჰანვეის გადმოცემით – „ერთ-ერთი ამ ტომთაგანის (წინამძღოლი ღილზაების) ამავე პროვინციის ერთ-ერთი უძლიერესი ადამიანთაგანი იყო“. საქმეს ისიც ართულებდა, რომ მირ-ვეისს ზურგს უმაგრებდნენ შაჰის კარზე მოკალათებული ანტიქართული დაჯგუფების უმაღლესი თანამდებობების მქონე დიდმოხელეები.

ამდენად, ბრწყინვალე წარმატების გვერდით ქირმანისა და ყანდაარის ქართველი მმართველისა და რამდენიმე ათასამდე რჩეული ქართველი მებრძოლის, რომელიც ჯ.ჰანვეის შენიშვნით, „უკეთეს ჯარის ნაწილად ითვლებოდა აღმოსავლეთში“, თავზე ქუფრი ღრუბლები მოგროვილიყო. მირ-ვეისის ენერგიულმა მოქმედებამ და მისმა განუწყვეტელმა ინტრიგებმა თავისი ნაყოფი გამოიღო. მირ-ვეისმა ისარგებლა იმით, რომ ქართველ მეომართა დიდი ნაწილი, რომელიღაც ამბოხებული ტომის დასაწყნარებლად სამი დღის სავალზე მთებში იყო წასული და ქართველი მეფე და მთელი მისი, 400 კაციანი ქართველთა ამალა მუხანათური მკვლელობის მსხვერპლი გახდა. აი,როგორ აღწერს 1709 წლის მაისის თვეში განვითარებულ მოვლენათა მსვლელობას თ.კრუშინსკი: „გიორგი ხანმა არსებული საფრთხის მოსაგერიებლად შეკრიბა ქართველი მოწინავე მხედრობა და მირ-ვეისს უბრძანა დაუყოვნებლივ მიჰყოლოდა მათ ორი ათასი ავღანელი ცხენოსნით, რათა ბელუჯების ძალები შეებოჭათ.

რამდენადაც ავღანელთა ლაშქარს ყანდაართან ახლოს ჰქონდა გაშლილი კარვები, მირ-ვეისმა გიორგი-ხანს თხოვნით მიმართა: „ავღანელთა ბანაკში მისულიყო, ლაშქარი დაეთვალიერებინა და მსუბუქად ესადილა, რითაც მირ-ვეისს პატივს მიაგებდა“ (აღსანიშნავია, რომ ინგლისელი ჯ.მაკკოლმის მიხედვით, მირ-ვეისმა გიორგი მიიპატიჟა როგორც სასიძო). გიორგიმ, როგორც სჩანს, ცბიერი მირ-ვეისისაგან მომდინარე საფრთხე ჯეროვნად ვერ შეაფასა, ენდო მას და ამალასთან ერთად სტუმრად ეწვია. შედეგად, „ქართველთა დაახლოებით ოთხასკაციანი ამალა, – აგრძელებს თ.კრუშინსკი – რომლებმაც ნადიმისა და უმთავრესად სიმთვრალისაგან ძილს მისცეს თავი, მირ-ვეისის ბრძანებით მთლიანად ამოხოცეს“. რაც შეეხება გიორგი მეფეს, სხვადასხვა ევროპული წყაროს მოწმობით, მირ-ვეისის შეიარაღებულ რაზმებთან ხელჩართულ, უთანასწორო ბრძოლაში იგი გმირულად დაიღუპა. სეხნია ჩხეიძის მონათხრობის მიხედვით, „მეფემან, ედვა ქარქაში სარჩისა გვერდისა მისსა, გაიკრა ხელი, თავმან, სანამდის ისარი ჰქონდა, არც ერთი არ დააცდინა, რა ისარი დაელია, გაიკრა ხმალს ხელი; როგორც დევი ისე იბრძოდა, ჰკრეს თოფი ამა მორჭმა – დიდების პატრონსა და მოკლეს“. დაახლოებით ანალოგიურად აგვიწერენ გიორგი XI-ის უკანასკნელ წუთებს მისი თანამედროვენი, ცნობილი დიპლომატი იოსებ ქართველი და გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი, ასევე ინგლისელი ჯ.ჰანვეი.

ქართველების მიმართ სისხლიანი ანგარიშსწორება ამის შემდეგაც გაგრძელებულა: „ავღანელებმა ოთხასი კაცი შემოსეს მოკლულ ქართველთა სამოსით – განაგრძობს თ.კრუშინსკი – და წყობით გაემართნენ ქალაქის ციხე-

სიმაგრის კარიბჭისაკენ, რომლითაც ჩვეულებრივ გიორგი ბრუნდებოდა. მირ-ვეისის წინამძღოლობით ავღანელები ციხე-სიმაგრეში შეუფერხებლად შევიდნენ, რადგან დაცვას ისინი გიორგის მეთაურობით დაბრუნებული ქართველები ეგონათ. მირ-ვეისის მიერ წინასწარ გაფრთხილებული 1600 ცხენოსანი ავღანელი შეიჭრა ციხე-სიმაგრეში და სასტიკი სისხლისღვრა გაიმართა. თ.კრუშინსკის მონათხრობს სეხნია ჩხეიძე შემდეგნაირად ასრულებს – „ვინც-ვინ ქართველნი დარჩომილ იყვნო ამოწყვიტეს“.

საბრძოლო მოქმედებები ამით არ დასრულებულა. გიორგი მეფის მკვლელობიდან სამი დღის შემდეგ მთებში აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი ქართველ ცხენოსანთა რაზმები ყანდაართან კვლავ გამოჩენილან, რომელთათვისაც მირ-ვეისის ბრძანებით ზარბაზნები დაუშენიათ. ჯ.ჰანვეი შემდეგნაირად გადმოგვცემს მოვ-ლენათა მსვლელობას: „სამი დღე და ღამე გავიდა გუბერნატორის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ბასტიონზე მყოფმა გუშაგებმა შენიშნეს კავალერიის რაზმის მოახ-ლოება. ეს იყო ქართველთა რაზმი, რომლებმაც არა-ფერი იცოდნენ მომხდარი ამბების შესახებ.... მათ აცალეს მიახლოვებოდნენ ქალაქს თოფის სასროლ მანძილზე, რის შემდეგაც ესროლეს ზარბაზნებიდან. ისინი ერთბაშად მიხვდნენ, რომ ქალაქი უკვე სხვა მესვეურს ეკუთვნოდა და დაიხიეს უკან“. ქართველები პროდუქტისა და ფურაჟის სიმცირისა და მირ-ვეისის მრავალათასიან ლაშქართან განუწყვეტელი შეტაკებების პირობებში სპარსეთისაკენ გზას იკაფავდნენ და ბოლოს მათ ზებილის ძნელად გადასასვლელი უღელტეხილიც წარმატებით გადაულახავთ. „მირ-ვეისს სურდა რეპუტაცია მოეპოვებინა თავისი იარაღისათვის და 5 000 ცხენოსნის თანხლებით

გაემართა მათ წინააღმდეგ იმ ვარაუდით, რომ განზრახვა ჰქონდა გზები გადაეჭრა ქართველებისათვის – განაგრძობს თხრობას ინგლისელი დამკვირვებელი – მაგრამ მალე შეიგნო, რომ მას საქმე ჰქონდა ისეთ ჯართან, რომელიც უკეთ დისციპლინირებული და უფრო შეჩვეული ყოფილა ომთან, ვიდრე მისი ავღანელები. ქართველებმა ხმლით ხელში გაარღვიეს მისი ჯარების რკალი ..... და რვა დღის განმავლობაში გასაოცარი სიმამაცით ქართველები ბრძოლით იხევდნენ პროვინციის ტერიტორიაზე და ბოლოს დატოვეს მისი საზღვრები“. ჯ.ჰანვეის ინფორმაციას ადასტურებს სეხნია ჩხეიძეც და ლაკონური ფორმით იუწყება – „რა ყანდაარს მოვიდნენ, შეექმნათ ომი ფიცხელი ... ამაშიგან გამოეცალენ ქართველნი, დაუწყეს უკან დევნა და ომი ფიცხელი“. ომის სასტიკ ხასიათზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ ერთი დღის განმავლობაში 5-ჯერ შეუტევიათ ავღანელებს და ქართველები ყველა ამ სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლიდან გამარჯვებულნი გამოსულან. მირ-ვეისიც, იმავე ჰანვეის სიტყვებით, მალევე მიხვედრილა, რომ საქმე ჰქონდა „გამოცდილ და მამაც მეომრებთან“. ამ მხრივ მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ ქართლის მეფის მუხანათური მკვლელობის შემდეგ, მირ-ვეისს საგანგებოდ მოწვეულ ყანდაარის მცხოვრებთა კრებაზე განუცხადებია: „გურგენ-ხანი უკვე აღარ არსებობს; ის იყო ერთადერთი კაცი ირანელთა შორის, რომელმაც დაიმსახურა ჯარისკაცის სახელი“.

გიორგი XI-ის დაღუპვისა და ქართველი მეომრების ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, სპარსეთის ცენტრალურ ხელ-მძღვანელობას, ერთი ხანობა სამშვიდობო მოლაპარა-კებების გამართვა უცდია, თუმცა საბოლოოდ ავღანელ-თა წინააღმდეგ კვლავ მრავალრიცხოვანი ჯარის გაგზავნა

გადაუწყვეტია, იმედის თვალი კი ისევ ქართველებისაკენ მიუპყრია. ყველაზე დიდ იმედს გიორგი XI-ის ძმისშვილზე, ქაიხოსრო ლევანის ძეზე (სპარსეთში იგი ხოსრო-ხანის სახელით იყო ცნობილი) და მის ქართულ ლაშქარზე ამყარებდნენ. ასეთი ნაბიჯით – აღნიშნავს თ.კრუშინსკი – შაჰ-სულთან ჰუსეინი ორმაგი მოგების მიღებას ისახავდა მიზნად: „ერთი მხრივ, ქართველთა გულადობით ყანდაარი კვლავ თავის მორჩილებაში უნდა მოექცია, ხოლო მეორე მხრივ, ქართლის სამეფოს გაძლიერება არ დაეშვა“.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ქაიხოსრო ბატონიშვილი, რომელსაც ისფაჰანის ტარუღობა უკვე ნაბოძები ჰქონდა, 1709 წელს შაჰმა იხმო, ქართლის მეფედ და სპარსეთის სპასალარად დანიშნა, სეხნია ჩხეიძის მიხედვით, „თავრიზი და ბარდა“ უბოძა და აჯანყებულებთან ბრძოლა დაავალა. თავის მხრივ, სპარსეთში დარჩენილ ქაიხოსროს თავისი საქმიანობა იმით დაუწყია, რომ საქართველოდან ჯარი დაუბარებია, რადგან მარტო ადგილობრივი ძალების იმედი არა ჰქონია. „შეყარა ბატონიშვილმა ჯარი – გვამცნობს სეხნია ჩხეიძე – უთავა მუხრანის ბატონი პაპუა და თითო სახლის დარბაზის შვილები“. ამასთან, ქაიხოსროსათვის თავის უმცროს ძმას ვახტანგ ლევანის ძეს (შემდეგში ქართლის მეფე ვახტანგ VI), რომელიც მისი არყოფნის დროს ქართლის მმართველად („ჯანიშინად“) იყო დატოვებული, 1500 ქართველი ცხენოსანი გაუგზავნია.

მიუხედავად შაჰის კარზე არსებული ანტიქართული დაჯგუფების მცდელობისა, ყველანაირად ხელი შეეშალათ ქაიხოსროს ექსპედიციის მომზადებისათვის, რამეთუ მათ ქართველების გაძლიერებისა ეშინოდათ, 1710 წლის ნოემბერში ქართლში ახლად გამეფებული ბატონიშვილი თავისი ქართულ-სპარსული ლაშქრით

ხორასნის პროვინციისაკენ გაემართა, შეიჭრა ავღანეთის ტერიტორიაზე, გაიარა ქალაქი ჰერათი და ყანდაარის დასავლეთით დაბანაკდა. თავიდან საქმე კარგად მიდიოდა. ქაიხოსრომ გადალახა ზებილის უღელტეხილი, რის შემდეგაც გზა ხსნილი იყო ავღანეთის ერთ-ერთი ცენტრალური ჰუნქტის, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გირიშკის ციხე-სიმაგრისაკენ, სადაც ავღანელები იყვნენ გამაგრებულნი.

გირიშკის დასაუფლებლად მრავალი ბრძოლის გადახდა მოუხდათ ქართველებს, რის შემდეგაც საბოლოო გამარჯვებისათვის მიუღწევიათ და ყანდაარისაკენ დაძრულან, სადაც ასევე ავღანელები იყვნენ გამაგრებულნი მირ-ვეისის მეთაურობით. ქაიხოსრო მეფეს იესე ბატონიშვილთან და იმერეთის მეფე ალექსანდრესთან ერთად, რომლებიც მის გვერდით იბრძოდნენ, სამხედრო გეგმა შეუმუშავებია მირ-ვეისის დასამარცხებლად. თავის მხრივ, მირ-ვეისი გაშლილ ველზე საბრძოლველად გამოსვლას ერიდებოდა და ქალაქის დაცულ ციხე-სიმაგრეში ჩაკეტილს ქართველთა არიერგარდში მიმავალი ლაშქრისათვის შეუტევია. გმირული თავდავცვის მიუხედავად, ქართველთა ეს ნაწილები დამარცხდნენ, რის შემდეგაც ავღანელებს სპარსელებისათვის შეუტევიათ, რომელთაც იგივე ბედი გაიზიარეს. მხოლოდ ქართველთაგან შემდგარ ბირთვს უშველია თავისათვის. როდესაც ავღანელთა თავკაცი მათკენ გაემართა, თ.კრუშინსკის სიტყვებით, „თავდამცველთა შორის იგი წააწყდა ხუთასი ქართველისაგან შემდგარ ნაწილს, რომლებიც ავღანელთა ალყის მიუხედავად, მაინც ლომებივით იბრძოდნენ და ხმლით ხელში მტერთა შორის გზას იკაფავდნენ“. პოლონელი მისიონერის მიხედვით, სწორედ ამ ბრძოლების შემდეგ უღიარებიათ ავღანელებს,

რომ „სპარსელები ავღანთა წინაშე, ხოლო ავღანელები ქართველთა წინაში დიაცნი არიანო“.

რაც შეეხება ქაიხოსროს, ქართლის მეფეს და სპარსეთის ჯარის მთავარსარდალს, 1711 წლის 26 ოქტომბერს იგი 36 წლის ასაკში ბრძოლის ველზე დაეცა. მისი თანამედროვე ინგლისელი მემატიანე ჯ.ჰანვეი, ასეთნაირად აღწერს მისი დაღუპვის სურათს: – „მირ-ვეისი 1600 ცხენოსნით თავს დაესხა ირანის ჯარებს, რომლებმაც პირველივე შეტაკებისთანავე იწყეს გაქცევა. გენერალი – (ე.ი. ქაიხოსრო), ცდილობდა დაებრუნებინა ისინი უკან, მაგრამ შიშისაგან იმდენად დაჩლუნგებულა მათი ყოველგვარი დისციპლინა, რომ მისი ყოველნაირი ცდა ამაო გამოდგა და გადაწყვიტა, ასეთ შერცხვენას ცოცხალი აღარ გადარჩენოდა. ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმის სათავეში მოქცეული გაექანა პირისპირ ავღანელებისაკენ და მოკლულ იქნა გასაოცარი სიმამაცით თავის დაცვის დროს“. მეფე თურმე სამარცხვინო გაქცევას თაკილობდა და სეხნია ჩხეიძის გადმოცემით, როდესაც ერთ-ერთმა მებრძოლმა მოახსენა: – „ხელმწიფეო, გაგეცალა ჯარი და ნუ მოიკლავ თავსა, უბრძანებია: ჩემის სიცოცხლისათვის არა მოვიყივნო თავი, არცა გვარი ჩემი, გაქუსლა ცხენი, შეერია შიგა, ვითარცა ქორი კაკაბსა გუნდისასა, ჩამოაგდო შუბით ორი კაცი, დახვდა ნათხარი რუ, წაექცა ცხენი, რა სცნეს ცხენის წაქცევა, წამოეხვივნეს, დაჩეხეს ხმლითა“. ასე დაასრულა თავისი სიცოცხლე ქართლის მეფემ ქაიხოსრო ბაგრატიონმა, რომელიც შარლ დე პეისონელის სიტყვებით – „თავისი სიმამაცით, სამხედრო გამოცდილებით და სხვა სათნოებით უკეთესის ღირსი იყო“.

ქართლის მეფის დაღუპვისა და ქართველ მებრძოლთა რიგებში საკმაოდ დიდი დანაკლისის შემდეგ სპარსეთის

შაჰის კარი უკიდურესმა შიშმა მოიცვა და ეს შიში კიდევ უფრო გამძაფრდა ყანდაარში მირ-ვეისის მემკვიდრის – მირ-მაჰმუდის მიერ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ. ახლა უკვე ყანდაარის გარდა, კიდევ ერთმა ავღანურმა პროვინციამ – ჰერათმა გამოაცხადა სპარსეთისაგან დამოუკიდებლობა. ქართველი მებრძოლების გარეშე დარჩენილი ყიზილბაშური ჯარი მარცხს მარცხზე განიცდიდა მირ-მაჰმუდისა და მისი მოკავშირე ჰერათელებისაგან, რომლებიც ემზადებოდნენ, რომ ბრძოლები საკუთრივ სპარსეთში გადაეტანათ და მის დედაქალაქ ისფაჰანს დაუფლებოდნენ.

ასეთ ვითარებაში სპარსეთის შაჰის კარზე ერთადერთ გამოსავლად კვლავ მიაჩნდათ, რომ ავღანელებისათვის ისევ ქართველები უნდა დაეპირისპირებინათ. ამ მიზნით ქაიხოსრო მეფის უმცროსი ძმა ვახტანგ ლევანის ძე ბატონიშვილი, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქაიხოსროს სპარსეთში ყოფნისას ქართლის სამეფოს მმართველის მოვალეობას ასრულებდა, 1712 წელს ქართლის სამეფო ღირსების დასამტკიცებლად შაჰის კარზე იქნა გამოძახებული.

თავდაპირველად ისფაჰანში ჩასული ვახტანგის ქართლის მეფედ დამტკიცების პროცესი საგრძნობი დროით გაჭიანურებულა, ვინაიდან იგი უარს ამბობდა რჯულის გამოცვლაზე, რის გამოც 4 წლის განმავლობაში ქირმანში იქნა გადასახლებული, სადაც ფაქტობრივად შინა პატიმრობაში იმყოფებოდა. ავღანური ტომების სპარსეთის სატახტო ქალაქისაკენ წინსვლისა და მდგომარეობის უკიდურესად გამწვავების გამო, აგრეთვე მოახლოებული დინასტიური კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით, შაჰ ჰუსეინი იძულებული გახდა 1716 წელს ვახტანგი ქირმანის

ექსორიიდან დაებრუნებინა, მისთვის ქართლის მეფობა ებოძებინა. ძალდატანებით რჯულის ფორმალურად გამოცვლის შემდეგ იგი თავრიზის პროვინციის მმართველად დანიშნეს და სპარსეთის ჯარის უმაღლეს მთავარსარდლად დამტკიცებისთანავე, ავღანელებთან ომისათვის მზადება დაავალეს.

ვახტანგ VI

როგორც კი ქართლის ახლად დანიშნული მეფე სეფიანთა ინტერესების დასაცავად თავისი მოვალეობის შესრულებას შესდგომია, იგი გაუთავისუფლებიათ სპარსეთის ჯარის მთავარსარდლობიდან, რითაც ცხადი გახდა, რომ შაჰის კარზე მყოფ სპარსელ გავლენიან დიდებულთა საკმაოდ ფართო წრეს ერჩია დამარცხებულიყვნენ ავღანელებთან ბრძოლაში, ვიდრე ქართველებს გამარჯვება მოეპოვებინათ. ეს გარემოება იმით იყო გამოწვეული, რომ მათთვის ცნობილი იყო – ქართველთა ფორმალურად რჯულგამოცვლილი მეფე – უფლისწულები გულში ყოველთვის ინახავდნენ ქრისტიანობისადმი ერთგულებას.

ამის შემდეგ ვახტანგ VI სპარსეთში დიდხანს აღარ დარჩენილა. სამშობლოში დაბრუნებულს, ქართლის აწეწილი საქმეების მოგვარებისას ნათლად დაუნახავს, რომ პირველი რიგის პრობლემას მთიელ ტომთა, გან-

საკუთრებით კი ჭარ-ბელაქნელ ლეკთა გაუთავებელი თარეში, ქვეყნის მოსახლეობის დაწიოკება – გაჩანაგება და მათი ფიზიკური მოსპობა წარმოადგენდა, ამიტომაც უყოყ-მანოდ გადაუწყვეტია, მათ წინააღმდეგ დაუყოვნებლივ სამხედრო ლაშქრობა მოეწყო.

ჯ.ჰანვეის ცნობით, როგორც კი ვახტანგ VI 1720 წლის შემოდგომაზე სათავეში ჩაუდგა 60 000 კაცისგან შემდგარ ჯარს, რათა სამუდამოდ აეცილებინა თავიდან ჭარ-ბელაქნელთა საფრთხე, ისფაჰანიდან შაჰ ჰუსეინის ბრძა-ნება მოსვლია, რომლითაც შაჰმა ისფაჰანის ანტიქართუ-ლი დაჯგუფების ზეგავლენით, ვახტანგს ცოტა ხნის წინ მასთანვე შეთანხმებული, ლეკების წინააღმდეგ გამიზნული ლაშქრობა შეაწყვეტინა. ჯ.ჰანვეის მიხედვით, შაჰის ცბიერ კარისკაცებს სუსტი ნებისყოფის მქონე შაჰ ჰუსეინისათვის საქმის ვითარება ისე წარმოუჩენიათ, რომ „ვახტანგს თვისი მტრების დამარცხების შემდეგ შეეძლო დიდი დაბრკოლება შეექმნა ირანისათვის, მით უმეტეს, რომ მისთვის ადვილი იქნებოდა დახმარება მიეღო რუსეთიდან ზღვით და ამიტომ ამ მოსალოდნელ უბედურებათაგან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად მიაჩნდათ ლეკებთან დაზავება, ამიტომ საქართველოს მეფისათვის უნდა აეკრძალათ საომარი მოქმედებები. ამ ვითარებასთან დაკავშირებით ჯ.ჰანვეისგან დამოუკიდებლად, ანალოგიურ ცნობას გვაწვდის სეხნია ჩხეიძეც: „თუ მეფე ვახტანგ ჯარი დაიჭირა, ქვეყანასაც (ე.ი. სპარსეთს) ის დაიჭერსო“, – ეუბნებოდნენ შაჰ ჰუსეინს და ამით რუსეთს გამოთხოვენ დახმარებასო.

ამ ნაბიჯით შაჰმა მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ქართველი მეფე გაანაწყენა და თავისსავე საზიანოდ უკანასკნელი დასაყრდენი დაკარგა. მეფემ შაჰს ეს ნაბიჯი არ აპატია, „მოიხმო თავისთან შაჰის დესპანი, – გადმოგვცემს

ჯ.ჰანვეი – ამოიღო ქარქაშიდან ხმალი და დაიფიცა, რომ ამიერიდან უკვე აღარ იბრძოლებს შაჰის სამსახურად და ირანის დასაცავად. ამის შემდეგ მან დაშალა ჯარი და დაიხია ტფილისისაკენ, აღსავსემ რწმენით – არ გაეტეხა თავისი ფიცი“. მართლაც, ვახტანგი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი ფიცის და სამუდამოდ შეაქცია ზურგი სეფიანთა სპარსეთსა და მისდამი კეთილგანწყობას.

1721 წელს ავღანური ტომები სპარსეთში შეიჭრნენ და ისფაჰანის გარეუბანი ჯულფა დაიკავეს. შაჰმა დაკარგა სატახტო ქალაქი და თავისი სახელმწიფოს მთავარი პროვინციები. შექმნილი უმძიმესი ვითარების გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი შაჰ ჰუსეინი იძულებული გახდა შველა ისევ ქართველებისთვის ეთხოვა. „შაჰი დიდ იმედებს ამყარებდა ქართველებზე – წერს ჯ.ჰანვეი – რომელთა ძლევამოსილება ერთნაირად კარგად იყო ცნობილი, როგორც ირანელებისათვის, ისე ავღანელებისათვისაც და არავითარი ეჭვი არ არსებობდა, რომ მტერი დაუყოვნებლივ დაიხევდა უკან, როგორც კი მიიღებდა ცნობას მათი მოახლოების შესახებ“. დაღუპვის პირას მისულ შაჰ ჰუსეინს იმდენად დაუმდაბლებია თავი ქართველი მეფის წინაშე, რომ მისთვის წერილობითი ფორმით პატიებაც კი უთხოვია და „ზეაღმართული ხელებით თანადგომას თხოვდა“. მაგრამ ამაოდ. ღირსებაშელახული ვახტანგი შეურყეველი დარჩა და ამით ერთგვარი განაჩენიც კი გამოუტანა სეფიანთა დინასტიას. ამასთან დაკავშირებით თ.კრუშინსკი – რომლის შესახებაც მისი შრომების გერმანელი მთარგმნელი ი.შტოკლაინი წერს, რომ იგი „შაჰის კარზე დიდად დაფასებული პიროვნება იყო და ისეთი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული, რომ სპარსეთის მონარქიის ყველა საიდუმლო საქმეში ადვილად

იხედებოდა“: „ამბავი მოვიდა, რომ ქართველებისაგან არც შველა და არც ხსნა იყო მოსალოდნელი“, რაც ძალზე ხელსაყრელი იყო ავღანელებისათვის, რადგან პოლონელი ავტორისავე ინფორმაციით – მოგვიანებით თვითონვე ავღანელებმა აღიარეს, რომ „თუკი შორიდან მაინც შეიტყობდნენ ისფაჰანის დასაცავად მეფე ვახტანგის მიერ თავისი ჯარების დაძვრას, ისინი დაუყოვნებლივ აშლიდნენ ბანაკს და სწრაფად, ვახტანგის ლაშქრის მოსვლამდე, უკან დაბრუნდებოდნენ“.

საგულისხმოა, რომ შაჰ ჰუსეინი იმაზეც კი წასულა, რომ ვახტანგის ვაჟს, ბატონიშვილ ბაქარს ყულარაღასობა უბოძა, ძვირფასი საჩუქრებიც გამოუგზავნა და ისფაჰანის საშველად მოუწოდა. სპარსეთის ჯარის ახალი ყულარაღასი თავისი ლაშქრით თბილისიდან დაძრულა კიდეც ავღანელებისაგან ალყაშემორტყმული ისფაჰანისაკენ, მაგრამ მამამისს იგი საქართველოს საზღვრებიდან უკან მოუბრუნებია. განაწყენებული ქართველი მეფე ფიცს აღარ ღალატობდა და არც აპირებდა ქართველ მხედართა სისხლისღვრას სეფიანთა სპარსეთის გადასარჩენად. ისიც აღსანიშნავია, რომ თ.კრუშინსკის ზემოთ მოტანილი ცნობები გარკვეულ დადასტურებას პოულობს ქართულ საისტორიო წყაროებშიც.

გადამწყვეტი ბრძოლა 1722 წლის მარტში ისფაჰანის მახლობლად სოფელ გულნაბადასთან გაიმართა, სადაც სეფიანთა ჯარი ვახტანგ მეფის ქართული ლაშქრის გარეშე სასტიკად დამარცხდა და ისფაჰანი ავღანელებმა დაიკავეს. სეფიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის – შაჰ ჰუსეინის ნაცვლად სპარსეთის ტახტი ავღანელთა წინამძღოლმა მირ-მაჰმუდმა დაიკავა და ამით დასრულდა

სეფიანთა დინასტიის ხანგრძლივი მმართველობის პერიოდი სპარსეთში.

აქვე უნდა აღინიშნოს, ახლო აღმოსავლეთში სეფიანთა სპარსეთის მოკავშირედ მყოფი ქართველების ბრძოლის ბოლო ეპიზოდს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გულნაბადასთან ბრძოლაში მონაწილეობდა ვახტანგ VI-ის უმცროსი ძმა, სპარსეთში დაბადებული და ქართველად აღზრდილი როსტომ ყულარაღასი, რომელიც მიუძღვოდა შაჰის რჩეული გვარდიის ბრძოლებში გამობრძმედილ ქართველ მეომართა 400 კაციან რაზმს, სერიოზული პრობლემები რომ შეუქმნეს ავღანელებს. იმავე თ.კრუ-შინსკის მიხედვით, როდესაც სპარსული ჯარის მთა-ვარსარდლობის უუნარობის შედეგად უკანმოუხედავად ბრძოლის ველიდან გაქცევის გამო ბრძოლის ბედი ფაქ-ტობრივად გადაწყვეტილი ყოფილა, ყოველი მხრიდან გარშემორტყმული როსტომ ყურალაღასი და მისი ქართველი მხედრები თავგანწირვით იკაფავდნენ გზას. როსტომთან ერთად ოთხასი ქართველი მხედრიდან არცერთი ცოცხალი არ გადარჩენილა. საგულისხმოა, რომ ქართველების გმირობა არ გამორჩენია სპარსელ მემატიანეს მუჰამედ მურსინის და მისი სიტყვებით, „სხვა სარდლებს რომ ლაჩრობა არ გამოეჩინათ და მხარი აებათ ყულარ-აღასისათვის, ავღანელებს უეჭველად გააქცევდნენ ბრძოლის ველიდან“-ო.

როგორც სჩანს, ხელისუფლებას ჩამოცილებული შაჰ ჰუსეინი ჯერ კიდევ არ კარგავდა ტახტის დაბრუნების იმედს და საქმის გამოსასწორებლად, ჯ.ჰანვეის მიხედვით, „გულნაბადასთან გამართული ომის შემდეგ, დაუყოვნებლივ მისწერა წერილი ვახტანგს, მაგრამ ამ პატივმოყვარე თა-ვადმა ვერ დაძლია ის წყენა, რომელიც მას შაჰმა მიაყენა

ქართველთა შურისძიებისაგან ლეკები გადაარჩინა და იგი მტკიცედ იცავდა თავის ფიცს.... როგორც კი მიღებულ იქნა ცნობა, რომ აღარ მოვიდოდნენ დასახმარებლად საქართველოდან, სპარსელთა შიში, რაც მეამბოხეებზე გარკვეული უპირატესობის მოპოვების შემდეგ თითქოსდა გამქრალიყო, მათში კვლავ დასადგურდა უფრო მეტი სიძლიერით და გაქარწყლდა ყოველგვარი იმედი გამარჯვებისა“.

ამრიგად, დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართველებმა და ქართულმა სამხედრო შენაერთებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სეფიანთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და გაძლიერების საქმეში, ხოლო სპარსეთის ყველა საბრძოლო ოპერაციებს XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ავღანეთში სარდლობდნენ ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლები, ქართველი მეფეები და უფლისწულები. ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის, ვ.ალენის სიტყვებით, „გიორგი XI-ის, მისი შვილებისა და ძმების სამხედრო სიმამაცემ შეუნარჩუნა სეფიანთა დინასტიას არსებობა მმართველობის ბოლო ათწლეულში. აშკარაა, რომ სეფიანთა სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების დაცემისას, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ქართველი მეომრებისაგან შემდგარი ცხენოსანი და ქვეითი რაზმების მნიშვნელობა, რომლებიც არსებითად ერთადერთ რეალურ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ. ინგლისელ აღმოსავლეთმცოდნე დ.ლანგს თავის წიგნში მოაქვს საკმაო რაოდენობის მაგალითები, საიდანაც ნათლად სჩანს, თუ რა დიდ როლს ასრულებდნენ ქართველები სპარსეთის არმიაში.

აქვე, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართველთა წვლილი სეფიანთა სპარსეთის სამხედრო საქმის ორგანიზაციასა და მისი მართვა-გამგებლობის მოწესრიგებაში, რის შესახებაც ბევრია ნათქვამი სპეციალურ ლიტერატურაში. ჯერ კიდევ შაჰ აბას I-ის მმართველობის პერიოდში მის მიერ შექმნილ რეგულარულ ჯარში – როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული – ე.წ. „სამეფო ღულამთა“ 10-12 ათასიანი ცხენოსანთა კორპუსი მეტწილად ქართველებით იყო დაკომპლექტებული, რომელთაც ქართველ დიდგვაროვანთაგან გამოსული სამხედრო მოღვაწეები მეთაურობდნენ. იმავე დ.ლანგის მონაცემებით, მხოლოდ XVII საუკუნის განმავლობაში, სხვადასხვა დროს ქართველთა კავალერისტების რიცხვი სპარსელთა არმიაში 8 ათასიდან 40 ათასამდე აღწევდა. სამხედრო ისტორიის მკვლევარის გ.ანჩაბაძის შენიშვნით, XVIII საუკუნის დასაწყისისათვის „ეს უკვე ძველი ღულამები არ იყვნენ – ირანული არმიიის მეომრები- არამედ უშუალოდ ქართული ჯარები, ჩამოყალიბებულნი და შეიარაღებულნი საქართველოში თავიანთი მეთაურებითა და სარდლებით“, რომელნიც სეფიანთა დინასტიის სამსახურში იდგნენ და სეფიანთა კარის სამხედრო-პოლიტიკური ელიტის რიგებში დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდნენ. ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ საკუთრივ ქართლ-კახეთის სამეფოების სამხედრო ლაშქარიც ხშირად მონაწილეობდა სეფიანთა ომებში.

რაც შეეხება თვით საქართველოს, ყანდაარის ბრძოლებს მეტად უარყოფითი შედეგები ჰქონდა მისთვის. სავსებით სამართლიანად აღნიშნავს დ.ლანგი, რომ „ყანდაართან კატასტროფა ნიშნავდა არა მარტო სეფიანთა შერყეული რეჟიმის დაღუპვას, არამედ მან საქართველოს

დაუკარგა თავისი რჩეული სარდლები და სამხედრო მეთაურები სწორედ მაშინ, როდესაც ისინი ესოდენ სჭირდებოდნენ საქართველოს“. ჩვენი მხრივ კი იმასაც დავძენთ, რომ ხანგრძლივ და მძიმე ომებს მრავალთა სიცოცხლე ეწირებოდა და შუა და ახლო აღმოსავლეთში მყოფი ქართული ჯარი სამშობლოდან მუდმივ შევსებას საჭიროებდა.

ისფაჰანის დაცემასა და სეფიანთა დინასტიის კრახს საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყოლია იმდროინდელ ევროპელ დამკვირვებელთა შორის, რაც სათანადოდ არის ასახული მათ მიერ შექმნილ ლიტერატურაში, რასაც ვერ ვიტყვით საკუთრივ სპარსულ წყაროებზე. მათი ავტორები უმეტესად დუმილს ამჯობინებენ, ან მხოლოდ მწირი ინფორმაციით იფარგლებიან. ამასთან, როგორც იმდროინდელი, ისე მომდევნო საუკუნეების ევროპელი ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ქართველებზე, მათ დამოკიდებულებაზე სეფიანთა დინასტიის აღსასრულის მიმართ და სპარ-სელთა დამარცხების ძირითად მიზეზად ქართველთა უმოქმედობას ასახელებენ. ასე მაგალითად, ჩვენს მიერ მრავალჯერ ნახსენები თ.კრუშინსკი სპარსეთ-ავღანეთის ომისადმი მიძღვნილ თავში შემდეგს წერს ამის შესახებ: „მე ვირწმუნები, რომ სპარსეთის უბედურებათა უპირველესი მიზეზი ქართველები იყვნენ“, ვინაიდან – აღნიშნავს იგი – სპარსეთის შაჰზე განაწყენებულმა ქართველმა მეფე ვახტანგ VI-მ უარი თქვა დახმარება გაეწია მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი შაჰისათვის, რის შესახებაც ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და მეფე ვახტანგის მოტივაციაც გავარკვიეთ. პეტრე პირველის ელჩი სპარსეთში არტიომ ვოლინსკიც, რომელიც თავის დღიურებში სწერს, რომ „მთელს ირანში

საუკეთესოდ მიმაჩნია ქართული ჯარი“ – სპარსელთა დამარცხების მიზეზად იმავე გარემოებას ასახელებს. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ისრაელ ორი თავის პროექტში სომხური სახელმწიფოს აღდგენის შესახებ იმედს ქართველებზე ამყარებდა, ხაზს უსვამდა რა იმ გარემოებას, რომ ქართველების გარეშე სეფიანთა ირანის სამხედრო ძალა მნიშვნელოვნად შემცირდებოდა, რითაც იმდროინდელი ქართული სამხედრო ძალების განუზომელ შესაძლებლობებს აღიარებდა. ამასთან დაკავშირებით, იმავე აზრს გამოთქვამს გასული საუკუნის ინგლისელი მეცნიერი, ისტორიკოსი ლოკარტი, როდესაც აღნიშნავს, რომ მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ ავღანელთა დამარცხება. მსგავს დასკვნამდე მიდის დ.ლანგიც, როდესაც შენიშნავს, რომ „ქართველთა სამხედრო მხარდაჭერა აუცილებლად იხსნიდა სეფიანთა დინასტიას“. ამ საკითხის განხილვისას ანალოგიურ მსჯელობას ავითარებს მეოცე საუკუნის ცნობილი რუსი ისტორიკოსი ო.მარკოვა, რომლის შეფასებითაც „ქართველები განთქმულნი იყვნენ თავიანთი სამხედრო თვისებებით მთელს ახლო და შუა აღმოსავლეთში“ და XVIII საუკუნის სომეხ ისტორიკოს სარგის გილანეციზე დაყრდნობით ასკვნის, რომ „მათ განსაკუთრებით ავღანელები უფრთხოდნენ“.

* * *

1461 წელს სულთან მეჰმედ II ფათიჰის მიერ ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ საქართველო ოსმალეთს დაუმეზობლდა, ხოლო სულთან ბაიაზიდ II-ის (1481-1512), სულთან სელიმ I იავუზისა (1512-1520) და სულთან სულეი-

მან კანუნის (1520-1566) დროს ოსმალებმა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რეგიონები დაიპყრეს. ასე დაიწყო ქართველების უშუალო კავშირი ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალურ იმპერიასთან, რომელიც სამ კონტინენტზე იყო განვრცობილი.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსმალეთის იმპერიის სულთნის კარსა და პროვინციებში ქართული წარმომავლობის სახელმწიფო მოღვაწენი ჩნდებიან, რომელნიც სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში უმაღლესი რანგის სახელმწიფო და სამხედრო თანამდებობებზე რაოდენობრივად ასზე მეტნი იყვნენ. ქართული წარმოშობის დიდმოხელენი ასწლეულების მანძილზე ოსმალური მმართველობის უმაღლეს ეშელონებში იმყოფებოდნენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ იმპერიის პოლიტიკურ და გეოგრაფიულ ასპარეზზე. ისტორიამ მრავლად შემოინახა სამშობლოდან ოსმალეთში ძალით გატაცებული თუ თავისი ნებით გადახვეწილი, თანდაყოლილი ნიჭითა და შეუპოვარი, მებრძოლი ხასიათის წყალობით აღზევებული ქართული წარმოშობის ოსმალო დიდებულთა – დიდვეზირების, ვეზირების, ფაშების, არმიის სარდლების, მინისტრების, ვალიების, ადმირალების და სხვა მაღალი სტატუსის მქონე მმართველთა სახელები. მათ შესახებ ცნობებს ვხვდებით როგორც საკუთრივ ოსმალურ, ისე ევროპულ და მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების თურქულ ისტორიოგრაფიაში, თურქეთის ე.წ. პრემიერ-მინისტრის არქივში დაცულ „მუჰიმე დეევთარისა“ და „კივამის“ ქრონიკის მასალებში და სხვ.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ XVI-XIX საუკუნეების განმავლობაში დიდვეზირის თანამდებობაზე, რომელიც სულთნის შემდეგ რანგით მეორე კაცი იყო, თურქი

მეცნიერის მურად ქასაბის მიერ 2012 წელს სტამბოლში გამოცემული ენციკლოპედიის – „ოსმალეთის ქართველები“ – მიხედვით, ქართული წარმოშობის თვრამეტი დიდვეზირი მოღვაწეობდა, ხოლო მათ შორის სამი მათგანი ორჯერ ფლობდა ამ თანამდებობას.

გურჯი მეჰმედ ფაშა - 1

მართლაც რომ, საკმაოდ შთამბეჭდავია წარმოშობით ქართველ დიდვეზირთა ნუსხა და მათი საქმიანობისა და გაქანების ასპარეზის მასშტაბურობა. პირველი ქართველი, ვინც ბავშვობისას სამშობლოდან გატაცებული, ოსმალეთში მონად გაუყიდიათ და სწორედ პიროვნული თვისებებისა და სულიერი ძალების წყალობით სახელმწიფო თანამდებობებზე მალევე დაწინაურებულა, გურჯი მეჰმედ-ფაშა (1536-1626) იყო. ახალგაზრდობის წლებში იგი სულთნის სასახლეში სხვადასხვა მოვალეობას ასრულებდა, ხოლო კაფი-აღად დანიშნულს, სულთნის სასახლის გამგებლობა და სულთანთან აუდიენციაზე უცხო სახელმწიფოთა ელჩების წარდგენა ევალებოდა. 1603 წლიდან, სულთნის ტახტზე აჰმედ I-ის (1603-1617) ასვლის შემდეგ, გურჯი მეჰმედ-ფაშის სახელმწიფოებრივ კარიერაში აღზევების განსაკუთრებული პერიოდი იწყება. იგი ჯერ ეგვიპტის ვალის თანამდებობაზე ყოფილა გამწესებული, სადაც მნიშვნელოვანი წვლილი შე-

უტანია ეგვიპტეში ოსმალთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში, 1606 წელს რუმელიის მმართველი გამხდარა, შემდეგ კი ბოსნიის ბეგლარბეგად დანიშნულა და ბელგრადისა და დუნაისპირეთის საზღვრების დაცვით ყოფილა დაკავებული, 1606-1611 წლებში მონაწილეობდა ბელგრადის ცნობილ ბრძოლებში, ხოლო 1612-1615 წლებში სასახლის ვეზირის რწმუნებით არზრუმის ვალის თანამდებობა ჩაუბარებიათ და იმთავითვე სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში ჩაბმულა, 1613 წელს კი ერევანზე ლაშქრობასაც სარდლობდა. ამასთან, ოსმალეთ-სპარსეთს შორის მიმდინარე ომის წლებში (1603-1615), ორჯერ ასრულებდა დიდვეზირის მოვალეობას სპარსელთა წინააღმდეგ სალაშქროდ წასული დიდვეზირების, მურად-ფაშისა და ოქუზ მეჰმედ-ფაშის სანაცვლოდ.

სპარსეთთან ომის დამთავრებისთანავე ოსმალეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გაუარესების გამო, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი იწყება და 1617-1622 წლებში რამდენჯერმე ჰქონია ადგილი სასახლის კარის გადატრიალებას – ერთმანეთის მოწინააღმდეგე პოლიტიკური დაჯგუფებანი ძალაუფლებისათვის ბრძოლაში არასასურველი სულთნებისა და დიდვეზირების ჩამოგდება-ჩამოცილებით იყვნენ დაკავებულნი. ყველაზე დიდხანს ოსმან II (1618-1622) სულთნობდა, რომელმაც პოლონეთის წინააღმდეგ საომარი ლაშქრობა მოაწყო და მის ამალაში ხაზინის საქმეების გამგებლად გურჯი მეჰმედ-ფაშა იმყოფებოდა.

1622 წლის მაისში ოსმან II იენიჩრებმა და დაქირავებულმა სიფაებმა ტახტიდან ჩამოაგდეს და მის მაგივრად სულთნის ტახტი მუსტაფა I-მა (1622-1623) დაიკავა, რომელმაც მეტად რთულ და დაძაბულ ვითარებაში, 1622

წლის სექტემბერში გურჯი მეჰმედ-ფაშა, როგორც დიდი გამოცდილების მქონე და სახელმწიფო საქმეების უნარიანი ორგანიზატორი, დიდვეზირად დანიშნა.

ახალმა დიდვეზირმა თავისი სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესრულება იმით დაიწყო, რომ პირველ რიგში დონელი და ზაპოროჟიელი კაზაკების წინააღმდეგ გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯები, იმათ წინააღმდეგ, რომლებიც კარგ და მამაც მეზღვაურებად ითვლებოდნენ და თავიანთი ნავებითა და ე.წ. „ჩაიკებით“ სერავდნენ შავი ზღვის სივრცეებს და ძარცვავდნენ ოსმალეთის სავაჭრო ხომალდებს. საქმე იქამდეც კი მისულა, რომ კაზაკები შავი ზღვის სანაპირო ზოლში განლაგებულ ოსმალურ ქალაქებსა და თვით სტამბოლზეც კი აწყობდნენ თავდასხმებს. გურჯი მეჰმედ-ფაშას დიდვეზირობის რამ-დენიმე თვის განმავლობაში ოსმალეთის ფლოტმა, კაპუდან-ფაშად მყოფ, ასევე ქართული წარმოშობის რეჯებ-ფაშას სარდლობით დიდ წარმატებას მიაღწია კაზაკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რასაც მოსახლეობის განწყობასა და ქვეყანაში სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი წეს-რიგის აღდგენაზე დადებითად უმოქმედია და მისი ხან-მოკლე მმართველობის პერიოდში შესაძლებელი გამხ-დარა ქვეყანაში არეულობისა და კრიზისული მოვლენების შენელება. როდესაც დიდვეზირის თანამდებობიდან გა-დააყენეს და სტამბოლის კაიმაკამად დანიშნეს, მან წარ-მატებით განახორციელა ფულის რეფორმა, თუმცა მისი სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულებულა; ახალი დიდ-ვეზირის, რეჯებ-ფაშას პოლიტიკური დასმენის შედეგად, გურჯი მეჰმედ-ფაშა I 90 წლის ასაკში სიკვდილით დაუსჯიათ.

აღსანიშნავია, რომ მისი გარდაცვალების შესახებ, მეორე ვერსიაც არსებობს, რომელიც ვენეციის კონსულს

(ბაილოს) ეკუთვნის, რომლის მიხედვითაც გურჯი მეჰმედ ფაშას სიკვდილით დასჯა იენიჩართა მოთხოვნით მომხდარა, რომლებთანაც მას დიდი ხნის მტრობა ჰქონია და რომელთაც ხელთ ჩავარდნიათ საბუთი, რომლის მიხედვითაც მოხუცი დიდვეზირი იენიჩართა უფლებების შეკვეცა-შეზღუდვას აპირებდა.

ოსმალური და ევროპული წყაროები ერთხმად აღიარებენ, რომ ქართული წარმოშობის დიდვეზირი დიდი სახელმწიფო ჭკუისა და მტკიცე ნებისყოფის მმართველი იყო, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მტკიცედ იცავდა სახელმწიფო ინტერესებს და იბრძოდა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის. იგი სულთან მუსტაფა I-ის ზეობის პერიოდში, დიდვეზირებს შორის ყველაზე წარმატებულად არის მიჩნეული. 70 წლის განმავლობაში, იმპერიის ყველაზე კრიზისულ მომენტებში, დიდვეზირის პოსტზე იქნებოდა თუ პროვინციის მმართველად, ის ერთგულად ემსახურებოდა ოსმალეთის იმპერიას. XVII საუკუნის ცნობილი ოსმალო მემატიანე მუსტაფა ნაიმა შემდეგი სიტყვებით აფასებდა მის მოღვაწეობას: „გურჯი მეჰმედ-ფაშა ბედნიერების დედაქალაქს (ე.ი.სტამბოლს) კაიმაკამობისას სრული დამოუკიდებლობით, სიძლიერითა და დიდებით მართავდა“. ასევე მაღალი წარმოდგენის იყო გურჯი მეჰმედ-ფაშის შესახებ 1622-1623 წლებში სტამბოლში მყოფი პოლონეთის ელჩი კ.ბრაევსკი, რომელიც მას პირადად იცნობდა და მასთან მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა. „საერთო აზრით, წერს იგი – გურჯი ფაშა იყო არაჩვეულებრივი ჭკუის ადამიანი“. ისიც ნიშანდობლივია, რომ ქართული წარმოშობის ოსმალო სახელმწიფო მოღვაწის საფლავის ქვაზე შემდეგნაირი წარწერა ყოფი-

ლა შესრულებული: „ისე წავიდა, მტრის ხელში არ ჩავარდნილა“.

აქვე აღსანიშნავია, რომ გურჯი მეჰმედ-ფაშა ახალი სულთნის, მურად IV-ის (1623-1640) ტახტზე ასვლისთანავე (1623 წლის სექტემბერში) სტამბოლში იქნა დაბრუნებული და მეორე ვეზირად დანიშნული (ეს თანამდებობა მას გარდაცვალებამდე ეკავა), ხოლო 1624 წლის მაისიდან დიდვეზირის მოვალეობას ასრულებდა, ვინაიდან მოქმედი დიდვეზირი, ჩერქეზული წარმოშობის მეჰმედ-ფაშა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული ერზრუმის გამგებლის აბაზა მეჰმედ-ფაშას დასამორჩილებლად სტამბოლიდან იყო გამგზავრებული. აბაზა მეჰმედ-ფაშა ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში შესულია როგორც ერთ-ერთი გამოჩენილი პიროვნება, რომელიც თავისი დროის არაერთ მნიშვნელოვან მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა და სულთან მურად IV-თან დაპირისპირების პერიოდში მის წინააღმდეგ მოწყობილი რამდენიმე აჯანყების მოთავეც გახლდათ.

აბაზა მეჰმედ ფაშას შესახებ ცნობილია, რომ იგიც წარმოშობით ქართველი იყო, დასავლეთ საქართველოდან და როგორც პროფ. ი.ტაბაღუას მიერ ევროპულ საარქივო მასალებში მოძიებული ლათინურ ენაზე შედგენილი ტექსტიდან ირკვევა, „იგი დაბადებით და ნათლობით იყო ქრისტიანი, კოლხეთის პროვინციიდან“, ხოლო XVII საუკუნის ცნობილი ქართველი დიპლომატის ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის) გადმოცემით, რომელიც ბერძენ ბერს კონსტანტინეს აქვს დაფიქსირებული თავის წერილში, „აბაზა ფაშა ქართველია, იბერიიდან, დიდი მეგობარია თეიმურაზ მეფისა და ქრისტიანებისა, მის ლაშქარში ბევრი ქრისტიანია“. აღმოსავლეთმცოდნე, პროფ.

აზაზა მეჰმედ ფაშა

ნ.ჯაველიძის მართებული შენიშვნით, „აქ იბერიის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ზოგადად საქართველო“. ასევე ქართველად არის იგი მოხსენიებული მეჰმედ სურეიას მიერ XIX საუკუნეში შედგენილ ოსმალეთის გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიულ ლექსიკონში.

აბაზა მეჰმედ-ფაშა ყრმობის ასაკში სამშობლოდან გატაცებული და ოსმალეთში ტყვედ გაყიდული, საკმაოდ ახალგაზრდულ ასაკში დაწინაურებულა ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე. მას ორი დიდვეზირი, გურჯი მეჰმედ ფაშა I და ჰალილ ფაშა, – რომელიც წარმოშობით ასევე ქართველი ყოფილა – მფარველობდნენ. სწორედ ჰალილ ფაშამ, რომელიც ჯერ იენიჩართა აღად იმყოფებოდა, ხოლო 1613 წელს საზღვაო მთავარსარდლად (კაფუდან ფაშად) დანიშნულა, აბაზა მეჰმედი გალიონის სახეობის ხომალდების უფროსად გაუმწესებია, ზემოთხსენებული ოსმალური ბიოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით კი, „საადმირალოში მეზღვაურთა ბეგთაგანი გამხდარა“. ჰალილ-ფაშას დიდვეზირობის დროს, 1617 წლიდან იგი მარაშის ბეგლარბეგია, სადაც მას სულთან ოსმან II-ის დროს თავისი ეიალეთის ჯარითურთ 1621 წელს პოლონეთის ლაშქრობაში მიუღია

მონაწილეობა და ომიდან დაბრუნებისას, იმავე 1621 წელს სულთანს მისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი არზრუმის ეიალეთის (რომელიც 12 სანჯაყისაგან შედგებოდა) ფაშობა უბოძებია.

სულთან ოსმან II-ის ტახტიდან ჩამოგდებისა და მისი მოკვლის შემდეგ აბაზა-ფაშა პროტესტის ნიშნად აჯანყებულებს ჩადგომია სათავეში, ახალ სულთან მურად IV-ს დაპირისპირებია და მთელი 7 წლის განმავლობაში დაუმორჩილებლობა ჰქონდა გამოცხადებული. აჯანყებას ისეთი ხასიათი და მასშტაბი ჰქონია მიღებული, რომ სტამბოლში ყველანაირ საშუალებას მიმართავდნენ მის დასაშოშმინებლად. საბოლოოდ აბაზა მეჰმედ ფაშა მურად IV-ს შემოურიგებია და ბოსნიისა და ბუდის ბეგლარბეგად გაუმწესებია. იგი მსახურობდა ბელგრადში და დუნაის კომენდანტიც ყოფილა, ხოლო 1633 წელს, ოსმალური წყაროების მიხედვით საარაკო ფიზიკური აღნაგობის კაცს, კვლავ პოლონეთის ლაშქრობაში მიუღია მონაწილეობა და თავის ლაშქარში ბევრი ქართველი მებრძოლი ჰყოლია.

საბოლოო ჯამში, სულთან მურად მეორეს მაინც გაუწირავს არზრუმის ფაშა. მისი აღსასრულისა და სიკვდილით დასჯის შესახებ ოსმალურ ისტორიოგრაფიაში რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთ-ერთი ვერსიით მას დაბრალდა ანატოლიაში აღმოცენებული „უდიდესი არეულობა“, რის გამოც საბოლოოდ დაუკარგავს სულთნის კეთილგანწყობა და მისი ბრძანებით იგი საკუთარი საძინებლიდან გამოუყვანიათ და მოუშთიათ. ჩვენი აზრით, სავსებით მისაღები უნდა იყოს ზემოთნახსენები ქართველი მეცნიერის ნ.ჯაველიძის მოსაზრება, რომ „აფხაზი მეჰმედ ფაშა ოსმალეთის ისტორიას უპირველესად შემორჩა, როგორც არზრუმის მმართველი, პროვინციის დიდმოხელე,

რომელმაც გარკვეულ წლებში თითქმის მთელი ანატოლია დაიქვემდებარა და პოლიტიკურ პროცესს წარმართავდა იმპერიის ამ ნაწილში“.

იმავე საუკუნეში გარდა გურჯი მეჰმედ-ფაშა I-სა, ოსმალთა იმპერიის დიდვეზირობის პატივი ერგო, ასევე ბავშვობაში საქართველოდან გატაცებულ გურჯი მეჰმედ-ფაშა II-საც (1556-1566), რომელიც ამ უმაღლეს თანამდებობაზე სულთან მეჰმედ IV-ის დროს იმყოფებოდა. მანამდე მას სახელმწიფო სამსახურის საკმაოდ სოლიდური გზა გაუვლია, 1620 წელს რუმელიის ბეგლარბეგად ყოფილა დანიშნული, 1625 წელს ვეზირიც გამხდარა, 1627 წელს დამასკოს, მოგვიანებით კი დიარბექირის და ჰალების (ალეპო) ვალის თანამდებობაზე იმყოფებოდა. 1634 წელს, სულთან მურად IV-ის დროს, ანატოლიის ვალის თანამდებობაზე მყოფმა, მონაწილეობა მიიღო ერევანზე ლაშქრობაში. 1638 წელს მარაშის ბეგლარბეგის თანამდებობაზე მყოფი, ბაღდადის ლაშქრობაში იღებდა მონაწილეობას, 1644 წელს კი ხელმეორედ ყოფილა დანიშნული დამასკოს ვალის პოსტზე. მანამდე იგი თითქმის 23 წლის განმავლობაში ასრულებდა ვალის მოვალეობას სხვადასხვა ადგილას, ბოლოს კი სტამბოლში გამოიძახეს და სულთნის სასახლის მეორე ვეზირის სტატუსი მიანიჭეს.

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ გურჯი მეჰმედ-ფაშა II-ის ხანგრძლივი მოღვაწეობა მხოლოდ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ასპარეზით არ ყოფილა შემოფარგლული, მას მრავალ სამხედრო მოქმედებაშიც ჰქონია მონაწილეობა მიღებული. ოსმალურ წყაროებში საკმაო ცნობებია შემონახული, რომ მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდა ყიზილბაშთა წინააღმდეგ მოპოვებულ გამარჯვებებში, ასე მაგალითად, იგი 1615-1616 წლებში შაჰ აბას I-ის ჯარის

წინააღმდეგ მებრძოლ ოსმალთა ჯარს სარდლობდა, ხოლო 1621 წელს პოლონელთა წინააღმდეგ მოქმედ ლაშქარს ედგა სათავეში. ერთ ხანს ჯებეჯი-ბაშის (ჯებეჯიების სამხედრო ნაწილის მეთაური) თანამდებობაზეც იმყოფებოდა და ოსმალეთის ლაშქარში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა, ვინაიდან სამხედრო სამსახურის გარდა, ჯებეჯიები ამზადებდნენ და იცავდნენ საბრძოლო იარაღსა და ტყვია-წამალს. მათი საერთო რიცხვი XVIII საუკუნეში 70 000-ს აღემატებოდა. საგულისხმოა, რომ ახალგაზრდობისას ბრძოლის ველზე გამოჩენილი სიმამაცისათვის, ასაკში შესულ მეჰმედ ფაშას „კოჯა („ზორბა“) გურჯუ ფაშას“ სახელი დაუმსახურებია.

დიდვეზირობისათვის მიუღწევია კიდევ ერთ, ქართული წარმოშობის პიროვნებას, აღა იუსუფ-ფაშას, რომელიც სულთან აჰმედ III-ის (1703-1730) ზეობის პერიოდში მოღვაწეობდა და რომელსაც განათლება იენიჩართა კორპუსში ჰქონია მიღებული. უკვე ურფას სანჯაყბეგად და ლეპანტოს მმართველად ნამყოფი, 1710 წელს იენიჩართა კორპუსის აღად (1381 წელს შექმნილი რეგულარული, კარგად გაწვრთნილი, ფანატიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული ქვეითი ჯარის უფროსი) გაუმწესებიათ და ვეზირის წოდებით ახლად აღჭურვილს პეტრე I-ის რუსული არმიის წინააღმდეგ პრუტის ბრძოლაში გმირის სახელიც მოუხვეჭავს. ამის გამო იყო, რომ იენიჩარების უფროსობიდან 1711 წლის ნოემბერში, პირდაპირ დიდვეზირად დაუნიშნავს სულთანს, ამ რანგში შეძღოლია კიდეც ოსმალეთის ჯარს სტამბოლში, სადაც ერთი წლის განმავლობაში ასრულებდა უმაღლეს სახელმწიფო მოვალეობას.

აღსანიშნავია, რომ აღა იუსუფ-ფაშას შესახებ შემონახული ცნობების სიმწირის მიუხედავად, მაინც დანამდვილებით არის ცნობილი, რომ იგი თავისი დროის ერთ-ერთ ღირსეულ მოღვაწედ და დამოუკიდებელი შეხედულებების მქონე, ძლიერ პიროვნებად მიიჩნეოდა. იმის გამო, რომ იგი რუსეთთან ომის საკითხების თაობაზე სულთანს შეწინააღმდეგებია და არ დამორჩილებია, იგი 1712 წლის დეკემბერში დიდვეზირობიდან გადაუყენებიათ და კუნძულ როდოსზე გაუსახლებიათ, სადაც 1714 წელს სიკვდილით დაუსჯიათ.

წარმოშობით ქართველი იყო სულეიმან ფაშაც, რომელსაც განათლება სულთნის სასახლეში მიუღია და 1705 წელს ვეზირის წოდება ჰქონია ნაბოძები, მოგვიანებით კი ვალის თანამდებობა დაუკავებია და სასახლის ვეზირის ტიტულსაც დაუფლებია. 1712 წელს სულეიმან-ფაშა, აჰმედ III-ის (1702-1730) სულთნობისას დიდი ვეზირი გახდა, ხოლო 1713 წლიდან თითქმის ერთი წლის განმავლობაში კაფუდან-ფაშას (ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი) თანამდებობა ეკავა. 1714 წელს კუნძულ როდოსზე გაუგზავნიათ, სადაც 1715 წელს, გაურკვეველი მიზეზების გამო სიკვდილით დაუსჯიათ.

ასევე წარმოშობით ქართველი სახელმწიფო მოღვაწე იყო ისმაილ-ფაშა, რომელსაც სულთან მაჰმუდ I-ის (1730-1754) დროს ჯერ რუმელიის (ოსმალეთის ევროპული ნაწილი) ვალის თანამდებობა ეკავა, შემდეგ ტრაპიზონის ვალის რანგში მონაწილეობა მიუღია სპარსეთის წინააღმდეგ ომში, 1734 წელს კი ბაღდადის მმართველად ყოფილა დანიშნული. სულთან მაჰმუდ I-ის დროინდელი დიდვეზირი იყო აგრეთვე, ოსმალეთში დაბადებული ქართული წარმოშობის ივაზ მეჰმედ-ფაშა. 1738 წლიდან

რუსეთისა და ავსტრიის წინააღმდეგ მიმდინარე ომში გამოჩენილი გმირობისა და საბრძოლო მიღწევებისათვის, როდესაც ორი წლის განმავლობაში მცირერიცხოვანი ჯარით დაიბრუნა მოწინააღმდეგის ხელში გადასული რამდენიმე ციხე-სიმაგრე, იგი 1739 წლის მარტში დიდ-ვეზირად დაუნიშნავთ.

ახლადდანიშნული დიდვეზირი, უკვე მთავარსარდ-ლის რანგში, დაუყოვნებლივ გაეშურა ბრძოლის ველზე და დიდ წარმატებასაც მიაღწია. ოსმალეთის ჯარმა 1739 წლის ივლისში ბელგრადის ციხე-სიმაგრეს ალყა შემოარტყა, ხოლო სექტემბერში დაიკავა იგი, რის შემდეგაც დაიდო ოსმალეთისათვის ხელსაყრელი ზავი ავსტრიასთან.

სულთან მუსტაფა III-ის (1757-1774) დროს, 1769 წლის დეკემბერში გახდა ოსმალეთის იმპერიის დიდვეზი-რი და მთავარსარდალი, სტამბოლში დაბადებული, ზე-მოთ ნახსენები ივაზ მეჰმედ-ფაშას შვილი ჰალილ-ფაშა, რომელმაც თავისი კარიერა სახელმწიფო სამსახურში კაფუჯი-ბაშობით (სულთნის სასახლის მუდმივი მცველების, კაფუჯიების მეთაური) დაიწყო. უნდა ითქვას, რომ მისთვის დიდვეზირის თანამდებობაზე ყოფნა წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან რუსეთის წინააღმდეგ ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. ამის გამო იყო, რომ იგი დიდ-ვეზირობიდან ზუსტად ერთი წლის თავზე გადააყენეს. შემდგომში იგი კვლავ განაგრძობდა სახელმწიფო მო-ღვაწეობას ჯერ რუმელიაში, ბოსნიასა და სალონიკში ვალის თანამდებობაზე, 1777 წელს კი, სივასის მმართველად ახლად დანიშნული, გზად მიმავალი გარდაიცვალა.

წარმოშობით ქართველი იყო ჰალილ ჰამიდ ფა-შაც, რომელსაც დიდვეზირის თანამდებობა სულთან აბდულჰამიდ I-ის (1774-1789) დროს ეკავა. ჰამიდ-

ფაშა მამამისთან, გურჯი მუსტაფა-აღასთან ერთად ყმაწვილობისას ჩასულა სტამბოლში და სახელმწიფო სამსახური ოსმალეთის მთავრობის კანცელარიაში დაუწყია. 1782 წელს დიდვეზირად დანიშნულს, პირველ რიგში ქვეყნის საზღვრების გამაგრებაზე დაუწყია ზრუნვა და ამასთანავე დიდ მნიშვნელობას სამხედრო რეფორმის გატარებას ანიჭებდა. ზემოთ ხსენებული ენციკლოპედიის – „თურქეთის ქართველები“ – მიხედვით, იგი განსაკუთრებით ზრუნავდა არტილერიის როლის გაზრდისთვის და ამ მიზნით სწრაფმსროლელი საარტილერიო შენაერთის დაარსებასთან ერთად, საარტილერიო კორპუსთან ახალი, მობილური არტილერიის კორპუსი ჩამოუყალიბებია. ბუნებრივია, რომ აღნიშნული რეფორმის გატარებას არტილერისტთა რიცხვის გაზრდა მოჰყოლია, რამაც მათთვის ახალი წესდების შექმნა მოითხოვა და ეს სამუშაოც მისივე თაოსნობით განხორციელებულა. ამას გარდა, დაინტერესებული ყოფილა იენიჩართა კორპუსის რეფორმებითაც და კორპუსში ახალი წევრების მიღების პირობებიც მოუწესრიგებია. მის სახელს უკავშირდება აგრეთვე, სამხედრო-საინჟინრო სასწავლებლის დაარსება, საფრანგეთიდან საკუთარი ხარჯით ინჟინრების ჩამოყვანა და საზღვაო-საინჟინრო სასწავლებლის გაფართოებისა და განვითარებისათვის ზრუნვა, სამხედრო მოსამსახურეებისათვის წვრთნის ახალი პროგრამისა და წესდების შექმნა.

1780-იანი წლების დამლევს და 90-იანი წლების პირველ ნახევარში ორჯერ იყო დიდვეზირად დანიშნული ქოჯა იუსუფ-ფაშა, ქართული წარმოშობის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე. პირველად იგი ამ მოვალეობას სულთან აბდულჰამიდ I-ის დროს, შემდეგ კი სულთან სელიმ

III-ის (1789-1807) პერიოდში ასრულებდა. საერთოდ კი ამ უმაღლეს თანამდებობაზე თითქმის 5 წლის განმავლობაში იმყოფებოდა.

1787-1788 წლებში იუსუფ-ფაშა, რუსეთთან და ავსტრიასთან ომის დროს ოსმალთა იმპერიის ჯარს სარდლობდა და გარკვეული წარმატებისთვისაც მიუღწევია: 1788 წლის სექტემბერში მისი მეთაურობით ოსმალთა 70-ათასიანმა ლაშქარმა ლუდიშთან ავსტრიის იმპერატორის იოსებ II-ის არმია დაამარცხა, თუმცა რუსეთის ფრონტზე ბრძოლა მისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა და ოჩაკოვოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე კვლავ რუსების ხელში გადავიდა. ამ დამარცხებას სულთან აბდულჰამიდ I-ზე იმდენად უმოქმედია, რომ იგი გარდაცვლილა. ტახტზე ახლად ასულმა სელიმ III-მ 1789 წლის ივნისში იუსუფ-ფაშა თანამდებობიდან გადააყენა.

ცოტა ხანში, რუსეთთან გაჩაღებულ ომში მოვლენების არასასურველმა განვითარებამ, სელიმ III იძულებული გახადა, კვლავ მიეპყრო თავისი მზერა იმ დროისათვის ბოსნიის ვალად მყოფ იუსუფ-ფაშასათვის და ხელმეორედ დაემტკიცებინა დიდვეზირის თანამდებობაზე. 1791 წლის თებერვალში იუსუფ-ფაშამ დაუყოვნებლივ წამოიწყო მოლაპარაკებები ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან, რათა ისინი ოსმალეთის მოკავშირეები გამხდარიყვნენ, ხოლო 1791 წლის აგვისტოში მისი ინიციატივით ბულგარეთის ქალაქ სისტოვში სეპარატიული ზავი დაიდო ავსტრიასთან. აღსანიშნავია, რომ დიპლომატიურ სარბიელზე გარკვეულმა წარმატებებმა, რამდენადმე გააუმჯობესეს ოსმალეთის შიდა და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა თუნდაც იმით, რომ დაიბრუნეს უფლებები ქალაქ ბელგრადზე. მიუხედავად ამისა, ისიც აღსანიშნავია,

იუსუფ-ფაშა (ქოჯა)

რომ ამ ფაქტმა ვერ შეაჩერა ოსმალეთის წარუმატებლობა რუსეთის წინააღმდეგ ომში. 1791 წლის იანვარში იუსუფ-ფაშამ და რუსეთის არმიის სარდალმა ნ.რუპნინმა ქ.იასა-ში ხელი მოაწერეს ოსმალე-თისათვის წამგებიან საზავო ხელშეკრულებას. აქვე აღსა-ნიშნავია, რომ სწორედ ამ ზავით ოსმალეთმა უარი თქვა საქართველოს მიმართ თავის პრეტენზიებზე.

დიდვეზირის თანამდებო-ბიდან გადამდგარი იუსუფ-ფა-შა სტამბოლში დაბრუნდა და სამხედრო საქმის რეფორმირებას მიჰყო ხელი. პირველ რიგში, ევროპელი ოფიცრების დახმარებით, საფუძველი ჩაუყარა ოფიცრების ელიტარული ნაწილის შექმნას და სელიმ III-ს კანონპროექტი წარუდგინა სამხედრო სამსახურში გაწვეულთათვის სერიოზული, ევროპული ტიპის განათლების მისაღებად. იუსუფ-ფაშამ სიცოცხლის ბოლო წლები ტრაპიზონის ვალის თანამდებობაზე გაატარა, სადაც 1800 წელს გარდაიცვალა კიდეც.

ასევე, ორჯერ იყო დიდვეზირის თანამდებობაზე დანიშნული ქართული წარმოშობის იუსუფ ზია-ფაშა, პირველად სელიმ III-ის დროს, ხოლო მეორედ მაჰმუდ II-ის (1808-1839) სულთნობის პერიოდში. ერთ ხანს იგი ჰალილ ჰამიდ-ფაშა გურჯის დიდი ნდობით სარგებლობდა, რითაც გზა გაიკვალა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებისა-

კენ. 1785 წელს მან ვეზირის წოდება მოიპოვა, რის შემდეგაც ჯერ დიარბექირის ვალის თანამდებობა ერგო, შემდეგ კი არზრუმის და ჩილდირის მმართველად იმყოფებოდა. საბოლოოდ კი, მისთვის ტრაპიზონის ეილაიეთის მართვა მიუნდვიათ.



იუსუფ ზია-ფაშა (ქოჯა)

1798 წლის აგვისტოში იუსუფ ზია-ფაშა დიდვეზირი გახდა. მისი დიდვეზირად ყოფნის პერიოდი დაემთხვა ნაპოლეონ ბონაპარტეს დაპყრობით ომს ეგვიპტეში. 1799 წელს ზია იუსუფმა, როგორც მთავარსარდალმა, ჯარი გაგზავნა ფრანგების მიერ დაპყრობილი ეგვიპტის გასათავისუფლებლად. იგი ჯერ დამასკოში ჩავიდა, დამატებითი ძალები შეიერთა და ეგვიპტისაკენ დაიძრა. 1801 წლის მაისში იუსუფ ზია ფაშას სარდლობით ოსმალეთის არმიამ დაამარცხა ფრანგები და ეგვიპტე დაიბრუნა. სულთანმა სელიმ III-მ გამარჯვებისათვის ზია-ფაშას ღაზის ტიტული მიანიჭა და ორდენი უბოძა. მის შესახებ ცნობილია, რომ სულთანთან მომხდარი უთანხმოების გამო, იგი დიდვეზირის თანამდებობიდან ნებაყოფლობით, 1805 წელს გადამდგარა.

რამდენიმე წლის უმოქმედობის შემდეგ, ზია-ფაშა კვლავ შესდგომია სახელმწიფო საქმიანობას, იგი ჯერ ტრაპიზონის ვალად გაუმწესებიათ, შემდეგ არზრუმის ვალი გამხდარა, ხოლო 1808 წლიდან აღმოსავლეთის

სერასკერად დაინიშნა და მას მთელი რიგი პროვინციების ვალები, ბეგლარბეგები და სამხედროები დაექვემდებარნენ.

1808 წელს სელიმ III-ის ტახტიდან გადაყენების შემდეგ, ახალმა სულთანმა მაჰმუდ II-მ (1809-1839)ზია-ფაშა მეორედ დანიშნა დიდვეზირად და იგი იმპერიის ტერიტორიაზე, რუმელიაში შემოჭრილი რუსების წინააღმდეგ ორი წლის განმავლობაში იბრძოდა. 1811 წელს რუსეთთან ომის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე, მასსა და იენიჩრებს შორის გაჩენილი მტრობის გამო, ზია-ფაშა თანამდებობიდან გაათავისუფლეს, ამის შემდეგ 1817 წელს მას ვხედავთ კუნძულ ხიოსის ვალის თანამდებობაზე, ხოლო 1819 წელს კი გარდაცვლილა. აღსანიშნავია, რომ იუსუფ ზია ფაშა ოსმალეთის იმპერიის დიდვეზირის თანამდებობაზე, საერთო ჯამში 9 წლის განმავლობაში იმყოფებოდა.

ბავშვობაში ტყვედ ყოფილა გაყიდული ხურშიდ-ფაშა გურჯი, რომელსაც სულთან მაჰმუდ II-ს დროს ეკავა დიდვეზირის პოსტი. იგი აღუზრდია რუმელიის ბეგ-ლარბეგს სერიმ-ფაშას, რომლის კარზეც დაწყებულა მისი სახელმწიფოებრივი კარიერა. მირ-მირანისა და ვეზირის ტიტულების მიღების შემდეგ, იგი ერთ ხანს კაფუდან-ფაშას მოვალეობასაც ასრულებდა, ხოლო შემდგომში ეგვიპტის ვალის თანამდებობაზე დანიშნულა.

ეგვიპტიდან წამოსვლის შემდეგ (1805წ.), იგი ჯერ სალონიკის ვალის, მოგვიანებით კი მორეას ვალის თანამდებობას ასრულებდა, ხოლო 1812 წლის სექტემ-ბრამდე რუმელიის ბეგლარბეგად იმყოფებოდა. 1812 წლის სექტემბერში ხურშიდ-ფაშა ლაზი აჰმედ-ფაშას მა-გივრად დიდვეზირი გახდა. ახლადდანიშნული დიდვეზი-რი ოსმალეთის იმპერიის მთავარსარდლის რანგში აჯან-

ყებულ სერბებს ებრძოდა და ბელგრადიც დაიკავა, ხოლო შემდგომში მას დიდი წვლილი შეუტანია სპარსელთა წინააღმდეგ წარმატებულ ბრძოლაში.

ხურშიდ-ფაშა

1812 წლის ბოლოს რუსეთის იმპერიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ, სტამბოლში დაბრუნებულ ხურშიდ-ფაშას წამოუწყია ქვეყნად გამეფებული უწესრიგობის წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო 1815 წლის დასაწყისში აჯანყებულ იენიჩარებთან შეტაკებების შემდეგ, ცილისწამების მსხვერპლი გამხდარა და იგი 1815 წლის მარტში დიდვეზირის თანამდებობიდან გადაუყენებიათ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა წარმოშობით ქართველი ჰუსრევ მეჰმედ-ფაშა გურჯი, რომელიც სულთან მაჰმუდ II-ის დროს ორჯერ იყო ოსმალეთის ქაფუდან-ფაშა, ხოლო სულთან აბდულმეჯიდის მმართველობისას დიდვეზირის თანამდებობაზე იმყოფებოდა. თანამედროვე თურქი ავტორების მიხედვით, მან დიდი ზეგავლენა მოახდინა თურქეთის არმიის მოდერნიზაციაზე და მთელ შუა და ახლო აღმოსავლეთში ცნობილი ტაქსიმის სამხედრო სკოლაც გახსნა. 1811-1818 წლებში სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლად დანიშნულმა ჰუსრევ მეჰმედ-ფაშამ სამხედრო ფლოტის რეფორმირება დაიწყო და

ჰუსრევ-ფაშა გურჯი

ამის შედეგად, ფლოტში წესრიგი დაამყარა. 1822 წელს, როდესაც მორეას აჯანყების გამო იმპერიაში სახიფათო ვითარება შეიქმნა, მეჰმედ-ფაშა კვლავ ქაფუდან-ფაშას თანამდებობაზე იქნა გამწესებული. 1687 წელს, სერასკერად დანიშვნის შემდეგ, ქვეყანაში მისმა ძალაუფლებამ და გავლენამ პიკს მიაღწია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ 1839 წელს ტახტზე ახლად ასულ აბდულმეჯიდს იგი უყოყმანოდ დიდვეზირად დაუნიშნავს.

35 წლის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის უმაღლეს პოსტებზე ნამყოფი ჰუსრევ-ფაშა გურჯი, რომელსაც გამოზრდილი ჰყოლია თავისი ეპოქის ბევრი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და სარდალი, ას წელს მიტანებული გარდაცვლილა. შემთხვევითი არ იყო, რომ გარდაცვალების შემდეგ მას აღმატებულ ხარისხში, კოჯა ჰუსრევ-ფაშადაც მოიხსენიებდნენ.

ასევე, წარმოშობით ქართველი პოლიტიკური მოღვაწე იყო სტამბოლში დაბადებული, მეჰმედ ნეჯიმ-ფაშა, რომელსაც სულთან აბდულაზიზის დროს ორჯერ ეკავა დიდვეზირის პოსტი, ხოლო მამამისი, ნეჯიმ-ფაშა დამასკოსა და ბაღდადის ვალი იყო.

1913 წლის იანვარში დიდი ვეზირის და მთავარსარდლის თანამდებობაზე დაინიშნა 1856 წელს ბაღდადში,

ქართული წარმომავლობის ოჯახში დაბადებული მაჰმუდ შევკატ-ფაშა, რომელსაც იმპერიის უმაღლეს თანამდებობაზე დანიშვნის დროისათვის, უკვე მარშლის უმაღლესი სამხედრო წოდება ჰქონდა მიღებული. ისიც აღსანიშნავია, რომ შეთავსებით მან სამხედრო მინისტრის პოსტიც ჩაიბარა.

მეჰმედ ნეჯიმ ფაშა

შევკატ-ფაშამ რთული და უაღრესად წარმატებული სამხედრო კარიერის გზა განვლო. იგი დაახლოებით 10 წელი ცხოვრობდა გერმანიაში და სხვადასხვა სამხედრო სწავლებებსა და სამხედრო ოპერაციებში იღებდა მონაწილეობას. სხვადასხვა დროს ოსმალური უმაღლესი ორდენებისა და მედლების გარდა, მიღებული ჰქონია იტალიის, ავსტრიის და სერბეთის მაღალი ხარისხის საბრძოლო ორდენები და მედლები. თანამედროვე თურქი მკვლევარის აიშან გიუნეშის ცნობით, მაჰმუდ შევკატ-ფაშას ფრიად მნიშვნელოვანი სამსახური გაუწევია ოსმალეთის არმიის საბრძოლო დონისა და ორგანიზებულობის ასამაღლებლად.

რაც შეეხება ქაფუდან-ფაშას თანამდებობას, იგი ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო უმაღლეს სახელმწიფო მოხელედ ითვლებოდა მთელ იმპერიაში, ვინაიდან, იმდროინდელი ოსმალეთი ერთ-ერთ უდიდეს საზღვაო ქვეყანას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ

მაჰმუდ შევკატ-ფაშა

სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლობის გარდა, იგი აგრეთვე, განაგებდა სავაჭრო ფლოტის საქმეებსაც. ქაფუდან-ფაშას ევალებოდა სახელმწიფოს მიერ მის გამგეობაში გადაცემული ერთ-ერთი ეიალეთის შემოსავლების ხარჯზე, სამხედრო ფლოტისა და დამხმარე ხომალდების აგება და საზღვაო ბრძოლებში მონაწილეობის მიღება. ოსმალეთის საზღვაო ძალები სამხედრო თვალსაზრისით ერთ-ერთი უძლიერესი იყო, როგორც შუა და ახლო აღმოსავლეთში, ისე ევროპაში. შესაბამისად, ქაფუდან-ფაშა სულთნისა და დიდვეზირის შემდეგ, ყველაზე გავლენიან პიროვნებად ითვლებოდა ქვეყანაში. როგორც წესი, ამ თანამდებობაზე სულთანი უაღრესად სანდო, მცოდნე და მასშტაბურად მოაზროვნე პიროვნებას ნიშნავდა, რომლის წარმატებულ მოღვაწეობაზეც ბევრად იყო დამოკიდებული ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება.

XVII-XIX საუკუნეებში ოსმალური სახელმწიფო მმართველობის ამ სეგმენტშიც საკმაოდ მრავლად და სოლიდურად იყვნენ წარმოდგენილნი წარმოშობით ქართველი სამხედრო მოღვაწეები. ასეთებს წარმოადგენდნენ ფიალეთ-ფაშა (უზუმი), მეჰმედ-ფაშა (ქეთხუდა), ჰუსეინ-ფაშა (ქუჩუკი), სეიდ-ალი-ფაშა, ჰაფიზალ-ფაშა, ჰალილ რაფით-ფაშა და სხვები, რომელთაგანაც თი-

თოეულს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურ ისტორიაში. ასე მაგალითად, ფიალეთ-ფაშა, ზედმეტსახელად „მაღალი“, 1640-იან წლებში ბევრჯერ წარმატებულად შეტაკებია შავ ზღვაზე მოთარეშე კაზაკ მეკობრეებს. ერთ-ერთი საზღვაო ლაშქრობისას ოჩაკოვოს ვალისთან, ასევე წარმოშობით ქართველ ქენან-ფაშასთან ერთად, ბლოკირება გაუკეთებია ტამანის ნახევარკუნძულზე შეფარებული კაზაკებისათვის და ერთობლივი ძალისხმევით ყველანი დაუტყვევებიათ. ქართველი მეჰმედ-ფაშა ქეთხუდა კი, სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე, მათ შორის რუმელიის, კონიის და ყარსის ვალად ყოფნის შემდეგ, 1761 წელს ქაფუდან-ფაშა გამხდარა, მრავალი თვის განმავლობაში ებრძოდა ოსმალური იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებულ ეგვიპტელებს და მათთან ბრძოლაში დაღუპულა კიდეც. წარმოშობით ქართველი, სახელმწიფო მოღვაწე ჰუსეინ-ფაშა ქუჩუკი (მომცრო ტანის გამო შეურქმევიათ ეს მეტსახელი), მიუხედავად იმისა, რომ ზღვაოსნად არ იზრდებოდა, სულთან სელიმ III-ის დროს, 1792 წლიდან ქაფუდან-ფაშას თანამდებობაზე იმყოფებოდა, გონივრულად და საზრიანად უძღვებოდა საქმეს და დიდი წვლილიც შეუტანია სელიმ III-ის რეფორმების განხორციელებაში. თანამდებობაზე ყოფნისას, მას ოსმალეთის ფლოტში მნიშვნელოვანი ცვლილებები განუხორციელებია. ამასთან, განუზრახავს ეგეოსის ზღვაზე მეკობრეობის აღმოფხვრა და საზღვაო ყაჩაღების წინააღმდეგ ბევრი საზღვაო ლაშქრობაც მოუწყვია. საგულისხმოა, რომ ჰუსეინ-ფაშას მიღწევებს, ოსმალო ავტორების მიხედვით, მისი და სულთნის ავტორიტეტი გაუზრდია ხალხში. ამას გარდა, იგი დიდ ძალისხმევას იჩენდა საფრანგეთსა და ოსმალეთს

შორის XVIII საუკუნის ბოლოს გართულებული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების გამოსწორებისათვის და ამიტომაც იყო, 1803 წელს მის გარდაცვალებას ისეთი დიდი რეზონანსი მოჰყოლია საფრანგეთში, რომ თვით ნაპოლეონ ბონაპარტეს გამოუცხადებია სამძიმარი ომალეთის ელჩისათვის.

ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწე, წარმოშობით ქართველი სეიდ-ალი-ფაშა ზემოთ ნახსენები ენციკლოპედიის – „ქართველები ოსმალეთში“- მიხედვით, ორჯერ ყოფილა ოსმალეთის სამხედრო ფლოტის ხელმძღვანელი სელიმ II-სა და მაჰმუდ II-ის სულთნობის დროს. თავდაპირველად გემის კაპიტანს ალჟირში, შემდგომში ხმელთაშუა ზღვის სარდლის რანგში, მეკობრეების წინააღმდეგ ბრძოლებში გამოუჩენია თავი, ამისათვის ფლოტის მთავარსარდლის წოდება მიუნიჭებიათ და 1807 წელს, ინგლისის ფლოტის სტამბოლთან მიახლოვებასთან დაკავშირებით, ქაფუდან-ფაშის თანამდებობაც მიუნდვიათ მისთვის. მოკლე დროში მისი ხელმძღვანელობით სტამბოლის მოსახლეობისა და ფრანგი ინჟინრების დახმარებით, მცირე ფლოტი შექმნილა, რომლითაც არათუ ინგლისელების შეჩერება, განდევნაც კი შესძლეს. ამიტომაც იყო, რომ ისტორიული გადმოცემით, ხალხში სეიდ ალი-ფაშა გმირისა და მამაცი ზღვაოსნის სახელით სარგებლობდა.

1809 წელს მიიღო ვეზირის წოდება და ქაფუდან-ფაშას თანამდებობაზე დაინიშნა ქ.ამასიაში დაბადებული, ქართული საგვარეულო ოჯახიდან გამოსული ჰაფიზ-ალი-ფაშა, გურჯი-ზადედ (ქართველიშვილი) წოდებული. ცნობილია, რომ ამ თანამდებობაზე ყოფნისას, ორი წლის განმავლობაში მას სამხედრო ფლოტში საკმაოდ

სერიოზული რეფორმების განხორციელება მოუსწრია, ამასთან, შავ და მარმარილოს ზღვებზე მეკობრეთა წინააღმდეგ წარმატებული სამხედრო ოპერაციებიც ჩაუტარებია. ქაფუდან-ფაშობიდან გადაყენების შემდეგ ჩილდირის, არზრუმის, ყარსის, ანკარის, დიარბექირის, ტრაპიზონის ვალად ნამყოფი, ბოსფორის სერასკერად ახლად დანიშნული, 1829 წელს გარდაცვლილა.

ქართველი ხალხის შვილები არც სპარსეთ-ოსმალეთში და არც ეგვიპტეში, არც ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში – ერაყში, სირიაში, ალჟირში, ტუნისსა თუ ლიბიაში – თავიანთ სურვილისა და კარგი ცხოვრების გამო არ იყვნენ გადახვეწილნი. ისინი ძირითადად, თავიათ სამშობლოში გარეშე ძალებისაგან შევიწროვებულნი, საკუთარ ქვეყანაში შექმნილი მძიმე საშინაო თუ საგარეო პირობების გამო, ძალადობრივად მოწყვეტილნი თავიანთ ოჯახებს, უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ აღნიშნულ ქვეყნებში, სადაც მათ ქაიროს, ბაღდადის, დამასკოსა თუ სტამბოლის ტყვეთა ბაზრებზე ხალისით ყიდულობდნენ ამ ქვეყანათა გამგებელნი თუ დიდებულნი. თავის მხრივ, უცხო გარემოში მოხვედრილი ქართველი ყმაწვილები თავიანთი ნიჭის, ერთგულების, შეუპოვრობის და მხედრული შემართების მეშვეობით, მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას იკავებდნენ და სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე დიდ წარმატებებსაც აღწევდნენ. ასე გაჩნდა XVIII საუკუნის დასაწყისიდან ქართველთა დიასპორა ერაყის ქალაქებსა, და უპირველესად მის დედაქალაქ ბაღდადში. ასე ჩაისახა და შემდგომში თანდათანობით ჩამოყალიბდა ბაღდადის საფაშოს გამგებლის კარზე ბირთვი ქართველი ქულემენებისა, ანუ მამლუქებისა.

სავსებით მართებულად შენიშნავდა გასული საუკუნის ქართველი აღმოსავლეთმცოდნე ბ. სილაგაძე, რომ „მამლუქთა ხანა ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში მოქცეული ერაყის ისტორიის ცალკე, თავისებური მონაკვეთია“, როდესაც ზუსტად 82 წლის განმავლობაში, 1749-1831 წლებში, ქვეყანას ოსმალები კი არ მართავდნენ, არამედ სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული, გაერთიანებული ერაყის გამგებლის თანამდებობაზე აღზევებული ქართული წარმოშობის მამლუქები, და რომელთაც, ამ მმართველობას, ბ.სილაგაძისავე სიტყვებით, „ოსმალთათვის უჩვეულო მემკვიდრეობითი ხასიათი მისცეს“.

ცნობილია, რომ XVIII საუკუნეში ევროპის რიგ სახელმწიფოებთან ომებში დამარცხებულმა ოსმალეთის იმპერიამ დიდძალი ტერიტორიები დაკარგა და დანაკარგის ანაზღაურებას სპარსეთის ტერიტორიების ხარჯზე ცდილობდა. ამ მიზნით, ოსმალეთის სახელმწიფოს მესვეურებმა სპარსეთის მოსაზღვრე, ბაღდადის საფაშოს გაძლიერება გადაწყვიტეს. ეს მისია ალბანური წარმოშობის ჰასან-ფაშას მიანდეს, რომელმაც ბაღდადის საფაშოს გაძლიერება იენიჩართა შევიწროებით დაიწყო, ვინაიდან ისინი, ოდესღაც ოსმალეთის იმპერიის სამხედრო ძლიერების ბურჯნი, XVIII საუკუნეში გარკვეულ მიზეზთა გამო უმართავ, ხელისუფლებისათვის საშიშ ძალად გადაქცეულიყვნენ. ამიტომაც იყო, რომ მათ საპირწონედ შექმნილი ე.წ. „პირადი გვარდია“, ძირითადად, ქართველებისა და ჩერქეზებისაგან იქნა დაკომპლექტებული და მთელი იმედები მათზე იყო დამყარებული. ცნობილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნის დ.ჯანელიძის მიერ აღმოსავლურ საისტორიო წყაროებში მოპოვებული ცნობების მიხედვით, ჰასან-ფაშა „ტყვეთა ბაზრებზე შეძენილ ქართველ ჭაბუკებს

მის მიერ დაარსებულ საგანგებო სკოლებში აგზავნიდა, სადაც მათ კარგად დისციპლინირებულ ძალად ზრდიდნენ“ და ზოგად საგნებთან ერთად სამხედრო საქმესა და ცურვას ასწავლიდნენ. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ასეთ სასწავლებლებში აღზრდილი ქართველი მამლუქები, შემდგომში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებს იკავებდნენ, ერაყის სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდნენ და ზოგიერთმა მათგანმა ერაყის გამგებლის თანამდებობასაც მიაღწია. ჰასან-ფაშას დროს ჩაეყარა საფუძველი სისტემას, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ცნობილი მკვლევარის, გ.ბეი-მამიკონიანის სიტყვებით, „ქართველებს ყველა სხვა ერთა შვილების მიმართ უპირატესობას ანიჭებდა, პატრონები იახლოვებდნენ და ოჯახის სრულუფლებიან წევრებადაც კი ხდიდნენ ქართველ ტყვეებს. ამ სისტემამ შეუმზადა ნიადაგი ერაყის ქართულ-მამლუქური სისტემის დამკვიდრებას“.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის პირველი მესამედის ერაყში ქართველების როლსა და ადგილს მკაფიოდ განსაზღვრავდა ზემოთ ნახსენები ბეი-მამიკონიანი, როდესაც წერდა, რომ „ერაყში ქართველ მამლუქთა ბატონობა სულ სხვაგვარ მოვლენას წარმოადგენდა. ეს იყო სტამბოლისაგან თითქმის დამოუკიდებელი რეჟიმი, დაფუძნებული სამხედრო და პოლიტიკური მბრძანებლობის მტკიცე, კარგად მოფიქრებულ სისტემაზე. მკაფიოდ ეროვნული სახის მქონე, შემჭიდროებული და კასტურად განცალკევებული ბირთვი ქართული მამლუქებისა განაგებდა ერაყის მოსახლეობის ძირითად, არაბულ-ქურთულ მასას“.

სრულიად ერაყის ქართული წარმოშობის მამლუქ ფაშათა სია საკმაოდ ვრცელი და შთამბეჭდავია: სულეიმან-

ფაშა აბუ-ლაილი (1749-1762), სულეიმან-ფაშა ბუიუქი (1780-1802), ჰაფიზ ალი-ფაშა (1802-1807), სულეიმან-ფაშა ქუჩუქი (1807-1810), საიდ-ფაშა ასადი, სულეიმან, ბუიუქის ვაჟიშვილი, ერაყში დაბადებული, ქართული წარმოშობის ფაშა (1813-1815), დაუდ-ფაშა (1816-1831). მართალია, იმდროინდელი ერაყის სამხედრო ხელოვნების დახვეწაში, თანამედროვე იარაღით აღჭურვასა და ჯარების ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნაში, სულთნის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის სწრაფვასა და ბრძოლაში გარკვეული წვლილი ყველა ქართული წარმოშობის ქულემენ ფაშას მიუძღვის, თუმცა მათ შორის სამი მათგანის – სულეიმან აბუ-ლაილის, სულეიმან ბუიუქისა და დაუდ-ფაშას მოღვაწეობაა გამოსარჩევი.

ერაყის პირველი გამგებელი ქართული წარმოშობის მამლუქი იყო, მანამდე, ერაყის იენიჩართა სარდლად ყოფნისას სულეიმან აღად წოდებული, რომლისთვისაც 1723 წელს სპარსეთის წინააღმდეგ დაწყებული ომის დროს ღამის ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვებების გამო, მეტსახელად აბუ-ლაილი (ქართულად „წყვდიადის მამას“ ნიშნავს) და დავასულ-ლაილი (ქართულად „წყვდიადის ლომი“) შეურქმევიათ. აღმოსავლეთმცოდნე ბ.სილაგაძის თანახმად, „ერაყის ისტორიის სპეციალისტები სამართლიანად მიიჩნევენ მას მამლუქთა რეჟიმის ფუძემდებლად, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი ჯერ კიდევ ჰასან-ფაშას დროს დაიწყო“.

საქართველოში, ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებული, ერაყის ქართველი მომავალი გამგებელი, 12 წლის ასაკში ოსმალეთში ტყვედ წაუყვანიათ, საიდანაც ბაღდადში მოხვედრილა. თურქი ისტორიკოსების ვასიფისა და მეჰმედ სურეის ცნობით, ბაღდადის მმართველის კარზე

მიყვანილი პატარა ბიჭი ჰასან-ფაშასათვის მიუყიდიათ, რომელიც შემდგომში მისი სიძე, ქალიშვილის ქმარიც გამხდარა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა სულეიმანს სპარსეთის მმართველის, ნადირ-ყული-ხანის წინააღმდეგ გამართულ ბაღდადის ბრძოლაში მოუხვეჭავს სახელი და სამხედრო საქმის შესანიშნავი ცოდნაც უჩვენებია, რის გამოც 1733 წელს მირმირანის (მთავარსარდლის) ტიტული და ქაჰიას (ფაშას მრჩეველი და მოადგილე) თანამდებობაც მიუღია, იგი შესაბამისად ჯარების სარდლის მოვალობასაც ასრულებდა.

1749 წლის აგვისტოში ჰილაჰთან ბრძოლაში აბუ-ლაილის რვაასკაციანი ლაშქრით ოსმალეთის თოთხ-მეტ ათასიან ჯართან გამარჯვების შემდეგ იწყება თითქმის ერთსაუკუნოვანი ხანა, რომელმაც გ.ბეი-მამი-კონიანის სიტყვებით, „ყოფილ ქართველ ტყვეებს ხელში ჩაუგდო ბაღდადი და მთელი მესოპოტამია. ეს იყო დამაგვირგვინებელი აქტი იმ საკმაოდ ხანგრძლივი ბრძოლისა, რომელიც წინ უძღოდა ერაყში ქართველი მამლუქების გაბატონებას“. ისიც აღსანიშნავია, რომ აბუ-ლაილის მმართველობის პერიოდში საგრძნობლად გაზრდილა ერაყში ქართველ მამლუქთა რაოდენობა.

აბუ-ლაილ ფაშა თორმეტ წელიწადს განაგებდა ერაყს და ამ ხნის განმავლობაში მთელი თავისი უნარი და ენერგია ბაღდადის საფაშოს ოდინდელ საზღვრებში აღდგენასა და ქვეყნის შიგნით სხვადასხვა აჯანყებულ ტომთა დამშვიდებას მოახმარა. იგი მთელ ოსმალეთის იმპერიაში იყო განთქმული, როგორც დიდი ნიჭის მქონე მხედართმთავარი, ხოლო მის მიერ შექმნილი ქართული გვარდია სიმამაცითა და გულადობით გამოირჩეოდა.

1780-დან 1802 წლამდე განაგებდა ერაყს სულეიმან-ფაშა ბუიუქი (დიდი), რომლის ზეობაც „ოქროს ხანად“ ითვლება ერაყის მამლუქთა ისტორიაში. ახალგაზრდობისას საქართველოდან ოსმალეთში ტყვედ გაყიდული, ბაღდადში სულეიმან აბუ-ლაილის განკარგულებაში აღ-მოჩენილა და იგი თანამემამულე მამლუქთაგან და-კომპლექტებულ სამხედრო რაზმში ჩაურიცხავთ, სადაც მალევე დაწინაურებულა. 1765 წელს სულეიმანი ბასრის მუთასილიმად დაუნიშნავთ, ანუ მესამე კაცად ერაყში, ბაღდადის ფაშისა და მისი ქაჰიას შემდეგ (საინტერესოა, რომ, როგორც გ.ბეი-მამიკონიანი განმარტავს, „ევროპული ნომეკლატურით ამ თანამდებობას შეიძლება ეწოდოს „ბასრისა და მისი ოლქის ვიც-ეკოროლი“).

ერაყის ფაშად გახდომის შემდეგ, ყოველმხრივ გამორჩეული და ძლიერი პიროვნება, სულეიმან დიდი 22 წლის განმავლობაში განაგებდა ერაყს. თავისი მმართველობის გასაძლიერებლად მას ერაყში დიდძალი ქართველი მიუზიდავს, რომელთა დახმარებითაც გა-ნუმტკიცებია მამლუქთა ერთიანობა და შეუზღუდავს იენიჩართა გავლენა. მისი პოლიტიკის მთავარი ვექტორი მიმართული ყოფილა ერაყის გაძლიერების, სპარსელთა თავდასხმებისა და არაბ ტომთა თარეშის აღკვეთისაკენ. როგორც ჩანს, იგი პიროვნულადაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე, ვინც კი მას იცნობდა. ამის დასტურად გვინდა მოვიტანოთ, თუ რას სწერს მასზე მისი ერთი თანამედროვე ინგლისელი დამკვირვებელი, რომელიც გ.ბეი-მამიკონიანის სიტყვებით, „ზედმიწევნით კარგად იცნობდა აღმოსავლეთს“ – „წარმოშობით ქართველი, – წერს ანონიმი ინგლისელი – იგი მეტად ლამაზი და ნამდვილი ვაჟკაცი იყო. მის თვალთაგან გონების ძალა

და ლმობიერება გამოსჭვიოდა. ის ისევე მარჯვე იყო ყოველგვარ მხედრულ თუ საველე გაწვრთნილობასა და ჯომარდობაში, როგორც ისინი, ვისთვისაც ეს სამსახურს ან ხელობას წარმოადგენდა“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სულეიმან ბუიუქის მმართველობის პერიოდი ერაყში მამლუქთა მბრძანებლობის ზენიტს წარმოადგენდა და ამიტომაც დაუმსახურებია მას თავისივე სიცოცხლეში წოდება „დიდი“. ამასთან, იგი ერაყის მმართველი მამლუქების უშუალოდ ქართული დინასტიის ფუძემდებლადაც სახელდება.

1817-1831 წლებში ერაყის უკანასკნელი გამგებელი, ქულემენთა ქართული დინასტიის ბოლო წარმომადგენელი დაუდ-ფაშა გურჯი, ასევე დაბადებული საქართველოში, ქვემო ქართლში, ორბელიანთა ფეოდალურ სამფლობელოში გვარად მანველაშვილი ყოფილა. ბავშვობაში ისიც ტყვეებით მოვაჭრეების მიერ იქნა ოსმალეთში გატაცებულ-გაყიდული და მრავალ ჭირვარამ გამოვლილს, ერაყის მმართველად გახდომის შემდეგ, ერაყისათვის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება დაუსახავს მიზნად. ამიტომაც იყო, რომ იგი სულთნისაგან დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას ატარებდა და საქმე იქამდეც კი მისულა, რომ თავისი მმართველობის ბოლო წლებში საერთოდ უარი უთქვამს სამხედრო და ფინანსურ კავშირებზე იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებასთან. დაუდ-ფაშა 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროსაც ცდილობდა ერაყის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, რაც მისთვის სრული კრახით დამთავრებულა. 1830 წელს მის წინააღმდეგ გაგზავნილ სულთნის ჯართან დამარცხების შემდეგ, სულთნისაგანვე შეწყალებული, 1834-1836

წლებში ბოსნიის გამგებლად ყოფილა გამწესებული, 1838-1839 წლებში სტამბოლში, ოსმალეთის იმპერიის საბჭოს თავმჯდომარედ მოღვაწეობდა, ხოლო 1839-1841 წლებში ანკარის ეილეთს განაგებდა. საგულისხმოა ისიც, რომ დაუდ-გურჯის სახელთან არის დაკავშირებული ერაყში სამხედრო რეფორმის გატარება და არმიის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნის მცდელობაც. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ მასვე შეუქმნია ე.წ. „ქართული გვარდია“, რომელიც ერაყის ფაშის დასაყრდენს, პირად გვარდიას წარმოადგენდა. პროფ. ბ.სილაგაძის ცნობით „ქართულ გვარდიაში 1800-დან 3000 მეომრამდე ირიცხებოდა და იგი სამ ლეგიონად იყოფოდა“. თავისი ცხოვრების ბოლო წლები, დაუდ-ფაშამ წმინდა ქალაქ მედინაში გაატარა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. იგი დაკრძალულია მეორე მართლმორწმუნე ხალიფა ოსმანის საფლავის მახლობლად.

ერაყს გარდა, XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ მესამედში დიდი მოთხოვნილება ყოფილა ქართველ მამლუქებზე ოსმალეთის იმპერიაში შემავალ, ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც – ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარე ალჟირის, ტუნისის და ლიბიის საფაშოებში. ბრძოლისუნარიან ახალგაზრდა ქარ-თველ მამლუქთა საკმაოდ დიდი რაოდენობა წარმატებით იკაფავდა გზას ამ ქვეყნებში, ისინი წინაურდებოდნენ და საფაშოთა სამხედრო-პოლიტიკური მმართველობის უმაღ-ლეს ეშელონებში იკიდებდნენ ფეხს. ამის დამადასტურე-ბელ საბუთად, ჩვენის აზრით, მკვლევარ დ.ჯანელიძის მიერ მოტანილი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ბრიტანელი მოგზაურის, მაკ გილის ცნობაც იკმარებს, რომელიც 1807 წელს ტუნისის შესახებ წერდა – „ქვეყნის მმართველი წრე, ძირითადად ქართველი მამლუქებისგან შედგებოდა“.

რაც შეეხება ალჟირის საფაშოს, რომელიც 1517 წლიდან ოსმალეთის იმპერიის შემადგებლობაში იქნა შეყვანილი და იმ დროისათვის ხმელთაშუა ზღვის მეკობრეობის ცენტრად იყო აღქმული, ნათლად სჩანს ქართველ მამლუქთა ნაკვალევი – ყოველ შემთხვევაში ევროპული, არაბული და ოსმალური წყაროების თანახმად, სამ გამაჰმადიანებულ ქართველს – ბაბა ჰასანს (1791-1798), ჰასან ბინ უსუფ აჰისკალსა და ალი ხოჯას ალჟირის მმართველის – დეის თანამდებობისათვისაც კი მიუღწევიათ. ოსმალო მემატიანეთათვის ორი მათგანის, ჰასან აჰისკალისა და ალი ხოჯას წარმომავლობის ადგილიც კი იყო ცნობილი – პირველი მათგანი მესხეთიდან, ხოლო მეორე სამეგრელოდან ყოფილა გამოსული.

როგორც ევროპული, ისე ახლოაღმოსავლური წყაროები განსაკუთრებით აქებენ ბაბა-ჰასანს, რომელიც თავიდან იენიჩარი ყოფილა ალჟირში. 1770 წელს ის შავ ზღვაზე რუსეთ-თურქეთის ბრძოლების დროს ალჟირის სამხედრო გემებს მეთაურობდა, შემდგომ ალჟირის საზღვაო მინისტრი გამხდარა, მოგვიანებით კი პრემიერ-მინისტრის (ჰაზნაჯი) პოსტი დაუკავებია. 1791 წელს, იენიჩართა მოთხოვნით, ალჟირის დეის თანამდებობაზე აღზევებულა.

არაბულ და ოსმალურ წყაროებში შემორჩენილია ცნობები წარმოშობით ქართველი ძმების – ალი ფაშა ტარაბულისისა და საიდ ალ ალ-ქაფუდანის შესახებ, რომლებიც სამშობლოდან გატაცებისა და სტამბოლის ბაზარზე მონებად გაყიდვის შემდეგ, ალჟირში მოხვედრილან და იქაური გამგებლის, მუჰამად ბინ უსამა ფაშის კარზე აღზრდილან. ალი ალ-ტარაბულისი ჯერ ალჟირის სამხედრო მინისტრი ყოფილა, ხოლო შემდეგ ძმასთან,

საიდთან ერთად სტამბოლშია და 1887-1791 წლების რუ-სეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის წინააღმდეგ იბრძვის. ამასთან დაკავშირებით აღმოსავლეთმცოდნე დ.ჯანელიძე, ცნობილი ეგვიპტელი ისტორიკოსის ალ-ჯაბარის ცნობაზე დაყრდნობით, აღნიშნავდა, რომ „1807 წელს საიდ ალი-ფაშა ქაფუდანი, როგორც ოსმალეთის ფლოტის ადმირალი, ხელმძღვანელობს გადამწყვეტ ბრძოლას კუნძულ ლემ-ნოსთან, როცა რუსეთის ფლოტმა უკან დაიხია და სტამბო-ლის ბლოკადა მოხსნა“. ენციკლოპედია – „ქართველები ოსმალეთში“-ს მიხედვითაც, იმავე 1807 წელს ინგლისის ფლოტის სტამბოლთან მიახლოებასთან დაკავშირებით, „სეიდ ალი-ფაშას ვეზირის ტიტული, ჯეზაირის წოდება და ქაფუდან-ფაშას თანამდებობა მიანიჭეს“ და ქაფუდან-ფაშამ „ინგლისელების არა თუ შეჩერება, სრუტეების ბლოკირება და მათი მარმარილოს ზღვაში ჩაკეტვაც განიზრახა“. ამ გამარჯვებებმა საიდ ალის გზა გაუხსნა ოსმალეთის სახელმწიფოს მმართველობის უმაღლეს ეშელონებისკენ და 1820-1821 წლებში იგი ოსმალეთის იმპერიის დიდვეზირის თანამდებობაზეც იმყოფებოდა, ხოლო მის ძმას ალი ტარაბულისს ტრიპოლის ფაშობა ებოძა. სწორედ ამის გამო შეერქვა მას ტარაბულისი – ანუ ტრიპოლელი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ამჯერად უკვე სირიის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობდა კიდევ ერთი ქართველი მამლუქი ოსმან ფაშა ალ-ქურჯი (ქართველი), რომელიც 11 წლის მანძილზე უძღვებოდა ოსმალთა იმპერიაში შემავალ ერთ-ერთ ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან რეგიონს. მისი კარიერა ჯერ ქ.ჰამას მუთასილიმის – გამგებლის თანამდებობიდან დაწყებულა, ხოლო 1760 წლიდან დამასკოს საფაშოს გამგებლის

თანამდებობაზე მოღვაწეობით გაგრძელებულა, რაც იმპერიის მასშტაბით ოსმან ფაშას დიდ გავლენაზე მიუთითებს. აქვე ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რომ უნგრელი ქართველოლოგის ლაიოშ ტარდის მიერ გამოქვეყნებული საისტორიო წყაროების მიხედვით, ევროპის ტერიტორიაზე ოსმალეთის იმპერიის ყველაზე დიდი პროვინციის, ბუდას ეიალეთის მმართველ ფაშებს შორის წარმოშობით ქართველებიც ყოფილან. ასე მაგალითად, ოსმალეთის იმპერიის ვეზირი გურჯი ქენანი საქართველოში დაბადებული, სამშობლოდან გატაცებული და სულთნის სერალში აღზრდილი, 1655 წელს იენიჩართა აღა ხდება და ვეზირის წოდებას იღებს, ხოლო იმავე წლის 22 სექტემბერიდან ბუდის გუბერნატორია. აღსანიშნავია, რომ ჩვენს თანამემამულეს შორეულ ქვეყანაში დიდი თუ მცირე შესვენებებით ოთხჯერ ეკავა ბუდის ფაშას თანამდებობა.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ ამ პატარა ნარკვევს სისრულის პრეტენზია არ გააჩნია. XVI-XIX საუკუნეების მანძილზე ქართველ ხალხს იმდენი რამ გადახდენია ახლო თუ შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, იმდენი ქართველი მეომარი და პოლიტიკური მოღვაწის კვალი იკარგება ამ უკიდეგანო სივრცეში, რომ შეუძლებელია ერთ პატარა ნაშრომში თავი მოუყარო ყველაფერ იმას, რომელთა აღწერასაც დიდტანიანი ტომები თუ ეყოფა. ერთი რამ კი ცხადი უნდა იყოს – XVI-XIX საუკუნეებში ქართული ეროვნული ენერგია შორს არის გატყორცნილი საკუთარი სამშობლოს საზღვრებიდან ახლო და შუა აღმოსავლურ სივრცეში და ქართული სამხედრო-პოლიტიკური კვალი ღრმად არის აღბეჭდილი ამ ქვეყნების ისტორიაში. ამის დამადასტურებლად თუნდაც იმ ფაქტის მოტანაც შეიძლება, რომ ყველა საბრძოლო ოპერაციებს XVIII საუკუნის პირველი

მეოთხედის სპარსეთის მხრიდან ქართველი მეფეები და უფლისწულები სარდლობდნენ, იქამდე, რომ პროფ. გ. ანჩაბაძის სამართლიანი შენიშვნით – „თამამად შეიძლება ეს ბრძოლები საქართველოს სამხედრო ისტორიას მივაკუთვნოთ“. არც ის არის შემთხვევითი, როდესაც ფრანგი დიუ სესო მიუთითებს ქართველ მებრძოლთა მაღალ რეპუტაციაზე მთელ აზიაში. საქართველოდან გადახვეწილი მრავალი გამაჰმადიანებული ქართველი შაჰის კარსა თუ ოსმალეთის იმპერიაში უმაღლეს თანამდებობებს აღწევდა და ხშირად ისინი დიდ, ზოგჯერ კი გადამწყვეტ როლსაც თამაშობდნენ ამ ქვეყნების საშინაო და საგარეო საქმეებში, ხოლო იმპერიის სხვადასხვა მხარეში ქართული დინასტიებიც კი იყო ჩამოყალიბებული. აქვე გვინდა რეზიუმეს სახით XVIII საუკუნის ქართული ენციკლოპედიური ნაშრომის „კალმასობის“ ავტორის, იოანე ბატონიშვილის მრავლისმეტყველი სიტყვები მოვიტანოთ – „და ისხდნენ კუალად კახეთიდან და იმერეთიდან დაკარგული ტყვეები ბეგებად და ქეშიფებად, რომელთა შინა განწესდა სჯულად, თუ არა ტყვე ქართველთაგანი სხვა ვერ მიიღებდა ბეგობას“.

თავი II
ქართველების მონაწილეობა რუსეთის იმპერიის ომებში

XVIII-XX საუკუნეებში საქართველოს სამხედრო ისტორია რუსულ ომებში ქართველების მონაწილეობამ შეავსო. ყველაზე მასობრივად მაინც, ქართველობა რუსეთის არმიის სამსახურში იყო წარმოდგენილი, რაც განპირობებული იყო როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორებით. მთელი სიცხადით უნდა ითქვას, რომ ქართველებს საკმაოდ სოლიდური წვლილი მიუძღვით რუსული სამხედრო იარაღის წარმატებებსა და განსაკუთრებით რუსეთის იმპერიის მიერ ამ პერიოდში წარმოებულ აღმოსავლურ ომების დროს მოპოვებულ გამარჯვებებში. უკანაკსნელ ხანებში დაზუსტებული პროცენტული მონაცემებით – საქართველოს მოსახლეობამ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ყველა დაპყრობილ ხალხზე მეტი წილი გაიღო ყველა იმ ომში, რომელშიც რუსეთის ცარიზმი იყო ჩართული. ამიტომაც წერდა ილია ჭავჭავაძე, რომ „ქართული დროშა, რუსეთის დროშასთან ერთად არაერთხელ გამოსულა საომარ ველზე და მისი სახელით არაერთხელ დაუღვრია სისხლი“. ალექსანდრე პუშკინიც ადასტურებს, რომ „ქართველები მეომარი ხალხია, მათ დაამტკიცეს თავიანთი მამაცობა ჩვენი დროშის ქვეშ“. და მართლაც, ქართველების მხედრული სიმამაცე გამოიხატა მათ სამხედრო წოდებებსა და ჯილდოებში: 1699-1917 წლებში ქართველ 408 სამხედრო პირს ჰქონდა მინიჭებული გენერლის წოდება, ხოლო რუსეთის იმპერიის უმაღლეს ჯილდოს – წმინდა გიორგის სხვადასხვა ხარისხის ორდენს 320-ზე მეტი ქართველი მეომარი ფლობდა.

საქართველო XVIII საუკუნის I ნახევრის რუსეთის ომებში. რუსეთის არმიის არტილერიის პირველი გენერალი – ალექსანდრე ბაგრატიონი

ქართველები რუსეთის ომებში XVII საუკუნიდან მონაწილეობდნენ. XVII საუკუნის ბოლოს რუსეთში არსებული ქართული კოლონია არცთუ დიდი იყო. ძირითადად ეს იყო ერეკლე დავითის ძის (მეფე თეიმურაზ I-ის შვილიშვილის) და მისი დედის - დედოფალ ელენეს მრავალრიცხოვანი ამალის ნაშთი. ისინი რუს დიდგვაროვან ბოიარებს დაუმოყვრდნენ და აღარ ისურვეს სამშობლოში დაბრუნება, ამ ქართველთა შორის იყო ერეკლეს აღმზრდელის - ლაზარე დავითაშვილის მემკვიდრის - ხოხონა რომანოზის ძე დავითაშვილის მრავალრიცხოვანი ოჯახი. ხოხონა დავითაშვილს ცხრა ვაჟი ჰყავდა, რომელთა შორის უმრავლესობამ გამოიჩინა თავი რუსეთის არმიაში თავისი მხედრული ნიჭითა და გამბედაობით.

ალექსანდრე ბაგრატიონი

რუსეთში მცხოვრებ ქართველთა შორის ყველაზე გამორჩეული მაინც მეფე არჩილის ვაჟი ალექსანდრე ბაგრატიონი იყო.

ალექსანდრე ბაგრატიონი 1674 წელს დაიბადა. 1684 წელს ის ასტრახანში დაბინავებულმა მეფე არჩილმა, ათი წლის ასაკში, რვა წლის ძმასთან - მათე

(მამუკა) ბაგრატიონთან ერთად მოსკოვს გაგზავნა, მცირეწლოვნობის გამო სახლში დაიტოვა უმცროსი ვაჟი - დავითი და ასული დარეჯანი, მოგვიანებით მთელი ოჯახი შეერთდა და მოსკოვში დასახლდა.

ალექსანდრე თავიდანვე დაუმეგობრდა პეტრეს, რომელმაც რუსეთის მეფის ტახტისთვის რთული ბრძოლები გადაიტანა და საბოლოოდ დაეუფლა მას. ამ დროს გავრცელებული საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, რუსეთის სამეფო კარზე აღზრდილი ქართველი უფლისწული ნიკოლოზ (ერეკლე) დავითის ძე, თეიმურაზ I-ის შვილიშვილი (ერეკლე I ნაზარალი ხანის სახელით იმეფა: ქართლში - 1688-1709, კახეთში - 1703-1709 წლებში), პეტრეს ბიოლოგიური მამა იყო. სავარაუდოდ, პეტრემ იცოდა ეს ამბავი და ამის გამო განსაკუთრებულად მეგობრობდა არჩილ მეფის შვილებთან. ქართველი უფლისწული და რუსეთის მბრძანებელი ბოლომდე ერთგულ მეგობრებად დარჩნენ. ის 1697 წელს მოსკოვიდან პეტრეს მიერ შედგენილ ელჩობას გაჰყვა ევროპაში. პეტრე ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ რუსეთში გაეტარებინა ევროპული რეფორმები, განსაკუთრებით იღვწოდა სამხედრო უწყების განახლებისა და გაძლიერებისთვის, რის გამოც ალექსანდრე ბაგრატიონი მისი თანამოაზრე და თანაშემწე გახდა. შემდეგში მან სწავლა განაგრძო უტრეხტის აკადემიაში, არტილერიის განხრით. აქ მან იმდროისათვის მაღალი თეორიულ-პრაქტიკული განათლება მიიღო. ჰააგაში ალექსანდრემ შეისწავლა საარტილერიო საქმე და 1700 წელს პირველი ქართველი გენერალ-ფელცეხმაისტერი (არტილერიის გენერალი) გახდა. ეს უმაღლესი სამხედრო წოდება მას პირადად პეტრე I-მა მიანიჭა.

რუსეთის არტილერიის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ალექსანდრე ბაგრატიონის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოს - „საარტილერიო წიგნი“, მასში თავმოყრილი იყო არტილერიის სფეროში ევროპაში ამ დროისთვის არსებული ცოდნა (ეს წიგნი XVIII საუკუნის 20-იან წლებში ქართულ ენაზეც ითარგმნა).

ევროპაში გამორჩეულად ძლიერი შვედეთის წინააღმდეგ საომარი სამზადისის დროს რუსული არტილერიის საფუძვლები ქართველი გენერლის ინიციატივით იქმნებოდა. მას ამ მიმართულებით დიდი მიზნები ჰქონდა, თუმცა, ვერ შესძლო მათი განხორციელება, რადგან 1700 წელს ომი დაიწყო, რომელშიც ალექსანდრე პირველი ჩაება. მან, ფაქტობრივად, პირველმა შექმნა საარტილერიო უწყება რუსეთის არმიაში, პირველმა შეადგინა სახელმძღვანელო და დასახა დარგის განვითარების გეგმა, მაგრამ არ დასცალდა მისი განხორციელება: მალევე ჩავარდა ტყვედ, თითქმის ათი წელი გაატარა სტოკჰოლმის ციხეში. როგორც წყაროები მიუთითებენ, შვედეთის მეფე კარლოს XII მას ყველა პატიმარზე მკაცრად ექცეოდა. მისგან ითხოვდნენ სამხედრო საიდუმლოების გამხელასა და მისი მაღალი სამხედრო წოდებისა თუ საქართველოს ტახტის მემკვიდრეობის გამო სასტიკად სჯიდნენ. 1703 წლის ნოემბერში მეფის კანცლერი თევდორე გოლოვინი იწერებოდა, რომ სტოკჰოლმის ციხეში რუსი გენერლები და სამხედრო ტყვეები სახლიდან გაგზავნილ ამანათებსაც ვერ იღებდნენ, ამიტომ ბევრი მათგანი მოკვდაო. თავის აღსასრულს ელოდა ალექსანდრე ბაგრატიონიც, რომელიც ამავე დროს გოლიცინს წერდა, რათა რომელიმე „მადლიანი მღვდელი“ გაეგზავნა, „ქრისტიანული წესით სიკვდილის ღირსი“ რომ გამხდარიყო.

კარლოსი ამცირებდა ალექსანდრეს, მორჩილ რუს ტყვეებს კი პრივილეგირებულ მდგომარეობას უქმნიდა. როდესაც პეტრემ გაიგო კარლოსის მიერ ალექსანდრეს დამცირების ამბავი, სამაგიერო გადაუხადა შვედეთის მეფეს: გამოიყვანა ტყვე შვედები და შვედეთის ელჩთან ერთად მოსკოვის ქუჩები შემოარბენინა. კარლოსმა უარი თქვა მის გაცვლაზე შვედ ტყვეებში, ათი კასრი ოქრო მოითხოვა რუსეთის მეფისგან „პრინცი ალექსანდრეს“ გასათავისუფლებლად. პეტრემ განაცხადა, რომ ეს რუსეთის ხაზინას გააღატაკებდა და ალექსანდრეს თანხმობის გარეშე ამას ვერ გადაწყვეტდა. მაშინდელი მოსკოვი აღაფრთოვანა ალექსანდრე ბაგრატიონის პასუხმა, რომელიც მან პეტრეს გამოუგზავნა კითხვაზე: გადაეხადა თუ არა რუსეთის ხაზინიდან ამდენი ოქრო მის დასახსნელად. „არათუ სათქმელად, ფიქრადაც კი არ მომსვლია, რამე ზარალი მოუვიდეს სახელმწიფოს არათუ ჩემი განთავისუფლებისა, არამედ იმათი განთავისუფლებისთვისაც კი, რომლებიც ჩემზე ათასკეცად მეტი ღირან; ჩვენ იმისთვის ვართ მოწოდებულნი: ვითმინოთ და მოვკვდეთ მამულის ინტერესებისათვის“. აქედან ჩანს, რომ მამაცი ქართველი უფლისწული მზად იყო მისი სიცოცხლე პეტრე I-ისა და მისი სახელმწიფოსთვის დაეთმო. და ეს მაშინ, როდესაც ბევრმა რუსმა დიდებულმა უღალატა რუსეთის ხელმწიფეს და მტრის მხარეზე გადავიდა. მოგვიანებით, შვედეთის მეფემ თანხმობა განაცხადა, რომ ალექსანდრე ოც კაპიტანზე, ოც პორუჩიკსა და ოც პრაპორშჩიკზე გაეცვალა, თუმცა, როგორც კი საქმე საქმეზე მიდგა, სიტყვა უკან წაიღო. მხოლოდ პოლტავასთან გამარჯვებამ გახადა შესაძლებელი შვედები ხელმეორედ დათანხმებულიყვნენ გაცვლას. მაგრამ ტყვეთა გაცვლა კვლავ დაგვიანდა. ამან

იმედგადაწურული ტყვეების აღშფოთება გამოიწვია, მათ ხელთ იგდეს შვედების ერთ-ერთი ხომალდი და 1711 წლის 19 ივნისს მოადგნენ რეველს. 44 ტყვე რუსს შორის იყო ალექსანდრეს სულიერი მოძღვარი, იმერელი მღვდელი, როგორც ერთ-ერთ რუსულ დოკუმენტშია აღნიშნული „Священик мелетинской“. თავჩაქინდრული გადმოვიდა მღვდელი ნაპირზე: ხანგრძლივი პატიმრობითა და წამებით დაუძლურებულ ალექსანდრე ბატონიშვილს მის ხელებში დაელია სული. პეტრეს ბრძანებით, ის უმაღლესი სამხედრო პატივით დონის მონასტრის დიდ ტაძარში დაკრძალეს.

ვახტანგ VI-ის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი პეტრე I-თან.

მას შემდეგ, რაც პეტრე I-მა იმპერიად გამოაცხადა რუსეთი და სამხრეთი საზღვრების გადაწევა დაისახა მიზნად, მან სცადა გამოეყენებინა ქართული ჯარი, რისთვისაც ქართველ მეფეს სათანადო დაპირებები მისცა. ქართველთა სამხედრო სიძლიერეში მას არწმუნებდა როგორც თავისი გარემოცვა, ასევე სხვა პირთა ცნობებიც ამ ჯარის სიძლიერესა და შესაძლებლობებზე.

XVIII საუკუნის 10-იანი წლებიდან პეტრე I იწყებს პოლიტიკურ-სამხედრო კავშირის დამყარებას ქართლის მეფე ვახტანგ VI-სთან, პოლტავასთან მოპოვებულმა წარმატებამ მას სრული იმედი ჩაუსახა, რომ შვედეთის სახელმწიფოსთან ომს საბოლოოდ მოიგებდა და ფართო სამომავლო გეგმების განხორციელებისათვის მზადებას შეუდგა.

1712-1719 წლებში სპარსეთში მყოფ ვახტანგთან კავშირი რუსეთის ელჩმა არტემ ვოლინსკიმ გაბა. ეს ურთიერთობა ელჩს დავალებული ჰქონდა პეტრე I-ისგან.

ომში გამარჯვებამ და იმპერიის საზღვრების ჩრდილოეთით გაფართოებამ პეტრეს გაუძლიერა რწმენა, რომ რუსეთის საზღვრებს სამხრეთითაც გადასწევდა. ამისთვის მას სჭირდებოდა ოსმალეთისა და სპარსეთის განდევნა კასპიის და შავი ზღვის სანაპიროებიდან.

არტემ ვოლინსკისაგან სპარსეთიდან მიწოდებული ცნობებით, პეტრემ გაიგო, რომ ქართველების სამხედრო ძალა სპარსეთში მნიშვნელოვანი იყო. ყველა ომს ეს ქვეყანა ქართული ჯარით იგებს, თუ მოისურვებენ და გაერთიანდებიან, ქართველებს არა მარტო თავის გათავისუფლება შეუძლიათ სპარსეთისგან, არამედ მისი დაპყრობაცო, – წერდა ვოლინსკი. პეტრე I-მა გადაწყვიტა ოცდაერთწლიან ომში დასუსტებული რუსული არმია ამ ჯარით გაემაგრებინა.

პეტრეს შორსმიმავალი მიზანი იყო უკვე დასუსტებული სპარსეთ-ოსმალეთის ხელში ჩაგდება, მაგრამ პირველ ეტაპზე ამ ქვეყნებში ეკონომიკური ინტერესების გატარება სურდა. რაც შეეხება კასპიისპირეთს, ეს რეგიონი ჯერ „რუსეთის მფარველობის ქვეშ უნდა მოექცია, შემდეგ დაეპყრო და შიგ რუსი ჯარისკაცები ჩაესახლებინა“ (ივ. ჯავახიშვილი). ავღანელთა მიერ სპარსეთის დაპყრობის შიშმა, რუსი ავტორის ბუტკოვის აზრით, დააჩქარა რუსეთის მოქმედება. თუ მხედველობაში მივიღებთ ვოლინსკის მიერ ქართული ჯარის ბრძოლისუნარიანობის შეფასებას, ასევე პეტრეს ქართულ კავშირებს, ძნელი აღარ იქნება იმაში დარწმუნება, რომ ამ საქმეში რუსეთი აუცილებლად გამოიყენებდა ქართველთა ჯარს, თანაც, კასპიისპირეთის, სპარსეთ-ოსმალეთის დაპყრობაზე მეოცნებე იმპერატორს საქართველო თავის სატელიტურ სივრცეში უპირველესად ეყოლებოდა მოაზრებული.

1722 წელს რუსეთმა სპარსეთის წინააღმდეგ სამხედრო კამპანია წამოიწყო, რაშიც ვახტანგ VI-ის ჩართვაც შესძლო. ქართლის მეფესა და რუსეთის იმპერატორს თავთავიანთი ინტერესები ამოძრავებდა, რაც ნაწილობრივ ემთხვეოდა ერთმანეთს. ორივეს მიზანი სპარსეთის დამარცხება იყო, მაგრამ გამარჯვების შემდეგ ვახტანგს, რუსეთის დახმარებითა და მფარველობით, რეგიონში ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნა სურდა, პეტრეს კი კასპიისპირეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონება. ეს ორი ინტერესი, საბოლოო ჯამში, ერთმანეთს გამორიცხავდა და რუს-ქართველ მეფეთა კავშირიც დასამარცხებლად წინასწარ იყო განწირული.

იმდენად დიდი იყო პეტრესადმი ვახტანგის რწმენა, რომ მან არ დაუჯერა სამეფო დარბაზს, ქართველ დიდებულებს, გადაეფიქრებინა ამ ლაშქრობაში მონაწილეობა. მამის გადაწყვეტილების წინააღმდეგი იყო ტახტის მემკვიდრე ბაქარიც, რომელიც 1722 წლის მარტში შაჰის გვარდიის სარდლად დაინიშნა. ვახტანგის იმედი პეტრეს პიროვნებით და ერთმორწმუნოებით საზრდოობდა.

რუსეთს კასპიისპირეთის დასაპყრობად სჭირდებოდა საბაბი, რაც ადვილად მოიძებნა. 1721 წლის 7 აგვისტოს შემახაში ლეკები დაესხნენ თავს რუს ვაჭრებს და გაძარცვეს. რუსეთმა ამ თავდასხმის ორგანიზატორების დაუდბეგისა და სურხაი-ხანის გადაბირებაც სცადა, მაგრამ ვერ შესძლო, რადგან ისინი ოსმალეთის აგენტები იყვნენ. 1722 წლის 15 მაისს პეტრე ჯარით დაიძრა ასტრახანისაკენ, 274 ხომალდით დაუყვა მდინარე მოსკოვს და მდინარე ოკით და მდინარე ვოლგით ჩააღწია დანიშნულების ადგილს. მან ასტრახანში გამოსცა მანიფესტი ლეკების წინააღმდეგ, დაპირდა მშვიდობას და მათგან მხარდაჭერა ითხოვა.

ბორის თურქესტანიშვილის პირით მან შემოუთვალა ვახტანგს, რომ მალე მიადგებოდა სპარსეთის საზღვრებს და ის ლეკებს საჩქაროდ უნდა დასხმოდა თავს, ამასთან, „თავისი დაწყობილი ლაშქრით“ სპარსეთს შესულიყო და იქ მოეცადა, სანამ პეტრეს ცნობა მოუვიდოდა, თუ სად შეერთებოდნენ ერთმანეთს.

ვახტანგი გაემართა შეხვედრის ადგილისკენ 30 ათასი ქართული და 10-ათასიანი სომეხთა ჯარით. თუ გავითვალისწინებთ ქართული ჯარის ვოლინსკისეულ შეფასებას, საბრძოლო რაზმების „დაწყობილობას“, ამ დროისთვის ქართული ჯარის ეს რაოდენობა მეტად მნიშვნელოვანია. დიდი ენთუზიაზმი ახლდა ჯარისა და მისი სარდლის სულისკვეთებას. ისინი მოუთმენლად ელოდნენ რუსული ჯარის გამოჩენას კასპიისპირეთში, ბრძოლების გადატანაც მოუხდათ შაჰის უერთგულეს განჯის ხანთან. ამ დროს ვახტანგი შაჰისგან უკვე იყო დანიშნული აზერბაიჯანის ბეგლარბეგად და ლეკებთან ბრძოლა მისი მოვალეობა იყო. მეფე იმედოვნებდა, რომ ამით შენიღბავდა თავის ლაშქრობას კასპიისპირეთში, რაც გულუბრიყვილობა აღმოჩნდა, მითუმეტეს, განჯის ხანთან შებრძოლების შემდეგ. 20-25 დღე განჯაში მდგარ ქართულ ჯარს გაუჭირდა (თუმცა ნოემბრის შუა რიცხვებამდე მოუწია იქ დარჩენა). მას სამი თვე აჩერებდნენ და აიმედებდნენ, რომ პეტრე მოდიოდა და აგერ ახლა შეუერთდებოდა ქართულ ჯარს. იმის გამო, რომ პეტრემ თავის მიზანი შეასრულა და ამ ეტაპზე აღარ დასჭირდა ქართული ჯარის გამოყენება, რუსეთის იმპერატორი უბრძოლველად შევიდა დარუბანდსა და ბაქოში, ამის შემდეგ კი ის უკან გაბრუნდა.

სამწუხაროდ, ეს ლაშქრობა ტრაგიკულად დასრულდა ქართლის მეფისა და მისი ქვეყნისათვის, აშკარა რუსული

ორიენტაციის გამო, მუსლიმი მეზობლებისაგან ქართლის სამეფო და მისი დედაქალაქი დაპყრობილი და აოხრებული იქნა, მეფე კი, საკუთარი ქვეყნიდან განდევნილი.

ამ ლაშქრობაში პეტრეს ახლდნენ ქართველი მეომრები. რუსული ჯარის ერთ რაზმს მეთაურობდა პოდპოლკოვნიკი მიხეილ ზუმბულიძე, რომელიც სპარსელებთან შეტაკებისას დაიღუპა. მეომრებს შორის იყო ალექსანდრე არჩილის ძის ცოლის ძმა, პოდპოლკოვნიკი მიხეილ დავითაშვილი, რომელიც არტილერიაში მსახურობდა და დარუბანდამდე მივიდა.

ქართული შენაერთები XVIII საუკუნის I ნახევრის რუსულ არმიაში.

1723 წელს პეტრე I-მა ბრიგადირ ლევაშოვს მისცა „უმაღლესი სიგელი“, რათა ქართველები მასობრივად მიეღოთ რუსულ არმიაში. იმპერატორის 1723 წლის 16 სექტემბრის ბრძანებით, შეიქმნა პირველი ქართული „კომანდები“. 1725 წლიდან ეს ფორმირებები საგრძნობლად შეავსეს რუსეთში ჩასულმა ვახტანგ VI-ის ამალის წევრებმა. 1725 წელს დაარსდა ციხე-სიმაგრე და ქალაქი ყიზლარი, სადაც ჩამოყალიბდა ქართული კოლონია, რომელმაც შემდეგში დიდი როლი ითამაშა რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში. 1735 წელს დაიწყო კავკასიის ხაზის მშენებლობა, რაც 50 წელი გაგრძელდა. კავკასიის ხაზი შედგებოდა ციხე-სიმაგრეებისა და „სტანიცებისაგან“: მოზდოკი, გროზნო, ვლადიკავკაზი, გეორგიევსკი, ეკატერინოგრადი და ა.შ., რომელთა შორის, 20-30 კილომეტრის დაშორებით განლაგებული იყო ფორტები, ყოველ 3-5 კმ-ში საგუშაგოები. 1738 წელს იმპერატრიცა ანას (1730-1740) პერიოდში ჩამოყალიბდა

ქართველ ჰუსართა პოლკი, რომლის წევრებსაც მამულები და ყმები გამოეყოთ უკრაინაში. ეს პოლკი 1760 წლამდე არსებობდა და შემდეგ მოსკოვის ლეგიონს შეუერთდა. პოლკი მონაწილეობდა შვიდწლიან ომშიც (1756-1763).

1738 წლის 17 მაისის უმაღლესი ბრძანებით ჰუსართა რიგებში ირიცხებოდნენ ქართველი მეომრები: დიმიტრი, ანდრია და ვახტანგ ორბელიანები, დავით, ოთარ და იოთამ ერისთავები, ედიშერ ამილახვარი, იესე ციციშვილი, ოთარ და სვიმონ ჩოლოყაშვილები, მერაბ და გერასიმე ანდრონიკაშვილი, ათანასე ქობულაშვილი, ნოდარ ბარათაშვილი, დიმიტრი შალიკაშვილი, გერასიმე და შიოშ ჯავახიშვილები, ნიკოლოზ მანველიშვილი, დავით გურამიშვილი.

ქართველმა ჰუსარებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსეთ-ოსმალეთის 1735-1739 წლების ომში. მათ მხედრულ ღირსებასა და თავგანწირულ ბრძოლებზე არაერთხელ მიუთითებდა სენატისადმი თავის მიმართვებში ამ ომის მთავარსარდალი, გენერალ-ფელდმარშალი ბურხარდ ფონ მინიხი. „ქართველები სამხედრო სამსახურში ყოველთვის მამაცობას ავლენენ“, „ქართველები ისე იქცეოდნენ, როგორც შეეფერება მამაც და საიმედო ხალხს, ისე, რომ მეტის მოთხოვნა შეუძლებელია“, „ქართველ მებრძოლებზე ძალიან დიდი მოთხოვნილებაა“, „უკეთესი იქნებოდა, ამგვარი ადამიანები უფრო მეტნიც ყოფილიყვნენ“, ასეთი სიტყვებით მოიხსენიებდა მთავარსარდალი რუსულ არმიაში მებრძოლ ქართველ მეომრებს.

ერთ-ერთი, ვინც ამ ომში მამაცობა გამოავლინა, იყო რუსეთში მცხოვრები ქართველი, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი გიორგი ლევანის ძე დადიანი, რუსეთში

ცნობილი, როგორც ეგორ ლეონტის ძე დადიანოვი (1683-1765). სამწუხაროდ, რუსეთში მცხოვრებ ქართველებს ეროვნულობის მთავარი ნიშნები რომ წაშლილი ჰქონდათ, აქედანაც ჩანს. გარდა იმისა, რომ აღარ იცოდნენ ქართული ენა, სახელი და გვარიც კი რუსული ტრანსკიპციით ჰქონდათ გადაკეთებული. ერთადერთს, რაც გააჩნდათ, მხედრულ მამაცობას ისინი დაუნანებლად სწირავდნენ ახალ სამშობლოს და დაუფიქრებლად კვდებოდნენ ბრძოლის ველზე მისი დიდებისათვის. რაც შეეხება ეგორ დადიანოვს, ის 17 წლიდან ცხოვრობდა რუსეთში, ამიტომ ქართული ენა იცოდა, ასევე მშობლიური ენის დონეზე ფლობდა რუსულს, დაასრულა საარტილერიო სასწავლებელი და საფუძვლიანი სამხედრო-ტექნიკური ცოდნაც შეიძინა. მას წილად ერგო გაეგრძელებინა ალექსანდრე ბაგრატიონის მიერ დაწყებული საარტილერიო საქმე. იგი ჯერ კიდევ შვედეთთან ომში (1700-1721) მონაწილეობდა კაპიტან-პორუჩიკის წოდებით. 1735-1739 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში აქტიურად ჩაბმული დადიანი 1739 წლის 17 აგვისტოს მონაწილეობდა სტავუჩანის ბრძოლაში, სადაც რუსული არმიის არტილერიას მეთაურობდა. ველიფაშას ბანაკის განადგურებისა და ომში გამოჩენილი მამაცობისათვის მას პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა და ხოტინის ციხე-სიმაგრის კომენდანტის თანაშემწედ დაინიშნა. ომში მონაწილეობდნენ ასევე უფლისწული ბაქარ ვახტანგის ძე ბაგრატიონი და ბაადურ (ბორის) ბაგრატის ძე თურქესტანიშვილი. ომის დროს ბაქარ ბაგრატიონი გენერალ-ლეიტენანტი და მოსკოვის ოლქის არტილერიის უფროსი იყო, თურქესტანიშვილი კი პოდპოლკოვნიკი. ქართველები განსაკუთრებულ სიმამაცეს იჩენდნენ,

თუმცა მათი ეროვნება ხშირად იკარგებოდა ამ გადაკეთებული და სრულიად შეცვლილი გვარსახელების გამო, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო რუსეთში მცხოვრები გარუსებული ქართველებისათვის.

ბაქარ ვახტანგის ძე ბაგრატიონი

ქართველები აქტიურად იბრძოდნენ რუსეთ-შვედეთის 1741-1743 წლების ომშიც. პეტრე I-ის მიერ დაწყებული სამხედრო-საზღვაო ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა გენერალ-მაიორმა გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონმა (1712-1786). მან დაწვრილებით დაამუშავა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე სამხედრო ძალების დესანტირების ტაქტიკური და სტრატეგიული საკითხები, რითაც იზრდებოდა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალებისა და თავდაცვითი ნაგებობების განადგურების შესაძლებლობა.

რუსი ისტორიკოსი ნ.შპილევსკი რუსეთ-შვედეთის ომის შეფასებისას წერს, რომ გიორგი ბაგრატიონმა მოხერხებული სტრატეგია და ტაქტიკა გამოავლინა ომში. „გენერალ-მაიორი უფლისწული გიორგი ბაგრატიონი, აღნიშნავს იგი, – 1742 წლის 10 აგვისტოს მეთაურობდა 4000 გრენადერს და მუშკეტერს, რომლებიც გადმოსხდნენ გალერებიდან და მშვიდობიანად მიაღწიეს რუსულ ბანაკამდე, წარმატებულად ხელმძღვანელობდა დესანტს, საბრძოლო ცეცხლი და მანევრი ერთმანეთს შეათანხმა,

ხელოვნებით გამოიყენა რეზერვი, ბრწყინვალე იყო კრონშტადტიდან მიტავაში საგალერო ფლოტის დესანტის გადასხმა...“ გიორგი ბაგრატიონმა ამ ომში დამსახურებისთვის ოქროს ხმალი პირადად იმპერატრიცა ელისაბედის (1741-1761) ხელიდან მიიღო.

რუსეთ-შვედეთის ომში ბევრი ქართველი დაიღუპა, ბევრმა მიიღო მაღალი სამხედრო ხარისხი და დაწინაურდა. ომში მონაწილე და წარმატებისათვის დაჯილდოებულ ქართველთა შორის იყვნენ: ქართველ ჰუსართა პოლკის მეთაური, პოდპოლკოვნიკი (1741) ქაიხოსრო მამუკას ძე გურიელი (ქრისტეფორე მატვეის ძე გურიალოვი): ქართველ ჰუსართა პოლკის მაიორი, ედიშერ პაატას ძე ამილახვარი (ელისეი პოტაპის ძე მილოხვაროვი); კაპიტანი (1742) ფრანგისტან დავითის ძე თურქესტანიშვილი (ტურკისტანოვი); კაპიტანი (1742) ივანე დავითის ძე ჩხეიძე; კაპიტანი დიმიტრი ედიშერის ძე შალიკაშვილი (შალიკოვი) და სხვები.

ქართული შენაერთების მონაწილეობა XVIII საუკუნის II ნახევრის რუსულ ომებში. მონაწილეობა შვიდწლიან ომში (1756-1763 წწ.)

რუსეთში მცხოვრები ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ შვიდწლიან ომში. მათ თავი ისახელეს არა მარტო სახმელეთო, არამედ სამხედრო-საზღვაო ბრძოლებშიც. ისინი განსაკუთრებულ ნიჭს ავლენდნენ სამხედრო-ტექნიკურ მომზადებასა და საარტილერიო დარგში.

შვიდწლიან ომში კვლავაც თავი გამოიჩინა შვედეთის ომის გმირმა გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონმა. მან რუსეთის საზღვაო ფლოტის საბრძოლო უნარი

განავითარა უცხოეთის მიღწევებისა და ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით. მან რუსეთის ფლოტის ხელმძღვანელობისას ბალტიის ზღვასა და ფინეთის ყურეში მოპოვებული წარმატებებით საგრძნობი წვლილი შეიტანა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვითარებაში. ომის მიმდინარეობისას, ამ გამარჯვებებისათვის, ის წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენით დაჯილდოვდა.

1761 წლის 5 დეკემბერს ბალტიის ფლოტის ესკადრით გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონი მონაწილეობდა ციხე-სიმაგრე კოლბერგის ალყასა და აღებაში, რისთვისაც ამავე წლის დეკემბერში მიენიჭა გენერალ-ანშეფის უმაღლესი წოდება (ნიშნავს სრულ გენერალს, რომელიც ერთი საფეხურით დაბლა იდგა გენერალ-ფელდმარშალზე).

შვიდწლიანი ომის დროს დაწინაურებულ ქართველ-თა შორის იყო ქართველ ჰუსართა პოლკის პოლკოვნიკი ედიშერ პაატას ძე ამილახვარი. 1758 წლის 14 აგვისტოს, სოფელ ცორნდორფთან მისმა გრენადერებმა ზუსტი ცეცხლით შეაჩერეს პრუსიის ქვეითთა შეტევა, შემდეგ იერიში თავად მიიტანეს და მოწინააღმდეგე უკუაქციეს. პოლკმა და მისმა ქართველმა მეთაურმა პოლკოვნიკმა ამილახვარმა (რუსებისათვის მილოხვაროვმა) გამოიჩინეს მამაცობა, შეინარჩუნეს თავისი პოზიციები და მოწინააღმდეგე ბრძოლის ველიდან გააქციეს.

1759 წლის 1 აგვისტოს, ქუნესდორფის ბრძოლაში ედიშერ ამილახვარმა თავისი პოლკით იერიში მიიტანა იმ პოზიციებზე, რომლებიც განლაგებული იყო ქუნესდორფსა და ფრანკფურტს შორის მდებარე მაღლობებზე. ისევე, როგორც შვედებთან, შვიდწლიან ომშიც თავი გამოიჩინა დიმიტრი ედიშერის ძე შალიკაშვილმა (შალიკოვმა). ომში გამოჩენილი მამაცობისათვის, 1760 წელს, მას

პოდპოლკოვნიკის, ხოლო 1763 წელს პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა.



დავით გურამიშვილი

არტილერიის პორუჩიკმა, იაკობ მიხეილის ძე ზემბულატოვმა (ქართველი ზუმბულიძე) თავი გამოიჩინა ციხე-სიმაგრე კოლ-ბერგის ალყისას, წარმატება მოი-პოვა სოფელ ვენსტენტისთან ბრძოლაში.

შვიდწლიან ომში მონაწი-ლეობდა დიდი ქართველი პო-ეტი დავით გურამიშვილიც (გუ-რამოვი). ის ტყვედ ჩაუვარდა პრუსიელებს და მაგდებურგის ციხეში ჩასვეს. დიდ ქართველ პოეტს თავად აქვს აღწერილი ტყვედ ჩავარდნის ამბავი. როგორც ბევრმა ქართველმა, თავდადებული ბრძოლით მანაც განადიდა რუსული იარაღი.

XVIII საუკუნის რუსეთის არმიის სამხედრო-ტექ-ნიკური დარგის ნოვატორთა შორის ერთ-ერთი ცნო-ბილი ნოვატორია ქართველი სამხედრო მოღვაწე. არტილერიის პოდპოლკოვნიკი სვიმონ რომანის ძე ჩოლოყაშვილი (ჩელოკაევი). 1754 წელს მან რუსეთის სენატს წარუდგინა ცეცხლსასროლი იარაღის პროექტი, რის საფუძველზეც 1756 წელს დამზადდა როგორც იარაღი, ასევე ყუმბართმტყორცნი მანქანები. ამ იარაღების შემოწმებით დადგინდა, რომ თითოეული ყუმბარმტყორ-ცნი ერთი ზალპით 13 ტყვიასა და 5 ხელყუმბარას ისროდა. მართალია, ამ გამოგონებისათვის მისი ავტორი ფულადი ჯილდოთი წაახალისეს, მაგრამ გამოგონება მაშინ არ

დაინერგა, მიუხედავად ამისა, ამ გამოგონებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სვიმონ ჩოლოყაშვილის მიერ დაპროექტებული და შექმნილი მანქანები XX საუკუნის ნაღმტყორცნების მოდელთან ძალზე ახლოსაა.

შვიდწლიან ომში მონაწილე ქართველები სიმამაცესა და სამხედრო ნიჭთან ერთად მეთაურისათვის მეტად საჭირო ორგანიზატორულ თვისებებსა და ხელმძღვანელობის უნარსაც ავლენდნენ, კარგად ერკვეოდნენ იმ დროისათვის რუსეთის არმიაში არსებულ სამხედრო-ტექნიკურ პრობლემებში, უკვე მოძველებულ სამხედრო სტრატეგიასა და ტაქტიკაში და ყოველნაირად ცდილობდნენ მის გამოსწორება-გაუმჯობესებას.

ქართველების მონაწილეობა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში.

1768 წელს რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის ომი დაიწყო. ომში თავი გამოიჩინეს რუსეთში მცხოვრებმა ქართველმა სამხედროებმა. მათ შორის გამოიკვეთა შესანიშნავი პლეადა იმ სამხედრო მოღვაწეებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ უწინდელ საომარ კამპანიებში, ჰქონდათ დიდი სამხედრო გამოცდილება და თავიანთი მოქმედებებით საგრძნობლად გაამდიდრეს რუსეთის სამხედრო ხელოვნება. ქართველმა მეომრებმა ახალი ელემენტები შეიტანეს საბრძოლო სტრატეგიასა და ტაქტიკაში, ახალი სიტყვა თქვეს ისეთ მოქმედებებში, როგორიცაა ზღვიდან დესანტის გადასხმა, ციხე-სიმაგრეების გარემოცვა და შტურმით აღება და მრავალი სხვა.

1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში მონაწილე ქართველებიდან შეიძლება დავასახელოთ: პოლკოვ-

ნიკი ივანე ვახუშტის ძე ბაგრატიონი, პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე ბაგრატიონი, პოდპოლკოვნიკი მათე ათანასეს ძე ხვაბულოვი (ქობულაშვილი), რომელიც 1772 წლის 7 აპრილს დაჯილდოვდა წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით. ამავე ორდენით 1772 წლის 26 ნოემბერს დაჯილდოვდა პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე სიმონის ძე ბარატაევი (ბარათაშვილი).

ომის მონაწილეთა შორის იყვნენ ქართველი თავადები: პოდპოლკოვნიკი დავით გიორგის (იურის) ძე რატიშვილი (რატიევი), როტმისტრი დავით ივანეს ძე ფხეიძე, კაპიტანი ივანე დიმიტრის ძე შალიკაშვილი (შალიკოვი), პორუჩიკი ალექსი ხოსიას ძე ფხეიძე და სხვ. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი არტილერიის პოდპოლკოვნიკმა (1773) იაკობ მიხეილის ძე ზუმბულიძემ (ზემბულატოვმა). ბენდერის ციხე-სიმაგრის გარემოცვის ოპერაციაში ის მეთაურობდა არტილერიას. აქ გამოჩენილი მამაცობისათვის ქართველი მებრძოლი დაჯილდოვდა წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით. როგორც სამხედრო ისტორიკოსები ასკვნიან, ეს ორდენი ქართველებიდან სწორედ მას ერგო პირველად.

1779 წლის დასაწყისში პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა სევსკის ქვეითი პოლკის მეთაურს დავით გიორგის ძე მაჩაბელს (მაჩაბელოვს). ის დასაწყისშივე ჩაება ომში. განსაკუთრებით ისახელა თავი 1773 წლის 3 სექტემბერს მდინარე ბორუის გადალახვისა და გირსოვოს ციხე-სიმაგრეზე შეტევის საომარ ოპერაციაში. ამ ბრძოლაში (უშუალოდ ბრძოლის ველზე) მოპოვებული წარმატებისათვის მაჩაბელი დაჯილდოვდა წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით.

ყირიმისა და ევროპის ფრონტზე ოსმალების ზეწოლა რომ შეემცირებინა, რუსეთმა გადაწყვიტა ფრონტი

ერეკლე II

სოლომონ I

კავკასიაშიც გაეხსნა. რუსეთმა ერეკლე II-სა და იმერეთის მეფე სოლომონ I-ს ოსმალებთან ომისკენ მოუწოდა.

1769 წლის 21 მაისს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სთან თბილისში იმერეთის მეფე სოლომონ I ჩავიდა. ქართველი მეფეები ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. მათ ეგონათ, რომ რუსეთი კავკასიაში საკმაოდ დიდ ძალებს გამოგზავნიდა. ერეკლე მეფე სულ ცოტა 5-7 პოლკს მოითხოვდა, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ 400-მდე რუსი ჯარისკაცი ჩამოვიდა. მოგვიანებით ამას დაემატა 100 კაციანი ავანგარდი ტოტლებენის მეთაურობით. ეს ძალა დასახული მიზნის განხორციელებას მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფდა. აქედან ჩანდა, რომ რუსეთის ხელისუფლების გეგმით, ომი კავკასიაში მთლიანად ქართულ ჯარს უნდა ეტვირთა. ამასთან დაკავშირებით ცნობილია, რომ ეკატერინე II ტოტლებენისადმი მიმართულ ინსტრუქციაში არაორაზროვნად მიუთითებდა, რომ „უნდა

ვეცადოთ, ქართველების ხელით ვიომოთ, ხოლო სული კი ჩვენი იყოსო“. აშკარაა, რომ ინსტრუქცია ქართველებს პირდაპირ განიხილავდა, როგორც საზარბაზნე ხორცს, რათა ოსმალეთის სამხედრო ძალები, სხვა ადგილას ყოფილიყვნენ დაკავებულნი.

1769 წლის 29 აგვისტოს სოფელ ხოდასთან ერეკლე II ტოტლებენს შეხვდა. მან რუს გენერალს იმპერატორისაგან ხუთიათასიანი დამხმარე ჯარის, ასევე საარტილერიო საქმისა და სამთო სპეციალისტების გამოგზავნა მოსთხოვა. 3 ოქტომბერს ტოტლებენმა იმერეთის ჯართან ერთად შორაპნის ციხეზე მიიტანა იერიში. რუსმა გენერალმა ოთხი დღის შემდეგ მიატოვა ციხე და ქართლში გადავიდა. 1769 წლის 22 ოქტომბერს ეკატერინე II-მ ბრძანება გასცა, რომ საქართველოში 3700 რუსი მეომარი გამოეგზავნათ.

როდესაც ერეკლე II-მ დაინახა რუსეთის მიერ გადადგმული რეალური ნაბიჯები, იგი ჩაება ოსმალეთთან ომში. 1770 წლის 17 აპრილს მეფე ერეკლეს მეთაურობით ქართველთა შვიდიათასიანი და გენერალ ტოტლებენის რუსთა 1200-კაციანი ჯარი აწყურს მიადგა. გეგმის მიხედვით, მოკავშირეებს, აწყურის აღების შემდეგ ახალციხისთვის უნდა შეეტიათ. 19 აპრილს გენერალმა ტოტლებენმა მოულოდნელად მიატოვა ქართველი მოკავშირეები და ჯარიანად გაეცალა ბრძოლის ველს. 20 აპრილს ერეკლე II-მ ასპინძასთან მარტო შეუტია ოსმალთა 8-ათასიან კორპუსს და, თავისი ბრწყინვალე სამხედრო ტაქტიკის წყალობით, მთლიანად გაანადგურა. სამწუხაროდ, ამ გამარჯვებით ქართველებმა ვერ ისარგებლეს, მათ კარგად აღჭურვილი ოსმალების მიერ გამაგრებული ახალციხის აღება ვერ გარისკეს, რადგან არ იცოდნენ რუსი გენერლის გეგმები. ერეკლე ტოტლებენს დაედევნა, რომელიც

ქართლის მოსახლეობას მის წინააღმდეგ ამხედრებდა და რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე აფიცებდა.

შემდეგში, ტოტლებენი რუსეთიდან ჩამოსული 4000 ჯარისკაცით დასავლეთ საქართველოში გადავიდა და იქაც ქართული ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. მართალია, ეკატერინე II-მ ის საქართველოდან გაიწვია, მაგრამ არ დაუსჯია. პირიქით, მოგვიანებით დააჯილდოვა კიდეც. ტოტლებენის ნაცვლად საქართველოში გენერალი სუხოტინი გამოგზავნეს. სუხოტინს დაევალა ქართველ მეფეთა ძალებით დივერსიების მოწყობა ოსმალებისათვის და აეკრძალა რეგულარული სამხედრო ოპერაციები, მიზეზად დასახელდა ის, რომ „ოსმალეთისგან მიტაცებული ქართული მიწების შემოერთება ამ დროს რუსეთს საჭიროდ არ მიაჩნდა“.

სუხოტინი 1771 წლის მაისში ჩამოვიდა საქართველოში, ჯერ ერეკლე II-ს შეხვდა, შემდეგ კი ქუთაისში გაემგზავრა, სადაც რუსთა კორპუსი იდგა. სუხოტინმა არ დაუჯერა ერეკლე მეფეს, რომელსაც ზაფხულის პირობებში ფოთის ჭაობებში ბრძოლა არახელსაყრელად მიაჩნდა და ფოთის ციხის თურქული გარნიზონის წინააღმდეგ გაილაშქრა. რუსეთის ჯარი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ციებ-ცხელებით დაავადდა 2 ათასამდე ჯარისკაცი და თავად სარდალიც. ამასთანავე, სუხოტინი, ტოტლებენის მსგავსად, განაგრძობდა ინტრიგებს ქართველ მეფეთა წინააღმდეგ. სუხოტინმა ფოთს ალყა მოხსნა და 1772 წლის ივნისში საქართველოც დატოვა.

ოსმალეთთან საომარ მდგომარეობაში აღმოჩენილ-მა ერეკლე II-მ ომის დამთავრებამდე ეკატერინე II-სა და რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის უფროს გრაფ ნიკიტა პანინს რამდენიმე ნოტა გაუგზავნა – არ გაეყვანა ჯარი

საქართველოდან. მიუხედავად ამისა, რუსეთის სამეფო კარი და კოლეგია გულგრილად მოეკიდა ერეკლეს თხოვნას. 1772 წელს, იმპერატორის ბრძანებით, რუსული ჯარი საქართველოდან გავიდა. ქართლ-კახეთიცა და დასავლეთ საქართველოც საკუთარი ძალების მოიმედედ დარჩა.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი დასრულდა საზავო ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო 1774 წლის 10 ივლისს სოფელ ქუჩუკ-კაინარჯში (მდ.დუნაის მარჯვენა სანაპირო).

ზავით რუსეთმა მიიღო გასასვლელი შავ ზღვაზე, შავი ზღვისპირეთის სტეპური ზონა ნოვოროსია. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 23-ე მუხლი ეხებოდა დასავლეთ საქართველოს. ეს იყო პირველი ხელშეკრულება, სადაც რუსეთი იცავდა საქართველოს ინტერესებს. ზავის 23-ე მუხლი ასეთი სახით იყო ჩამოყალიბებული: – „საქართველოსა და სამეგრელოში მდებარე ციხეები: ბაღდათი, შორაპანი და ქუთაისი, რომლებიც რუსეთის იარაღით არიან მოპოვებულნი, რუსეთისაგან აღიარებული იქნება მათ კუთვნილებად, ვისაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ. და თუ ეს ქალაქები ნამდვილად ძველთაგანვე ან დიდი ხანია ბრწყინვალე პორტას ექვემდებარებოდნენ, მის საკუთრებად იქნებიან ცნობილნი; ამ ტრაქტატის გაცვლის შემდეგ, დათქმულ დროს, რუსეთის ჯარები გამოვლენ დასახელებული პროვინციებიდან საქართველოდან, სამეგრელოდან. ბრწყინვალე პორტა, თავის მხრივ, ტრაქტატის პირველი არტიკულის შესაბამისად, ვალდებულებას იღებს ყველას სრული ამნისტია გამოაცხადოს, რომლებმაც მას ომის მიმდინარეობის დროს ამ მხარეში რაიმე შეურაცყოფა მიაყენეს“. ბრწყინვალე პორტა უარს ამბობდა ხარკად

ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნაზე, ყოველ-
გვარ გადასახადებზე, იმაზე, რომ არავინ არ ჩაეთვალა
თავის მოქალაქეებად, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ ძვე-
ლი დროიდან, ყველა ციხესა და გამაგრებულ ადგი-
ლებს დატოვებდა ქართველებისა და მეგრელების
გამგებლობაში, არ შეავიწროვებდა ქართველთა სარწ-
მუნოებას, მონასტრებსა და ეკლესიებს, არ შეუშლიდა
ხელს ძველი ეკლესიების შეკეთებასა და ახლის აგებას,
ჩილდირისა და სხვა ვალებს არ უნდა შეევიწროებინათ
ისინი ისეთი მოთხოვნებით, რასაც მამულების დაკარგვა
მოჰყვებოდა. „მაგრამ რადგანაც დასახელებული ხალხები
პორტას ქვეშევრდომები არიან, ამიტომ რუსეთის იმპერია
შემდეგში მათ საქმეებში სრულიად არ უნდა ჩაერიოს და
არ შეავიწროვოს ისინი“.

1768-1774 წლების ომით რუსეთმა მიაღწია მიზანს, 1783 წელს შემოიერთა ყირიმი, მის ხელში გადავიდა ნოვოროსია, გაბატონდა შავი და აზოვის ზღვების სა-ნაპიროზე. ოსმალეთი ყირიმის დაკარგვას ვერ ეგუებოდა. 1787 წელს მან რუსეთს ყირიმის დაბრუნება მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. 1787 წელსვე რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიწყო ახალი ომი, რომელიც 1791 წლამდე გაგრძელდა.

ქართველების მონაწილეობა რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომში

რუსეთის მიერ ოსმალეთთან ომის დაწყებამ ქართლ-
კახეთის სამეფოს წევრები და საზოგადოება შეაშფოთა.
რუსეთ-საქართველოს შორის 1783 წელს გაფორმებული
ტრაქტატი მეზობელ მუსულმანურ ქვეყნებს აღიზიანებდათ.
ომში ისინი ოსმალეთის მხარეს დადგებოდნენ და

საქართველოს საფრთხეს შეუქმნიდნენ. ასეთი პერსპექ-ტივით შეშინებული მეფე ერეკლე ითხოვდა საქართვე-ლოში მდგარი რუსული ჯარის რაოდენობის გაზრდას. ქართლ-კახეთის სამეფოში მხოლოდ ორი რუსული ბატა-ლიონი იდგა. ოსმალეთთან ახალი ომის დაწყების შემდეგ, რუსეთმა ის ორი ბატალიონიც გაიყვანა. თუ როგორ შეაშფოთა ახალი მოკავშირის ამ გადაწყვეტილებამ ერეკ-ლე II, კარგად ჩანს მისი 1787 წლის 4 ოქტომბრის წერილით პოლკოვნიკ ბურნაშევისადმი. „ქიზიყში მივიღეთ თქვენი მაღალკეთილშობილების წერილი, სადაც გვთხოვთ, რომ საქართველოდან გასვლისათვის მოგამარაგოთ ურმებით. ჩვენ ძალიან გაკვირვებულნი ვართ, რომ ჯერ კიდევ არ გიბრძანებიათ იმ ურმების უკან დაბრუნება, რომელიც მოგეცათ განჯაზე ლაშქრობისათვის. მისი ბრწყინვალებისაგან ჩვენ არ გვცნობია, რომ ბატალიონები საქართველოდან გაიყვანებიან, არც ის, რომ ამაში ჩვენ ჩვენი მხრიდან უნდა დავეხმაროთ. ვიმყოფებით რა უკვე უკიდურეს მდგომარეობაში, მითუმეტეს ვწუხვართ, რომ ჩვენთვის უცნობია, რა მიზეზებით გვატყდება თავს ასეთი დიდი უბედურება. თქვენი მაღალკეთილშობილება ითხოვს ჩვენგან 60 ურემს თქვენი აქედან გასვლის გასაიოლებ-ლად. თქვენთვის ცნობილია, რა უკიდურეს სიღარიბეში იმყოფებიან ჩვენი ქვეშევრდომები მტრის გამო, და რომ ჩვენ არაერთხელ გეხმარებოდით უსასყიდლოდ. ახლა, ჩვენი ქვეშევრდომების უკიდურესი იმედგაცრუებით, თქვენ ტოვებთ საქართველოს სწორედ იმ დროს, როცა ომარ-ხანი გვემუქრება ჩვენს მიწებზე თავდასხმით“... მეფე წერდა, რომ მტერთან საბრძოლველად ვემზადებით, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გასვლისას თქვენი ჯარი მოვამარაგოთ, მეტს ნურაფერს მოგვთხოვთო.

1787 წლის 26 ოქტომბერს რუსული ჯარის ნაწილებმა ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრისკენ აიღეს გეზი. ამით რუსეთმა ტრაქტატის II სეპარატული მუხლი დაარღვია. უცხოელი მეცნიერების აზრით, ამით მან ფაქტობრივად გააუქმა ტრაქტატი.

ოფიციალურად რუსეთმა ეს აქტი შემდეგი მიზეზებით გაამართლა: 1. ოსმალეთთან ომს რუსეთი საქართველოს ტერიტორიიდან არ აპირებდა; 2. ერეკლესთვის ჯარის გაყვანა უკეთესი იყო, რადგან აგრესიას აცდებოდა ოსმალეთისა და მისი მოკავშირეებისაგან, თანაც დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა; 3. ჯარი მუდმივად შიმშილობდა საქართველოში (ბუტკოვი).

ერეკლე II-მ ასეთ რთულ ვითარებაში პორტასთან ხელშეკრულება გააფორმა, ოსმალეთი ქართლ-კახეთის მეფეს, ქვეყნიდან რუსული ჯარის გაყვანის სანაცვლოდ, ძველ ტერიტორიებზე უფლებების აღდგენასა და ახალი მნიშვნელოვანი ტერიტორიების მიცემასაც ჰპირდებოდა.

რაკი რუსეთ-ოსმალეთს შორის დაპირისპირების ყველაზე მწვავე მიზეზი კავკასიაში რუსების ყოფნა გახდა, 1788 წლის 14-16 დეკემბერს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე გეორგიევსკის ტრაქტატის ფაქტობრივმა შემდგენელმა ალექსანდრე ბეზბოროდკომ ასეთი იდეა წამოაყენა: დაეწყოთ სამშვიდობო მოლაპარაკება ოსმალეთთან და შეეთავაზებინათ მისთვის – ეცნო რუსეთის უზენაესობა ყირიმსა და ყუბანის აუზში, ეკისრა საქართველოსა და რუსეთის სასაზღვრო ზოლში ჩრდილოკავკასიელი ტომების თავდასხმების აღკვეთა, ქართლ-კახეთის სამეფოში აღდგენილიყო 1774 წლის ვითარება, როდესაც ის დამოუკიდებელი იყო ოსმალეთისგანაც და რუსეთისგანაც, ხოლო

დასავლეთ საქართველო ისევ ოსმალეთის იმპერიის ნაწილად დარჩენილიყო.

ოსმალეთი არ აპირებდა ნაწილობრივი დათმობით დაკმაყოფილებას, მას სწამდა ომის მოგების, მაგრამ ასე არ მოხდა. რუსეთის გამარჯვებებმა თვით რუსული ხელისუფლების იმედებსაც გადააჭარბა.

რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომში ქართველები კიდევ უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ, ავლენდნენ სიმამაცესა და თავდადებას, უნარიანად მეთაურობდნენ მათდამი დაქვემდებარებულ ნაწილებს: ბატალიონს, პოლკს, ბრიგადას, ოსტატდებოდნენ მტრის გამაგრებული ზღუდეებისა და სიმაგრეების აღებაში. ამ წარმატებებმა ბევრ ქართველ სამხედრო მოღვაწეს გაუხსნა ასპარეზი რუსეთის არმიაში მაღალი თანამდებობების დაკავებისა და სამხედრო წოდებების მიღებისაკენ.

ომის დროს დაწინაურებულ ქართველ სამხედროთა შორის იყვნენ: ასტრახანის პოლკის პრაპორშჩიკი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი, რუსეთის არმიის მომავალი დიდი მხედართმთავარი, რომელსაც 1788 წლის დეკემბერში საბრძოლო მამაცობისათვის გადაეცა ოქროს ჯვარი და წმინდა გიორგის ორდენი ბაფთაზე წარწერით: „ოჩაკოვი აღებული იქნა 6 დეკემბერს.“ ეგერთა მე-7 პოლკის მეთაურს, პოლკოვნიკ პეტრე ბაგრატიონს 1799 წლის 4 თებერვალს, 35 წლის ასაკში მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

პეტრე ბაგრატიონის ნიჭი სრულად გამოვლინდა 1799 წლის ლაშქრობებში იტალიასა და შვეიცარიაში. მან აღაფრთოვანა დიდი რუსი მხედართმთავარი სუვოროვი. ამ ლაშქრობების დროს პეტრე ბაგრატიონი მეთაურობდა მოკავშირეთა არმიის ავანგარდს, დაწინაურდა მდინარე

ადასა და ტრებიასთან, ასევე ნოვისთან და სენ-გოტარდთან ბრძოლებში. ამ ლაშქრობამ მას ბრწყინვალე გენერლის სახელი მოუპოვა. ის ხან ავანგარდში იბრძოდა, ხანაც არიერგარდში, სადაც საჭირო გახდებოდა, იქ გადადიოდა, დაიჭრა რამდენჯერმე, მაგრამ ბრძოლას თავს არ ანებებდა. რუსეთის სამხედრო ისტორიაში წარმატებით ჩაეწერა მისი დაუვიწყარი გმირობა 1812 წლის აგვისტოში ბოროდინოს ველზე ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ. მის სამხედრო ნიჭს თავად ნაპოლეონი მოწინააღმდეგეთა შორის ყველაზე დიდ შეფასებას აძლევდა.

სიმონ გიორგის ძე განგეზლოვი (გამგეზლიშვილი)

ომის მონაწილე ქართველ მეომრებს შორის იყო კაპიტანი სიმონ გიორგის ძე განგებლოვი (გამგებლიშვილი), რომელიც დაწინაურდა ოჩაკოვის შტურმისას 1788 წლის 6 დეკემბერს, როდესაც მეთაურობდა ე.წ. „მონადირეთა“ ჯგუფს. ციხე-სიმაგრის შტურმის დროს ის პირველი ავიდა მოწინააღმდეგის ბასტიონზე და ტყვიით მარცხენა ფეხში დაიჭრა. ამ მამაცობისთვის სიმონ განგებლოვს კაპიტნის წოდება მიენიჭა და დაჯილდოვდა ოქროს ჯვრით წმინდა გიორგის ორდენის ბაფთაზე წარწერით: „ოჩაკოვი აღებული იქნა 6 დეკემბერს.“

1789 წლის სექტემბერში განგებლოვი მონაწილეობდა ჰაჯიბეის ციხის აღებაში (დღ. ქალაქი ოდესა), 1790 წლის შემოდგომაზე კი იმყოფებოდა სადესანტო რაზმთან ერთად კონტრადმირალ თ.უშაკოვის ესკადრის შემადგენლობა-

პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი

ში, რომელიც იცავდა მდინარე დუნაის შესართავებს.

ამ ომში სახელი გაითქვა და თავისი დიდი სამხედრო ნიჭი გამოავლინა ცნობილმა სარდალმა, შემდგომში ინფანტერიის გენერალმა პავლე დიმიტრის ძე ციციანოვმა (1754-1806). მის დამსახურებას რუსეთის წინაშე არა მარტო რუსი ისტორიკოსები, არამედ უცხოელებიც უსვამენ ხაზს. მაგალითად: ინგლისელი მეცნიერი და მოგზაური ჯონ ბედლი ციციანოვის შესახებ წერდა, რომ ციციანოვმა რუსეთს კავკასიაში გაბატონების საუკეთესო პირობები შეუქმნა, ამ მიმართულებით ბევრად მეტი გააკეთა, ვიდრე ყველა მისმა რუსმა წინაბორბედმა ერთად.

1789 წლის შემოდგომაზე პავლე ციციანოვი თავის პოლკთან ერთად იბრძოდა მდინარე სალჩესთან, როდესაც ოსმალეთის დიდვეზირმა – ჰასან-ფაშამ იზმაილიდან იძულებით უკან დაიხია, ბენდერის ციხე-სიმაგრის აღებისას, რისთვისაც სამხედრო სარდლობამ დააჯილდოვა. ციციანოვი იყო სანკტ-პეტერბურგის გრენადერთა პოლკისა და სუზდალის მუშკეტერთა პოლკის მეთაური, 1794 წელს ის აქტიურად მონაწილეობდა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობასა და ვილნოზე განხორციელებულ შტურმში, 1796 წელს კი ბევრი წარმატებული ბრძოლა გადაიხადა გრაფ

ზუბოვის მიერ სპარსეთის წინააღმდეგ განხორციელებულ ლაშქრობაში. ციციანოვმა დაიმორჩილა ურჩი კავკასიელი ხანები, ისინი, რომელთა მიმართაც რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებას მანამდე დათმობებისა და ე.წ. „თაფლა-კვერის“ პოლიტიკა ჰქონდა, ციციანოვმა მათ იქით დააკისრა რუსეთის სასარგებლოდ ხარკის გადახდის ვალდებულება და აიძულა სრულად შეგუებოდნენ ახალ რეალობას.

1787-1791 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში თავი გამოიჩინეს რუსეთში მცხოვრებმა და რუსულ არმიაში მომსახურე სხვა ქართველებმაც, ესენი იყვნენ:

კაპიტანი **სიმონ ივანეს ძე სალაგოვი (სოლოღაშვილი)**, რომელიც 1788 წელს ხოტინის გარე-მოცვისას გაიგზავნა ჰასან-ფაშასთან, რათა მას მოლა-პარაკებოდა დანებების თაობაზე. დავალება ბრწყინვალედ შეასრულა და ამის გამო 1789 წლის 22 ივნისს მიენიჭა პოდპოლკოვნიკის წოდება;

კაპიტანი **დიმიტრი ზაქარიას ძე ორბელიანი (ორბელიანოვი)**, რომელმაც მონაწილეობა მიიღო და მამაცობით გამოიჩინა თავი ოჩაკოვის ციხე-სიმაგრის აღებისას, ასევე მოხდა ბენდერის ციხის აღებისას, რისთვისაც სეკუნდ-მაიორის წოდება მიიღო, 1790 წელს იბრძოდა ყუბანში, ფათალ-ფაშას წინააღმდეგ, ხოლო 1791 წელს წარმატებით მონაწილეობდა ანაპის შტურმში; ქართველებისთვის სამწუხაროდ, დიმიტრი ორბელიანმა ასევე გამოიჩინა თავი რუსეთის მიერ საქართველოს სამეფო-სამთავროების დაპყრობასა და, ქართველი მამულიშვილების დევნისა და დაპატიმრებების დროს 1801-1827 წლებში;

ჩერნიგოვის კარაბინერთა პოლკის როტმისტრი, თავადი **ანტონ სტეფანეს ძე შალიკოვი (შალიკაშვილი)**,

ივანე სიმონის ძე ჟევახოვი (ჯავახიშვილი)

რომელმაც ფოქშანთან ბრძოლაში ღრმა ჭრილობები მიიღო და დაჯილდოვდა წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით;

არტილერიის პოლკოვნიკი **სიმონ მიხეილის ძე ბარატაევი (ბარათაშვილი)**, ხელმძღვანელობდა ეკატერინოსლავის არმიის ფუზილიორთა I პოლკს, 1789 წლის 14 აპრილს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება და დაჯილდოვდა წმინდა გიორგის III ხარისხის ორდენით: „ბეჯითი სამსახურისა და ბრწყინვალე მამაცობისათვის, რომელიც გამოიჩინა მან ოჩაკოვის ციხისა და ქალაქის შტურმით აღებისას, იგი მთელი გარემოცვის დროს მეთაურობდა მოწინავე ბატარეას“. ის პირველია ამ ორდენის III ხარისხის ქართველ კავალერთა შორის, მანამდე, 1785 წლის 26 ნოემბერს მან ამ ორდენის IV ხარისხის ჯილდოც დაიმსახურა;

პოდპორუჩიკი, თავადი **ივანე სიმონის ძე ჟევახოვი (ჯავახიშვილი)**, მოწინააღმდეგის მიერ ნასროლი ყუმბარით, ძლიერ დაშავდა ოჩაკოვის ციხის აღებისას მიიღო რამდენიმე ჭრილობა;

პოლკოვნიკი **ფილიპე სიმონის ძე ჟევახოვი (ჯავახიშვილი)**;

ალექსანდრიის მსუბუქი ცხენოსანი პოლკის როტმისტრი **სპირიდონ ერისტოს ძე ჟევახოვი (ჯავახიშვილი)**; პრემიერ-მაიორი **სტეფანე ქაიხოსროს (ქრისტეფორეს) ძე ჟევახოვი** (წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენის მფლობელი);

პრაპორშჩიკი **ივანე სტეფანეს ძე გურიელი;**

სეკუნდ-მაიორი თავადი **ივანე დავითის ძე ფანჩულიძევი (ფანჩულიძე)**, რომელმაც ეს სამხედრო წოდება 1788 წელს ოჩაკოვის იერიშის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის მიიღო წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენთან ერთად;

ჩერნიგოვის ქვეითი პოლკის პორუჩიკი **სიმონ დავითის ძე ფანჩულიძევი (ფანჩულიძე)**, რომელიც 1791 წელს მონაწილეობდა ანაპის შტურმში, დაჯილდოვდა ოქროს ჯვრითა და წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით;

პორუჩიკი **ვლადიმერ მიხეილის ძე იაშვილი**, რომელიც იბრძოდა კინბურნთან, ბენდერთან და იზმაილთან და დაჯილდოვდა ოქროს ჯვრით, რომელსაც ეწერა „იზმაილის აღებისათვის“.

პრემიერ-მაიორი - **პეტრე იოსეგის ძე გრუზინოვი,** იბრძოდა 1791 წელს გენერალურ ბრძოლაში დანაისთან და მაჩინთან, რისთვისაც დაჯილდოვდა ოქროს ჯვრითა და წარწერით „იზმაილის აღებისათვის“.

ქართველები იბრძოდნენ და თავიანთი თავდადებით აოცებდნენ მეომრებს რუსეთის ანტიფრანგულ საომარ კამპანიაში 1799 წელს. დიდ მხედართმთავარ პეტრე ბაგრატიონთან ერთად ამ ლაშქრობაში სახელი გაითქვეს სიმონ დავითის ძე ფანჩულიძემ, სპირიდონ ერისტოს ძე ჯავახიშვილმა, ანტონ სტეფანეს ძე შალიკაშვილმა, სიმონ ეფრემის ძე კალატოზიშვილმა და სხვა ქართველმა მეომრებმა, რომელთაც სამწუხაროდ, ქართული გვარსახელები ისე ჰქონდათ შეცვლილი, რომ მათი ეროვნული კუთვნილების გარკვევა დღეს სპეციალისტებს თუ შეუძლიათ.

ამრიგად, XVIII საუკუნის რუსეთის ომებში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ჯერ კიდევ არ იყო დაპყრობილი რუსეთის მიერ, მრავალი ქართველი მონაწილეობდა, მათი უმეტესობა რუსეთში ცხოვრობდა და ახალ სამშობლოს გამორჩეული ერთგულებითა და თავდადებით ემსახურებოდა. ამ საუკუნეში სულ 33-მა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო გენერლის უმაღლესი წოდება. 1769 წელს დაარსებული წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით, რომელიც რუსეთის იმპერიის უმაღლეს სამხედრო ჯილდოს წარმოადგენდა, დაჯილდოვდა 14, ხოლო III ხარისხის ორდენით 2 ქართველი ოფიცერი.

ქართველების მონაწილეობა რუსეთის 1812 წლის სამამულო ომში და საზღვარგარეთულ ლაშქრობებში

რუსეთის 1812 წლის სამამულო ომსა და 1813-1815 წლების საზღვარგარეთულ ლაშქრობებში მონაწილეობა მიიღო 14-მა ქართველმა გენერალმა. 13 მათგანის პორტრეტი მოთავსებულია სანკტ-პეტერბურგში, ზამთრის სასახლის სამხედრო გალერეაში. ესენი არიან: 1. ინფანტერიის გენერალი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი (1765-1812); 2. გენერალ-მაიორი რომან ივანეს ძე ბაგრატიონი (1778-1834), – გენერალ პეტრე ბაგრატიონის ძმა; 3. გენერალ-მაიორი სიმონ გიორგის ძე განგებლოვი (განგებლიშვილი) (1757-1827); 4. გენერალ-მაიორი ვლადიმერ მიხეილის ძე იაშვილი (1764-1815); 5. გენერალ-მაიორი ფილიპე სიმონის ძე ჟევახოვი (ჯავახიშვილი) (1752-1812); 7. გენერალ-მაიორი სიმონ დავითის ძე ფანჩულიძევი (ფანჩულიძე) (1767-1812); 8. გენერალ-მაიორი ანტონ სტეფანეს ძე შალიკოვი (შალიკაშვილი)

ინფანტერიის გენერალი
პეტრე ივანეს ძე
ბაგრატიონი

გენერალ-მაიორი
რომან ბაგრატიონი

გენერალ-მაიორი
პავლე სერგის
ძე ლაშქაროვი
(ლაშქარაშვილი)

არტილერიის გენერალი
ლევან მიხეილის ძე
იაშვილი

ივანე დავითის ძე
ფანჩულიძევი (ფანჩულიძე)

სიმონ დავითის ძე
ფანჩულიძევი (ფანჩულიძე)

გენერალ-ლეიტენანტი
სიმონ ივანეს ძე სალაგოვი
(სოლოღაშვილი)

(1754-1821); 9. გენერალ-მაიორი სპირიდონ ერასტის ძე ჟევახოვი (ჯავახიშვილი) (1768-1815); 10. გენერალ-მაიორი ივანე სიმონის ძე ჟევახოვი (ჯავახიშვილი) (1762-1837); 11. გენერალ-მაიორი ივანე დავითის ძე ფანჩულიძევი (ფანჩულიძე) (1759-1815); 12. გენერალ-მაიორი პავლე სერგის ძე ლაშქაროვი (ლაშქარაშვილი) (1776-1857); 13. არტილერიის გენერალი ლევან მიხეილის ძე იაშვილი (1772-1836); 14. გენერალ-ლეიტენანტი სიმონ ივანეს ძე სალაგოვი (სოლოღაშვილი) (1754-1820). ეს უკანასკნელი 1812 წელს იყო სანკტ-პეტერბურგის ლაშქრის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

ამ გენერლებიდან ყველაზე წარმატებული და სახელმოხვეჭილი პეტრე ბაგრატიონი იყო. მასზე უამრავი ლიტერატურა შეიქმნა როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში. ის, ქართული წარმოშობის სამხედროებს შორის, პავლე ციციანოვის შემდეგ, ყველაზე დიდი მხედართმთავარი და რუსეთის ომებში სახელგანთქმული სარდალი იყო. მას შეეძლო რისკზე წასვლა, საჭირო დროს გაბედული და მოულოდნელი შეტევის წამოწყება, აუცილებლობის დროს კი – ორგანიზებული უკანდახევის განხორციელება. ქართველთაგან პეტრე ბაგრატიონი რუსეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოს – წმინდა გიორგის II ხარისხის ორდენის ერთადერთი მფლობელია, რომელიც მას 1805 წელს გადაეცა. გენერალმა ბაგრატიონმა ნაპოლეონის არმიასთან უთანასწორო შერკინებაში თითქმის შეუძლებელი შესძლო. მან უბადლო მანევრირებით უკან დახევისას განახორციელა II არმიის შეერთება I არმიასთან, რითაც ხელი შეუწყო რუსული იარაღის წარმატებას ამ ომში. ბოროდინოს ბრძოლისას გამოვლინდა მისი ნიჭი და საბრძოლო მამაცობა, ხელქვეითებისადმი მისი მზრუნველობა. პირადი

სიმამაცისა და თავგანწირვის მაგალითმა „ბაგრატიონის ფლეშები“ ნაპოლეონის აუღებელ სიმაგრედ აქცია. ბოროდინოსთან ბრძოლაში ნაპოლეონი მხოლოდ პეტრე ბაგრატიონს მიიჩნევდა საშიშ მოწინააღმდეგედ და მთელ დარტყმას მისკენ მიმართავდა. მან თავი გაწირა რუსეთის გამარჯვებისათვის და 1812 წლის ომის ისტორიაში შევიდა როგორც სამხედრო თავდაცვითი ოპერაციის ბრწყინვალე ორგანიზატორი, დიდი სარდალი და მეომარი. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულმა სამხედრო ოპერაციებმა გაამდიდრა არა მხოლოდ რუსული სამხედრო ხელოვნება, არამედ მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო სამხედრო ხელოვნების ისტორიაში.

1812 წლის რუსეთის სამამულო ომსა და 1813-1815 წლების საზღვარგარეთულ ლაშქრობებში მონაწილეობდნენ და სათანადო ჯილდოები დაიმსახურეს ქართველმა მეომრებმა: ნამდვილმა კამერგერმა და ნიუეგოროდის ლაშქრის უფროსმა გრიგოლ ალექსანდრეს ძე ბაგრატიონმა; ქართველმა პოეტმა – ოქროს ხმლის მფლობელმა, გენერალმა ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძემ; ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის ფლიგელ-ადიუტანტმა, პოლკოვნიკმა კონსტანტინე დავითის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკიმ; პორუჩიკმა პავლე ალექსანდრეს ძე წითლიძემ, რომელიც 1812 წლის 23 ოქტომბერს დაჯილდოვდა წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით; პოლკოვნიკმა ალექსანდრე სერგის ძე ლაშქარევმა (ლაშქარაშვილმა), რომელიც ასევე 1812 წლის 23 ოქტომბერს დაჯილდოვდა წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით; პოლკოვნიკმა ივანე ვასილის ძე მაკაცაროვმა (მაქაცარიამ), რომელიც წმინდა გიორგის IV ხარისხის

ორდენით დაჯილდოვდა; იმავე ორდენით დაჯილდოვდნენ: მაიორი ორბელიანი, მაიორი სიმონ ანანიას ძე ხმალაძე, პოლკოვნიკი პავლე დავითის ძე ფხეიძე, პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ სიმონის ძე ბარატოვი (ბარათაშვილი), ოქროს ხმალი „მამაცობისათვის“ მიიღო შტაბს-როტმისტრმა ზაქარია ონისიმეს ძე იოსელიანმა და სხვებმა.

ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე

1812 წლის ომსა და მომდევნო ორი წლის საზღვარგარეთულ ლაშქრობებში ქართველებმა აჩვენეს დიდი საბრძოლო ხელოვნება, რისთვისაც მრავალი ჯილდო დაიმსახურეს და დიდი წვლილიც შეიტანეს ეპოქის სამხედრო ხელოვნების განვითარებაში.

საქართველო XIX საუკუნის რუსეთის იმპერიის აღმოსავლურ ომებში

XIX საუკუნის რუსულმა ისტორიოგრაფიამ დაამკვიდრა ის აზრი, თითქოს რუსეთის იმპერიას საქართველოში მშვიდობა მოეტანოს. ეს დებულება რეალობისაგან მეტად შორს არის. მარტო XIX საუკუნეში რუსეთმა 6 ომი გადაიხადა ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ, რომელთა ხანგრძლივობაც თითქმის 20 წელს შეადგენდა. სპარსეთთან ომები 1804-1813 და 1826-1828 წლებში გაიმართა, ოსმალეთთან კი 1806-1812 და 1826-1828 წლებში; 1853 წელს რუსეთი ჩაება ყირიმის ომში, 1877-1878 წლებში კი რუსეთის იმპერიამ ოსმალეთის იმპერიის

წინააღმდეგ კვლავ ახალი ომი გამართა ბალკანეთისა და კავკასიის ქვეყნებში ბატონობის გაფართოვების მიზნით.

რუსეთის იმპერიის ნაწილად ქცეული საქართველო, მშვიდობიანი ცხოვრების ნაცვლად, აქტიურად ჩაერთო როგორც ნაპოლეონის, ისე სპარსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართულ ე.წ. „აღმოსავლურ ომებში“. ამ ომებში ქართველმა ხალხმა დიდი მსხვერპლიც გაიღო. ხშირად ფრონტის ხაზი უშუალოდ საქართველოზეც გადიოდა, ანდა, რუსული ჯარისათვის სურსათ-ფურაჟის მომარაგების მხრივ რუსეთისათვის საიმედო ზურგს წარმოადგენდა. მრავალრიცხოვან გენერლებსა და ოფიცრებზე რომ არაფერი ვთქვათ, ხსენებულ ომებში ათეულ ათასობით მოლაშქრე ან რეკრუტად გაწვეული ქართველი მონაწილეობდა. უამრავი მათგანის სიცოცხლე ბრძოლის ველზე დასრულდა.

XIX საუკუნის აღმოსავლური ომების მთავარი მიზანი – კავკასიაში გაბატონება იყო. რუსეთის იმპერია კავკასიაში სპარსეთსა და ოსმალეთს უპირისპირდებოდა იმ სტრატეგიული მიზნით, რომელიც ითვალისწინებდა მთელს ახლო აღმოსავლეთში თავისი გავლენის სფეროების გაფართოვება-გაძლიერების პერსპექტივას. მართალია, რუსეთიც კავკასიისა და საქართველოს მიმართ დამყრობლურ პოლიტიკას ახორციელებდა, მაგრამ ქართველი ხალხის ინტერესები ნაწილობრივ ემთხვეოდა მის მისწრაფებას – განედევნა ოსმალო-სპარსი დამყრობლები ამ რეგიონიდან. თუ რუსეთი სპარსეთ-ოსმალეთის მიერ მიტაცებულ ქართულ ტერიტორიებს დაიპყრობდა, ეს იმ იმედის ნაპერწკალს აღძრავდა, რომ ოდესღაც ქართული მიწა-წყალი საქართველოს შემოუერთდებოდა. სწორედ ამის გამო ამ ომებში ქართველი სამხედროები და მოხა-

ლისე ლაშქრის მეომრები თავგანწირვით იბრძოდნენ. ამიტომაც იყო, რომ ქართველთა საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელთა რაოდენობაც 1801 წლიდან სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, ცარიზმს მხარში ამოუდგა და მის ჯარებთან ერთად მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-სპარსეთის ომებში და მისი გამარჯვებისათვის იღვწოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობდა ქართული საზოგადოების მეორე ფრთა, რომელსაც არც პრორუსული ორიენტაცია მოსწონდა და არც ეს „თავისუფლებისათვის ბრძოლის თავადაზნაურულ-პატრიოტული გზა“, რადგანაც რუსეთის აგრესიული პოლიტიკა 1783 წლის ტრაქტატის პირობების დარღვევა და ქვეყნის ანექსია, ამ ფრთის წარმომადგენლებისათვის სრულიად გარკვეული საფუძველი გახდა იმისთვის, რათა მიმხვდარიყვნენ ამ ორიენტაციის დამღუპველობას ქვეყნისთვის.

რუსეთი კი სამხრეთი კავკასიის რეგიონში მოქიშპე სპარსეთ-ოსმალეთზე შეტევისას მარჯვედ იყენებდა საქართველოს ფაქტორს და ყველას გასაგონად აცხადებდა, რომ ამ ქვეყნების მიერ მითვისებული საქართველოს ისტორიული ტერიტორიების უკან დაბრუნებით, იგი საქართველოს ისტორიულ უფლებას აღადგენდა. ტერიტორიების დაბრუნების ვალდებულება რუსეთს მართლაც ნაკისრი ჰქონდა გეორგიევსკის ტრაქტატით, ოღონდ იმ პირობით, რომ მაჰმადიანური სახელმწიფოსგან გათავისუფლებული მიწა-წყალი მის კანონიერ მეპატრონეს, ქართულ სამეფოს უნდა გადასცემოდა და არა რუსეთის იმპერიას.

1801 წლის საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლება ფართოდ იყენებდა საქართველოს

სამხედრო ძალას. მითუმეტეს, რომ კავკასიაში მეტ-ნაკლებად ორგანიზებული სამხედრო ძალა მხოლოდ საქართველოს ჰყავდა. ასეთ ვითარებაში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობას ომში ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამასთან, რუსები იმასაც კარგად ხედავდნენ, რომ მათთან შედარებით ქართველებს სპარსელ-ოსმალებთან ბრძოლის მეტი და მდიდარი გამოცდილებაც ჰქონდათ. რუსმა სარდლებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ამ ფაქტს და ამიტომაც იყო, რომ 1806 წელს რუსეთიდან გამოგზავნეს ეროვნებით ქართველი პორუჩიკი რომან ივანეს ძე ბაგრატიონი, პეტრე ბაგრატიონის ძმა, რომელმაც ჩამოიტანა ძმის წერილი-მიმართვა ქართველებისადმი, რათა ჩაბმულიყვნენ ოსმალების წინააღმდეგ ომში. აღმოსავლურ ომებში დიდი როლი შეასრულა ქართულმა მილიციამ. აი, რას წერს თავის მემუარებში ამის თაობაზე დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი: „როდესაც რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებას რომელიმე ომის დროს ამიერკავკასიაში გაუჭირდებოდა და რუსულ ჯარს სიმცირე დაეტყობოდა, მაშინ მიმართავდა ადგილობრივ მცხოვრებთ მოწოდებით და ახდენდა მათ მობილიზაციას მილიციის წესით. მილიციამ დიდად ისახელა თავი“.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე I-ის მანიფესტით ქართველი ხალხი გარკვეული დროით გათავისუფლებული იყო სამხედრო-სავალდებულო ბეგარისაგან, მიუხედავად ამისა, ქართლ-კახეთის მიერთებისთანავე დაწყებულ აღმოსავლურ ომებში ქართველი ხალხი ფართო მასშტაბით მონაწილეობდა ზემოხსებული მილიციის წესით, რომელიც ძველი ქართული ფეოდალური ლაშქრის გაგრძელებას წარმოადგენდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1826-1828 წლების რუსეთ-სპარსეთის ომში ქართველების მონაწილეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. 1826 წლის სექტემბერში თბილისის წინააღმდეგ მიმართული სპარსეთის ძალა რუსეთის არმიამ, სადაც ბევრი ქართველი მეთაური და ჯარისკაცი იბრძოდა, ქართველების დახმარებით შეაჩერა, სპარსელები სასტიკად დამარცხდნენ.

ქართველები ფრონტის თითქმის ყველა უბანზე იბრძოდნენ. ისინი იბრძოდნენ დენის დავიდოვის პოლკშიც, რომელიც ლორის, ბამბაკისა და სხვა ტერიტორიების გასათავისუფლებლად გაიგზავნა. იბრძოდნენ ერევანთან, რომან ბაგრატიონის პოლკში, ისინი ყველგან გმირობისა და მამაცობის მაგალითს იძლეოდნენ. ამას მოწმობს უამრავი საარქივო დოკუმენტი. ქართველების დამსახურებას მოწმობს პასკევიჩის ბრძანება, სადაც სპარსელებთან ბრძოლაში თავდადებული უამრავი ქართველია დასახელებული. მოვიტანთ ბრძანების ტექსტს: „თქვენი საბრძოლო შრომა (ღვაწლი) დასრულდა: გაგზავნით თქვენ თქვენს სამშობლოში, სრული ჩემის მადლიერებით და ძლევამოსილი რუსული არმიის ღირსეულ თანამშრომელთა დიდებით მოსილი სახელით; 1827 წლის სპარსეთის კამპანიაში ჩემი ხელმძღვანელობის ქვეშ, თქვენ გამორჩეული იყავით, და მე მოწმე ვარ თქვენი გმირობისა ტფილისიდან ნახიჩევანისკენ ლაშქრობაში და მას შემდეგ, თქვენ გაწიეთ მძიმე შრომა აქაური ზაფხულის ყველაზე ხვატიან დროს. ჯევან-ბულაყის 5 ივლისის ბრძოლაში ორჯერ შეაკავეთ ქურთთა რჩეული ცხენოსნების შეტევა და, როდესაც მოწინააღმდეგე უკუქცეულ იქნა, ცხარედ გამოედევნეთ. ორდობათის ექსპედიციაშიც დაუვიწყარად გამოიჩინეთ თავი, როცა ჩვენმა ერთმა მუჭა

მამაცებმა წინააღმდეგობა გაუწიეთ მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგის ბრბოებს. მათ დაიხიეს, როდესაც ნახეს, რომ შეუძლებელია მოერიო მათ, რომელთაც სიკვდილი არჩიეს დამარცხებასა და მონობას. 19 სექტემბერს, სარ-დარ-აბადის დაპყრობისას, იმ ღამით, როდესაც გარნიზონი და მისი სულმოკლე მეთაური ფიქრობდნენ, ესარგებლათ სიბნელით, რომ გამარჯვებულთ დასხლტომოდნენ ხელიდან, თქვენ, სხვა რუს მხედრებთან ერთად დაეწიეთ და კაფავდით და ატყვევებდით გაქცეულებს. და ბოლოს, სახელგანთქმული ერივანის აღების დროს, თქვენ იყავით ჩემს მიერ წარგზავნილი იმ გზების დასაკავებლად, რომ-ლითაც მოწიმააღმდეგეს შეეძლებოდა გაქცევით კვლავ მიმალულიყო (ეშველათ თავისთვის). და 1-ლ ოქ-ტომბერს, აღნიშნული ციხე-სიმაგრის დაუფლებისას, პირველთაგანნი შეიჭერით მასში, როცა ჯერ კიდევ არ ჩაწყნარებულიყო სროლა. შევძლებ დავუმოწმო დიდ მთავარს თქვენი მსახურების შესახებ ღირსების ველზე და ჩემის ბრძანებით მინდა აღვნიშნო თქვენი სახელები და გამოვხატო თქვენს მიმართ ჩემი პატივისცემა თქვენს თანამემამულეთა წინაშე, ღირსეულნო თავადნო და დიდებულნო საქართველოსა, ჩემი ხელმძღვანელობით თქვენი სამხედრო სამსახურისთვის. გორის მაზრის თავადები: პოდპოლკოვნიკი მიხაილ მაჩაბელოვი, მაიორი თორნიკ ერისტოვი, ზაქარია ციციანოვი, ივანე მელიქოვი, თეიმურაზ ამილახვაროვი, ევსტათე თარხანოვი; ტფილისის მაზრის თავადები: კაპიტანი გიორგი ბარათოვი, თადარიგის პოდპორუჩიკი ალექსანდრე ორბელიანოვი, ქაიხოსრო ორბელიანოვი, იაკობ ორბელიანოვი, ივან მელიქოვი, აზნაურები: ზურაბ ხმალაძე, ქაიხოსრო ფურცელაძე; დუშეთის მაზრის თავადები: გუბერნიის მდივანი დავით

ერისტოვ ქსანელი, როსტომ ერისტოვ ქსანელი; იმერეთის თავადები: პოდპორუჩიკი როსტომ ერისტოვ რაჭველი და აზნაური კაცია ბაქრაძე; თელავის მაზრის თავადები: თადარიგის პოდპოლკოვნიკი ივან ერისტოვი, ინდო, მიასე და ათანასე ქოიავები, დავიდ, ნაშრივან (ნოშრევან), სოლომონ და ალექსანდრ ჭავჭავაძე, ზაალ ვახვახოვი, დიმიტრი ბაბულოვი; ივან რუსიევი; სიღნაღის მაზრის თავადები: პორუჩიკი ზურაბ და იოსიფ (იოსებ) ანდრონიკოვები, ომან ვაჩნაძე, იოსიფ (იოსებ), ნიკოლოზ და ბესარიონ ვაჩნაძე(ები); ბორჩალოს დისტანციის აღალარი ფაშა-აღა ვალი-ბექ-ოღლი.

ამასთან ერთად სასიამოვნოდ ვისარგებლებ ვალდებულებებით, გამოვხატო განსაკუთრებული მადლიერება ქართველ ცხენოსანთა მეთაურის, ბატონი გენერალ-მაიორ თავად ბაგრატიონისადმი, მისი დაუღალავი მზრუნველობისთვის თავის მოლაშქრეთა მიმართ და ყველა შემთხვევაში სათანადო წესრიგისათვის“...

მათი მონაწილეობით რუსეთის ჯარმა მთლიანად გაანთავისუფლა ჩრდილოეთ აზერბაიჯანი და 1827 წელს აიღო ერევანი.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავრიზის აღებას, რაშიც გამორჩეული წვლილი ქართველ გენერალს გიორგი ერისთავს მიუძღვის. რუსი სარდლები ხშირად ყველა გამარჯვებას თავად მიიწერდნენ და ქართველი მეთაურებისა და მებრძოლების დამსახურებას მალავდნენ. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. თავრიზის აღების ერთ-ერთი მეთაურის გიორგი ერისთავის ღვაწლი მიჩქმალულა ნ.ნ. მურავიოვ-კარსკის წერილში, სადაც ის მთელ ამ გამარჯვებაში თავის წვლილზე საუბრობს და არც კი ახსენებს მოვლენის მთავარ გმირს.

ქართველების საბრძოლო ენთუზიაზმზე საუბრობს ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის მოკლე ისტორიულ ნარკვევში.

ისტორიკოს ნ.ქორთუას თავის მონოგრაფიაში მრავლად მოაქვს ქართველთა გმირობის ამსახველი დოკუმენტები ყოფილ სსრ კავშირის ცენტრალური სახელმწიფო სამხედრო-ისტორიული არქივიდან.

ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, მარტო 1826 წლის ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვებებისათვის 1800 ქართველს მეომარს დაუმსახურებია სამხედრო ხელმძღვანელობის ქება. სპარსელების წინააღმდეგ ყველაზე წარმოჩენილ შამქორის ბრძოლაში ქართველების განსაკუთრებული თავის გამოჩენის გამო, რუსეთის არმიის მთავარი შტაბის უფროსს, გენერალ დიბიჩს ერმოლოვისთვის დაუვალებია, რომ ამ უკანასკნელს მეფისთვის წარედგინა მათი სია, რათა იმპერატორისგან დამსახურებული მადლობა მიეღოთ. გენერალი პასკევიჩი, რომელიც თავის თვალით ხედავდა ქართველთა თავგანწირვას ფრონტზე, სამხედრო ჟურნალში 1827 წლის 20 აპრილს აღფრთოვანებული წერდა: „საერთოდ ქართველებმა უჩვეოლო მამაცობის მაგალითი უჩვენეს ყველას“.

1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო. 1806-1813 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ახალციხისთვის ბრძოლას შედეგი არ მოუტანია. ახლა კი, როდესაც 1828 წელს ომი სპარსეთთან რუსთა გამარჯვებით დასრულდა, იმედი გაჩნდა, რომ ოსმალებთან ომშიც ქართველები რუსეთის ჯართან ერთად წარმატებას მიაღწევდნენ და დაკარგულ ისტორიულ ტერიტორიებს დაიბრუნებდნენ. რუსეთის მთავრობა, ოსმალეთთან ომებში მარჯვედ

იყენებდა ქართველი ხალხის კანონიერ პრეტენზიებს თავის მიწა-წყლის გამო და დიდი ხალისით აბრძოლებდა მათ ომის ყველაზე ცხელ უბნებზე.

ყოფილი სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი შედიოდა ახალციხის საფაშოში და, ამდენად, ოსმალეთის შემადგენლობაში. მის მმართველებს კავშირი ჰქონდათ ჭარსა და დაღესტანთან, ოსმალეთის ხელისუფლება მათი ხელით ებრძოდა რუსეთის მმართველობას კავკასიაში. ამიტომ, ამ ტერიტორიების შემოერთებით, რუსეთის იმპერია ქმნიდა სათანადო პლაცდარმს ოსმალეთთან ბრძოლისთვის, იცავდა მისგან ამიერკავკასიაში უკვე დაპყრობილ და ახლადმიერთებულ ტერიტორიებს.

ომი რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიწყო 1828 წლის 7 მაისს, ბალკანეთში, 1828 წლის ივნისში საომარი ოპერაციები დაიწყო კავკასიაშიც. ბალკანეთის ფრონტი რუსეთის მიერ ძირითად ფრონტად იყო მიჩნეული, რის გამოც კავკასიის ფრონტზე მას არ შეეძლო მთავარი ძალების გადმოსროლა, და მთელი სიმძიმე გადადიოდა ადგილობრივი მცხოვრებლებისა და მეომარი ძალების მხრებზე. 23 ივნისს რუსთა ჯარმა აიღო ქალაქი ყარსი, 15 ივლისს კი – ფოთი. ამავე დროს გაჩაღდა ბრძოლა ახალციხის მიმართულებით, რომელიც ოსმალებს განსაკუთრებით ჰქონდათ გამაგრებული. 24 ივლისს აღებულ იქნა ახალქალაქი, ხოლო 16 აგვისტოს ქართველთა რაზმების ენერგიული მონაწილეობით აღებულ იქნა ახალციხე.

ვინაიდან აღნიშნული ციხე-ქალაქები გამუსლიმებული ქართველებით იყო დასახლებული, ომი მეტად მძიმე იყო ქართველი მებრძოლებისათვის, განსაკუთრებით ეს ახალციხის აღებისას გამოჩნდა, როდესაც უამრავი ადგილობრივი ქართველი მუსლიმი, მათ შორის ქალები,

გრიგოლ ორბელიანი

ბავშვები და მოხუცები დაიღუპნენ უთანასწორო ბრძოლაში. ახალციხის გათავისუფლებას დიდი ზეიმით შეეგება საქართველოს მოსახლეობა. ამ ფაქტს მიესალმნენ და რუსეთის ჯარს ოსმალთა ბატონობისგან გამოხსნა სთხოვეს არტანუჯელმა ქართველებმაც. მათ პირადად მთავარსარდალ პასკევიჩს მიულოცეს გამარჯვება. ამ ომის დროს, სამწუხაროდ, ეს მიზანი ვერ განხორციელდა.

ფოთის შეტევაში ძირითადად ქართული მილიცია და მეომრები მონაწილეობდნენ. ფოთის აღების შემდეგ ისინი ქობულეთ-ბათუმის მიმართულებით დაიძრნენ. ომში დიდი სიმამაცე გამოიჩინა 6000 მებრძოლისაგან შემდგარმა ქართულმა მილიციამ. ომში გულოვნება და მხედრული ნიჭი გამოავლინეს ქართველმა გენერლებმა. მათ თურქებთან ბრძოლაში აშკარად დაჯაბნეს მტერი, მაგრამ ენანებოდათ ის მამაცი ქართველები, რომლებიც, ოდესღაც ძალით გამაჰმადიანებულნი, ახლა რუსული ხიშტითა და მახვილით იცელებოდნენ. ახალციხის აღებაში სხვა ქართველ გენერლებთან ერთად თავი ისახელეს ალექსანდრე ჭავჭავაძემ, დიმიტრი და გრიგოლ ორბელიანებმა.

ამ ომებში ქართველმა მხედართმთავრებმა და მებრძოლემბა უდიდესი მსხვერპლი და წვლილი გაიღეს. აი, რას წერდა ცნობილი რუსი მწერალი და დიპლომატი - ალექსანდრე გრიბოედოვი ამის შესახებ: „მარტო 1825

წლიდან, ვიდრე 1828 წლის სექტემბრის დამდეგამდე საქართველომ პურით, საპალნე და გამწევი პირუტყვით და სხვა, მეტი დახარჯა თავისი ქონებიდან, ვიდრე ამის გაკეთებას შესძლებდა რუსეთის ყველაზე უფრო აყვავებული ოლქთაგანი, მაშინ, როცა მოსახლეობითა და სიდიდით იგი ველიკორუსული გუბერნიის მხოლოდ სამ მაზრას უდრის."

1829 წლის დასაწყისში რუსეთის მდგომარეობა კავკასიაში კვლავ გართულდა. იანვარში, ქალაქ თეირანში მომხდარი აჯანყების დროს, მოკლეს რუსეთის ელჩი ალექსანდრე გრიბოედოვი, რის გამოც კვლავ დაიძაბა სპარსეთთან რუსეთის ურთიერთობა. ამას მათ შორის ახალი ომი არ მოჰყოლია, მაგრამ ოსმალები გააქტიურდნენ ამიერკავკასიის ფრონტზე და თებერვალში ალყა შემოარტყეს ახალციხეს. საშიშროება შეექმნა გურიასაც, რადგან ოსმალთა დიდი ძალები იყო თავმოყრილი ქობულეთთან. ასეთი კრიტიკული ვითარებისას ქართველებმა საკუთარი ინიციატივით ითხოვეს დამხმარე ლაშქრის შედგენა.

ბრძოლები გაჩაღდა ქობულეთთან ახლოს, ლიმანთან და კინტრიშთან, სადაც თავი ისახელეს გურიის მებრძოლებმა, რომლებიც, რუსი სარდლების აღიარებით, სიმამაცესა და საბრძოლო ოსტატობაში თვით რეგულარულ ჯარებს ტოლს არ უდებდნენ.

1829 წლის 5 მარტს ლიმანთან ბრძოლაში რუსთა 1200 კაცისაგან შემდგარ რაზმთან ერთად იბრძოდა 1300-ზე მეტი მებრძოლი გურიიდან. მათი ენერგიული მოქმედება მოპოვებული გამარჯვების საწინდარი გამხდარა. ამის შემდეგ, 1829 წლის 6 აგვისტოს რუსთა და ქართველთა ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს ოსმალები მუხაესტატესთან.

ყარსის, ბაიაზეთისა და ახალციხის დაკავების შემდეგ, 1829 წლის ზაფხულში რუსეთის ჯარებმა აიღეს ერზერუმი, ბაიბურთი და გიუმუშჰანე, რის შემდეგაც ქალაქი ტრაპიზონი უკვე ბლოკირებული იყო სამხრეთიდან.

ტრაპიზონის მიმართულებით მიმდინარე ბრძოლების დროს, როდესაც აჭარა ამ ბრძოლების ზურგში მოექცა, გენერალმა ჰესემ მოაწყო შეუთანხმებელი ექსპედიცია აჭარისა და ბათუმის მიმართულებით. ამ უნიჭო ექსპედიციას ციხისძირთან ბრძოლაში 650 მებრძოლი შეეწირა. ქვემო გურიისა და აჭარის შემოერთების ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ციხისძირის ბრძოლა მოხდა 15 სექტემბერს, მაშინ, როდესაც მეომარ მხარეებს შორის ზავი უკვე დადებული იყო. აღსანიშნავია, რომ, რუსი სამხედრო ისტორიკოსი პოტო გენერალ ჰესეს ამ „ინიციატივას“ უარყოფითად აფასებს, მეტიც მას დანაშაულს უწოდებს.

1829 წლის აგვისტოში რუსებს დიდი წარმატებები ხვდათ ბალკანეთში. მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს უშუალოდ ქართულ მოსახლეობას და საქართველოს ტერიტორიას ემუქრებოდა საფრთხე, რის გამოც ბევრი ქართველი იბრძოდა ომის ამ „ქართულ“ მონაკვეთზე, ქართველები ბალკანეთის ფრონტზეც იმყოფებოდნენ. მათი სამხედრო ნიჭი და გაბედულება რუს სარდლებს ყოველთვის აღაფრთოვანებდათ.

ამასობაში რუსეთის არმია დაპყრობით დაემუქრა კონსტანტინოპოლს, რის გამოც სულთნის ხელისუფლებას ევროპელი კონსულტანტები ომის დამთავრებას ურჩევდნენ.

1829 წლის 14 სექტემბერს საზავო ხელშეკრულება დაიდო ადრიანოპოლში. ადრიანოპოლის ზავით ოსმალეთმა რუსეთს გადასცა ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური, ხერთვისი, ქვაბლიანი, აბასთუმანი,

ჭაჭარაქი, ფოცხოვი და ჩილდირი. ეს იყო უმთავრესად ყოფილი ახალციხის საფაშოს მნიშვნელოვანი ტერიტორია, რომელიც XVI საუკუნიდან ჰქონდა მიტაცებული ოსმალეთის იმპერიას. რუსეთის ხელში აღმოჩნდა შავი ზღვის სანაპირო მდინარე ჩოლოქის შესართავიდან მდინარე ყუბანის შესართავამდე. ოსმალეთს დაუბრუნდა ომის დროს რუსეთის ჯარების მიერ დაკავებული ყარსი, ბაიაზეთი და არზრუმი. მას ისევ დარჩა აჭარა და ჭანეთი. 1830 წელს რუსეთმა საბოლოოდ განიმტკიცა პოზიციები ჭარ-ბელაქანში და იქაც თავისი მმართველობა დაამყარა.

ოსმალეთისგან ოდესღაც მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნებას ქართველი ხალხისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ საქმეში რუსეთის სამხედრო ძალებმაც დიდი წვლილი შეიტანეს, თუმცა საქართველოს ისტორიულ მიწებს იმპერია ქართველებისთვის არ აბრუნებდა. ის, უბრალოდ, აფართოებდა თავის იმპერიულ საზღვრებს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო (ჩილდირი) ხელისუფლებამ ოსმალეთიდან გადმოყვანილი არაქართველებით დაასახლა. ქართველი მაჰმადიანები, რომლებსაც ოსმალური კანონმდებლობის თანახმად, ჩამორთმეული ჰქონდათ მიწისმფლობელობის დოკუმენტები, უმიწოდ დატოვეს. მამულები არც იმათ დაუმტკიცეს, ვინც ქართველ მეფეთაგან ბოძებული სიგელები წარადგინეს. მაჰმადიან ქართველთა დიდი ნაწილი აიძულეს ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ. ეს მაშინ, როდესაც მთავარმართებელმა პასკევიჩმა არც ლიხთიმერეთის უმიწოდ დარჩენილ მოსახლეობას მისცა იქ დასახლების უფლება. მისი ბრძანებით, შემოერთებულ ქართულ მიწა-წყალზე მრავალათასიანი სომეხი

მოსახლეობა დაასახლეს. ამ მოვლენამ შეცვალა რეგიონის დემოგრაფიული სურათი. 1828 წლამდე მესხეთის მოსახლეობის 95% ქართველები იყვნენ, 1832 წელს უკვე, რუს მოხელეთა წყალობით, ისინი რეგიონის მცხოვრებთა უმცირესობად იქცნენ.

ყირიმის ომი და საქართველო (1853-1856 წ.წ.)

1853 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც 1856 წლამდე გაგრძელდა. რადგან ძირითადი საომარი ოპერაციები ყირიმში მიმდინარეობდა, იგი ყირიმის ომის სახელითაა ცნობილი. ამ ომში მონაწილეობდნენ: რუსეთი, ოსმალეთი, ინგლისი, საფრანგეთი და სარდინიის სამეფო. ომის დაწყების მთავარი მიზეზი იყო ე.წ. „აღმოსავლეთის საკითხი“, რაც გულისხმობდა ოსმალეთის ყოფილ სამფლობელოებზე რუსეთისა და ევროპის ქვეყნების გაბატონებას. 1853 წელს რუსეთმა ინგლისს ოსმალეთის სამფლობელოთა განაწილების გეგმა შესთავაზა და დუნაის სამთავროები, კონსტანტინოპოლი და ბოსფორ-დარდანელის სრუტეები თავისთვის მოითხოვა, ბრიტანეთს კი ეგვიპტე და კუნძული კრეტა შესთავაზა. ეს გეგმა ინგლისისა და საფრანგეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. იმავე წელს რუსეთმა ოსმალეთს ულტიმატუმი წაუყენა და ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ ქრისტიანი მოსახლეობისა და წმინდა ადგილების (პალესტინა) პროტექტორატის გადაცემა მოითხოვა. ოსმალეთმა ულტიმატუმი არ მიიღო, რის გამოც რუსეთმა ომი დაიწყო. ევროპის ქვეყნებმა მხარი ოსმალეთს დაუჭირეს და რუსეთი ძლიერი მოწინააღმდეგეების წინაშე მარტო აღმოჩნდა.

ომის დასაწყისიდანვე რუსეთის სარდლობამ სამხედრო-სტრატეგიული შეცდომები დაუშვა: ამიერკავკასია

მეორეხარისხოვან ფრონტად შეფასდა; მთავარი ძალები სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში დაჯგუფდა, დასავლეთ საქართველო კი თითქმის დაუცველი აღმოჩნდა. ამ დროს ოსმალეთს ამიერკავკასიის საზღვრებთან 100 ათასამდე მეომარი ჰყავდა თავმოყრილი. რუსეთს საფრთხე ემუქრებოდა ჩრდილოეთიდანაც, სადაც შამილის ხელმძღვანელობით მის წინააღმდეგ ათეული წლის წინათ დაწყებული კავკასიის ომი მიმდინარეობდა.

ქართველმა ხალხმა ისევე, როგორც წინა ომებში ოსმალებისა და სპარსელების წინააღმდეგ, ახლაც დარაზმა თავისი ძალები და „ქართული მოხალისე მილიციის“ სახით მოწინააღმდეგეს დაუპირისპირა.

ომის დაწყებამდე ოსმალები შეუდგნენ თავიანთი ძალების მობილიზაციას საქართველო-ამიერკავკასიის საზღვრების გასწვრივ. 1853 წლის სექტემბრის დასასრულისათვის ყარსთან ოსმალების 50 000-იანი ჯარი იდგა, რომელიც რეგულარული და არარეგულარული მოლაშქრეებისგან შედგებოდა. ეს კორპუსი 65 ზარბაზნით იყო აღჭურვილი, არტაანთან იდგა ოსმალთა კორპუსი 14 ზარბაზნით, ბაიაზეთშიც დაახლოებით ასეთი შემადგენლობის 30 რაზმი იყო, ხოლო ბათუმის ახლოს ოსმალებმა 10000-იანი კორპუსი გადმოსხეს.

ოსმალეთის მთავარი მიზანი თბილისის ხელში ჩაგდება იყო. ამიტომ სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მის დაცვას. თბილისის დასაცავად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ალექსანდროპოლის ციხე-სიმაგრეს, რომელიც კეტავდა ყარსიდან თბილისისკენ მომავალ პირდაპირ გზას. ასეთივე მნიშვნელობის იყო ყარსიდან არტაანის და ბორჯომის ხეობისკენ მიმავალ გზაზე მდებარე ახალციხეც. ყველაზე დიდი ძალები სწორედ

ალექსანდროპოლს, ახალციხესა და ახალქალაქში იყო თავმოყრილი. კერძოდ, საომარი მოქმედების ცენტრში რეგულარული ჯარების 23,5 ბატალიონი, კაზაკთა 24 ასეული, 60 ზარბაზანი, მილიციის 8 დრუჟინა და რამდენიმე ასეული იდგა. ალექსანდროპოლში კი 11 ბატალიონი, 10 ესკადრონი, კაზაკთა 9 ასეული, ადგილობრივი მილიციის რამდენიმე დრუჟინა და ასეული იყო განლაგებული. გამაგრებული იყო ერევანიც.

კავკასიის ფრონტის უკიდურეს მარჯვენა ფლანგზე, გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „რიონის მხარის“ დასაცავად მყოფი გურიის რაზმი მხოლოდ ქვეითი ჯარის 8 ბატალიონის, კაზაკთა 2 ასეულის და 12 ზარბაზნისგან შედგებოდა. ბათუმში და ქობულეთში მდგარი ოსმალთა მძლავრი კორპუსი კი გურიას, სამეგრელოს, იმერეთსა და აფხაზეთს სრული განადგურებით ემუქრებოდა. საერთოდ, კავკასიის საზღვრებზე თავმოყრილი თურქთა არმია რუსების ძალებს ბევრად აღემატებოდა არა მარტო რიცხობრივად, არამედ გაცილებით უკეთესად იყო შეიარაღებული. მისი არტილერია მთლიანად ინგლისური წარმოშობისა იყო და ჯარისკაცები შორსმსროლელი შაშხანებით იყვნენ აღჭურვილნი, ეს მაშინ, როდესაც რუსული ჯარის ნაწილების უმრავლესობის იარაღს მხოლოდ კაჟიანი თოფები შეადგენდა.

ყირიმის ომს შესაძლოა საბედისწერო შედეგები მოჰყოლოდა სამხრეთ კავკასიისათვის, რომ არა ის მამაცობა და თავგანწირვა, რაც გამოიჩინეს არა მხოლოდ რუსთა რეგულარულმა ნაწილებმა, არამედ თავად ამიერკავკასიის მცხოვრებლებმა, კერძოდ, ქართულმა მილიციამ, რუსული არმიის ქართველმა გენერლებმა და ოფიცრებმა. ისინი თავდადებით იბრძოდნენ ბაშკადიკლართან, ახალ-

ციხესა და ჩოლოქთან, სამეგრელოსა და გურიაში გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში. „რუსეთმა თავიდან აიცილა ყველაზე დიდი საფრთხე, რაც კი ოდესმე ამ რეგიონში დამუქრებია“, - წერს ინგლისელი მოგზაური და მწერალი ჯონ ფ.ბედლი თავის წიგნში - „რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა“.

1853 წლის ოქტომბერში, ომის გამოცხადებამდე (ომი ოფიციალურად 4 ნოემბერს გამოცხადდა), ოსმალეთის არმია შემოიჭრა სამეგრელოსა და გურიაში. ქართველმა ხალხმა ყირიმის ომშიც, რუსეთის სარდლობის გაუაზრებელი პოლიტიკისა და სამხედრო სტრატეგიის წყალობით, აურაცხელი მსხვერპლი ნახა. პირველივე ბრძოლა მისთვის ტრაგიკული აღმოჩნდა. 15-16 ოქტომბერს ღამით, როდესაც რუსეთს თავისი ძალები არც კი ჰყავდა კონცენტრირებული გურიის საზღვარზე, შეკვეთილის საგუშაგოს თავს დაესხა ოსმალთა 5000-იანი, კარგად შეიარაღებული ჯარი. საგუშაგოზე იმყოფებოდა რუსთა მცირერიცხოვანი რაზმი და გურიის სახალხო ლაშქარი გიორგი გურიელის მეთაურობით. უთანასწორო ბრძოლამ მთელი ღამე გასტანა. ქართულმა მილიციამ თავგანწირულად იბრძოლა შეკვეთილის საგუშაგოს დასაცავად. მეომრებმა მხოლოდ ტყვია-წამლის მარაგის ამოწურვის შემდეგ შეწყვიტეს წინააღმდეგობა. ოსმალებმა მთლიანად ამოწყვიტეს ცოცხლად დარჩენილები, არ ინდობდნენ ქალებსა და ბავშვებს და უმოწყალოდ ჟლეტდნენ. ბრძოლაში დაიღუპა ქართული მილიციის მეთაური გიორგი გურიელიც.

რუსეთის იმპერატორი კავკასიის მეფისნაცვალს სწრაფ იერიშზე გადასვლას ავალებდა. ის ვერ ხვდებოდა, თუ რა საშიშროების წინაშე აღმოჩნდა კავკასია. მითუმე-

ილია ორბელიანი

ტეს, როგორც ვთქვით, ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში ანტირუსული აჯანყების ცეცხლი ენთო დაღესტნელთა ბელადის შამილის მეთაურობით. მისი ჯარი, გურიაში ოსმალთა შემოსევის პარალელურად, ჭარ-ბელაქანში შემოიჭრა. 2 ნოემბერს რუსთა ჯარმა, რომელსაც გრიგოლ ორბელიანის ძმა ილია ორბელიანი მეთაურობდა, ალექსანდროპოლთან ახლოს, ანატოლიის ოსმალური კორპუსი გენერალ ბებუთოვის მაშველ ჯართან ერთად დაამარცხა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ახალციხესთან გამართულ ბრძოლებს, საიდანაც მტერი თბილისს ემუქრებოდა. ყარსიდან, არტაანიდან და აჭარიდან მობილიზებული ოსმალები რაოდენობით ბევრად სჭარბობდნენ ახალციხეში დაბანაკებულ რუსულ ძალებს. ახალციხის რაზმის უფროსი, გენერალი კოვალენსკი სასწრაფო დახმარებას ითხოვდა. ის სახელგანთქმულ გენერალს ივანე ანდრონიკაშვილს სთხოვდა ჩასულიყო ახალციხეში და დაეცვა ეს სტრატეგიული პუნქტი. 12 ნოემბერს გენერალი ანდრონიკაშვილი მაშველი ჯარებით მივიდა ახალციხეში. პირველივე დაზვერვამ იგი დაარწმუნა, რომ მტერი ძლიერ ძალებს ფლობდა და კარგად გამაგრებული პოზიციები ეკავა. გენერლის განკარგულებაში 800 მეომარი, მათ შორის ქართული მილიცია და მოხალისეები იყვნენ, მოწინააღმდეგეს კი 20 ათასამდე კარგად შეიარაღებული

ჯარისკაცი ჰყავდა. 14 ნოემბერს ანდრონიკაშვილმა მტერს არტილერიის ცეცხლი გაუხსნა, თუმცა მალე ჯარი ხელ-ჩართულ ბრძოლაზე გადაიყვანა. მოულოდნელმა შეტევამ ოსმალები დააბნია, მათ უკან, არტაანისკენ დაიხიეს. გაქცეულებმა ბრძოლის ველზე უამრავი იარაღი დატოვეს. ბრძოლაში 1500-ზე მეტი ოსმალო ჯარისკაცი დაიღუპა, 2000-მდე კი დაიჭრა. თბილისში დაბრუნებულ გენერალ ივანე ანდრონიკაშვილს ტრიუმფით შეეგება საბურთალოს მინდორზე თავმოყრილი მოსახლეობა. სარდალს დიდი ჯილდო და პატივი მიაგო მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა. მანვე დააჯილდოვა ქართული მილიციის 150 მეთაური და მებრძოლი. მიხეილ ვორონცოვი 1856 წლის 29 იანვარს წერდა ივანე ანდრონიკაშვილს: „მე ყოველთვის მახსოვს და არასოდეს დავივიწყებ 1853 წლის ომის დასაწყისში თუ როგორ დასთანხმდით სათავეში ჩასდგომოდით ახალციხისკენ სალაშქროდ დაძრულ ჯარებს, მაშინ თურქებზე ბრწყინვალე გამარჯვებით თქვენ გზა გაუხსენით ყველა შემდგომ ჩვენს წარმატებას, რომლებმაც განამტკიცეს ჩვენი მდგომარეობა და გამარჯვებული გამოგვიყვანეთ“.

ივანე ანდრონიკაშვილი

ომის დროს შექმნილმა ვითარებამ რუსეთი აიძულა თავისი ჯარი აფხაზეთის სანაპირო ციხეებიდან გაეყვანა. ჯარის სრულიად უდანაკარგოდ გამოყვანა მოახერხა

აფხაზეთის მთავარმა, გენერალ-ადიუტანტმა მიხეილ შერვაშიძემ. ამით ოსმალებს გზა გაეხსნათ ზღვის ვრცელ სანაპირო ზოლზე და გურიისა და სამეგრელოს წინააღმდეგ იერიშის მიტანის შესაძლებლობა მიეცათ. ახალციხე-გურიის რაზმების უფროსად დაინიშნა ივანე ანდრონიკაშვილი, რომელიც სასწრაფოდ ჩავიდა ოზურგეთში და ჯარი შეტევისთვის მოამზადა. რუსულ-ქართული ნაწილები განლაგებული იყო ოზურგეთის განაპირა მხარეებსა და ჩოხატაურის მაღლობებზე. მტრის შეტევა მოსალოდნელი იყო 2 მიმართულებიდან: 1. სოხუმისა და ბათუმის მხრიდან, 2. არტაანიდან და აჭარიდან ახალციხეზე თავდასხმით. ანდრონიკაშვილმა კავშირი დაამყარა ახალციხე-გურიის რაზმებს შორის, რათა საჭიროების შემთხვევაში სწრაფად დახმარებოდნენ ერთმანეთს. მან მოაწესრიგებინა იმერეთ-ახალციხის შემაერთებელი აბასთუმნის გზა, რომლის დაცვა ქუთაისის მცხოვრებლებს დაავალა, ანდრონიკაშვილის მიერ 4 ივნისს მდინარე ჩოლოქთან გამართული ბრძოლა სელიმ-ფაშას 34-ათასიან კორპუსთან, საბრძოლო ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს. მან გამოიყენა გონივრული სტრატეგია, ტაქტიკა, დიპლომატია, ბრძოლის საუკეთესო ხერხებიც და მტერი გაანადგურა.

ომის ბედის გადაწყვეტისას დიდი იყო სხვა ქართველი სამხედროების წვლილიც, მართალია, ყირიმის ომი რუსეთის მარცხით დამთავრდა, მაგრამ კავკასიის ფრონტზე ქართველი მეომრების სიმამაცის წყალობით, დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული. ომის საერთო ბედი ყირიმის ფრონტზე რუსული ფლოტისა და სახმელეთო ძალების საბოლოო მარცხმა განსაზღვრა.

საინტერესოა ამონარიდი კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის ივანე ანდრონიკაშვილისადმი გაგზავნილი წერილიდან:

„ძვირფასო თავადო, ივანე მალხაზის ძევ! ვჩქარობ, რათა გულითადად მოგილოცოთ ახალი ბრწყინვალე წარმატება და სელიმ-ფაშას სრული განადგურება... დიდება და პატივი თქვენ და თქვენს თანამებრძოლებს, რომელთა თქვენდამი სიყვარული და ნდობა საფუძვლად უდევს ასეთ დიდ საქმეებს. ვხარობ თქვენი გამარჯვებით და ამჟამად ყველგან სახელგანთქმული საქართველოს სახელით, რომლის დიდებას ასე კარგად უწყობთ ხელს“

იგივე ანდრონიკაშვილი კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ რეადს ჩოლოქთან ბრძოლის შესახებ უპატაკებდა:

„საქართველოს ყველა კუთხის მოლაშქრენი საშიშნი იყვნენ მოწინააღმდეგისათვის არა მარტო მაშინ, როდესაც მტერი უკან გარბოდა, არამედ ბრძოლის დაწყებამდეც. მილიციელების ხმლები სალდათების ხიშტებთან ერთად, გამალებით მუშაობდნენ. მეთაურიდან დაწყებული და უკანასკნელ ჯარისკაცამდე დამთავრებული, ყველამ პირნათლად მოიხადა თავისი ვალი“.

ომში თავი ისახელეს: ნიკოლოზ ერისთავმა, ქართველთა ცხენოსანმა ლაშქარმა, რომლის ასეულებს მეთაურობდნენ: გიორგი მაჩაბელი, ზაქარია ანდრონიკაშვილი, ნიკო ჭავჭავაძე, დავით ვახვახიშვილი, თუშთა და ფშავთა მეთაური ელისა ბერიძე, გიორგი ერისთავი, ბოდბისხეველთა რაზმის მეთაური ნატროშვილი. ასევე, თავი გამოიჩინეს ქართველთა ლაშქრის ინსტრუქტორმა ივანე ამილახვარმა, გურიის მილიციის უფროსმა მალაქია გურიელმა, რომელიც ომის დასაწყისში, შეკვეთილთან დაღუპული გიორგი გურიელის ძმა იყო და სხვებმა. ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ 5 ძმა - ვახვახიშვილი, ზაქარია ანდრონიკაშვილი, 75 წლის იმერეთის მილიციის

სახელოვანი მეთაური - ქაიხოსრო მიქელაძე. ჩოლოქთან ბრძოლაში სახალხო ლაშქრის 120-ზე მეტი მეომარი შეაკვდა მომხდურს. სამეგრელოს მთავარი ეკატერინე ჭავჭავაძეც კი, ცხენზე ამხედრებული ებრძოდა მტერს. ომერ-ფაშა ურჩევდა ეკატერინეს ოსმალეთის მხარეზე გადასვლას და სანაცვლოდ მთავრის ტახტის შენარჩუნებას ჰპირდებოდა, მაგრამ მთავარი რუსებს არ ღალატობდა და ომერ-ფაშასგან მოწერილ წერილებს ხელისუფლებას აწვდიდა.

ომის მონაწილეთა საბრძოლო ბიოგრაფიები და მათ მიერ გამოჩენილი გმირობა კავკასიის რუსულ ხელისუფლებას არაერთხელ აღუნიშნავს. ეს ეხებოდა ბევრ ქართველ მეთაურს, რომელთა შორის იყო ფლიგელ-ადიუტანტი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ ერისთავი (1820-1856). ქსნის ერისთავთა შთამომავალი ერისთავი მამაცურად იბრძოდა კავკასიის ომში. კავკასიის ომის მთავარსარდალი, მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი იმდენად მოიხიბლა ამ ახალგაზრდა ოფიცრით, რომ ის თავის ადიუტანტადაც დანიშნა. ერისთავმა მონაწილეობა მიიღო ყირიმის ომში, ამ დროს ის პოლკის კაპიტანი იყო და პოდპოლკოვნიკი გახდა, თუმცა, იმავდროულად რჩებოდა ვორონცოვის ადიუტანტად. მისი გმირობა გამორჩეულად გამოვლინდა გურიაში, ნიგოითთან და სოფელ შუხუთთან, სადაც ბათუმის თურქული კორპუსი გაანადგურა სელიმ-ფაშას მეთაურობით, ამ ბრძოლაში მოკლული იქნა სელიმ ფაშას არიერგარდის მეთაური ჰასან-ბეგი (თავდგირიძე). ქართველთა შორის თავი გამოიჩინეს იმერეთის ცხენოსანი ასეულის მებრძოლებმა 75 წლის ქაიხოსრო მიქელაძის მეთაურობით. ნ. ერისთავი მონაწილეობდა ჩოლოქთან გამართულ ბრძოლაშიც, 1855 წლის 4 ივნისს, და ამ

გამარჯვებაშიც დიდი წვლილი შეიტანა. იგი გაიგზავნა იმპერატორთან, რათა პირადად მოეხსენებინა მისთვის ამ გამარჯვებებზე. იმპერატორმა ქართველი პოლკოვნიკი პირადად დააჯილდოვა წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით. პეტერბურგიდან ნ. ერისთავი გურიის რაზმში დაბრუნდა, მაგრამ ამჯობინა ყირიმის ფრონტზე გადასვლა, სადაც სმოლენსკის პოლკს მეთაურობდა. მამაცურად მებრძოლი უეცრად გულის შეტევით გარდაიცვალა. 1856 წლის 26 მარტს. დაკრძალეს სევასტოპოლში.

ყირიმის ომში (1853-1856) რუსეთი დამარცხდა, მაგრამ ამიერკავკასიის ფრონტზე რუსულ-ქართულმა გაერთიანებულმა ჯარმა წარმატებებს მიაღწია. ამ გამარჯვებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოს ტერიტორიაზე გამართული ბრძოლები და ყარსის აღება იყო.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, პოლკოვნიკი კოლუბიაკინი ყირიმის ომში ქართველი ხალხის ღვაწლის შესახებ წერდა: „ომში მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოვლინდა ადგილობრივი თავადაზნაურობის გულადობა. 1854 წელს ადგილობრივი მილიციის ჩინებულმა იერიშმა გადაწყვიტა ჩოლოქის ბრძოლის ბედი, ძლევამოსილად დაამთავრა კამპანია და დიდი ხნით უზრუნველყო ამიერკავკასიის სანაპირო ზოლის დაცვა. 1855 წელს იმერეთის მწყობრმა ლაშქარმა თავისი მონაწილეობით ენგურზე, ისეთი მონაწილეობით, რომელიც მოწინააღმდეგეს დაუნდობელი სახალხო ომით ემუქრებოდა, დიდხანს შეაკავა ომერ-ფაშა შემოჭრისაგან. ქართველთა ლაშქარმა ბოლო დროს თავისი ყოველდღიური პარტიზანული თავდასხმებით სამეგრელოში დაამტკიცა ენერგიულობა, შეუპოვრობა და ქედმოუხრელი ერთგულება.

ყარსის აღებას რუსეთი ადგილობრივ თავადაზ-ნაურობას უნდა უმადლო-დეს, რადგან იმერეთი, ასე ვთქვათ, მოალყე კორპუსის კონტრვალაციურ ხაზს წარ-მოადგენდა. მთავარსარდალს, მხოლოდ იმერლების სიმტკიცით სრულიად დაიმედებულს, შეეძლო არ შე-შფოთებულიყო ომერ-ფაშას შემოტევის გამო, ან ჩვენი გენერლების წარუმატებლობის შედეგად ალყა არ მოეხსნა".

ამრიგად, ყირიმის ომში ქართულმა მილიციამ, სახალხო ლაშქარმა და პარტიზანულმა რაზმებმა დიდი გმირობა გამოიჩინეს. ქართველთა თავდადება განსა-კუთრებით გამოვლინდა გურია-სამეგრელოს ტერი-ტორიაზე გაჩაღებულ ბრძოლებში და ყარსის აღებისას. რუსეთმა ყირიმის შენარჩუნება სწორედ კავკასიის ფრონტზე მოპოვებული გამარჯვებებით შესძლო. პარიზის საზავო ხელშეკრულებით, ყირიმი ყარსში გაიცვალა. რუსეთმა მიიღო აფხაზეთი და ყულევი. აჭარა კვლავ ოსმალეთს დარჩა. რუსეთს ქართველი ხალხის მამაცობამ შეანარჩუნებინა დაპყრობილი საქართველო და სამხრეთ კავკასია. ამას ვერ მალავდნენ მაშინდელი სამეფო ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლებიც. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ ქართველი ხალხის გამორჩეულ ღვაწლს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლებში.

რუსეთ-ოსმალეთის ომი 1877-1878 წლებში. აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების დაპყრობა რუსეთის მიერ

XIX ს-ის 70-იან წლებში რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრობლემა ბალკანეთსა და კავ-კასიაში პოზიციების განმტკიცება, ყირიმის ომში დამარ-ცხებით შელახული საერთაშორისო პრესტიჟის დაბრუნება

გახდა. ოსმალეთის ბალკანეთიდან განდევნა და შავი ზღვის სრუტეების ხელში ჩაგდება რუსეთის სტრატეგიულ ამოცანად იქცა. 1875-1876 წლებში ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ბალკანეთის ქვეყნებში ანტიოსმალური აჯანყება დაიწყო. ბალკანელი ხალხის დაცვის საბაბით, რუსეთმა 1877 წლის 12 აპრილს ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ბრძოლები, ძირითადად, ბალკანეთსა და კავკასიაში მიმდინარეობდა. ომში 30 ათასზე მეტმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა და ისინი თავდადებით იბრძოდნენ არა მარტო კავკასიაში, არამედ ბალკანეთის ფრონტზეც. პლევნის აღებაში თავი გამოიჩინეს გენერლების – ალექსანდრე ბაგრატიონის (იმერეტინსკი), ალექსანდრე მანველიშვილისა და იური ლაშქარაშვილის სამხედრო შენაერთებმა. ხოლო შიპკის უღელტეხილის გადალახვისას მხნეობითა და სიმამაცით გამოირჩეოდნენ: გენერალი ნიკო დადიანი (მინგრელსკი), მაიორი კონსტანტინე ჭილაშვილი, კაპიტანი ივანე ვაჩნაძე და სხვ.

ალექსანდრე ბაგრატიონი (იმერეტინსკი)

გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონი 1877 წლის ივნისში დაინიშნა პლევნის შტურმის მეთვალყურედ, ის თავად იმპერატორმა პლევნის ალყის დროს გამოჩენილი გმირობისათვის დააჯილდოვა ოქროს ხმლით. 1877 წლის 3 აგვისტოს ის დაინიშნა მეორე ქვეითი დივიზიის მეთაურად, ამავე წლის

ნიკო დადიანი
(მინგრელსკი)

ალექსანდრე
მანველიშვილი

22 აგვისტოს 12 საათიანი ბრძოლის შემდეგ მისმა დივიზიამ შტურმით აიღო ლოვეჩი. გენერალ ბაგრატიონს ჰქონდა წმინდა გიორგის IV და III ხარისხის ორდენები. ეს უკანასკნელი ჯილდო მას პლევნის აღებისათვის თავად იმპერატორმა ალექსანდრე II-მ გადასცა.

ომის დაწყებამდე რუსეთსა და ოსმალეთს საკუთარი სტრატეგია ჰქონდათ, რის გამოც საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ურთიერთმებრძოლი იმპერიებისთვის ფრიად აქტუალური გახდა. ოსმალეთს სურდა მთელი ძალით ემოქმედა არა ევროპის, არამედ კავკასიის ფრონტზე. ბათუმში მდგარი დერვიშ-ფაშას კორპუსი უნდა დაძრულიყო ქუთაისისაკენ, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს ერთიანი აჯანყება უნდა მოეწყოთ ზურგში. ოსმალთა გეგმით, კავკასიაში მყოფი რუსეთის ჯარი ორ ცეცხლს შუა მოექცეოდა, მას ოსმალეთის ჯართან ერთად,

კავკასიის მთიელებიც შეუტევდნენ. ოსმალეთის ფლოტი შავი ზღვიდან აზოვის ზღვაში შევიდოდა და რუსეთის არმიას უკანდასახევ გზას მოუჭრიდა.

რუსეთის გეგმით, შეტევა ოთხი მიმართულებით უნდა განვითარებულიყო: ოზურგეთიდან ბათუმისაკენ, ახალციხიდან არტაანისაკენ, ალექსანდროპოლიდან ყარსისაკენ და ერევნიდან ბაიაზეთისაკენ, ძირითადი საბრძოლო მოქმედების ასპარეზი ანატოლია იყო. გადამწყვეტი მნიშვნელობა ომის წარმატებით დასრულებისათვის ენიჭებოდა ისეთი სტრატეგიული ციხე-სიმაგრეების აღებას, როგორიც იყო ყარსი, არტაანი, ბაიაზეთი და არზრუმი. ომში არა მარტო ქართველი მეომრებისა და მილიციის ჩაბმა იყო საჭირო, არამედ, მისი მონაწილე უნდა გამხდარიყო მოსახლეობაც. მითუმეტეს, რომ ქართველი ხალხის ბრძოლა დაკარგული ისტორიული ტერიტორიების დასაბრუნებლად სრულად ემთხვეოდა ამ ომში რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს.

1877 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის დაწყებული ომით ქართველ ხალხს ოსმალეთის მიერ დაპყრობილი აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთების იმედი ჩაესახა. ჯერ კიდევ ომამდე, ქართველი მოღვაწეების ერთი ნაწილი აქტიურად ცდილობდა „ოსმალეთის საქართველოსთან“ კავშირის განმტკიცებას. ამ მიზნით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი ყაზბეგმა, მამია გურიელმა, ივანე კერესელიძემ, გიორგი წერეთელმა და სხვებმა. ქართველი ხალხის იმედს აჭარელთა დიდი ეროვნული სულისკვეთებაც განაპირობებდა. მაგალითად, როდესაც ივანე კერესელიძე შეხვდა აჭარელთა ერთ-ერთ თავკაცს შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს, მან დაუფარავად გაან-

დო თავისი ოცნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედა-სამშობლოსთან დაბრუნების შესახებ. ოსმალებმა საუკუნეების განმავლობაში შეძლეს დაპყრობილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის გამაჰმადიანება, მაგრამ მათ ქართული ენა ვერ დააკარგვინეს. აჭარელთა შორის ბევრი ქართველი პატრიოტი იყო, მათ შორის აჭარელთა თავკაცები – შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, ჰუსეინ-ბეგ ბეჟანიძე, ჰუსეინ აბაშიძე და სხვები. 1875 წელს აჭარის მოსახლეობამ ანტიოსმალური სულისკვეთება იმით გამოავლინა, რომ გააპროტესტა ოსმალეთის ხელისუფლების მოთხოვნა და მონაწილეობა არ მიიღო ბალკანეთის აჯანყების ჩახშობაში. გაზეთი „დროება“ აღწერდა აჭარელთა დამოკიდებულებას აჯანყებული ბალკანეთის მოსახლეობისადმი და „ოსმალოს ქართველობის“ გათავისუფლების იმედს გამოთქვამდა. ადგილობრივი მოსახლეობის განწყობას და პოლიტიკურ ორიენტაციას ომის საბოლოო შედეგისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

კავკასიის ფრონტის მთავარსარდლად დაინიშნა მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი, ხოლო კავკასიაში მოქმედი ჯარების სარდლად გენერალი მიხეილ ლორის-მელიქოვი. ოსმალეთის არმიას მუხთარ ფაშა მეთაურობდა.

კავკასიის მოქმედი არმია სამ კორპუსად იყოფოდა. პირველი, რომლის სარდალი მიხეილ ლორის-მელიქოვი იყო, უშუალოდ ფრონტის ხაზზე განლაგდა; გენერალ ი.ოკლობჟიოს მეთაურობით დასავლეთ საქართველოში დისლოცირებულ მეორე კორპუსს ევალებოდა გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის დაცვა; მესამე კორპუსი გენერალ ს. ანდრონიკოვის (ანდრონიკაშვილი) სარდლობით კახეთში იყო დაბანაკებული. ამას გარდა, რუსეთ-

ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე საქართველოში სახალ-ხო ლაშქარი შეიქმნა. ომის განმავლობაში მის რიგებში მრავალი მოლაშქრე შევიდა. გაზეთი „დროება“ წერდა, რომ შორაპნის მაზრაში, სადაც ასი კომლი გლეხიდან ორი უნდა წასულიყო საომრად, ათჯერ მეტი მოხალისედ ეწერებოდა. ამასვე წერდა ომის მონაწილე ი.მაყაშვილი, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა გურიის ლაშქრის დამსახურებას ამ ომში.

კავკასიის ფრონტზე რუსეთის სარდლობამ, გეგ-მის მიხედვით, მართლაც ოთხი მიმართულებით შეუტია: ოზურგეთიდან ბათუმისაკენ, ახალციხიდან არტაანისაკენ, ალექსანდროპოლიდან ყარსისკენ, ერევნიდან ბაიაზე-თისაკენ. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სტრატეგიუ-ლი ციხე-სიმაგრეების – ყარსის, არტაანის, ბაიაზეთის, არზრუმის აღებას. ქართველები განსაკუთრებით კავკასიის ფრონტზე აქტიურობდნენ.

კავკასიის ფრონტი გაიშალა მცირე აზიაში, აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. აქ თავი გამოიჩინა: გენერალ-ლეიტენანტმა იაკობ ქაიხოსროს ძე ალხაზიშვილმა (ალხაზოვი), ის ყარსის ციხის აღებისას პირადად მეთაურობდა კოლონას, რომელიც იერიშით უტევდა ხაფიზ-ფაშასა და ყარა-დაღის ფორტებს. ქუთაისის პოლკი, რომელსაც მეთაურობდა ალხაზიშვილი, ერთ-ერთი პირველი შევიდა ყარსის ციხეში. ციხის აღებისას ბრძოლაში მან მიიღო ძლიერი კონტუზია, მაგრამ ბრძოლა არ შეუწყვეტია, რის გამოც მისცეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება და წმინდა გიორგის III ხარისხის ორდენი. ყარსთან ბრძოლის დროს რუსული ჯარის ავანგარდში იბრძოდა ზაქარია ჭავჭავაძის კავალერია. მდინარე არფაჩაის გადალახვის შემდეგ, როდესაც დაძლეულ იქნა ოსმალეთის

იაკობ ალხაზიშვილი (ალხაზოვი)

ჯარის წინააღმდეგობა, ის ყარსს მიადგა. ოსმალეთის ჯარების მეთაურს - მუხტარ ფაშას მისი გადაადგილებების შესახებ ცნობები არ გააჩნდა და უკან დახევა გადაწყვიტა. ყარსის 8 ათასიანი გარნიზონის მეთაურად მან ავნი-ფაშა დატოვა და 5 ათასი მებრძოლით სოღანლუღის უღელტეხილის გასამაგრებლად დაიძრა. მას უკან სდევდა ჭავჭავაძის კავალერია. კორპუსის დანარჩენმა ძალებმა ყარსის ბლოკადა დაიწყეს. ყარსის მისადგომებთან დიდი მხედართმთავრული ნიჭი გამოამუღავნეს გენერლებმა - ივანე ამილახვარმა, ილია ჩოლოყაშვილმა, ალექსი ქავთარაძემ და პოლკოვნიკმა ა.მიქელაძემ.

არანაკლები როლი ენიჭებოდა კავკასიის შავიზღვისპირეთის დაცვას და საბრძოლო მოქმედების განვითარებას ბათუმის მიმართულებით.

ბრძოლები კავკასიის ფრონტზე 1877 წლის აპრილის ბოლოს დაიწყო. რუსებმა აიღეს ბაიაზეთი და არტაანი. არტაანისათვის ბრძოლაში სახელი გაითქვეს პოლკის წინამძღოლმა, გენერალმა მიხეილ ამირეჯიბმა, ბატარეის მეთაურმა, გენერალმა დიმიტრი მუსხელიშვილმა, პოლკოვნიკების – მაყაშვილისა და ერისთავის რაზმებმა. პირველნი ეკვეთნენ მტერს ი.მიქელაძის, ზ.ჭავჭავაძისა და კ.სონღულაშვილის მებრძოლები. ომში სამღვდელოებაც

გენერალი - ივანე ამილახვარი ოჯახით

კი მონაწილეობდა. ქართველი არისტოკრატი ქალები მოწყალების დებად მიდიოდნენ და იღუპებოდნენ კიდეც ფრონტზე. ერთ-ერთი ასეთი მოწყალების და იყო რუსეთის არმიის ცნობილი გენერლის ნიკო ჭავჭავაძის მეუღლე – ანასტასია ერისთავი-ჭავჭავაძე. ის არტაანში დაიღუპა.

არტაანის აღების დროს თავი გამოიჩინეს მაიორ იოსელიანის ცხენოსანი დივიზიის მოხალისეებმა იუნკერ ნაკაშიძის მეთაურობით. მოხალისეები გადავიდნენ მტკვარზე და დააკავეს ოსმალო ჯარისკაცები. ნაკაშიძისა და მისი 20 მოხალისის გმირობა სათანადო ჯილდოთი აღინიშნა.

არტაანის დაკავების შემდეგ, არტანუჯისა და ართვინის გავლით გზა ბათუმისკენ იხსნებოდა. მოპოვებული უპი-

ილია ჩოლოყაშვილი

ალექსი ქავთარაძე

რატესობის გასამტკიცებლად საჭირო იყო ბათუმზე იერიში, მაგრამ რუსეთის არმიის სარდლობამ გადაწყვიტა არტაანიდან ყარსის მიმართულებით გაეგრძელებინა ბრძოლა, ხოლო ბათუმზე შეტევა ოზურგეთიდან დაეწყო. ყარსის აღება რუსეთის ჯარმა ვერ შესძლო. ამით ოსმალებმა ჯარების მობილიზაციისთვის დრო მოიგეს. 1877 წლის ივლისში ერევნიდან ბაიაზეთის მიმართულებით შეტევაზე გადასული რუსეთის ჯარი დამარცხდა და დატოვა არა მარტო ოსმალეთის ტერიტორია, არამედ ერევნის გუბერნიის ნაწილიც.

ბათუმის მიმართულებით მოქმედებდა ოზურგეთის რაზმი (შემდგომში ქობულეთის რაზმად წოდებული) გენერალ-ლეიტენანტ ოკლობჟიოს მეთაურობით. იერიშზე გადასულმა ჯარისკაცებმა ბრძოლით აიღეს სოფლები მუხაესტატე და ხუცუბანი. ამ ბრძოლებში თავი ისახელეს გენერალ დენიბეგოვის (დანიბეგაშვილი) რაზმმა, პიატიგორსკის ლეგიონმა, რომელსაც პოლკოვნიკი ბუჩკიევი

(ბუჭყიაშვილი) ხელმძღვანელობდა და გურიის ლაშქარმა შტაბს - კაპიტან გურიელის მეთაურობით.

წარმატების მიუხედავად, ქობულეთის რაზმი მხოლოდ ივლისის დასაწყისში მივიდა ციხისძირამდე, რომელიც ბათუმისკენ მიმავალ გზაზე უმნიშვნელოვანეს ზღვისპირა სიმაგრეს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამ სიმაგრის აღება, ბუნებრივი მდებარეობის გამო, რუსეთის არმიამ ვერცერთ ომში ვერ შესძლო.

ციხისძირიდან ბათუმზე იერიში შეცდომად მიაჩნდა ოსმალეთის ბანაკიდან რუსეთის მხარეზე გადასულ შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს. მან კარგად იცოდა ციხისძირის ბუნებრივი მიუვალობა და ხვდებოდა, რომ ბათუმის დაკავება აჭარა-შავშეთის მიმართულებით იყო შესაძლებელი, რის შემდეგაც ციხისძირი თავისთავად ჩაბარდებოდა. ციხისძირთან ბრძოლებში მსხვერპლის გაღებას ხიმშიაშვილი თავიდანვე ამაო მსხვერპლად მიიჩნევდა. ომის მსვლელობამ მისი შეფასებები დაადასტურა. რუსეთის ჯარების და ქართული სახალხო რაზმის პირველი შეტევა ციხისძირის სიმაგრის დასაკავებლად მარცხით დამთავრდა.

ომის დასაწყისშივე რთული მდგომარეობა შეიქმნა აფხაზეთში. აპრილის ბოლოს გუდაუთასთან ოსმალეთის გემებიდან მუჰაჯირ მემედ მარღანიას მეთაურობით გადმოსხეს დესანტი, რომელიც, ძირითადად, ოსმალეთში 1866 წელს გადასახლებული აფხაზებისგან შედგებოდა. მაისის დასაწყისში ოსმალებმა დაიკავეს გუდაუთა, სოხუმი და აფხაზეთის მიწა-წყლის თითქმის ერთი მესამედი ნაწილი. რუსეთის რაზმმა კრავჩენკოს მეთაურობით უბრძოლველად დატოვა აღნიშნული ტერიტორია და მდინარე კოდორზე გამაგრდა. რუსეთის ჯარების მიერ აფხაზეთის მიტოვებას ადგილობრივი მოსახლეობის

ანტირუსული გამოსვლები მოჰყვა. მდგომარეობის გამოსასწორებლად რუსეთმა აფხაზეთში დამხმარე ძალა გამოგზავნა. გადამწყვეტი ბრძოლა ოქუმის სიახლოვეს გაიმართა. ოსმალები დამარცხდნენ. რუსულმა ჯარებმა 1877 წლის 20 აგვისტოს სოხუმი დაიკავეს. ოსმალები იძულებულნი გახდნენ აფხაზეთი დაეტოვებინათ. მათთან ერთად ოსმალეთში ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გადასახლდა.

1877 წლის სექტემბერში რუსეთის არმია ახალი ძალებით შეივსო და მცირე აზიის ფრონტზე შეტევა წამოიწყო. მან მთლიანად გაანადგურა ოსმალეთის არმიის ანატოლიის კორპუსი და შეტევა ორი მიმართულებით – არზრუმისა და ყარსისკენ წარმართა. დაიწყო ყარსის ხანგრძლივი ალყა. 1877 წლის 18 ნოემბერს რუსეთის ჯარებმა ქართული სახალხო ლაშქრის დახმარებით ყარსი აიღეს.

ბათუმის მიმართულებით შეტევა კვლავ ფერხდებოდა, რადგან ოსმალები ციხისძირს არ თმობდნენ. რუსეთის სარდლობამ გადაწყვიტა ბათუმზე იერიში ერთდროულად მიეტანა ქობულეთის, არტაანისა და ახალციხის მხრიდან. 1877 წლის დეკემბერში რუსეთის არმია არტაანიდან შავშეთში შეიჭრა, დაიკავა ხერთვისი, არტანუჯი და აქედან ბათუმისკენ მიმავალ გზაზე გავიდა. 1878 წლის იანვარში რუსულმა ჯარებმა და ქართველთა სახალხო ლაშქარმა მთელი შავშეთი დაიკავეს. ახალციხიდან აჭარელი ბეგების თანხმობით ჯარი აჭარაში შევიდა. მიუხედავად ამისა, ბათუმის მიმართულებით ბრძოლები ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა. აჭარაში შესული გენერალი ოკლობჟიო მიმართავდა ადგილობრივ მცხოვრებთ, სწორედ მათი თანადგომითა და დახმარებით გახდა შესაძლებელი

რუსეთის არმიის მიერ მოპოვებული გამარჯვება და აჭარისა და ბათუმის ოლქის, ასევე საქართველოს ისტორიული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკავება.

1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს) დაბა სან-სტეფანოში რუსეთმა და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას. ზავის თანახმად, ოსმალეთმა აღიარა სერბიის, ჩერნოგორიის, რუმინეთის დამოუკიდებლობა, ბულგარეთის ერთი ნაწილი დამოუკიდებელი სამთავრო გახდა, მეორეს კი ოსმალეთის მფლობელობაში ავტონომია მიენიჭა. ოსმალეთს რუსეთის სასარგებლოდ კონტრიბუცია დაეკისრა. რადგან ამ თანხის სრულად გადახდა ოსმალეთს არ შეეძლო, კონტრიბუცია ნაწილობრივ ტერიტორიის დათმობით შეიცვალა, რუსეთის მფლობელობაში გადა-დიოდა ყარსი, ბაიაზეთი, ალაშკერტი, კოლა-არტაანი, შავშეთ-იმერხევი, ლივანა, არტანუჯი, ოლთისი, ტაოსკარი, მაჭახელი, ლაზისტანის ნაწილი, აჭარა-ბათუმ-ქობულეთი. ევროპაში კი, კონტრიბუციის სანაცვლოდ, რუსეთმა ყირიმის ომის შემდეგ დაკარგული ბესარაბიის ნაწილი მიიღო.

სან-სტეფანოს ზავი მიუღებელი აღმოჩნდა ევროპის სახელმწიფოებისთვის. ზავის პირობების გადასინჯვის მიზნით, მათ მოიწვიეს საერთაშორისო კონგრესი ბერ-ლინში, რომელსაც გერმანიის კანცლერი ოტო ფონ ბის-მარკი ხელმძღვანელობდა. 1878 წლის 1 ივლისს ხელი მოაწერეს ბერლინის ტრაქტატს. რუსეთმა შესძლო სან-სტეფანოს ხელშეკრულების ძირითადი მუხლების შე-ნარჩუნება, თუმცა, ბერლინის ტრაქტატით ოსმალეთს დაუბრუნდა ბაიაზეთი, არზრუმი და ალაშკერტი. კონგ-რესმა დაადასტურა ყარსის, კოლა-არტაანის, აჭარა-ტაო-კლარჯეთის, შავშეთ-იმერხევის, ოლთისის რუსეთის

შემადგებლობაში გადასვლა. ბათუმი „პორტო-ფრანკოდ“, ანუ თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადდა.

ბერლინის ტრაქტატის ხელმოწერის დროს ბათუმი ისევ ოსმალეთის ჯარს ეკავა. 1878 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ჯარი ბათუმში შევიდა, ხოლო რუსეთის სამხედრო გემებმა ქალაქის ნავსადგური დაიკავეს. აღნიშნული ტერიტორიების დაბრუნების დროს დიდი როლი ითამაშა აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის განწყობამ, ქართველი ოფიცრების, სახალხო ლაშქრის მებრძოლთა თავდადებამ.

რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად რუსეთის იმპერიის საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მის მფლობელობაში გადავიდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციების დიდი ნაწილი. ომის შემდეგ შემოერთებული ძირძველი ქართული ტერიტორიები განაწილდა არა მარტო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებზე, არამედ ყარსის ოლქზეც. აქედანაც ჩანს, რომ რუსეთის იმპერია საქართველოსთვის კი არ აბრუნებდა ოსმალეთისგან მიტაცებულ ქართულ მიწა-წყალს, არამედ საკუთარ საზღვრებს იფართოებდა.

ამის მიუხედავად, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის. რუსეთის მიერ დაპყრობილი აჭარა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი ქართულ ტერიტორიულ და კულტურულ საზღვრებში გაერთიანდა. ომის შედეგებმა ხელი შეუწყო ქართველი ერის კონსოლიდაციას.

ქართველების მონაწილეობა რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომში

ქართველებმა, როგორც ვნახეთ, უდიდესი მსხვერპლი გაიღეს XIX საუკუნეში. რუსეთის აღმოსავლურ ომებში. ასეთივე იყო მათი წვლილი XX საუკუნის რუსეთ-იაპონიისა და პირველ მსოფლიო ომებში.

რუსეთის არმიის ქართველი მეომრები მამაცურად იბრძოდნენ 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომშიც და ბრძოლის ველზე გმირობის არაერთი მაგალითი აჩვენეს. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს მრავალრიცხოვანი ლიტერატურა და გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალები. ცნობები მათ შესახებ გაბნეულია იმდროინდელ რუსულ პრესაშიც.

როგორც ცნობილია, რუსეთ-იაპონიის ომში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციები მიმდინარეობდა როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვაზე. სამხედრო თვალსაზრისით კი, ეს ომი პრინციპულად განსხვავდებოდა XIX საუკუნეში წარმოებული ომებისაგან. ამ ომში პირველად იყო გამოყენებული უახლესი სამხედრო ტექნიკა: ახალი ტიპის ქვემეხები, ხელის ტყვიამფრქვევები, ხელყუმბარები და სხვა. უახლესი ტექნოლოგიებით იყო აღჭურვილი იაპონიის საბრძოლო ხომალდები, პირველად იქნა გამოყენებული წყალქვეშა ნავები, საზღვაო ნაღმები და ა.შ.

რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, სამხედრო ისტორიასა და ეთნოგრაფიაში არაერთი საინტერესო შრომის ავტორი, რუსეთის არმიის გენერალი 1892 წლიდან გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი (1840-1921). 1905 წელს იგი შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის მნიშვნელოვანი დასა-

გიორგი ყაზბეგი

ყრდენი ბაზის – ვლადივოსტოკის კომენდანტად დაინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა ამ ომში მწარე დამარცხება იწვნია, 1906 წელს გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ყაზბეგის დამსახურება მისთვის ინფანტერიის გენერლის წოდების მინიჭებით აღინიშნა. ამავე ომში იბრძოდა გიორგი ყაზბეგის ნათესავი ივანე ყაზბეგი (1860-1944), რომელსაც პირველ მსოფლიო ომში გენერალ-მაიორის წოდება ებოძა.

1904 წლის ივლისში, რუსეთ-იაპონიის ომის მსვლელობის დროს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა ალექსანდრე ირაკლის ძე მუხრანბატონს (1853-1918), რომელიც 1902-1903 წლებში 44-ე დრაგუნთა ნიჟეგოროდის პოლკს მეთაურობდა, ხოლო, 1904 წლიდან ლაიბ-გვარდიის ცხენოსანთა პოლკს. შემდგომში რუსეთის დროებითმა მთავრობამ ალექსანდრე მუხრანბატონს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიანიჭა (1917 წ.) და მესამე ცხენოსანთა კორპუსის მეთაურად დანიშნა.

რუსეთ-იაპონიის ომში კავკასიის ცხენოსანთა ბრიგადას მეთაურობდა რუსეთის სამხედრო წრეებში კარგად ცნობილი გიორგი ილიას ძე ორბელიანი (ორბელიანოვი), (1853-1915). ომში გამოჩენილი მამაცობისათვის გიორგი ორბელიანი დაჯილდოვდა ოქროს ხმლით და წმინდა სტანისლავის I ხარისხის ორდენით მახვილებითურთ. 1904 წელს იგი გენერალ-მაიორი გახდა. 1907-1910

წლებში თერგის კაზაკთა ჯარს მეთაურობდა, ხოლო 1910 წლიდან-კასპიისპირეთის კაზაკთა ბრიგადას. ამ ომის მონაწილე იყო რუსეთის არმიის ერთ-ერთი წარჩინებული, მხცოვანი გენერალი ივანე მაკარის ძე ორბელიანი (ორბელიანოვი) (1845-1912), რომელსაც 1905 წელს გენერალ-ლეიტენანტობა მიენიჭა.

გიორგი ორბელიანი

რუსეთ-იაპონიის ომთანაა დაკავშირებული საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921) გამოჩენილი მხედართმთავრის, გენერალ გიორგი კვინიტაძის (1874-1970) სახელიც. 1904 წლის ოქტომბრიდან იგი ფრონტის წინა ხაზზეა. როგორც აღმოსავლეთ ციმბირის მე-9 მსროლელთა პოლკის შტაბს-კაპიტანი. 1905 წლის თებერვალში გიორგი კვინიტაძე შაჰესთან, მუკდენთან, დალორის უღელტეხილზე, მაძედანის პოზიციებზე გამართულ ბრძოლებსა და სხვა სამხედრო ოპერაციებში იღებს მონაწილეობას. ამ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის იგი დაჯილდოვდა წმინდა სტანისლავის III ხარისხის ორდენით ბაფთითურთ და წმინდა ანას II ხარისხის ორდენით წარწერით "მამაცობისათვის".

რუსეთ-იაპონიის ომში დაიჭრა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მამაცი გენერალი, გიორგი ივანეს ძე მაზნიაშვილი (მაზნიევი) (1870-1937), რომელიც ლაზარეთში თვით იმპერატორმა ნიკოლოზ II

გიორგი მაზნიაშვილი (მაზნიევი)

-მაც მოინახულა. უკვე რუსეთის დროებითი მთავრობის პერიოდში 1917 წლის 5 აგვისტოს ის დაჯილდოვდა „წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის გენერალმა ალექსანდრე ყარამანის ძე ზაქარიაძემ (1884-1957) სამხედრო ნათლობა რუსეთ-იაპონიის ომში მიიღო. იგი იბრძოდა 147-ე სამურსკის პოლკის შემადგენლობაში, 1905 წლის 25 თებერვალს თავში მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა წმინდა ანას IV ხარისხის ორდენით წარწერით: „მამაცობისათვის“. შემდგომში გაიარა ნიკოლოზის აკადემიის გენერალური შტაბის კურსი და ასევე თავი გამოიჩინა პირველ მსოფლიო ომშიც.

რუსეთ-იაპონიის ომში მონაწილეობდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის წლებში ქართული არმიის მთავარსარდალი, 1917 წლიდან ინფანტერიის გენერალი, ილია ზურაბის ძე ოდიშელიძე და გამოვლენილი მამაცობისათვის მაღალი ხარისხის ორდენებით იქნა დაჯილდოვებული. აღსანიშნავია, რომ 1917 წელს იგი კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოვალეობასაც ასრულებდა.

რუსეთ-იაპონიის ომში საქართველოდან მრავალი სხვა სამხედრო პირიც იბრძოდა. გენერალ-მაიორი ილია

ილია ოდიშელიძე

იასონ ახვლედიანი

ზაქარიას ძე მაყაშვილის თავდადება 1904 წელს აღინიშნა წმინდა სტანისლავის, წმინდა ანას II ხარისხის ორდენებით (დაშნებითურთ) და წმინდა ვლადიმირის ორდენით დაშნებითა და ბაფთით. გივი ივანეს ძე ამილახვრის (1874-1943) სამხედრო სიქველე რუსეთ-იაპონიის ომის დროს მუკდენთან გამართულ ბრძოლებში გამოჩნდა, რისთვისაც დაჯილდოვდა წმინდა ანას IV ხარისხის ორდენით და წმინდა სტანისლავის III ხარისხის ორდენით მახვილებითა და ბაფთებით. იასონ ალექსანდრეს ძე ახვლედიანი ამ ომში 137-ე ნეჟინის ქვეით პოლკს მეთაურობდა და გამოჩენილი სიქველისათვის წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. ომის დამთავრებისთანავე, 1911 წელს იასონ ახვლედიანმა გენერალ-მაიორის წოდება მიიღო. 1904-1905 წლებში მანჯურიის არმიაში მსახურობდა შემდგომში რუსეთის არმიის ცნობილი გენერალი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი (ბარათოვი).

იაპონიასთან ომის დროს იგი თერგის კაზაკთა ჯარის 1-ლი სუნჟენკო-ვლადიკავკაზის პოლკს მეთაურობდა. მან არაერთხელ ისახელა თავი ბრძოლის ველზე, რისთვისაც დაჯილდოვდა ოქროს ხმლით და წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით მახვილებითა და ბაფთებით; ამავე ომში სახელი მოიხვეჭა რუსეთის სამხედრო ავიაციის ერთ-ერთმა პირველმა წარმომადგენელმა ნიკოლოზ გრიგოლის ძე ბარათაშვილმა (ბარათოვმა); 1903 წლიდან ომის მონაწილეები იყვნენ: გენერალ-მაიორი ევგენი ალექსის ძე ფანჩულიძე, რომელსაც 1905 წლის დეკემბერში გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა; დავით ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილი (სუმბატოვი), ომში გამოჩენილი მამაცობისათვის 1905 წლის დეკემბერში გენერალ-ლეიტენანტის წოდებამდე იქნა აყვანილი; რუსეთ-იაპონიის ომში საბრძოლო ოპერაციის დროს მძიმედ დაიჭრა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ვეტერანი ილია თომას ძე ჯაიანი. მისი დამსახურება რამდენიმე ორდენითა და გენერალ-მაიორის წოდებით აღინიშნა. დუმბაძეთა საგვარეულოს ხუთი გენერლიდან ერთ-ერთი, მე-16 მსროლელთა პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი ივანე ანტონის ძე დუმბაძე (1851-1916) ამ ომში მონაწილეობდა. გამოჩენილი მამაცობისათვის იგი წმინდა ვლადიმერის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა, ხოლო 1906 წელს გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიენიჭა; ბოლო დროს ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ ომში მონაწილეობდა კობიაშვილთა გვარის ორი წარმომადგენელი. ერთი მათგანი მიხეილ ანდრიას ძე კობიაშვილი (კობიევი) იბრძოდა მანჯურიაში, ხოლო I მსოფლიო ომში მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა; ზაქარია (ზახარ) სიმონის ძე კობიაშვილი როტმისტრის

სამხედრო წოდებით მსახურობდა 44-ე დრაგუნთა ნოვ-გოროდის პოლკში. იაპონიასთან საომარი ოპერაციების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის იგი წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

რუსეთ-იაპონიის ომში ქართველი ეროვნების ბევრი ოფიცერი და ჯარისკაცი დაიჭრა ან დაიღუპა ბრძოლის ველზე, ბევრი მათგანი კი უგზოუკვლოდ დაიკარგა. ცნობილია, რომ პორტ-არტურის დაცვისათვის ბრძოლებში დაიღუპნენ სამხედრო ინჟინერი, კაპიტანი მიხეილ ანდროს ძე ზედგენიძე, პოლკოვნიკი ივანე (ოქრო) ილიას ძე მაჩაბელი, პოდპოლკოვნიკი ნესტორ ნიკოლოზის ძე იოსელიანი, პოდპორუჩიკი თავადი ვახვახიშვილი და სხვ. სხვადასხვა საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობ-დნენ პოლკოვნიკი დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჯორჯაძე, პოლკოვნიკი ერემია შევარდნაძე, ესაული მიხეილ ალექსანდრეს ძე ღლონტი, პორუჩიკი მიხეილ იაკობის ძე იმნაძე, პორუჩიკი გიორგი მიხეილის ძე ზედგენიძე, თავადი ვალერიან არჩილის ძე ერისთავი, ალექსანდრე ესაორის ძე გოშნიძე, როტმისტრი, თავადი ალექსანდრე როსტომის ძე აბაშიძე, პოდპორუჩიკი გიორგი მიხეილის ძე ლალიაშვილი, პრაპორშჩიკი მელენტი ღოღობერიძე, პოდპორუჩიკი ალექსანდრე ილიას ძე დიდებულიძე; პორუჩიკი ალექსანდრე გედევანიშვილი, ვიბორგის ქვეითი პოლკის შტაბს-კაპიტანი გიორგი ნიკოლოზის ძე სუმბათაშვილი (სუმბატოვი), ბოლხოვოს 138-ე ქვეითი პოლკის შტაბს კაპიტანი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ნიჟარაძე, მორშანსკის 139-ე პოლკის პოდპორუჩიკი ბეგლარ საყვარელიძე და ბევრი სხვა მებრძოლი.

1904 წლის საომარი მოქმედებების დროს მოკლეს გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი,

1905 წელს მუკდენთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლაში დაიღუპა პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ დავითის ძე მაკაევი (მაყაშვილი), 1905 წელს ბრძოლის ველზე დაეცა შტაბს-კაპიტანი რომან დავითის ძე დიდებულიძე, ომში მიღებული მძიმე ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა სევსკის 34-ე ქვეითი პოლკის პოდპორუჩიკი გიორგი დიმიტრის ძე ლორთქიფანიძე და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ომში მონაწილე ქართველი მეომრების რიცხვი ბევრად მეტია, თუმცა ყველა მათგანის სახელისა და გვარის ჩამოთვლის საშუალებას ამ წიგნის ფორმატი არ იძლევა. ერთი რამ კი დანამდვილებით უნდა ითქვას, კავკასიის სამეფისნაცვლოდან ყველაზე მრავლად ქართველები უნდა ყოფილიყვნენ ომში გაწვეული, რასაც მრავალი წყარო და მეომართა მოგონებები მიუთითებენ. დღეისათვის არსებული მონაცემებით, ომში იბრძოდა რუსეთის არმიის ქართველი ეროვნების არანაკლებ 100 ოფიცერი, ხოლო ომის მონაწილეთა შორის ქართველი ეროვნების 6 სამხედრო პირს გენერლის წოდება მინიჭებული ჰქონდათ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, ხოლო ომის მსვლელობის დროს სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების უნარიანი ხელმძღვანელობისთვის კიდევ 6 პირს მიენიჭა გენერლის წოდება. ომში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისათვის ოთხი ქართველი დაჯილდოვდა წმინდა გიორგის ჯილდოთი. ასევე, განსაკუთრებული იყო ოთხი ხევსურის – ბეუიტა ქერაულის, დათვია ალუდაურის, ხირჩლა ცისკარაულის და აპარეკა ქიბიშაურის გმირობა, რაც შემდგომში აღწერა იაპონელთა სამხედრო მეთაურმა ჰარაგუჩიმ.

1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში მონაწილე ქართველი ეროვნების ოფიცერთა კორპუსიდან შემდგომ

წლებში გენერლის წოდება არანაკლებ 40 ოფიცერს მიენიჭა. მათმა უმრავლესობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო პირველ მსოფლიო ომში. ისინი მედგრად იბრძოდნენ მაშინაც, როდესაც 1918-21 წწ-ის ქართული არმიის შემადგენლობაში მყოფნი იცავდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას.

პირველო მსოფლიო ომის დაწყება და კავკასიის ფრონტის გახსნა

I მსოფლიო ომის ფრონტებზე 320 ათასამდე ქართველს მოუხდა ბრძოლა; პატარა საქართველომ ამით დიდი მსხვერპლი გაიღო; მოსახლეობის პროცენტული შეფარდებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველომ ორჯერ მეტი ოფიცერი და ჯარისკაცი მისცა ფრონტს, ვიდრე რუსეთის იმპერიის დანარჩენმა სუბიექტებმა. რუსეთის ჯარში მომსახურე უამრავმა ქართველმა მეომარმა დასდო თავი იმპერიის ინტერესებისათვის და შესაფერი ჯილდოებიც დაიმსახურა.

გენერალ გიორგი კვინიტაძის ცნობით, ომის ფრონტებზე 25 ქართველი გენერალი იბრძოდა, მათგან 23 წმინდა გიორგის ჯვრით იყო დაჯილდოებული. საქართველოს მხედრობის სიმამაცით მოხიბლული უმაღლესი მთავარსარდალი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზისძე რომანოვი ამბობდა: „თითოეულ ჩემს ბრძოლაში ხუთი ქართველიც რომ ერიოს, ვიცი, როგორ იომებდა ჩემი არმია“, გენერალ-ლეიტენანტი მიშენკო კი წერდა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი „ქართველები, ახსოვდათ რა წინაპართა ტრადიციული დიდება, ლომებივით იბრძოდნენ“.

სხვადასხვა ფრონტებზე იბრძოდა ათასობით ქართველი ოფიცერი და 100-მდე ქართველი ეროვნების

გენერალი, რომლებსაც ეს წოდება მიიღეს 1914 წლამდე და 1914-1917 წლებში.

ოსმალეთის იმპერია და მისი მოკავშირენი აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის ოკუპაციასთან ერთად მთელი სამხრეთ კავკასიის დაპყრობას კვლავაც ცდილობდნენ; ქართველ მეომრებს საქართველოს ძირძველი მიწების დაცვა-შენარჩუნების, ჯერ კიდევ ოსმალეთის ხელთ დარჩენილი ისტორიული ტერიტორიების გამოხსნა-დაბრუნების სურვილი ამოძრავებდათ. დიდ როლს ასრულებდა ქართველთა ტრადიციული მეომრული თვისებები, ერთგულება და მოვალეობის შესრულების მაღალი შეგნება. ქართველი გენერლებისა და ოფიცრების გამჭრიახობა, ნიჭი და მამაცობა არაერთ საომარ მოქმედებასა და ბრძოლაში გამოვლინდა, სარიყამიშთან მათმა გამარჯვებამ გარდატეხა შეიტანა კავკასიის ფრონტის საომარ ვითარებებში.

კავკასიის არმიამ მოახერხა არა მარტო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შენარჩუნება, არამედ ისტორიული ჭანეთის (ლაზეთის) და სხვა ქართული ტერიტორიების გათავისუფლებაც. ომის დროს გაბოლშევიკებული ჯარის თბილისზე შემოსევის შეჩერება მათი დამსახურებაა. ფრონტისპირა საქართველო, როგორც ყოველთვის არა მარტო ცოცხალი ძალით იბრძოდა, არამედ ჯარს სურსათით და ფურაჟითაც ამარაგებდა, გაიხსნა საველე ჰოსპიტლები, ქართველი ექიმები და მოწყალების დები ფრონტს ემსახურებოდნენ, მთელი ხალხი ომის მძიმე პირობებში ცხოვრობდა.

პირველი მსოფლიო ომი (1914 (28 ივლისი) – 1918 (11 ნოემბერი)) – დიდ სახელმწიფოებს შორის გაჩენილი წინააღმდეგობების გამო დაიწყო. მსოფლიოს

დიდ სახელმწიფოთა შორის გაღრმავდა დაპირისპირება გავლენის სფეროების, ახალი ბაზრებისა და ტერიტორიების მოპოვებისთვის.

XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში ჩამოყალიბდა მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა ორი კოალიცია – „სამთა კავშირი“ (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია) და „ანტანტა“ (საფრანგეთი, ინგლისი და რუსეთი). წინააღმდეგობა ამ ორ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს შორის გამწვავდა. მალე ცხადი გახდა ომის გარდაუვალობა.

პირველი მსოფლიო ომი ტერორისტული აქტით დაიწყო. მსოფლიო ომის დაწყების საბაბი გახდა 1914 წლის 28 ივნისს ქ. სარაევოში სერბი სტუდენტის გავრილო პრინციპის მიერ ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკიდრის ფრანც-ფერდინანდ ჰაბსბურგის მკვლელობა. ზუსტად ერთ თვეში, 1914 წლის 28 ივლისს ავსტია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა სერბეთს. სერბეთს მხარი რუსეთმა დაუჭირა, ხოლო ავსტრია-უნგრეთს გერმანიამ. დაიწყო ომი და მასში, დაპირისპირებული ბლოკების მხარდასაჭერად, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ჩაება.

ომის დროს ანტანტას შეუერთდნენ იაპონია, ბელგია, სერბეთი, ჩერნოგორია, რუმინეთი, საბერძნეთი, ეგვიპტე, აშშ (1917 წლიდან), ჩინეთი, ბრაზილია, კუბა და სხვა ქვეყნები. 1915 წლის 23 მაისს იტალია გამოეთიშა „სამთა კავშირს“ და ანტანტის კოალიციაში გადავიდა. სამაგიეროდ, გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შეუერთდნენ ოსმალეთი (2 აგვისტო) და ბულგარეთი. ამგვარად, „სამთა კავშირის“ ნაცვლად ჩამოყალიბდა **„ოთხთა კავშირი“**, ანუ იგივე **„ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკი“.** მოწინააღმდეგე მხარეები ომის დამთავრებას 2-3 თვეში ვარაუდობდნენ, თუმცა ის 4 წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა.

საომარი მოქმედებები ერთდროულად ევროპაში, კავკასიაში, მახლობელ აღმოსავლეთსა და ევროპის სახელმწიფოთა ზოგიერთ კოლონიაში გაიშალა.

ომი ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, თუმცა საბოლოოდ ანტანტის სამხედრო-პოლიტიკურმა ბლოკმა გაიმარჯვა. 1917 წელს, ოქტომბრის გადატრიალების გამო, ანტანტას ერთ-ერთი მოკავშირე ქვეყანა - რუსეთი გამოეთიშა.

საქართველო, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე გახდა. პირველ მსოფლიო ომში თავი ისახელეს ქართველმა გენერლებმა: გივი ამილახვარმა, გიორგი ანდღულაძემ, გიორგი არჯევანიძემ, ნიკოლოზ ბარატოვმა (ბარათაშვილი), ანდრია ბენაევმა (ბენაშვილი), ილია მაყაევმა (მაყაშვილი), გიორგი თუმანოვმა (თუმანიშვილი), კონსტანტინე თუმანოვმა (თუმანიშვილი), დიმიტრი პეტრეს ძე ბაგრატიონმა და სხვებმა. მინსკის 54-ე ქვეითი პოლკის მეთაურმა პოლკოვნიკმა ზაქარია დიმიტრის ძე ბაქრაძემ, ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის (1826-1890) შვილმა ომში გამოჩენილი მამაცობისათვის 1915 წელს ორი ხარისხის (IV და III) წმინდა გიორგის ორდენი დაიმსახურა.

ოსმალეთის ჩართვა I მსოფლიო ომში და კავკასიის ფრონტის გახსნა

პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის ჩართვა რუსეთს აძლევდა შესაძლებლობას შავი ზღვის სრუტეებზე და მახლობელ აღმოსავლეთში თავისი პოლიტიკური მიზნები წარმატებით გადაეჭრა, ხოლო ოსმალეთი ვარაუდობდა იმპერიის ტერიტორიების გაფართოებას კავკასიისა და ყირიმის ხარჯზე.

1914 წლის 2 აგვისტოს ოსმალეთმა გერმანიასთან გააფორმა საიდუმლო სამხედრო-სამოკავშირეო ხელშეკრულება. რეალურად, ეს გერმანიის ბლოკის მხარეს ოსმალეთის მსოფლიო ომში ჩაბმას ნიშნავდა. დაიწყო კიდეც საყოველთაო მობილიზაცია და ომისთვის გაძლიერებული სამხედრო მზადება. 1914 წლის 3 აგვისტოს ოსმალეთმა ნეიტრალიტეტის შესახებ დეკლარაცია გამოაქვეყნა, თუმცა ეს მხოლოდ დიპლომატიური მანევრი იყო მოწიმააღმდეგის თვალის ასახვევად.

9-10 აგვისტოს გერმანელებმა შავ ზღვაზე შემოიყვანეს და ოსმალებს გადასცეს კრეისერები „გებენი“ და „ბრესლაუ.“

12 აგვისტოს რუსეთის მთავრობამ კავკასიაში გამოაცხადა სამხედრო წესები და ოსმალეთის მთავრობას ულტიმატუმით მოსთხოვა დემობილიზაცია. დროის მოსაგებად ოსმალეთმა ანტანტის ქვეყნებთან მოლაპარაკება გამართა, პარალელურად კი, რუსეთთან ომისთვის სამზადისი გააგრძელა.

1914 წლის ოქტომბრის ბოლოს სამხედრო წვრთნის მომიზეზებით, ოსმალეთის სამხედრო ფლოტი ზღვაზე გავიდა. 29 და 30 ოქტომბერს მან სევასტოპოლი და შავი ზღვის სანაპიროს სხვა ქალაქები ოდესა, ფეოდოსია და ნოვოროსიისკი დაბომბა, ჩაძირა რუსეთის რამდენიმე გემი და ერთი ფრანგული ხომალდი. ამის საპასუხოდ რუსეთმა, 1914 წლის 2 ნოემბერს ომი გამოუცხადა ოსმალეთს. 5 და 6 ნოებმერს იგივე გაიმეორეს ინგლისმა და საფრანგეთმა. 12 ნოემბერს ოსმალეთის სულთანმა ანტანტის წინააღმდეგ „ჯიჰადი“ ანუ „საღვთო ომი“ გამოაცხადა და მოწინააღმდეგე კოალიციის სახელმწიფოებში მცხოვრებ მუსლიმებს ოსმალეთის მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების მხარეს ოსმალეთის იმპერიის ჩართვამ სამი ახალი ფრონტის გახსნა გამოიწვია კავკასიის, მესოპოტამიის და სირია-პალესტინის. მათ შორის პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო **კავკასიის ფრონტი.**

კავკასიის ფრონტზე ერთმანეთს ოსმალეთის და რუსეთის იმპერიები დაუპირისპირდნენ. საბრძოლო მოქმედებები მცირე აზიის (ანატოლიის) და ამიერკავკასიის ტერიტორიებზე გაიშალა. ოსმალეთის არმიას ამ ფრონტზე ენვერ ფაშა ხელმძღვანელობდა, რუსეთის მხრიდან კი ჯერ კავკასიის მეფისნაცვალი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, შემდეგ გენერლები: ნ. ნ. იუდენიჩი (1917 წ. აპრილი-მაისი), მ. ა. პრჟევალსკი (1917 წ. ივნისი-დეკემბერი), ვ.ვ.ლებედინსკი (1918 წ. იანვარი-მარტი).

1914-1916 წლებში საომარი ოპერაციები საქართველოს ტერიტორიებზეც მიმდინარეობდა და მასში ჩართულნი იყვნენ ქართველი მეომრები, მოხალისეები. ქართველები აწვდიდნენ ფრონტს სურსათსა და საქონელს, ეხმარებოდნენ დაჭრილებს.

კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის უმთავრესი ამოცანა XIX ს-ის 70-იან წლებში დაკარგულ ყარსსა და ბათუმზე კონტროლის აღდგენა, ამიერკავკასიის ტერიტორიების სიღრმეში შეჭრა იყო.

მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ამიერკავკასიიდან დასავლეთის ფრონტზე მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები გადაისროლეს, მათ ადგილას კი სათადარიგო ნაწილები ჩააყენეს, რომელთა საბრძოლო მომზადების დონე დაბალი იყო. არადა, კავკასიაში განლაგებული რუსეთის არმიის წინაშე ურთულესი სტრატეგიული ამოცანა იდგა:

ყარსისა და ბათუმის შენარჩუნება, ბაქო-ვლადიკავკაზის რკინიგზის და საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე თბილისი - ვლადიკავკაზის სამხედრო გზის გამაგრება, ბაქოს სამრეწველო ცენტრების დაცვა, ამიერკავკასიაში ოსმალეთის ჯარების შემოჭრის აღკვეთა.

ოსმალეთთან ომის დაწყებისთანავე რუსეთის სარდლობამ სევასტოპოლიდან ბათუმში სასწრაფოდ გამოიხმო სამხედრო გემები. სანამ მათთვის ელემენტარული ბაზა მოეწყობოდა, ბათუმი სუსტად იყო დაცული ზღვიდან და ხმელეთიდანაც, რამაც ოსმალეთს ზღვისპირა სანაპირო ზოლში წინსვლა გაუადვილა.

ოსმალებმა ბათუმის ოლქს ორი ძირითადი მიმართულებით შეუტიეს: ზღვის სანაპიროს გასწვრის (ლიმანი, მაკრიალი, გონიო, ბათუმი) და ართვინის ოკრუგში მურღულისა და ჩხალთის ხეობებით. ბათუმის დაკავების შემთხვევაში მათ დასავლეთ საქართველოსა და საერთოდ, ამიერკავკასიის შიდა რაიონებისკენ გზა ეხსნებოდათ.

ართვინის ოკრუგში შეჭრილი ოსმალები შეეცადნენ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სოფელ ბორჩხას დაკავებას, საიდანაც გზა იხსნებოდა მდინარე ჭოროხის გასწვრივ ბათუმისკენ, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით ართვინის, არტაანისა და ყარსისკენ. რუსეთის არმიამ ვერ შესძლო ამ მიმართულებით შემოჭრილი ოსმალეთის ჯარებისთვის წინააღმდეგობა გაეწია. ართვინსა და არტანუჯში გამაგრებულმა რუსეთის სამხედრო შენაერთებმა უკან დაიხიეს ჯერ სოფელ ბორჩხასკენ, ხოლო მისი დატოვების შემდეგ – ბათუმისკენ. აქ ოსმალთა ჯარი ორად გაიყო. ერთი ნაწილი უკანდახეული რუსების ჯარს დაედევნა, ხოლო მეორე მდინარე ჭოროხს აუყვა, დაიკავა ართვინი და არტანუჯი, საიდანაც გზა არტაანისა და ახალქალაქისკენ იხსნებოდა.

ჭოროხის ხეობით მდ. აჭარისწყლის შესართავთან გაჭრილმა ოსმალებმა მოქმედება ორი მიმართულებით განავითარეს: დასავლეთით ბათუმისკენ და აღმოსავლეთით ზემო აჭარისკენ. 1914 წლის ნოემბერ-დეკემბერში ოსმალებმა ზემო აჭარაში დაიკავეს ქედა და ხულო, სოფლებში პროპაგანდისტები გაგზავნეს, ადგილობრივ მოსახლეობას „ჩეთეს“ რაზმებში (ჩეთე - მოხალისეების არარეგულარული, პარტიზანული, მომცრო რაზმი) გაერთიანება და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდეს. აქედან ოსმალები არტაანისა და ახალქალაქის მიმართულებით გადაადგილდნენ, აიღეს ართვინი და არტანუჯი.

რუსეთის არმიამ, რომელმაც ბათუმისაკენ დაიხია, დაცვის ხაზი, უშუალოდ ქალაქის მისადგომებთან, მდ. აჭარისწყლის გასწვრივ დაიკავა. რუსეთის ჯარების მოულოდნელმა უკანდახევამ ამ მხარის მოსახლეობის, განსაკუთრებით კი სომხების პანიკა, აყრა და ბათუმისაკენ გაქცევა გამოიწვია. ევაკუაცია დაიწყო ბათუმშიც. 6 ნოემბერს გამოქვეყნდა ბრძანება: სამი დღის ვადაში მომხდარიყო ბათუმიდან ყველა დაწესებულებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია. ქალაქიდან გასვლა ეკრძალებოდათ მხოლოდ ხელოსნებს, მეფაიტონეებსა და მედროგეებს, რომლებიც აუცილებელნი იყვნენ ქალაქის თავდაცვის მოსაწყობად. ოსმალებმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებს ზღვიდან შეუტიეს. 27 ნოემბერს გერმანულმა კრეისერმა „გებენმა“ ორი სამხედრო გემის თანხლებით, ყუმბარები დაუშინა ბათუმს და მის სიმაგრეებს. 1914 წ. 11 დეკემბერს ღამით ბათუმს მოადგა კრეისერი „ჰამიდე“, მაგრამ სანაპირო დაცვის სიმარჯვის გამო მან მხოლოდ რამდენიმე გასროლა მოასწრო.

ამგვარად, 1914 წლის საომარი მოქმედებების შედეგად ტრაპიზონის მიმართულებით ოსმალებმა წარმატებები მოიპოვეს, შეიჭრნენ აჭარის ტერიტორიაზე, დაემუქრნენ ბათუმს, გადაადგილდნენ ზემო აჭარის ტერიტორიებზე, დაიკავეს ართვინი და არტანუჯი. შეიქმნა საშიშროება, რომ სამცხე-ჯავახეთსა და საქართველოს შიდა რეგიონებს ოსმალთა ჯარები დაიკავებდნენ.

1914 წლის დეკემბერში ოსმალებმა განიზრახეს რუსეთის მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის განადგურება, რომელიც გამაგრებული იყო სარიყამიშის რაიონში, ხოლო შემდეგ ბათუმის და ყარსის აღება.

1914 წლის 22 დეკემბერს სარიყამიშის რაიონში ოსმალეთის არმია შეტევაზე გადავიდა. 25 დეკემბერს მან დაიკავა სარიყამიშის მარჯვენა ფლანგზე გამაგრებული პუნქტები, ასევე აიღო არტაანი და ახალქალაქისკენ დაიძრა. ოსმალების წარმატებამ კავკასიის არმიის სარდლობის პანიკა გამოიწვია. ფრონტის მეთაურმა გენერალმა მიშლაევსკიმ სარიყამიში დატოვა და თბილისში გამოემგზავრა, ქართველებს კი მოუწოდა, რომ სახლ-კარი დაეწვათ, სანოვაგე გაენადგურებინათ, თვითონაც გაჰყოლოდნენ რუსის ჯარს, რომ შემოსეულ მტერს საქართველო უდაბნოსავით დახვედროდა.

სარიყამიშთან ბრძოლის ბედი გენერალ ვასილ გაბაევის (გაბაშვილი) გამჭრიახობამ და თავდადებამ გადაწყვიტა. მან შეაჩერა ოსმალეთის ჯარების წინსვლა, შემდეგ კი თავად გადავიდა შეტევაზე და დაატყვევა მოწინააღმდეგის ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი. 3 იანვარს ბრძოლით დაიბრუნა მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული ქ. არტაანი, შემდეგ ოლთისი.

სარიყამიშის ბრძოლაში საარაკო გმირობითა და შეუპოვრობით გამოირჩეოდა კაპიტანი ტარასი ვაშაკიძე (1876-1937) („შაითან კაპიტანი“), რომელმაც ერთი ასეულით 2000 ასკერი, ასზე მეტი თურქი ოფიცერი და IX კორპუსის სარდალი ისჰაკ-ფაშა დაატყვევა. ამ ფაქტმა დიდი რეზონანსი გამოიწვია: რუსეთის მთავრობამ იგი წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით დააჯილდოვა, საფრანგეთის მთავრობამ კი - უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი „მედალ მილტარი“. რუსეთის ჯარებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ფრონტის სხვა უბნებზეც.

სარიყამიშთან გამარჯვებამ გარდატეხა შეიტანა კავკასიის ფრონტზე მიმდინარე მოვლენებში. სარიყამიშის ოპერაციაში მონაწილეობდა ბევრი ქართველი, რომლებმაც თავი ისახელეს ბრძოლებში. განსაკუთრებულად გამოირჩეოდნენ კაპიტანი ტარასი ვაშაკიძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ქართველი მოწყალების დები - კაპიტოლინა ნიჟარაძე, ნანა სადრაძე, ნინო ჯორჯაძე და სხვები. ქართველთა ასეთ თავდადებას, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ძირძველი მიწების დაცვა-შენარჩუნების, აგრეთვე, ჯერ კიდევ ოსმალეთის ხელთ დარჩენილი საქართველოს კუთვნილი ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების სურვილი განაპირობებდა. ამასთანავე, დიდი როლი ქართველთა ტრადიციულმა მეომრულმა თვისებებმა, ერთგულებამ და მოვალეობის მაღალმა შეგნებამ შეასრულა.

1915 წლის საომარ კამპანიაში კავკასიის არმიამ, რომლის თვალსაჩინო ნაწილს ქართველობა შეადგენდა, ოსმალებისაგან გაათავისუფლა აჭარა, ბათუმისა და ართვინის ოლქები, წინ წაიწია შავიზღვისპირეთის სანა-

პირო ზოლში და რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი პუნქტი ჩაიგდო ხელთ.

1916 წლის საომარი კამპანიის შედეგად კავკასიის არმიამ, რომლის შემადგებლობაში კვლავ დიდი რაოდენობით ქართველი მეომრები შედიოდნენ, შესძლო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არამარტო შენარჩუნება, არამედ ისტორიული ჭანეთის (ლაზეთის) და სხვა ქართული ტერიტორიების გათავისუფლებაც. კავკასიის არმია ოსმალეთის სიღრმეში 250 კმ-ით შეიჭრა, დაიკავა მნიშვნელოვანი პუნქტები: არზრუმი, ტრაპიზონი, ერზინჯანი. უკვე 1916 წლის შუა პერიოდიდან რუსეთმა დაიწყო დაკავებული ტერიტორიების ეკონომიკური ათვისება.

1916 წლის შემოდგომიდან მებრძოლ მხარეებს აღარ ჰქონდათ სერიოზული სამხედრო კამპანიის წარმოების რეზერვები და ისინიც „პოზიციურ ომზე“ გადავიდნენ. ასე გაგრძელდა 1917 წლის ბოლომდე. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შედეგად რუსეთის ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკურმა მთავრობამ 1918 წელს ბრესტის საზავო ხელშეკრულებით, ფაქტობრივად დათმო ეს ტერიტორიები, რითაც ოსმალეთს ხელი შეუწყო საქართველოს ისტორიული მიწები ხელახლა დაეპყრო.

ამრიგად, კავკასიის ფრონტზე საქართველოს ტერიტორია მოწინააღმდეგე მხარეებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებად რჩებოდა. ომის განმავლობაში საომარი მოქმედებები წარიმართა საქართველოს კუთვნილ და ძირძველ ისტორიულ მიწა-წყალზე, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აჭარაში, შავშეთში, კლარჯეთში, იმერხევში, კოლა-არტაანსა და ოლთისში.

კავკასიის ფრონტზე მოქმედ არმიაში ქართველები დიდი რაოდენობით იღებდნენ მონაწილეობას. ქართველი გენერლებისა და ოფიცრების გონიერებამ, გამჭრიახობამ, ნიჭმა, მამაცობამ არაერთ ბრძოლაში იჩინა თავი. განსაკუთრებულად გაბრწყინდა ქართველი მხედართ-მთავრების ვასილ გაბაშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი კვინიტაძის, დავით ნათიშვილის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის და სხვათა გონიერება და მხედრული შემართება. მათი მონაწილეობით კავკასიის არმიამ შესძლო არა მარტო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შენარჩუნება, არამედ ისტორიული ჭანეთის (ლაზეთის) და სხვა ქართული ტერიტორიების განთავისუფლებაც. ამ ფრონტზეც, ისევე როგორც სხვაგან, ქართველი მეომრების სიმამაცე და ძლიერი ხასიათი გამოიკვეთა.

დასკვნა

ამრიგად, ქართველი ხალხი, თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, თავდადებით იბრძოდა როგორც შინ, გარეშე აგრესორების წინააღმდეგ, საკუთარი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დასაცავად და ეროვნული ფასეულობების გადასარჩენად, ასევე, უცხო სახელმწიფოების ომებში, ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობდა მათი არმიების გამარჯვებებში. გამორჩეული სამხედრო ნიჭისა და თვისებების გამო, რაც ზემოთაც იყო აღნიშნული, ქართველ მეომრებზე მუდამ დიდი მოთხოვნა იყო.

ყველაფერი, რაც ქართველ მეომართა სამხედრო წარმატებებს, საბრძოლო თვისებებს და უცხოეთის ომებში ბრძოლის შთამბეჭდავ ეპოზოდებს ეხება, ბუნებრივად, ჩვენი წიგნის ამ მცირე ფორმატში ვერ მოხვდებოდა.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ვცადეთ მკითხველებისთვის შეგვეხსენებინა ძირითადი ხაზი იმ საბრძოლო ისტორიებისა, იმ ომებისა, რომლებშიც ქართველი მეომრები მონაწილეობდნენ, გვეჩვენებინა, თუ რა დიდია საქართველოს მიერ სხვათა ომებში დაღვრილი სისხლი და ქართველი მხედრების მიერ გაღებული მსხვერპლი. ყველაფერ ამით ჩვენმა წინაპრებმა მსოფლიოს არა მარტო თავისი სამხედრო ნიჭი და სტრატეგია გააცნეს, არამედ, ნათელჰყვეს, რომ ამ მეომართა მემკვიდრეები ვერასდროს შეურიგდებიან საკუთარი სახელმწიფოებრიობის დაკარგვას, მუდამ იბრძოლებენ მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობაში საქართველოს ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად.

განმარტებები და კომენტარები

თავი I

ბეგლარბეგი (სიტყვასიტყვით - „ბეგთა ბეგი“) - ოსმალეთის იმპერიაში ეიალეთის (იხ.) გამგებელი, რომელსაც ჰქონდა ვაზირის (იხ.) წოდება და ფაშას (იხ.) ან მირმირანის (იხ.) ტიტული, სამსახურისათვის ის სახელმწიფოსაგან იღებდა გასამრჯელოს. მის ხელში თავმოყრილი იყო, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ძალაუფლება.

დიდვეზირი - სულთნის შემდეგ მეორე კაცი ოსმალეთში, მთავრობის მეთაური, პირველი მინისტრი, მისი თანამდებობა სახელმწიფოს მთელი საქმეების უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენდა. სულთან მეჰმედ II -ის დროიდან უმნიშვნელოვანესი საქმეების გადასაწყვეტად შექმნილი დივან ჰუმანიუნის (სახელმწიფო საბჭო) თავმჯდომარეობა დიდვეზირს გადაეცა. მართალია შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იყო სულთანი, მაგრამ მას შემდეგ რაც სულთნები არ იღებდნენ მონაწილეობას ომში, ჯარების მთავარსარდლობა დიდვეზირის ხელში გადავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ დიდვეზირი სარგებლობდა ფართო უფლებებითა და დიდი გავლენით, სულთანს ყოველთვის შეეძლო მისი გადაყენება და სიკვდილით დასჯაც კი. ოსმალეთისაგან განსხვავებით, სადაც დიდვეზირი ომის დროს იყო იმპერიის სამხედრო ძალების მთავარსარდალი, სეფიანთა სპარსეთში დიდვეზირის თანამდებობა წმინდა სამოქალაქო ხასიათისა იყო.

დივანი (არაბ.) - ოსმალეთის იმპერიის უმაღლესი სახელმწიფო ორგანო (დივან ჰუმანიუნი) - ოსმალეთის ცენტრალური ხელის-უფლება - სახელმწიფო საბჭო სულთნისა და დიდვეზირის ხელმძღვანელობით.

დივანბეგი (არაბ.სპარს.) - სპარსეთის შაჰის კარის უმაღლესი მოხელეთაგანი, სეფიანთა სახელმწიფოს მსაჯულთუხუცესი.

ეთიმადოვლათი (სპ. „სახელმწიფო ბურჯი“) - სპარსეთის უპირველესი ვეზირის, სახელმწიფოს მმართველის ტიტული სეფიანების დროს ჩვეულებრივად იხმარებოდა ფორმა „ეთიმადოვლე“.

ეიალეთი (თურქ. მხარე, ქვეყანა) – XVI საუკუნიდან XIX საუკუნის

40-იან წლებამდე) ოსმალეთის ყველაზე მსხვილი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, პროვინცია. ეიალეთის მმართველობა ბეგლარბეგებს და უმაღლესი „ორთულიან“ ფაშებს ეძლეოდათ, ხოლო უფრო მოგვიანებით, ეიალეთში ვეზირის ხარისხით („სამთუღიანი“ ბეგლარბეგის დანიშვნა დაწესდა. ეიალეთი იყოფოდა სანჯაყებად (იხ.) ეიალეთის მმართველებს (ბეგლარბეგს ან ფაშას) სულთანი ნიშნავდა და ისინი უშუალოდ მას ემორჩილებოდნენ.

ეშიკაღას ბაში (თურქ.) - სულთნის სასახლის მთავარი გამრიგე, ადმინისტრაციული აპარატის უფროსი. შუა საუკუნეების საქართველოში, მას მანდატურთუხუცესის თანამდებობა შეესაბამებოდა.

ვალი (სპ.) - სპარსეთის შაჰის მოადგილე. XVII საუკუნის სპარსეთში სულ ოთხი ვალი იყო: არაბისტანის, ლურისტანის, გურჯისტანის და ქურთისტანის.

ვეზირი (არაბ.) - სწორია ვაზირი. უმაღლესი სახელმწიფო მოღვაწე აღმოსავლეთის ქვეყნებში. ოსმალეთში ამ ტიტულს ატარებდა პროვინციის გამგებელი უმაღლესი რანგის /“სამთუღიანი“/ ფაშა, ანუ სულთნის მოადგილე.

ვილაეთი (არაბ.) – XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან, ოსმალეთში მიმდინარე ე.წ. „თანზიმათის რეფორმების“ დროიდან ეიალეთი გადაკეთდა ვილაიეთად

თაჯი (სპ.) - სამეფო გვირგვინი

თოფჩიები (თურქ.) - ზარბაზნის მსროლელები

თოფჩი-ბაში - მეზარბაზნეების უფროსი

თუღი (თურქ.) - თუღი ანუ ბუნჩუკი ნიშნავს ცხენის ძუის კონას, რომელიც ოსმალების ძველ ტოტემურ ემბლემას წარმოადგენდა. მოოქროვილი ბირთვით დაბოლოებულ ხის გრძნელ ტარზე მიმაგრებული ძუის ასეთი კონა ანუ კუდი, იყო ოსმალეთის სახელმწიფო ალამი, დროშა. ასეთი დროშა ჰქონდა ყველა ეიალეთსა და სანჯააყს (იხ.), ოღონდ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ ჯოხზე მიბმული ცხენის კუდების (ძუის) რაოდენობით. ეიალეთის გამგებლებს ჰქონდათ ორი ან სამკუდიანი (სამთუღიანი) დროშები, ხოლო სანჯაყებისას-ერთთუღიანი, შესაბამისად თუღი ანუ ბუნჩუკი ეიალეთისა და

სანჯაყის გამგებელთა უფლების აღმნიშვნელი ნიშანი იყო. ბუნჩუკები (თუღები) ოსმალო დიდმოხელეებს: ფაშებს, ვაზირებს, ბეგლარბეგებს და სხვებს ასეთი მნიშვნელობით თავსაბურავზეც ჰქონდათ მიმაგრებული.

იენიჩარები (თურქ.) - სიტყვასიტყვით „ახალი ჯარი“. შეიქმნა XVI საუკუნეში სულთან მურად I-ის დროს (1361-1363), როგორც მუდმივი, პროფესიული და კარგად გაწვრთნილი ქვეითი ჯარი, რომელიც ოსმალეთში ტყვედ წაყვანილი და იქ გამაჰმადიანებული ქრისტიანებისაგან შედგებოდა. იენიჩრები სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. იენიჩართა კორპუსი გახდა ძირითადი ძალა, რომელსაც სულთნები როგორც ხშირი ომების დროს, ისე ქვეყნის შიგნით წესრიგის დასამყარებლად ეყრდნობოდნენ. იენიჩართა კორპუსი არსებობდა 1825 წლამდე.

იენიჩარ-აღა - იენიჩართა კორპუსის მეთაური. იგი იყო დივანი ჰუმანიუნის წევრი.

კაიმაკამი - დიდვეზირის მოადგილე, რომელიც ცვლიდა დიდ ვეზირს სტამბოლში მისი არყოფნის დროს.

კაფუჯიები - სულთნის სასახლის მუდმივი მცველები.

კაფუჯი-ფაშა - სულთნის სასახლის მუდმივი მცველების მეთაური.

ლივა (არაბ) – 1. დროშა; 2. სადროშო; სანჯაყის სინონიმი ოსმალეთში. ლივის სათავეში მყოფებს მირ-ლივებს ან სანჯაყ-ბეგებს (იხ.) უწოდებდნენ.

მელიქი (არაბ.) - მამასახლისი, ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა საქმეების გამგებელი, მეფის მიერ დანიშნული.

მინბაში (თურქ.) - ათასისთავი, ციხისთავი.

მირმირანი (არაბ.) - მთავარსარდალი (წოდება). ოსმალეთის იმპერიაში XVI-XVIII საუკუნეებში ბეგლარბეგის სინონიმს წარმოადგენდა, XVIII საუკუნეში სანჯაყების (იხ.), ანუ მირ-ლივას (იხ.) სინონიმად იქცა. მირმირანები პატარა ქალაქების გამგებლადაც ინიშნებოდნენ.

მუთასილიმი (არაბ.) - მოადგილე. ოსმალეთში ბეგლარბეგის მოადგილე.

რაიები (თურქ.) - ოსმალეთის იმპერიის ქრისტიანი ქვეშევრდომები.

საბეგლარბეგო (თურქ.) - ოსმალეთის იმპერიაში იგივეა რაც ეიალეთი (იხ.), მას საბეგლარბეგოც ეწოდებოდა. ამ უმაღლეს

სამმართველო ერთეულს სათავეში ედგა ბეგლარბეგი, ვალი ან ფაშა. ბეგლარბეგი განაგებდა სამხედრო, სამოქალაქო და ნაწილობრივ სასამართლო საქმეებს.

სანჯაყი (ლივა) - შედარებით მცირე სამმართველო ერთეული, რომელზედაც იყოფოდა ცალკეული ეიალეთი (იხ.) თურქული სახელწოდება სანჯაყი და არაბული ლივა სინონიმებია და თავდაპირველად დროშას ნიშნავდა. ოსმალეთში იგი ძირითადი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული იყო.

სანჯაყ-ბეგი - სანჯაყის გამგებელი. სანჯაყბეგები უშუალოდ ეიალეთის მმართველებს (ბეგლარ-ბეგი, ფაშა) ემორჩილებოდნენ. სანჯაყ-ბეგს ეწოდებოდა აგრეთვე მუთასილიმი (იხ.). სანჯაყების გამგებლებს ეძლეოდათ 1 თუღი (იხ.)

სერასკირი (თურქ.) - ოსმალეთის იმპერიაში, ე.წ. „გენერალისიმუსი“.

სულთანი - მისი სხვა ტიტულებია ხანი, ხაკანი, ფადიშაჰი, ხონთქარი. ოსმალეთის სახელმწიფოს სათავეში მყოფი, სრულიად შეუზღუდველი ძალაუფლების მქონე მმართველი. სულთანი იყო არა მარტო უმაღლესი საერო ხელისუფალი, არამედ სასულიეროც - სუნიტთა რელიგიური მეთაური. სულთან სელიმ I-ის დროიდან სულთანმა ხალიფას ტიტულიც მიიღო.

ტარუღა (სპ.) – XVII-XVIII საუკუნეების სპარსეთში ქალაქის თავი, ქართული ქალაქების მოურავის სინონიმი.

ფაშა - 1. ოსმალეთის იმპერიაში ეიალეთის გამგებელსაც აღნიშნავდა და უმაღლესი სამხედრო ტიტულიც იყო. ფაშები თავიანთი თანამდებობებისა და დამსახურების მიხედვით შეიძლება ყოფილიყვნენ ერთთუღიანი, ორთუღანი ან სამთუღიანი, მხოლოდ იმპერიის დიდვეზირი ფლობდა ხუთთუღიანი (იხ. თუღი) ფაშის ტიტულს. 2. ფაშა სულთნის მოადგილედ ითვლებოდა ეგვიპტისა და ბაღდადის (ერაყის) საფაშოებში.

ქაჰია - ფაშას მოადგილე და მრჩეველი, ადმინისტრაციული ხელისუფლების უფროსი, თანამდებობით და უფლებით პიორველი კაცი საფაშოში ფაშას შემდეგ, ომის დროს ფაშას დავალებით სარდლობდა ლაშქარს.

ქეთხუდა (სპ.) – „მამასახლისი“

ქაფუდან-ფაშა - ოსმალეთის სამხედრო და სამოქალაქო საზღვაო

ფლოტის უფროსი;

ქეშიკი (მონღ.-თურქ.) - მცველი, სპარსეთის შაჰის მუდმივ მცველთა რაზმის მეომარი.

ქეშიკ-აღა - სპარსეთში ქეშიკთა რაზმის მეთაური

ღულამეები, ღოლაბემი (არაბ.) - ყმა, მსახური სპარსეთის შაჰის ცხენოსანი გვარდიის მეომრები.

ჩავუშეები ან **ჩაუშეები** (თურქ.) - სულთნის პირადი გვარდიის დაბალი ჩინის ოფიცრები, რომელნიც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვადასხვა დავალებებს ასრულებდნენ

ჩავუში-ბაში (თურქ.) - სულთნის პირადი გვარდიის (ჩავუშების) მეთაური.

ყიზილბაშეები (თურქ.) - სეფიანთა მთავარი საყრდენი აზერბაიჯანულ ენაზე მოსაუბრე თურქული მოდგმის ტომები, რომლებიც ისლამის შიიტური მიმდინარეობის მიმდევარნი იყვნენ და 12 შიიტური იმამის პატივსაცემად 12 წითელი ნაკეცისაგან შემდგარ ჩალმას ატარებდნენ, რის გამოც ყიზილბაშები („წითელთავიანები) ეწოდათ.

ყორჩი (სპ.) - ცხენოსანი მოისრების გვარდია სეფიანთა მმართველობის პერიოდში.

ყორჩი-ბაში - ყორჩის ჯარის მეთაური

ყული (თურქ.) – „მონა“, შაჰის გვარდიის ჯარისკაცი

ყულარაღასი (თურქ.) - ყულების სარდალი, შაჰის პირადი გვარდიის უფროსი

ჯანიშინი - სპარსეთის შაჰის მოადგილე, მისი ნაცვალი

ჯებეჯიები - საომარი მასალისა და საჭურვლის მცველთა რაზმის წევრები

ჯებეჯი-ბაში - ჯებეჯიების რაზმის უფროსი

ჯეზაირი - ოსმალეთის იმპერიაში, ალჟირის საფაშოს „პრემიერ-მინისტრი“.

თავი II

ოფიცერთა და გენერალთა სამხედრო წოდებებისა და თანამდებობების განმარტებები

პრაპორშჩიკი - ძველ სლავური სიტყვაა და ნიშნავს „პრაპორ“-ს ე.ი.დროშა, ალამი (მედროშე, მეალმე) რუსეთის არმიაში 1712–1917 წწ. უმცროსი ოფიცრის პირველადი სამხედრო წოდება.

პოდპორუჩიკი – 1703–1917 წწ. რუსეთის არმიის ობერ-ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდება.

პორუჩიკი – XVII ს. და 1917 წლამდე რუსეთის არმიის ობერ-ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდება.

კაპიტანი (გვიან ლათინურია) „კაპიტანუსი„-მხედართუფროსი და ლათინურად ნიშნავს „კაპუტს“-ს (თავს) რუსეთში შემოღებულ იქნა XVI ს. უცხოელ ოფიცერთათვის. XVII ს. შემოღებული იქნა „ახალი მწყობრის„ პოლკებში ასმეთაურთათვის, ხოლო XVIII ს. მთელი რეგულარული არმიის ასმეთაურთათვის. 1699–1797 წწ. არსებობდა წოდება კაპიტან-პორუჩიკი. 1797წ. - კაპიტან-პორუჩიკის ნაცვლად შემოიღეს შტაბს-კაპიტნის წოდება.

მაიორი (ლათინურად „მეიჯორი“ – დიდი, მთავარი), უფროს ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდება. XVII ს.II ნახევარში შემოიღეს რუსეთში უცხოელებისათვის. 1698 წელს „ახალი მწყობრის„ პოლკების სამეთაურო შემადგენლობისათვის. 1711 წლიდან – უფროს ოფიცერთა პირველი წოდებაა. პირველად ჰქონდა 2 ხარისხი: პრემიერ-მაიორი და სეკუნდ-მაიორი (1798 წლამდე) 1796 წელს წოდების თანახმად არმიის შტაბებში იყო 2 ბრიგად-მაიორი (თითო-თითო ქვეითში და კავალერიაში, რომლებსაც ევალებოდათ შინაგანი და საყარაულო სამსახურები.

პრემიერ-მაიორი – რუსეთის არმიის შტაბ-ოფიცერთა წოდება. 1731-1797 წწ. ევალებოდა ნაწილის ინსპექტირება და სამწყობრო მომზადება, იყო პოლკის მეთაურის პირველი მოადგილე და მის არყოფნაში მეთაურობდა პოლკს.

სეკუნდ-მაიორი – რუსეთის არმიის შტაბ-ოფიცერთა წოდება. 1731–1797 წწ. ევალებოდა ნაწილის ინსპექტირება და სამწყობრო მომზადება, იყო პრემიერ-მაიორის უახლესი თანაშემწე, ანუ ბატალიონის მეთაური.

პოდპოლკოვნიკი – შემოიღეს რუსეთში XVII ს. თავდაპირველად იყო თანამდებობა, შემდეგ კი წოდება პოლკოვნიკის თანაშემწისა (პოლკის მეთაურისა). შემდგომში „რანგების ტაბელის“ თანახმად ამ წოდების ოფიცრებს ეკავათ პოლკოვნიკამდე ერთი საფეხურით დაბალი თანამდებობა.

პოლკოვნიკი – შემოიღეს რუსეთში XVII ს. 30-იან წწ. „ახალი მწყობრის„ პოლკთა მეთაურებისათის“. პირველად გამოჩნდა 1681 წელს „ სარიგე პრიკაზებში„ მათი მეთაურები გახდნენ პოლკოვნიკები („პრიკაზის თავის„ მაგიერ).

ბრიგადირი (გერმანულიდან „ბრიგადიერი„) ოფიცრის წოდება, შუალედური პოლკოვნიკსა და გენერალ-მაიორის შორის. რუსეთის არმიაში შემოიღო 1722 წელს პეტრე I. გაუქმდა პავლე I დროს 1799 წ.

გენერალ-მაიორი – (ლათ.„გენერალის“ – საერთო და „მეიჯორი“ - უფროსი), რუსეთის არმიის უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის პირველადი სამხედრო წოდება XVII ს. 50-იანი წლების ბოლოდან ესადაგებოდა ბრიგადის მეთაურის თანამდებობას.

გენერალ-ლეიტენანტი (ფრანგ..„ლეიტენანტი“ – მოადგილე), რუსეთის არმიის უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდება. რუსეთში შემოიღო პეტრე I (1716) 1730 წელს დაერქვა გენერალ-პორუჩიკი. XVIII ს.ბოლოს დაუბრუნდა ძველი სახელწოდება. ესადაგებოდა დივიზიის მეთაურის თანამდებობას.

გენერან-ანშეფი – (ფრანგ: „ენშეფი“ – მთავარი უფროსი, თავი), ერთ-ერთი უმაღლესი წოდება, რომელიც შემოიღო პეტრე I 1716 წელს. თავდაპირველად ასე ეწოდებოდა მთავარსარდალს, რომელიც რანგით უთანაბრდებოდა გენერალ-ფელდმარშალს.

გენერალ-ანშეფის თანაშემწე ჯარების მმართველობის დარ-გში იყო გენერალ-ფელდმარშალ-ლეიტენანტი, მას ასევე ექვე-

მდებარებოდა გენერალ-ფელდცოიჰმაისტერი, ინფანტერიის და კავალერიის გენერლები. XVIII ს. 20-იანი წლებიდან გენერალ-ანშეფის წოდებას უტოლდებოდა სრული გენერალი, ე.ი. ერთი რანგით დაბალი გენერალ-ფელდმარშალზე. 1798 წლიდან გენერალ-ანშეფის წოდება შეიცვალა ჯარების ცალკეულ სახეობათა გენერლის წოდებებით (ინფანტერიის გენერალი, კავალერიის გენერალი, არტილერიის გენერალი, ინჟინერ-გენერალი).

გენერალ-ადიუტანტი – მეფის (იმპერატორის) ამალაში უფროსი წოდება. რუსეთში შემოიღო 1711 წელს პეტრე I. თავდაპირველად გენერალ-ადიუტანტი ერქვათ ოფიცრებს, რომლებსაც ეკავათ უფროს ადიუტანტთა თანამდებობა. მეფე (იმპერატორთან), გენერალ-ფელდმარშალთან და გენერალ-ფელდმარშალ-ლეიტენანტებთან.

თანამდებობები

გენერალ-ფელდცოიჰმაისტერი – თავდაპირველად რუსეთის არმიაში არტილერიის მთავარი უფროსის თანამდებობა – შემოიღო პეტრე I 1699 წელს. 1699 წელს ამ თანამდებობაზე დაინიშნა არტილერიის გენერალი, ქართველი უფლისწული ალექსანდრე არჩილისძე იმერეტინსკი (1674–1711), რომელიც 1698 წლიდან იყო „საქვემეხო პრიკაზის“ უფროსი. გენერალ-აუდიტორი – რუსეთის უმაღლესი სამხედრო-იურიდიული ორგანო. დაწესდა 1797 წელს სამხედრო კოლეგიასთან. თავდაპირველად გენერალ-აუდიტორატი ითვლებოდა იმპერატორის პირად კანცელარიად სამხედრო-სასამართლო საქმეებში. 1805 წელს რეორგანიზაციის შემდეგ გენერალ-აუდიტორმა შეითავსა სამხედრო-სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო უწყებათა სამხედრო-სასამართლო ნაწილები, იმავდროულად იგი იყო დამოუკიდებელი სამხედრო კოლეგიისაგან და ექვემდებარებოდა მხოლოდ სენატს და იმპერატორს. 1812 წელს გენერალ-აუდიტორატი ახალი რეორგანიზაციის შემდეგ შევიდა სამხედრო სამინისტროში აუდიტორული დეპარტამენტის სახით.

გენერალ-ჰევალდიგერი (სამხედრო პოლიციის უფროსი) – რუსეთში შემოიღი პეტრე I 1711 წელს – არსებობდა პოლკოვნიკის რანგით. პასუხისმგებელი იყო ჯარში სამხედრო დისციპლინისა და

წესრიგის საკითხებში. ჯარში საომარი მდგომარეობის დროს ხელ-მძღვანელობდა დაჭრილების ტრანსპორტირებას საველე ჰოსპი-ტლებში, მას ექვემდებარებოდნენ კორპუსის ჰევალდიგერები.

გენერალ-ინტენდანტი – დაწესდა 1700 წ.მის გამგეობაში შედიოდა სურსათ-სანოვაგე, ფულადი, სანივთე და ჯარების სამედიცინო უზრუნველყოფა.

გენერალ-კვარტირმაისტერი – რუსეთში შემოიღი პეტრე I 1701 წელს. თავდაპირველად ისინი იყვნენ მთავარსარდლის თანაშემწეები. 1711 წელს, როცა შეიქმნა კვარტირმაისტერთა ნაწილი, გენერალ-კვარტირმაისტერები დაკავდნენ ჯარების განლაგების და განთავსების საკითხებით, მათი საბრძოლო მომზადებით, მობილიზაციით და ა.შ.

გენერალ-კრიგსკომისარი (სამხედრო რწმუნებული) – რუ-სეთში შემოიღო პეტრე I 1711 წელს, ჯარების სანივთე და ფულადი კმაყოფის უზრუნველყოფის მიზნით გენერალ-ლეიტენანტის წოდებით. 1812 წელს შემოღებულ იქნა საველე გენერალ-კრიგსკომისრის თანამდებობა, რომელიც დაექვემდებარა გენერალ-ინტენდანტს და სათავეში ედგა საველე საკომისარიატო სამმართველოს.

გენერალ-პროვიანტმაისტერი (სასურსათო სამსახურის მთავა-რი უფროსი) – რუსეთში შემოიღო პეტრე I 1716 წელს. სათავეში ედ-გა საპროვიანტო უწყებას. 1766 წლიდან ხელმძღვანელობდა საველე საპროვიანტო სამმართველოს, თავდაპირველად ეკუთვნოდა პოლ-კოვნიკობა, მოგვიანებით გენერალ-მაიორობა. 1797 წელს დაერქვა სამხედრო კოლეგიის საპროვიანტო ექსპედიციის უფროსი. ხოლო 1812 წლიდან სამხედრო სამინისტროს საპროვიანტო დეპარტამენტის უფროსი.

წყაროები და ლიტერატურა

თავი I

ასი ქართველი უცხოეთში, ძირითადი სამუშაო ჯგუფი: ი.აბაშიძე, თ.დოლიძე, მ.თუშიშვილი, ქართული ენციკლოპედიის ირ.აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 2010;

ანონიმი ავტორი, თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ე.მამისთვალიშვილმა, თბილისი, 1987;

გ.ანჩაბაძე, სამხედრო საქმე საქართველოში უძველესი ხანიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, თბილისი, 2017;

გ.ანჩაბაძე, სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“, როგორც სამხედრო საისტორიო წყარო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1988, N4;

ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, ს.ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1959;

ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ს.ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1973;

ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965;

ვ.გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუ-კუნეებში; თბილისი, 1958 წ.

ვ.გაბაშვილი, სეფიანთა სახელმწიფო, „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, ტ. II, თბილისი, 1972;

ვ.გაბაშვილი, უნდილაანთ ფეოდალური სახლი; „ქართული წყაროების მიხედვით“, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, ტ. II, თბილისი, 1972,

ნ.გელაშვილი, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1995;

ნ.გელაშვილი, ირანის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი შაჰ-ისმაილ I-ის ზეობის (1501-1524) დროს, „ორიენტალისტი“, თბილისი, 2001;

ნ.გელაშვილი, სეფიანთა ირანის და საქართველოს ურთიერთობები ვალერიან გაბაშვილის ნაშრომებში, კრ. „ვალერიან გაბაშვილი - 90“, თბილისი, 2003;
ნ.გელაშვილი, ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა ირანთან XVI საუკუნის 70-80-იან წლებში, „ქართული დიპლომატია“, N2, თბილისი, 1994;
ბ.გიორგაძე, XVII საუკუნის დასაწყისის პორტუგალიელი ელჩის დონ ანტონიო გოვეას რელაციონი საქართველოს შესახებ, „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, ტ. I, თბილისი, 1970;
ფ.გორგიჯანიძე, ისტორია, „საისტორიო მოამბე“, წიგნი II, თბილისი, 1925;
დ.გუდიაშვილი, კავკასიური ელემენტი ოსმალეთის პოლიტიკურ სარ-ბიელზე ევლია ჩელების მიხედვით, „საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები“, თბილისი, 1979, წგ. II;
რ.გულბეკიანი, ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ, ფრანგული ენიდან თარგმნეს ი. ტაბაღუამ და ც. ბიბილეიშვილმა. თბილისი, 1987;
გ.ზედგენიძე, რა იცოდნენ ევროპელებმა XVI- XVIII საუკუნეებში საქართველოს შესახებ „ქართული დიპლომატია“, 1996, N 3;
გ.ზედგენიძე, დონ ხუან პერსიას ცნობები საქართველოს შესახებ, „ქართული დიპლომატია“, ტ. 4, თბილისი, 1997;
მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ.ფუთურიძისა „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვეთი 30, თბილისი, 1954;
ი.თოფურიძე, სულეიმან ფაშა ალ ქაბირის მმართველობა ერაყში (1780-1802), კრ. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, VII, თბილისი, 2013;
ი.თოფურიძე, დაუდ-ფაშას რეფორმები ერაყში 1818-1831 წლებში, „პერსპექტივა“ – XXI; N3;
ი.თოფურიძე, მამლუქთა ეპოქა ერაყში, თბილისი, 2015;
მ.იამანიძე, საქართველო ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში (XVII-XVIIIსს), თბილისი, 2006;

დ.კაციტაძე, XVI- XVII საუკუნეების სპარსული დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული," II, თბილისი, 1962;
დ.კაციტაძე, ირანის ისტორია III-XVIII საუკუნეები, თბილისი, 2009;
ა.კელენჯერიძე, გურჯები, თბილისი, 1975;
ო.კიკნაძე, ირანი, თბილისი, 1979;
კ.კუცია, საქართველო-ირანის ისტორიული ურთიერთობის ძირითადი პრობლემები (სეფიანთა ხანა), კრ. „ვალერიან გაბაშვილი - 90", თბილისი, 2003;
კ.კუცია, ისპაჰანის ქართველი ტარუღები, „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", II, თბილისი, 1972;
გ.ლეონიძე, დაუდ-ფაშა, „ლიტერატურის მატიანე", თბილისი, 2005;
ს.ლუზინიანი, ოსმალეთის პორტას წინააღმდეგ ალი-ბეის აჯანყების ისტორია, ინგლისურ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო ბ. სილაგაძემ, თბ., 1973;
გ.ბეი მამიკონიანი, ქართველ მამლუქთა მბრძანებლობა ერაყში XVIII-XIX საუკუნეებში, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", თბილისი, 1944, ტ.V, N7;
ე.მამისთვალიშვილი, იტალიელ მოგზაურთა ცნობები XVI საუკუნის დასაწყისის ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, თბილისი, 1975;
ე.მამისთვალიშვილი, სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა და ქართველები, „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N4, 1977;
ფათერ მორთუზა მეჰდი. სპარსული მასალები XVI-XVII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა შესახებ, თბ., 1982;
ჯუდიჩე მილანელი, დონ ჯუზეპე. წერილები საქართველოზე, XVII ს. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბილისი, 1984;
ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ, გამოსცა ვ.ფუთერიძემ, თბილისი, 1969;
ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი და საძიებლები დაურთო ნ.გელაშვილმა, თბილისი, 1981;

თ.ნატროშვილი, მაშრიყით მაღრიბამდე, თბილისი, 1991;
პ.ობერლინგი, ქართველები და ჩერქეზები ირანში, სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული, 2-3, თბილისი, 1964;
რემონ ჟანენი, საქართველო, თბილისი, 1996;
გ.ჟორდანია, თეიმურაზ მეფე და ძმანი უნდილაძენი. ჟ. „მნათობი“, 1984, #5, #6;
გ.ჟორდანია, უცხოელ მოგზაურთა ცნობები ქართველთა შესახებ XVIII საუკუნეში, ჟ. „მნათობი“, 1962, #8;
მ.სვანიძე, ოსმალეთის ისტორია, თბილისი, 1959;
მ.სვანიძე, გურჯი მოჰამედ ფაშა (1536-1620 წწ.), კრ. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, თბილისი, 2013, N7;
ბ.სილაგაძე, ქართველი მამლუქები ერაყში, თბილისი, 1967;
ბ.სილაგაძე, ერაყი მამლუქთა განმგებლობის ხანაში, თბილისი, 1978;
ა.სონღულაშვილი, ირანში ქართველთა ნაკვალევზე, თბილისი, 2008;
ი.ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XV სს-ის I მეოთხედში), ტ. II, თბ., 1986;
კ.ტაბატაძე, ამიერკავკასიის ქვეყნები და სეფიანთა სახელმწიფო, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრ., თბ., 1962;
კ.ტაბატაძე, ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. II, თბილისი, 1968;
მ.ტიკაძე, ქართველი მამლუქი სირიის პოლიტიკურ სარბიელზე (ოსმან ფაშა ალ ქურჯი), „ქართული დიპლომატია“, N7, 2001;
ლ.ტარდი, ქართველები 1711-1725 წლების ავღანეთ-სპარსეთის ომებში, „საქართველო და ევროპის ქვეყნები“, თბილისი, 1991;
ლ.ტარდი, ვენეციელი კატერინო ძენოს მოღვაწეობა საქართველოში, „მნათობი“, 2003, N 5-6;
ლ.ურუშაძე, ქართული წარმოშობის მოღვაწენი ოსმალეთში, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1989, N4;
მორთუზა მეჰდი ფათემი, სპარსული მასალები XVI- XVII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა შესახებ, თბილისი, 1982;
კ.ფერაძე, ცნობები ოსმალეთის დიდვეზირის კოჯა იუსუფის შესახებ, „ომეგა“, N (30);
კ.ფერაძე, გურჯის მეჩეთი ტრიპოლიში,

ვ.ფუთურიძე, ირანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე. კავკასიურ ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966;
მ.ქასაბი, ქართველები ოსმალეთში, სტამბოლი, 2012;
მ.ქიქოძე, ქაიხოსრო მეფის პოლიტიკური მოღვაწეობა (XVIII საუკუნის I ათეული), „კლიო“, N5, 1999;
მ.ქიქოძე, ქართლის მეფე იესე, „ალიყული ხან“ ბაგრატიონის მოღვაწეობა (1686-1727), „ანალები“, N2, 2004;
ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ.მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975;
სეხნია ჩხეიძე, მეფეთა ცხოვრება, წიგნში: „საქართველოს ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდე“, ნაწ. II (1469-1800 წწ.), დ.ჩუბინაშვილის (ჩუბინოვის) გამოცემა, სანკტ-პეტერბურგი, 1854;
მ.ხუბუა, ქართულ-ირანული ურთიერთობებიდან; „აკად. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული“, თბილისი, 1941.
ს.ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს შესახებ, „ენიმკის მოამბე“, ტ.V-VI, თბილისი, 1940;
ლ.შენგელია, ქართველი ბაგრატიონები უკანასკნელ სეფიანთა კარზე, „ქართული დიპლომატია“, N7, თბილისი, 2000;
ნ.შენგელია, თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ „მასალები სამხრეთ კავკასიის ისტორიისათვის“, თბილისი, 1960;
ევლია ჩელები, „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ.ფუთურიძემ, თბილისი, 1971;
ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. ალასანიამ, თბილისი, 2013.
ზ.ჭიჭინაძე, ქართველები სპარსეთში, თბილისი, 1990;
ბ.ჯავახია, საქართველო და ქართველები ადამ ოლეარუსის მოგზაურობის წიგნში, თბილისი, 2005;
ივ.ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი VI, თბილისი, 1967;
ნ.ჯაველიძე, ორი ქართველი მეჰმედ ფაშა, „ქართული დიპლომატია“, N18, თბილისი, 2018;

დ.ჯანელიძე, ბ. სილაგაძე, ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1967;
დ.ჯანელიძე, საქართველო და აღმოსავლეთი, თბილისი, 1984;
გ.ჯაფარიძე, იყვნენ ქართველები ნაპოლეონის არმიაში? „ჩვენი მწერლობა“, N14, 2011;
გ.ჯაფარიძე, მ.წურწუმია, საიდ ად-დინ ქურჯი, ქართული წარმოშობის ამირა ბაჰრელ მამლუქთა სასულტნოში, „აღმოსავლეთმცოდნეობა“, I, თბილისი, 2012;
გ.ჯაფარიძე, საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, თბილისი, 2016;
ჰიროტაკე მაედა, ქართველები სეფიანთა ირანში, თბილისი, 2008;
А. Адамов, Ирак Арабский, Бассорский Вилаиет в его прошлом и настояшем, СПБ, 1912;
Абд ар-Рахман ал-Джабарти, Египет под властью Мухаммеда Али, М., 1962, ч. III, 1963, ч. IV;
Вольней К.Ф. Путешествие Вольнея в сирию и Египте, бившее в 1783, 1784, 1785 годах, ч.1-2, М., 1791, 1793.
Гобеджишвили, Сведения Сехния Чхеидзе о Кандагаре „ქართული წყაროთმცოდნეობა“, თბილისი, 1971;
«Дневник осады испагани Афганцами веденный Петросом ди Саргис Гиланеци, В 1722-1723 годах, СПБ, 1870;
М.А. Полиевктов, Европейские путешественники в XIII- XVIII веках по Кавказу, Тф. 1935;
О. Маркова, Закавказье и международные отнощения в XVIII веке, Москва, Наука, 1966;
Islam Ansiklopedisi, silt I, Istanbul, 1965;
W.E.D.Allen, David Marshal Lang: The last years of the Georgian Monarchy, 1658-1832. Columbia University Press, New York, 1957;
W.E.D.Allen, History of the Georgian People, London, 1934;
“Bedi kartlisa revue de kartvelologie”, vol.IV-V, Paris, 1958;
Du Cerceau, Histoire de Thamas Kouli-kan
J.Hanway, The Revolutions of Persea: Containg the Reign of Shah Sultan Hussein, with invasion of the Afgans, and the Reigns, of Sultan mir Maghmud and his successor Sultan Ashreif. London, 175f3, vol. I;
T.Herbert, Somes Lears Tuavel info africa and Asia, London, 1677;

I.Krusinski, Tragica vententis belli Persici historiam, Luon. 1740;
D.M.Lang, The last years of the Georgian Monarchy, New York, 1957;
L.Lockhart, The fall of the Saiavi Sinesty and the Afhgan occupation of Parsia, camburgee, 1958;
J.Malcolme, Histoire de perse, t.II. Paris, 1821;
C.Niebur, Voyage et en d´antres pays circon voisins, Amsterdam, 1776, t. I;
Osmanllar Anciklopedisi, siet II, Istanbul, 1999;
Peyssonel, c.c. de, Essai sur les trolles actuels de Perse et de Georgie, Paris, 1754;
P.Sanson, Vouage de Perse, Paris, 1695;
M.Sŭreyyâ, Sicill – i ocmani, cilt II, Istanbul, 1996;
M.Sŭreyyâ, Sicill – i ocmani, cilt IV, Istanbul, kisim I, 1997;
Pietro della Valle, Travels in Persia, Voyages and Travels, ed. by John Pirkenton, London, 1811, vol. IX.

თავი II

გ.ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობ-
რობის ისტორიიდან (ქართველი მხედართმთავრები რუსეთის
არმიაში), 1967;

ირ.ანთელავა, ქართველების მონაწილეობა 1912 წლის სამამულო
ომში, თბილისი, 1984

მ.ახობაძე, დიდი მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი, თბილისი,
1958;

ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბილისი, 1942;

ჯონ ფ.ბედლი, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა, თბილისი, 2012.

ა.ბენდიანიშვილი, რუსეთ-თურქეთის 1877-1778 წლების ომი და
საქართველო - წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, I,
თბილისი, 1964;

ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბილისი,
1964;

ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი,
1965;

ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბილისი,
1967;

ე.ბურჭულაძე, ყირიმის ომი და საქართველო, თბილისი, 1960;

მ.გოგიტიძე, რუსეთის იმპერიის სამეფო არმიის ქართველი გენერლები
(ბიოგრაფიული ცნობარი), თბილისი., 1999;

მ.გოგიტიძე, გენერალი გიორგი გიორგის ძე ერისთავი, „საქართველო“
(ენციკლოპედია), ტ.2, თბილისი, 2014;

მ.გოგიტიძე, გენერალი გიორგი ერისთავი - თავრიზის აღების გმირი,
„ისტორიანი“, თბილისი 2011, N11;

მ.გოგიტიძე, გ.ბეჟიტაშვილი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბილისი,
2015;

ს.გოლუბევი, ბაგრატიონი სახელი და დიდება 1812 წლისა, თბილისი,
1948;

მ.გონიკიშვილი, ქართველი უფლისწული რუსეთის სამეფო კარზე,
ჟურნ. „ცისკარი“, N5, 1972;

გ.გოცირიძე, პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, თბილისი,
2009;

მ.დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს-ის პირველ ნახევარში, თბილისი, 1957;
მ.დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბილისი, 1953;
მ.ვაჩნაძე, ვ.გურული, რუსეთთან და ურუსეთოდ, თბილისი, 2007;
ა.იოსელიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბილისი, 1955;
შ.ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), თბილისი, 1975;
ვ.მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბილისი, 1968;
ვ.მაჭარაძე, რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომი და საქართველო, თბილისი,
ვ.მაჭარაძე, რუსეთის არტილერიის ნოვატორი, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, N 5, 1972;
შ.მეგრელიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბილისი, 1963;
შ.მეგრელიძე, ჩვენი სახელოვანი წინაპრები, თბილისი, 1979;
ნ.ნაკაშიძე, ბოროდინის გმირი, თბილისი, 1961;
ე.ორჯონიკიძე, ახალციხის მხარის შემოერთების ისტორიიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI, 1961;
ე.ორჯონიკიძე, ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.5;
გ.პაპავა, ქართველების დასახლება რუსეთსა და უკრაინაში (XVIII ს.), თელავი, 1957;
ო.ჟორდანია, მ.გაბედავა, საქართველოს წმ. გიორგის ჯვრის კავალერები, თბილისი, 2002;
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1970;
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, თბილისი, 1973;
ვ.სიხარულიძე, მოსკოვის ახალშენის ისტორიიდან, თბილისი, 1991;
ვ.ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, 1959;
ქართველები პირველ მსოფლიო ომში, კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა გ. კალანდიამ, თბილისი, 2015;
ს.ყუბანეიშვილი, დ.გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში, თბილისი, 1955;

ლ.შენგელია, ამიერკავკასია და ირან-რუსეთის ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში, თბილისი, 1979;
დ.ჭუმბურიძე, რუსული არმიის გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი, წიგნში: „ისტორიული პორტრეტები“, თბილისი, 2012;
დ.ჭუმბურიძე, საქართველო რუსეთის აღმოსავლურ ომებში, წიგნში - „რუსეთ საქართველოს ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით“.
ნ.ჯადუგიშვილი, ალექსანდრე არჩილის ძე ბიოგრაფიისათვის, „ჟურნ. „ცისკარი“, N10, 1985;
ო.ჯანელიძე, ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 2014;
Акты, собранные Кавказской археографической комиссией: в 12 т. / под ред. Ад. Берже (т.т. I – X), Дм. Кобякова (т. XI), Е. Д. Фелицына и А. П. Наумова (т. XII). – Тифлис: Тип. Глав. упр. наместника Кавказского (т.т. I – IX); тип. Канц. главноначальствующего гражд. частью на Кавказе (т.т. X – XII), 1866 – 1904.
Амилахвари, И. Г. Дневник князя Амилахвари / под ред. В. А. Потто // Кавказский сборник: воен.-ист. ежегодник. – Тифлис: Электропечатня Штаба КВО, 1909. – № 28.
Андроникашвили, Б. Страницы прошлого читая. – Тбилиси: Мерани, 1987.
Андроникашвили, Б. Надежд питомцы золотых. – М.: 1992.
Анисимов, Е. В. Генерал Багратион: жизнь и война. – М.: Молодая гвардия, 2009.
Бескровный, Л. Г. Русская армия и флот в XVIII веке: очерки. – М.: Воениздат, 1958.
Бескровный, Л. Г. Армия и флот России в начале XX в.: очерки военно-экономического потенциала / отв. ред. А. Л. Нарочницкий. – М.: Наука, 1986.
Ватейшвили, Д. Л. Грузия и европейские страны: очерк истории взаимоотношений, XIII – XIX века: в 3 т. / отв. ред. В. Н. Малов; Ин-т всеобщ. истории. – М.: Наука, 2003, 2006.
Военный орден Святого Великомученика и Победоносца Георгия: именные списки 1769 – 1920: биобиблиограф. справочник / отв. сост. В. М. Шабанов. – М.: Русскій міръ, 2004.

Волков, С. В. Русский офицерский корпус. – М.: Воениздат, 1993.
Волков, С. В. Офицеры российской гвардии: опыт мартиролога. – М.: Русский путь, 2002.
Волков, С. Генералитет Российской империи: энциклопед. словарь генералов и адмиралов от Петра I до Николая II: в 2 т. – М.: Центрполиграф, 2009.
Гогитидзе, М. Грузинский генералитет (1699–1921): библиограф. справочник / отв. ред. И. Дивный. – Киев: Ин-т укр. археографии и источниковедения им. М. Грушевского Нац. АН Украины, 2001.
Гогитидзе, М. Вклад представителей Грузии в развитие и совершенствование военного искусства России (XVIII – XIX вв.) // КЛИО 23: (исторический альманах) / Ин-т истории и этнологии им. Ив. Джавахишвили АН Грузии; гл. ред. А. Даушвили. – Тбилиси: Мематиане, 2004.
Гогитидзе, М. Грузинские офицеры в армии Российской империи в XVIII – начале XIX века: автореф. дис. … канд. ист. наук / Тбил. гос. ун-т им. Ив. Джавахишвили. – Тбилиси, 2006. – На груз. и русск. яз.
Гогитидзе, М. Военная элита Кавказа: в 2 т. – Т. I: Генералы и адмиралы из Грузии / ред. Н. Джавахишвили. – Тбилиси: НИЦ ист. груз.-кавказ. отношений, 2007.
Гогитидзе, М. Военная элита Кавказа: в 2 т. – Т. II: Генералы и адмиралы народов Северного Кавказа / НИЦ ист. груз.-кавказ. отношений; гл. ред. Н. Джавахишвили. – Тбилиси: Меридиани, 2011.
Дворянские роды Российской империи: в 4 т. – Т. 4: Князья Царства Грузинского / авт.-сост. С. Думин, П. Гребельский, Ю. Чиковани; науч. ред. С. В. Думин. – М.: Ликоминвест, 1998.
Джавахишвили, Н. Грузины под Российским флагом: (груз. военные и гос. деятели на службе России в 1703 – 1917 гг.) / ред. Р. Метревели. – Тбилиси: Тбил. гос. ун-т (тип. изд. «Интеллект»), 2003.
Дуров, В. А. Ордена России. – М.: Воскресенье, 1993.
Дуров, В. А. Русские награды XVIII – начала XX в. – М.: Просвещение, 1997.
Дуров, В. А. Ордена Российской империи. – М.: Белый город, 2010.
Дубровин Н. Закавказье от 1803-1806 г.г. СПБ, 1906.
Дубровин Н. История воцны и владычества русских на Кавказе, т. I-VI, СПБ, 1871-1888.

Залесский, К. А. Кто был кто в Первой мировой войне: биограф. энциклопед. словарь. – М.: Астрель, АСТ, 2003.

Историческая записка 1-й пешей Гурийской дружины в войну 1877 – 1878 гг.: (воспоминания офицера участника) / сост. И. Р. Макаев. – Тифлис: Тип. Штаба КВО, 1913.

История русско-японской войны: в 6 т. / ред.-изд. М. Е. Бархатов, В. В. Функе. – Т. VI. – СПб.: Т-во Р. Голике и А. Вильборг, 1907.

История русской армии и флота: в 15 вып. / под ред. А. С. Гришинского, В. П. Никольского, Н. Л. Кладо. – М.: Кн.-изд. Т-во «Образование»; тип. Русского Т-ва, 1911 – 1913.

Керсновский, А. А. История русской армии: в 4 т. – М.: Голос, 1993 – 1994.

Лубченко, Ю. Георгиевские кавалеры: Рассказы о генералах и простых солдатах – кавалерах ордена св. Георгия / отв. ред. Л. Яковлев. – М.: Белый город, 2001.

Махлаюк, Н. П. Боевая жизнь 14-го гренадерского Грузинского генерала Котляревского полка в Турецкую войну 1877 – 1878 гг. / под ред. генерал-лейтенанта В. Т. Чернявского. – Тифлис: Изд. воен.-ист. отдела при штабе КВО, 1889.

Махлаюк, Н. П. Боевая летопись 14-го Гренадерского Грузинского генерала Котляревского полка: второе столетие 1800 – 1900. – Тифлис: Изд. 14-м Гренад. Грузин. полком при содействии Воен.-ист. отд. Штаба КВО, 1900.

Мегрелидзе, Ш. В. Наши славные военные предки. – Тбилиси: Мецниереба, 1979.

Пайчадзе, Г. К истории грузинской колонии в Москве в XVII–XVIII веках. – Тбилиси: Мерани, 1982.

Португальский, Р. М. Военная элита Российской империи: 1700 – 1917: Энциклопед. справочник / Р. М. Португальский, В. А. Рунов. – М.: Вече, 2009.

Потто, В. А. Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, т.3. СПБ, 1887.

Потто, В. А. Фамилия Бучкиевых в столетнем служении ее России. – Тифлис: Б. и., 1901.

Потто, В. А. Утверждение русского владичества на Кавказе, т.т.1-4, Тифлис, 1906.

Сборник сведений о Георгиевских кавалерах и боевых знаках отличий кавказских войск / сост. по архив. документам А. Л. Гизетти / под ред. генерал-майора Потто. – Тифлис: Изд. воен.-ист. отдела при штабе КВО; тип. Я. И. Либермана, 1901.

Список генералитету по старшинству на … [1801 – 1806, 1808 – 1820, 1822, 1823, 1826, 1830] год. – СПб., 1801 – 1830.

Список полковникам по старшинству на ... [1838, 1843 – 1844, 1849, 1852, 1855 – 1857, 1859, 1861 – 1914, 1916] год. – СПб. – Пг., 1838 – 1916.

Тарсаидзе, Н. Г. Сведения о грузинах в России во второй половине XVIII в. – Тбилиси: Изд-во Тбил. ун-та, 1983.

Татишвили, В. И. Грузины в Москве: 1653 – 1722: ист. очерк. – Тбилиси: Заря Востока, 1959.

Туманов, Г. М. Словарь кавказских деятелей: (прил. к справочной книге старожила «Кавказ» № 1) / Г. М. Туманов, К. М. Туманов. – Тифлис: Тип. М. Вартанянца, 1890.

Ушаков, С. И. Деяния российских полководцев и генералов, ознаменовавших себя, в достопамятную войну с Францией, в 1812, 1813, 1814 и 1815 годах: в 4 ч. – М.: Тип. Карла Крайя, 1822.

Харитонов, И. За Царя, за Родину, за Веру!: герои и войны российской армии (1695 – 1918). – Ростов н/Д: Феникс, 2000.

Хворостьянов, Ю. А. Грузинский генералитет русской армии // Военно-исторический журнал. – М., 2003. – № 1. – С. 71–75.

Эсадзе, Б. С. Летопись Грузии: юбилейный сборник к 300-летию Царствования Дома Романовых, Державных Покровителей грузинского народа: 1613 – 1913. – Вып. 1. – Тифлис: Издание П. И. Туманова, 1913.

შინაარსი

წინათქმა 3

თავი I
ქართველების მონაწილეობა სპარსეთისა და
ოსმალეთის იმპერიების ომებში..... 5

თავი II
ქართველების მონაწილეობა რუსეთის იმპერიის
ომებში..... 89

განმარტებები და კომენტარები
თავი I 182
თავი II 187

წყაროები და ლიტერატურა
თავი I 191
თავი II 198